



N2 (553)

13/1-19/1-2011

ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საგანგებო

ტომი №46 ოთარ ჭილაძე

ნაწილი III

შეგიძლიათ შეიძინოთ

„გზის“ ამ ნომართან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შეძებათ ტომი

ბიორგბი შეგზავრთ



**სიურპრიზი,
რომელსაც
მსახიობები
გვიმზადებენ**

თემა

საახლად „სამსოვრები“
და „ხამოვები“ გადაზრდილი
„ვერონული გართობა“

„სუფრაზე
გზოდ
„სუფიკი“
გვემდებარება“

**ნუკი კოხკელიშვილის
ღარიბი ახალი წელი**

პარტი, რომელსაც
რეპორტიორები გაასურს



რისტვის იპარავდა
სტალინი ლურსმნებს

„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი შურნალი საქართველოში!

**გაგაქანებენ მძიმას
უჩივლად**

გაგაქანებული კაცები
სივრცის აღიარებას
არ მოერიდნენ

უყუჩაბი!

www.palitrav.ge

PALITRA
TV-RADIO

ლაპარაკობს და უჩვენებს კალიტრა!



**ტორნიკე
გოგრიჭინაძე
„ამას“ აწყენინა
„სივრცელს
ინტერვიუდან შეიგყოფს“**

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

24 იანვრიდან

ქუჩაზე „ჩივიანთა“ ერთად

ყველა დროის

საუჩუეთესო მითხრობელები

მოგიტხრობენ...



24 დანჯარის - ტომი №1

მითხრობელი - არნასტ ჰამინგუაი

ფასი ... 2 ლარი!!!



franco fontana

italy

საიუველირო მატარებია franco fontana
გილოცავთ შობა-ახალ წელს და
გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას

10-25% 20 -იანვრამდე!

franco fontana-ს ყველა ფილიალში



franco fontana

italy

კემოვნებთან და ამოწმებთან არჩევანი

მსოფლიოში აღიარებული იტალიური ბრენდების, ოქროსა და ვერცხლის
ორიგინალური ნაქეთობები და ექსკლუზიური დიზაინი



რუსთაველის 26
☎ 18-10-47



ვაჟინის 7
☎ 30-65-56



ჭავჭავაძის 21
☎ 18-10-46



დადიანის 7
(ქარვასლა)


ვიკრელი კლასის სამთო სასტუმრო

„ვერე პალასი“ მთიანეთში


ყველა ვიკრელს ზამთრისა თუ ზაფხულის სეზონის
სასიამოვნოდ და აქტიურად გატარებისთვის.

სასტუმროშია:

- 43 კომფორტული და კეთილმოწყობილი ნომერი,
- მათ შორის 7 ნახევრად ლუქსი;
- ორი რესტორანი, სადაც დააგეგმვებთ ქართულ და ევროპულ კეძებს. ;
- მწვანე ბარი და ღამის კლუბი;;
- ბილიარდი
- საცურაო აუზი;
- საუნა და მასაჟი;
- ფიტნეს დარბაზი;
- საკონფერენციო დარბაზი;
- თბილამურების ქირაობა



www.verepalaceba
E-mail verepalacehotelbakuriani@gmail



*კეთილმოწყობილი ნომერები
სასტუმროშია*

თითოეულ ნომერშია ინდივიდუალური
გაწმობა, ფრადი ტელევიზორი სააბაზო
არხებით, ტელეფონი ოთახში და სააბაზოში
მინი ბარი, ფენი და უსაფრთხოების სისტემა
ზონის სანატრიო ტიპის ისარგებლებით ფაქსი
ქსეროქსით, კომპიუტერითა და ინტერნეტით

თბილისი, კოსტავას ქ. №47 ბაკურიანი, ნაქაძის ქ. №12
ტელ: (995 32) 98 35 65 ტელ: (995 26) 74 00 49
ფაქსი: (995 32) 99 68 67 ფაქსი: (995 26) 74 00 50
მობ: (995 95) 15 84 48 მობ: (995 99) 11 60 45 (995 95) 30 06 40

ბიბლუსი

წიგნის
მაღაზიათა ქსელი

Books

დიდი სახალხო ფესტივალი წიგნებზე

ბიბლუსის ყველა მაღაზიაში
20-იანვრამდე!



**ქართული
კროზის
საბანძური**
20%

**ლილი
მხატვრები**
20%

**ეს
სამყაროა**
20%

**ჩემი
სამყარო
ზღაპრები**
20%

„50 წიგნი“
20%

- თბილისი რუსთაველის 40/1
- თბილისი - იოსებბაგრატიონის 49
- თბილისი - აღმაშენებლის 121
- თბილისი - რობაქიძის 7
- თბილისი - ვახტანგის 12
- თბილისი - ს.ს. თბილისი სანატრიო
- კუთხისი - ლილი მხატვრების 1
- ბათუმი - მამულ აბაშიძის 62
- ზუგდიდი - რუსთაველის 92
- სენაკი - რუსთაველის 241
- ფოთი - ფარავან ბაგრატიონის 12
- სამტრედიო - საბაძის 6
- ხაზური - რუსთაველის 69
- ღუბანი - რუსთაველის 11
- რუსთავი - მამულბაგრატიონის ბაგრატიონის 12
- ოზურგეთი - 9 აპრილის პარკი
- ბურჯანაძე - ნოვოპროსპი და
- რუსთაველის ქუჩის გაღმავლებით
- ბურჯანაძე - პაპის ბაღის წინ
- ბოლნისი - სულხან საბაძის 106
- ზუგდიდი - აღმაშენებლის 87

გამომცემლობები:
„პალიტრა L“,
ქარჩხაძე,
შემეცნება,
ბაკურ სულაჯაგური,
გორგა,
სიესტა,
ინტელექტი
არტანუჯი,
სუხანი,
ანა-ბანა

და სხვა ბესესელები



საახალწლო „სექსნომრები“ და „ხამოგაში“ გადაზრდილი „ევროპული გართობა“

„სტეფანესა და კახუჩელას ფანტაზიები არ „გაიშვა“!.. ისე, „თავისუფლებაზე“ ასეთი „კარგი“ კონცერტი რომ ჩატარდა, მგონი, მთლად მათი ბრალიც არ არის“...

7

სახე



ბაჩო ქაჯაიას „მინუსი“ და კახა ჯოხაძის მუზეუმი

„მარმან უარესი იყო — სერიების გადაღება, საკონცერტოდ მომზადება და ამის გამო ახალი წელი ბუნდოვნად მახსოვს, სიზმარივით. ღამეებს ვათენებდით“.

18



ცხოვრება

როგორ ხვდებიან საზღვარგარეთ მყოფი ქართველები ახალ წელს



„ერთადერთი, როცა საათის ისრები თორმეტს მიუახლოვდება, ყურძნის თორმეტ მარცვალს მიირთმევენ. ესპანელებს სჯერათ, რომ თუ ამ დროს სურვილს ჩაიფიქრებ, ის აუცილებლად აგისრულდება“.

26



- **მინიატიურები** 5
„ფანდარასტების“ შემოსევა!
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **თემა** 7
საახალწლო „სექსნომრები“ და „ხამოგაში“
გადაზრდილი „ევროპული გართობა“
- **საზოგადოება** 10
- **ოქუნიკაბული ზონა** 14
- **მსახიობი** 18
ვაჟზე ნაწყენი ზურაბ ცინცქილაძე და
საახალწლოდ ახდენილი ბავშვობის სიზმრები
- **ავკლუა** 20
სოფო გელოვანის მოტყუებული მაცურებელი
- **პროექტი** 21
რატომ „ჭედავდა“ ლენუკა ყიფშიძე „კოდში“?
- **ტანდემი** 23
ბაჩო ქაჯაიას „მინუსი“ და კახა ჯოხაძის მუზეუმი
- **ოჯახი** 26
ხატია სიჭინავას და რამაზ ნოზაძეს
„ზომებში“ დიდი გარღვევა აქვთ
- **ემიგრანტები** 28
როგორ ხვდებიან საზღვარგარეთ
მყოფი ქართველები ახალ წელს
- **გვიგრაქლოს!** 31
სიყვარულით შექმნილი ოჯახის სიმდიდრე
- **მადლი** 33
წლის სუპერბებია და სუპერბაბუა გამოავლინეს
- **სადაურსა სად ნაიყვან** 34
წინაპართა კვალდაკვალ
- **ბარემო** 36
„მასალა რაც უფრო ახლოსაა
ბუნებასთან, მით უკეთესია“

გმამ გნითლები

„თურქეთის კი არა, მონასტერს მიაშურა“



„ამ მოგონილი ამბით ვის „დაბოლებას“ აპირებ? მეცოდები, რადგანაც ნორმალური ტყუილის თქმაც კი არ შეგიძლია! შენ გგონია, ვინმე დაგიჯერებს?..“

76

■ მოლა	38
თანამედროვე ჩოხები და ქალამნები — ყოველდღიური სამოსი ძველთბილისური ელფერით	
■ ავტო	40
■ ანტიდეკარესანტი	42
■ ეს სამყაროა	42
■ ტაქსარი	44
დღესასწაულებზე ადამიანი საღვთო მადლით იტვირთება	
■ საქითხავე ქალუხისათვის	46
■ ისტორიის ლაბირინთები	48
ყვირილას ხაზინის ექსპროპრიაცია და „დიდი ჩავარდნა“	
■ იმიჯი	51
„სულიერად ქერა“ და ხასიათით „დიდცხვირა“ ნუკი კომპლექსივილი ტელევიზიაში დაბრუნებაზე ოცნებობს	
■ ჯანმრთელობა	52
■ პროფესია	54
„კარგ დროს ტარებას გისურვებთ“ ანუ მძღოლი გამოძახებით	
■ კრიმინალი	56
მეძავე ქალს ორმა მამაკაცმა პოლიციაში უჩივლა	
■ კრიმინალური კურიოზები	57
■ თინეიჯერული პონტები	59
2010 წლის აღმოჩენა და „ყელში ამოსული ტიპები“	
■ წვეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ ნამდვილი აზგაპი	64
შემთხვევით აღმოჩენილი ცოლისძმა და დუქანში მოგვარებული საქმე	
■ რეალური	65
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული დეზაქტივი	68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	72
სვეტა კვარცხელია. ნაადრევი ენძელები (დასაწყისი)	
■ გზავნილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოზილი-ზახია	82
■ პროგნოზი	88
■ ერუდიტი	92
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოვრდი	97
■ საზიარო კროსოვრდი	98

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოცემის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება


ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

სამყარო



**ადამიანი-
კალკულატორი**

გენიალურ მათემატიკოსებს შორის
ყველაზე ახალგაზრდა — ალბერტო
კოტო გარსიაა. იგი 1970 წლის 20 მაისს
დაიბადა. მათემატიკურ ნიჭს სხვადასხ-
ვა შოუსა და გასართობ გადაცემაში
იყენებს. 8 წუთსა და 25 წამში შეუძლია 8-ნიშნა ციფრის გამ-
რავლება. ბულალტრად და ფინანსურ მრჩეველად მუშაობს.

36

ადამიანი



**მეძავე ქალს
ორმა მამაკაცმა
პოლიციაში უჩივლა**

„— ბოლო დროს აბანოში მეძავე
ქალუხის რიცხვმა საგრძნობლად იკლო.
ეტყობა, მათაც მიადგა ხელისუფლება.“

— რას გულისხმობ? — ჩავეძიე.
— თურმე მათაც სთხოვენ ოფიციალური გადასახადის
გადახდას...“

54

ბიზნუსი



**ნაადრევი
ენძელები**

— ადე, მივდივართ! —
სახედაჭორფლილი ეკა თავს
წამოადგა ქვიშიან ნაპირზე განოლილ
ნუკის, რომელიც მზეს ნეტარებით,
თვალდახუჭული ეფიცებოდა.

გოგონამ თვალეები გაახილა და ბიძაშვილს უკმაყოფილოდ
ახედა.
— სად მივდივართ?
— სად და ზესტაფონში! სად წავალთ... მცხეთაში ვბრუნდებით!
— გალიზიანებული ჩანდა ეკა.

62

გაიმ-აუტი



**„ერუდიტი
პარ
ეროტიკაში“**

— დღეს „ერუდიტის“ სტუმრები
ხართ.

ვახტანგი: ეროტიკის?
ნუგ ზარი: ერუდიტისო, კაცო, რა დაგემართა? რაღა
დროს შენი ეროტიკაა.

88

„ფანდარასტების“ შემოსევა!




შსავლის ნაცვლად გაგახსენდათ? მართლაც, რა მოდაში იყო „კოკოითი — ფანდარასტი“?! ის „საზოგადოებრივი მოძრაობაც“ და თვითონ სიმღერაც — „ივენტებზე“ უკრავდნენ, დისკოთეკებზე ატრიალებდნენ, სააკაშვილს ტელეფონის ზარად ჰქონდა დაყენებული!

მოკლედ, მაგარ ამბავში ვიყავით, სანამ 2008-ის აგვისტოში აქეთ არ „გაგვაფანდარასტეს“ ჯერაც რომ ვერ გაგვიგია, ვინ — რუსებმა, ოსებმა, ამერიკელებმა თუ ჩვენივე „ვარდყვავილოვანმა“ ხელისუფლებამ...

შინცდამაინც ამ ძველსაახალწლოდ კი იმიტომ გამახსენდა ეს საერთო-სახალხო „ფანდარასტ-ფართი“, რომ მაგ იდიოტობის აქაური (როგორც აღმოჩნდა — „იქაური“) ხელმძღვანელი ვლადიმერ სანაკოვეი ისეთივე „ეფესებენიკი“ აღმოჩნდა, როგორიც სხვა „ფანდარასტები“! ანუ თვითონაც „ფანდარასტი“ ყოფილა!

ვინც ჯერ არ იცის, მისთვის ვიტყვი: ამ ვაუბატონმა (ხომ გახსოვთ, რომელია? — წვერიანი და „ალანიაზე“ რომ კოკოითის აგინებდა) ვლადიკავკაზში პრესკონფერენცია ჩაატარა და განაცხადა: კიდევ კარგი, გამოვასწარი საქართველოდან, თორემ უკვე „დავინვებოდი“ — 1989 წლიდან, ჯერ კა-გე-ბეს, მერე კი ეფ-ეს-ბეს აგენტი ვიყავი, თბილისშიც მათი დავალებით „ჩავინერგე“, ოქრუაშვილიც მე შევაძულე და გავაგდებინე სააკაშვილს მთავრობიდან, თორემ ეგ უფრო ადრე დაინწყებდა ომს და თანაც, უეჭველად გაიმარჯვებდაო (?); და რაც მთავარია: „პროექტი — ვანო მერაბიშვილი“ ჩემი შექმნილიაო!!!



ესეც ასე! გაიმარჯვებდა თუ არა ოქრუაშვილი, ომი რომ დაენყო, — ეს ცალკე საუბრის თემაა და ვისაც სჯერა, გავატარებთ, სამაგიეროდ, საბოლოოდ გაირკვა პასუხი კითხვებზე: ვინ არის ვანო მერაბიშვილი? საიდან მოვიდა? ვისი კაცია? ა, ბატონო: ამ „ფანდარასტი“ სანაკოვეის კაცი ყოფილა ჩვენი ვანო!!!

ახლა გასაგებია, რატომ არბევს პოლიცია სამაჩაბლოს ომის ვეტერანებს — ეტყობა, სანაკოვეი ავალებს, ძველი ბოლმა აქვს!

კარგი, როგორც იტყვიან: „ეს ყველაფერი — არაფერი“, მაგრამ ის რომ ჰყავთ, მეორე... უი, ეგეც სანაკოვეია!!!

ჰოდა, მაგის საქმე როგორ იქნება? ეგენი ერთად „ფანდარასტობდნენ“ და ნათესავეებიც ყოფილან და რა ვქნათ, ველოდოთ ახლა, ეგ როდის „დაგაზავს“ ჩრდილოეთში და გამოაცხადებს რომელიმე მინისტრზე — „ჩემი კაციაო“ (მთავარია, ჩვენ რომ ვიცით, იმ მინისტრზე არ თქვას — „ჩემი ქალიაო“, ჩვენ რომ „კიდევ უფრო ვიცით“, იმას ეწყინება)?!

ერთი სიტყვით, „ფანდარასტობა“ ისევ აქტუალური ხდება... სათაურში გამოტანილი სიტყვა „შემოსევა“ რალა შუაშია, ერთმა „ფანდარასტმა“ შეგამინაო?! — მკითხავს ვინმე... ჰმ, ერთმა კი არა... რუკას დახედეთ და ინტერნეტისა და გაზეთების დღევანდელ ინფორმაციებსაც ჩახედეთ — ყველა მხრიდან გვიტყვენ ეს „ფანდარასტები“!

სომხურმა საინფორმაციო საშუალებებმა და სომეხმა „მეცნიერებმა“ მორიგი ტრადიციული „ფანდარასტობით“

დაინყეს კვირა: „ქართველები და თურქები სომხურ ტაძრებს იტაცებენ!“ — ასეთი სათაურებით აჭრელდა სომხური პრესა! საუბარია ტაო-კლარჯეთში მდებარე ოთხი ქართული ტაძრის აღდგენაზე, რის სანაცვლოდაც თურქები ბათუმში მეჩეთის აგებას ითხოვენ (რაც, თავისთავად, აგრეთვე „ფანდარასტობად“ მიმაჩნია).

ანუ „ჰაიასტანელ“ „მეცნიერთა“, კონკრეტულად, სამველ კარაბეტიანის მტკიცებით, ოშკი, ხანძთა, ოთხთა და იშხანი — სომხური ტაძრები ყოფილა, ხოლო მათ კედლებზე არსებული ქართული წარწერები კია ქართული, მაგრამ, თურმე ნუ იტყვით და, მათში ისეთი შეცდომები ყოფილა, როგორსაც მხოლოდ სომხები უშეგებ ქართულად მეტყველებსას(!)

აგოვეივეი!!! სამევეივეი!!! შენც — „ფანდარასტი“, ტო?!

ჩურჩხელა ვიცით, რო სომხურია, საფერავიც, ჩიხირთმაც, თამარ მეფეც, ილია ჭავჭავაძეც და ცხონებული ბებიაჩემიც სომეხი იყო („მაგენი განყვიტა ჭირმა!“), მაგრამ ერთი მაინც ვერ გავიგე: იმ სომეხმა, „შეცდომებიანი ქართულით“ რომ ლაპარაკობდა და წერდა, პირდაპირ „გამართული სომხურით“ რატომ არ მორთო „სომხური ტაძრების კედლები“?..

„ნუ... პატივი გცათ, ელი...“ — სტატიის კომენტარებში ასეთი „ფანდარასტული“ პასუხი გაეცა ჩემს ლოგიკურ შეკითხვას!

მერე, ვილაცები ჩემზე ამბობენ, ეროვნულ შულს აღვივებსო...

ჰო, მართლა, ვან ბაიბურთი როა, მიშას მრჩეველი სომხებთან ურთიერთობის ამბავში, ერთი უნდა ვიკითხო, ხომ ცოცხალია?

P.S. ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: ფიქტატრთან პაციენტი შედის: — ექიმო, ყველგან ჰედარასტები დაძრწიან!

- სად? რას ამბობ?
- ყველგან, ყველაფერში ეგენი არიან, ეგენი მართავენ.
- მაინც?
- აი, ეს თქვენი სურათი, რატომ გაქვთ აქ? — კედელზე გაკრული სურათისკენ მიუთითა, რომელზეც სამკუთხედი და წრე ხატია.
- მერე რა?
- ეგ ხომ ჰედარასტების სქესობრივი აქტია.
- ჰმ, ის? — ვილაც მეცნიერ-ფიქტატრის პორტრეტზე მიუთითა.
- არ ეტყობა თვალეში? ეგეც ჰედარასტი იქნებოდა!
- მაშინ ჩემზეც მაგას იტყვი! — გაბრაზდა ექიმი.
- აბა, რა! აბა, რად გინდა ესეთი სურათები კაბინეტში?!

P.P.S. გეფიცებით, ამისგან განსხვავებით, მე გიჟი არა ვარ — მართლა „ფანდარასტების“ შემოსევა...

პროვოკატორი



ნაბახუსევის საზღაურად — 302 მლნ გირვანქა სტერლინგი



ხანგრძლივი საახალწლო დღესასწაული მრავალი ბრიტანელისთვის რთული გამოცდა აღმოჩნდა: 2 იანვარს დაახლოებით 2 მლნ-მა ბრიტანელმა ლოგინიდან თავის აწევა და სამსახურში წასვლა ვერ შეძლო. ექსპერტების შეფასებით, ამ პოსტ-სადღესასწაულო „ეპიდემიამ“ ქვეყნის მუშახელის 6%-ის პარალიზება გამოიწვია, ზარალმა კი 302 მლნ გირვანქა სტერლინგი შეადგინა. 2 მლნ ადამიანიდან 275 ათასმა საკუთარ ხელმძღვანელობას განუცხადა,

რომ გრიპი დაემართა, ახველებს და სურდო აქვს. დაავადების მიზეზი უცნობია, ბრიტანულმა Daily Telegraph-მა გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „სადღესასწაულო ნაბახუსევი 302 მლნ გირვანქა სტერლინგი დაჯდა“.


რუინითუი ჯადოქრებმა ხელისუფლება დაწყველეს

ეს ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის საზღაურია: ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით, ქვეყნის ხელისუფლებამ საგადასახადო კანონმდებლობა გაამკაცრა; ამის გამო, ჯადოქრები, ასტროლოგები და მკითხავეები კერძო მესაკუთრეებთან გათანაბრეს და მათ გადასახადები დააკისრეს. პასუხად, შავი მაგიის წარმომადგენლებმა ქვეყნის პრეზიდენტი და ხელისუფლება განსაკუთრებულად ძლიერი წყევლით დაწყველეს. „ახალგამომცხვარმა“ მენარმეებმა განაცხადეს, რომ მათი შემოსავლები ხარჯებს ძლივს ფარავს. მათ პირობა დადეს, რომ ხელისუფლებაზე შურს იძიებენ. 7 იანვარს 13-მა ჯადოქარმა ეს პირობა შეასრულა და დუნაის სანაპიროზე წყევლის რიტუალი აღასრულა.




დისკრიმინირებული პაულო კოელიო

ცნობილმა ბრაზილიელმა მწერალმა პაულო კოელიომ განაცხადა, რომ მისი წიგნები ირანში აკრძალეს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თანამედროვე პროზაიკოსი ამბობს, რომ აკრძალვის მიზეზები მისთვის უცნობია. ბოლო 12 წლის მანძილზე ირანში მისი 6 მლნ წიგნი გაიყიდა. „ვიმედოვნებ, რომ ეს გაუგებრობა ერთ კვირაში დასრულდება. ბრაზილიის ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი მაქვს“, — დაწერა კოელიომ თავის ბლოგზე. მწერალმა ასევე აღნიშნა, რომ შესაძლოა, სპარსულ ენაზე ნათარგმნი მისი წიგნები ინტერნეტში უფასოდ გამოქვეყნდეს. კოელიოს „ალქიმიკოსი“ ბესტსელერია. 150 ქვეყანაში ამ დრომდე კოელიოს 300 მლნ წიგნი გაყიდულია.



ირანმა ჯაშუშთა ქსელის დაკავების შესახებ განაცხადა

ირანის ხელისუფლებამ განაცხადა ჯაშუშთა ქსელის დაკავების შესახებ, რომელსაც ირანელი ფიზიკოსის შარშან მომხდარ მკვლელობაში ადანაშაულებდნენ. სახელმწიფო ტელევიზიის ინფორმაციით, ჯაშუშებს ებრაულ დაზვერვა „მოსადთან“ ჰქონდათ კავშირი. თეირანის უნივერსიტეტის ფიზიკის ლექტორი, 50 წლის მასუდ ალი მოჰამედი 2010 წლის 12 იანვარს დაიღუპა. მის სახლთან ახლოს ბომბი აფეთქდა. ირანის დაზვერვის სამინისტრომ განაცხადა, რომ „მოსადი“ ევროპისა და ირანის მეზობელი სხვა ქვეყნების ბაზებს ბირთვულ სფეროში მომუშავე ფიზიკოსების მკვლელობის ორგანიზებისთვის იყენებს.




ოცნებები სამსახურში ყოფნისას



7 მლნ ქალბატონის გამოკითხვამ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გამოარკვია, თუ რაზე ოცნებობენ ქალები. შოტლანდიელმა მკვლევრებმა დაამტკიცეს, რომ 30%-ზე მეტი ქალი სამუშაო დღის მანძილზე შოკოლადზე ოცნებობს. მეორე ადგილი ქალის სურვილებს შორის სექსს უკავია — სექსის სასარგებლოდ ქალების 20%-მა მისცა ხმა. რეიტინგში მომდევნო ადგილები შვებულებას (10%) და შოპინგს (6%) ერგო. ამავე გამოკითხვაში მამაკაცებიც მონაწილეობდნენ. თურმე 67% სამსახურში ყოფნის დროს სექსზე, ხოლო 11% — ტკბილეულზე ოცნებობს.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალი ambebi.ge-ს მასალები

რუბრიკა მოამზადა ხათუნა პახტურიძემ



ქვეყანა

საახალწლო „სემსნობრები“ და „სემოხაში“ გადაზრდილი „ეპროკული ბართოზა“

„ბათუმის საახალწლო კონცერტი ხელოვნება იყო, თბილისის კი — „ქორნილი“

საახალწლოდ, ქართული ტელეარხები გააქტიურდნენ: შეძლებისდაგვარად, ყველა გადაცემისა თუ საახალწლო კონცერტის წამყვანი მაყურებლისთვის (უფრო კი — საკუთარი თავისთვის) კარგი განწყობილების შექმნას ცდილობდა. ცხადია, „ევროპული გართობისათვის“ ანუ მხოლოდ სხვისი გართობის ცქერისათვის ქართველი მაყურებელი მზად არ აღმოჩნდა — ახალი წლის დღესასწაულზე ყველას სურს, საზეიმო განწყობილება ჰქონდეს და კონცერტზე წასულმა ან თუნდაც ტელევიზორთან მჯდომმა, შოუს ცქერისას, მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს...

ათო ყორღანაშვილი

გელა ქორძაძე, იუმორისტი:

— სტეფანესა და კახუჩელას ფანტაზიები არ „გაიშვა“!.. ისე, „თავისუფლებაზე“ ასეთი „კარგი“ კონცერტი რომ ჩატარდა, მგონი, მთლად მათი ბრალიც არ არის: როცა კულტურული ღონისძიებების დეპარტამენტის ხელმძღვანელად ნინა გეყოლება, უკეთესს რას უნდა ელოდე?! ნახეთ, ახალი წლის ღამეს ევროპაში, რუსეთში ან თუნდაც სომხეთში რა ხდებოდა?.. ქართველებმა გართობა არ ვიცით. ამიტომ შემომაქვს წინადადება: იმ თანხით, რაც წურწუშია-გომართელი-კახუჩელი-სტეფანე და მათი „ვიკონცერტები“ ჯდება, თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მეტრომდე დიდი სუფრა გავშალოთ, მივუსხდეთ, თამადა ავირჩიოთ, „ქსოვრელები“ მოვიყვანოთ და მამაპაპურად მოვუღვინოთ! რა, ცუდი იდეაა?! მერე მაია ასათიანის გადაცემა თავისი „ტამ-ტამით“ შემოგვეშველება და ეგაა!.. საერთოდ, ჩემი გაცინება მართლა ძნელია (იუმორისტულ შოუებს პროფესიული თვალთ ვუყურებ). აი, „თავისუფლებაზე“ გამართულ შოუზე კი მაგრად ვიცინე... იცით, რატომ? უნდოდათ, „რალაც“ გაეკეთებინათ, მერე თვითონ მაგრად გაერთნენ და ბოლოს თქვეს: მაგარი კონცერტი გამოვიდაო. ამაზე ჩაბუთირდი (იცინის)! ისე, თუ ატყობთ, რომ ამ ბოლო დროს, კონცერტების წამყვანები და მონაწილეები უფრო ერთობიან, ვიდრე — მაყურებლები? უკაცრავად, მაგრამ მაყ-

ურებელი მაგრად „ჰკიდიათ“...

აი, ბათუმში გამართულ კონცერტზე ცუდს ვერაფერს ვიტყვი — ძალიან კმაყოფილი დავარჩი. ბათუმში ანდრეა ბოჩელი, ნინო ანანიაშვილი გამოვიდნენ, ამიტომ კონცერტს კარგი რეჟისურაც რომ არ ჰქონოდა, მინც მაგარი იქნებოდა! ისე, ბათუმის კონცერტის ნახვისასაც გამეცინა (იცინის)...

— რატომ?

— საქართველოში ჩამოსულ უცხოელ მომღერალს ჩვენს ქვეყანას იცით, როგორ აცნობენ? ხინკალი, ღვინო და სოფო ნიჟარაძეო (იცინის): ამ გოგოს ყველასთან ამღერებენ.

— სოფო ნიჟარაძე პარტნიორად, თავად ანდრეა ბოჩელიმ აირჩია. ყოველ შემთხვევაში, საინფორმაციო გამოშვებებში ასე აღნიშნეს.

— სოფო აშკარად, ნიჭიერი მომღერალია, მაგრამ ყველასთან რომ მღერის, მეღიშება. ისე, საქართველოში ემინები თუ ჩამოვა, ემინებისა და სოფოს დუეტი მაგარი იქნება!..

— სხვადასხვა ტელეგადაცემის საახალწლო გამოშვებებზე რას გვეტყვი?

<p>მუხის მაგიდა - სკამები</p> 	<p>საძინებელი</p> <p>1690 1360 ლარი</p> 
<p>აპრილის სკოლის „ქვეყანა“ მართავს აპრილის და ბავშვების ფორუმებს</p>	
<p>შესატყობთ 10-50% -მდე</p>	
<p>740 420 ლარი</p>  <p>ბასაზღვლი დივან-სანოლი</p>	<p>690 370 ლარი</p>  <p>ბასაზღვლი დივან-სანოლი</p>
<p>აღ. მარტოვის ბაზ.14 © 38 88 11</p> 	




— ჰოოო... რა შეიძლება ვთქვა, როცა საახალწლო გამოშვებებს წლის განმავლობაში გასული გადაცემები სჯობდა?! იცი, რა ხდება? მგონი, დღეს ქართულ ტელევიზიებში ინტელექტი არ არის: ახალი და თანამედროვე საახალწლო გადაცემების მოფიქრების უნარი არა აქვთ. წელს „პირველმა არხმა“ „გაიფართხალა“, დანარჩენებისა კი ვერაფერი გავიგე... ახალი წლის ღამეს, 12 საათზე ეთერში ფილმს ან 5 წლის წინანდელ გადაცემას (არასახალწლოს) რომ გაუშვებ, „მაგარ ტელევიზიობაზე“ პრეტენზია არ უნდა გქონდეს. პირადად, მე, ახალი წლის დღესასწაულს სოფელში შევხვდი, სადაც მხოლოდ სამ ტელეარხს უჩვენებს. ხალხი (როგორც „ელიტა“ უწოდებს, „სოფლები“) „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ უკვე „ეკაიფებიან“... ერთ მეზობელს „სატელიტი“ ჰქონდა; ბოლოს ყველამ მასთან მოიყარა თავი და რუსულ ტელეარხებს უყურებდნენ.

— „თბილისი ლაივის“ ენ. „დაჯილდოების ცერემონია“ არ მოგეწონა?

— რა უნდა მომწონებოდა?! ვინ და რატომ დაჯილდოეს ან ეს ყველაფერი „ოსკარისებური“ რატომ იყო, ჩემთვის გაუგებარია. ნამხედური ერი გავხდით... საერთოდ, „თბილისი ლაივი“ „მაგარი“ გადაცემაა!

— რით „მოგზობლა“?

— ხალხი მოსახლეობის 5%-ის ცხოვრებას უყურებს და ნერწყვს ყლაპავს. რა თქმა უნდა, შეიძლება, ასეთი გადაცემა არსებობდეს, მაგრამ როცა საეთერო დროის საუკეთესო ნაწილს უთმობ, გადაცემა საინტერესო უნდა იყოს. ამიტომაც ვთქვი, — თავად ერთობიან, მერე კი ამ გართობას ტელევიზიით თავად უყურებენ. „იუმორინის“ საახალწლო გადაცემა განმეორებით რატომ გვიჩვენეს, იცი? ყველაზე მეტად, ხალხმა მაგას უყურა. წარმოგიდგინა



ბათუმში ანდრეა ბოჩელი, ნინო ანანიამიელი გამოვიდნენ, ამიგომ კონცერტს კარგი რეჟისურაც რომ არ ჰქონოდა, მაინც მაგარი იქნებოდა!



— ათასჯერ „გადამღერებულმა“ აჯობა ახალს!..

— „პროფილს“ არავენ დაუჯილდოებია. საახალწლო პროგრამა შემოგვთავაზა მხოლოდ...

— ნუ, „პროფილი“ სტაბილური გადაცემაა და უკვე თავისი მყურებელი ჰყავს. „პროფილმა“ რაც უნდა გააკეთოს, ინერციით მიდის და კარგა ხანს იქნება. „კურიერ პიესმაც“ რაღაც ძველი გაგვასხენა, თუმცა არა უშავდა. აი, „ვანოს მოუსგან“ კი მეტს ველოდი — შარშანდელი საახალწლო გადაცემა სჯობდა.

— ალბათ, ვანო ჯავახიშვილმა წელს „ის“ ვანო გადაცემაში მონაწილეობაზე ვერ დაითანხმა...

— გადაცემის გაკეთება სხვანიარადაც შეიძლებოდა. ალბათ, კონცერტების გამო, „კომედი ჯგუფის“ ბიჭებმა ვერ მოიცალეს... არც საახალწლო „შუა ქალაქში“ მომენონა — შარშანდელი სჯობდა. 2011 წელს რას ერჩოდნენ, ვერ მივხვდი...

გიო ჯიჟური, 18 წლის:

— ერთი „საწყალი სოფელი“ (თელავში ვცხოვრობ) ბიჭი ვარ, რომელიც ახალ წელს ყოველთვის სახლში ხვდება, ტელევიზორს უყურებს და ერთ-ერთ ფეროვნებით გამოწვეულ იმედგაცრუებას სასმლით კლავს... თავისუფლების მოედანზე გამართულ კონცერტსაც ტელევიზიით ვაღვენებდი თვალყურს და გამოგიტყდები, სადუნიშვილის გამოჩენამდე „მულამი ვერ დაფუჭირე“ — მე ხომ თიკო ძალიან მომწონს... სადუნიშვილის „მოუს შექმნის ტექნოლოგიისგან“ (სახალხოდ „ზასაობას“ ვგულისხმობ) განსხვავებით, კონცერტი ნაკლებად მომეწონა.

— წელს საახალწლო კონცერტი ხომ ყველა ქალაქში ჩატარდა?! მოსაწყენი ერთფეროვნების შესაცვლელად, თელავში გამართულ კონცერტს რატომ არ დაესწარი?

— სადმე ლურჯი, ცეცხლწაკიდებული ნაძვის ხე, სასმლისგან „გახეთქილი“ თოვლის პაპა და ფონოგრა-მაზეც „ვერგაქაწული“ მომღერლებით დახუნძლული შოუ გინახავს?.. თელაველებს შარშან ახალი წელი სწორედ ასე მოგვილოცეს. ჰოდა, წელს კონცერტზე დასწრების სურვილიც არ გამჩენია. ვიფიქრე, შინ დავრჩები, ტელევიზიებს მაგარი პროგრამები ექნება და გულს გადავაყოლებ-მეთქი, მაგრამ... ჩვენი ტელევიზიების შემხედვარეს, ეჭვი გამიჩნდა: კურდღლის კი არა, მგონი, „დაჯილდოებების წელი“ მოდის-მეთქი. ალბათ, ნომინაციების მიღმა მხოლოდ მე და შენ დავრჩით... ჩვენი „ფიესები“ ჯილდოების თრევით ისე დაილაღნენ, რომ ტაშის დაკვრის თავი აღარ ჰქონდათ. განსაკუთრებულად, „თბილისი ლაივის“ „ცერემონიაზე“ (სიტყვა „დაჯილდოებას“ განგებ არ ვიყენებ) ვიხალისე: ყველაზე სკანდალური — შორენა, ჯილდოთი ხელ-



თითქოს ევროპული სტილის დამკვიდრებას ცდილობდნენ, მაგრამ — ისე უხეშად, რომ „ხამობაში“ გადასდიოდათ



დამშვენებული, უკანმოუხედავად როგორ გარბოდა, შეამჩნიე? ან მალხაზ ქვრივი-ნივილს ის გოგო რომ შეახტა!.. არა, ზოგადად, შეხტომის სანინალმდეგო არაფერი მაქვს (იციინის), მაგრამ ძალიან არაფსტეტიკური სანახაობა იყო... „ნანუკას შოუსა“ და „თბილისი ლაივის“ საახალწლო გადაცემები თითქმის ერთნაირი იყო. „შუა ქალაქის“ საახალწლო პროგრამა ყველაზე მეტად მომეწონა! „პროფილში“ „ეთერ მონროზე“ იმდენი ვიცინე, რომ ცრემლები მდიოდა!.. „თურმე ქართველებსაც შეგძლება“ — ეს ფრაზა მხოლოდ ბათუმში გამართული კონცერტის ყურებისას აღმომხდა...

წოდარ აბრამიშვილი, 24 წლის:

— ბათუმში გამართული კონცერტი ნამდვილად კარგი გამოვიდა. ეტყობოდა, რომ ორგანიზატორებმა ძალიან მოინდომეს, რაც ერთი მხრივ, ბათუმის პოპულარიზაციას ემსახურებოდა. „თავისუფლებაზე“ გამართულ კონცერტს რაც შეეხება, გასული წლებისგან განსხვავებით, წელს სცენაზე არავინ დაცემულა და ყველაფერმა ტრავმების გარეშე ჩაიარა.

— კონცერტი მოგწონდა?

— პირადად მე, კონცერტს არ დავსწრებივარ — საახალწლო „ფართიზე“ გახლდით, მაგრამ მოგვიანებით, ინტერნეტით ვნახე. საერთოდ, ევროპულ ქვეყნებში, სადაც საახალწლო ზეიმი ტრადიციადაა ქვეული, გართობის მეტი სურვილი იგრძნობა, ვიდრე — დათრობის, საქართველოში კი ყოველთვის დათრობის მსურველები ჭარბობენ.

— დათრობის მსურველები სად ჭარბობენ — კონცერტების წამყვან-მონაწილეებსა თუ მსურველებს შორის?

— ზოგადად — საზოგადოებაში; თუმცა თვალი მომიკრავს, რამდენიმე წამყვანი სცენაზე სიმთვრალისგან როგორ დაბარბაცებდა. კონცერტის ორგანიზებულობას რაც შეეხება, იმდენი პოლიციელი იყო და იმდენი შემოწმება ხდებოდა, რომ ეს ყველაფერი უხერხულობაში გადაიზარდა. თუმცა ამის შედეგად, მომღერლებისთვის ბოთლები არ უსვრიათ და სცენა პიროტექნიკით არ „დაუცხრილავთ“.

— საკონცერტო ნომრებზე რას გვეტყვი?

— შარშანდღის მსგავსად, საკონცერტო ნომრებზე მეტად, კონცერტის მონაწილეთა ჩაცმულობა იყო სახალისო: მაგალითად, ძალიან საინტერესოდ მოგვევლინა „თბილისი ლაივის“ წამყვანი — მშვენიერი თიკო.

— თიკოს ჩაცმულობას რას ვერჩი?

— ყინულში გამოწრთობილ მედეუზას ჰგავდა, თუმცა ძალიან ვნებიანი

„ზასაობა“ სცოდნია. თიკო და „თბილისი ლაივი“ ერთმანეთს ძალიან მოუხდნენ, მაგრამ ის, რაც საახალწლო კონცერტზე მოხდა, ქართველი საზოგადოებისათვის მიუღებელია, მით უმეტეს, რომ საახალწლო ზეიმი უფრო „საბავშვო დღესასწაულია“. ისე, „თავისუფლებაზე“ გამართულ კონცერტზე შარშან უფრო მეტი „სექსნომერი“ იყო — საკმაოდ ეროტიკული სცენები, შორისდებულების თანხლებით... შორენა წელსაც ტრადიციულ, მაგრამ ახალი წლის დღესასწაულისთვის შეუსაბამო ამპლუაში მოგვევლინა — როკერ პორნოვარსკვლავს ჰგავდა. ვფიქრობდი, — ამ გოგოს რატომ არ სცივა-მეთქი?.. მერე დავასკვენი, რომ შორენა სულითაა „ტიტლიკანა“ (იციინის). „თავისუფლებაზე“ გამართულმა კონცერტმა ასეთი შთაბეჭდილება შემიქმნა: მონაწილეებს კულისებში სუფრა ჰქონდათ გაშლილი და მაგრად ქეიფობდნენ; ავიწყდებოდათ, სცენაზე ვისი გასვლის ჯერი იყო, საბავშვო ბალის ბავშვებით იქცეოდნენ... თითქოს ევროპული სტილის დამკვიდრებას ცდილობდნენ, მაგრამ — ისე უხეშად, რომ „სამობაში“ გადასდიოდათ. ამის მორიგი მაგალითი — „თბილისი ლაივის“ კონცერტი გახლდათ. ე.წ. „დაჯილდოების ცერემონიაზე“ „წლის ინტელექტი“ კრისტი ყიფშიძე გახდა. სუფრასთან მზის სათვალით ჯდომა მართლაც, ძალიან „ინტელექტუალურია“, ვერაფერს იტყვი... ანრის გამოსვლა ზუსტად ის იყო, რაც „თბილისი ლაივის“ შოუს აკვდა — ცინიზმი და „თავზე დახურვა“! ეტყობოდა, რომ ანრი მაგარი მთვრალი იყო. ჰოდა, გულახდილი „მოსიყვარულება“ გამოუვიდა (იციინის). საერთოდ, ანრი არაორდინარულობითა და პირდაპირობით გამოირჩევა, „ცენზურას“ კი ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მართალია, „წლის წყვილი“ მალხაზ ქვრივი-ნივილი და მარიამ ახობაძე გახდნენ, მაგრამ — ობიექ-

ტურად?.. მალხაზმა „ინტუიციიდან“ თიკო სადუნიშვილი რომ „მოხსნა“ და რომანტიკულ ვახშამსა და ეროტიკულ მოგზაურობაში დაჰატიყა. „თბილისი ლაივის“ ნომინაციაში მის გამარჯვებაზე ამან ხომ არ იმოქმედა, ნეტავ?! ისე, შეგახსენებ, რომ „ინტუიციის“ მახოს პირადი მონაცემი გახლდათ: „კაცი, რომელსაც თიკოსთან ლამის გატარება უნდა“... „დაჯილდოების ცერემონიაზე“ მალხაზ ქვრივი-ნივილის შეყვარებული „ნამდვილად საღამოს „ზმანზე“ იყო“ — ალბათ, „კლასობანას“ თამაშობდა, მახომ ეზოდან „მოხსნა“ და „ივენტ ჰოლში“ წაიყვანა, სადაც უკაცრავად და „დორბლი-ფართი“ გამართეს... მოკლედ, სატელევიზიო გადაცემებისგან განსხვავებით, თბილისის რესტორნებსა და კლუბებში ხალხის განწყობილებაზე ნამდვილად კარგად იზრუნეს...

სულხან ნამყვამი, იუმორისტი,

ყურნალისტი:

— ბათუმში გამართულ კონცერტზე ნორმალური ადამიანი ვერ იტყვის, ცუდი იყო, რადგან იქ ბოჩელი მღეროდა. თბილისში, თავისუფლების მოედანზე გამართულ კონცერტზე კი კარგს ვერაფერს იტყვი! შეიძლება, დროს ჩამოვჩი, მაგრამ თბილისის კონცერტის მონაწილე ზოგი მომღერალი საერთოდ არ ვიცოდი, ვინ იყო. ისინი ჩემს (და ალბათ ბევრის) გემოვნებას ვერ აკმაყოფილებდნენ. ვისაც ვიცნობდი, ისინი სხვა ამპლუაში (მაგალითად, ნანუკა ჟორჟოლიანი) მოგვევლინნენ... ასე რომ, კონცერტი ძალიან ცუდი იყო. ერთ-ერთ ორგანიზატორს ვკითხე: ასეთი კონცერტი რატომ ჩაატარე-მეთქი? ასე მიპასუხა: რა გინდა, კი მღეროდნენ და ხალხიც კონცერტზე დილის 6 საათამდე იყო. იცი, ეს რას ჰგავს? ქორწილში მყოფს მთვრალი კაცის სიმღერაც კარგად რომ გეჩვენება. მოკლედ, ბათუმში გამართული კონცერტი ხელოვნება იყო, თბილისში კი — „ქორწილი“.

თალიზი
თვის ზალანდარების კლინიკა

გვ. 0213666 გ. 27 გორ. 25 37 38
www.talizi.ge



სანაგვეზე გადაყრილი სურათები და ვებერანების გულისტკივილი

ამთ „ნაგებული ომის ეპიპოლას“ უწოდებენ...

„სამშობლოს დამცველებს ხელისუფლების დამცველები დაუპირისპირდნენ. ხელისუფლებამ გმირები სანაგვეზე მოისროლა. მებრძოლები მათხოვრებად აქციეს. ხელისუფალნი მეომრებს ვერ იტანენ...“ — ასეთი შინაარსის ფრაზებს საზოგადოების თავმჯდომარის ადგილებში ხშირად მოისმენთ. როგორც უკვე ცნობილია, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის სამმართველოში განთავსებული სპეციალური სტენდიდან, აფხაზეთში ომის დროს დაღუპული მეომრების სურათები ჩამოსხნეს და სანაგვე ურნებში ჩაყარეს. მომხდარი ფაქტი „ბოლო წვეთი“ აღმოჩნდა გალატაკებული და არაერთგზის შეურაცხყოფილი მებრძოლებისთვის. ვებერანებმა თავდაცვის უწყებაში მომხდარი სამარცხვინო ფაქტის გამოძიებისა და სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, გმირთა მოედანზე გამაფრთხილებელი, მშვიდობიანი საპროტესტო აქცია გამართეს, მაგრამ პოლიციამ ისინი სასტიკად დაარბია, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ შეურაცხვეს...

თამარ ხარშილაძე

იმაზე მსჯელობით თავს აღარ შეგანწყენთ, რომ აქციის დარბევით პოლიციამ კანონი დაარღვია და გადამეტებული ძალა გამოიყენა, როგორც მოშიშხილვე ვებერანების, ისე მათი მხარდამჭერების მიმართ. მართალია, „რუსთავი 2“-სა და „იმედს“ ამ ფაქტის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ, მაგრამ სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთსა და ინტერნეტსაიტზე უამრავი რამ დაინერა და ითქვა... შევეცდები, მკითხველს შევასვენო, თუ ვისი ფოტოები მოისროლა ხელისუფლებამ სანაგვეში.

თითო გაბუნია — ერთ-ერთი ოპერაციის დროს მძიმედ დაიჭრა. თანამებრძოლები ბრძოლის ველიდან მის გაყვანას შეეცადნენ. გაბუნიამ ბიჭებს სთხოვა, ამაზე დრო არ დაეკარგათ და საკუთარი მისიის შესრულება გაეგრძელებინათ. როდესაც მისვდა, თანამებრძოლები არ დატოვებდნენ და ამით არა მარტო საქმეს გააფუჭებდნენ, არამედ თავიანთ სიცოცხლესაც საფრთხის წინაშე დააყენებდნენ, თავი აიფეთქა;



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge

ჯამბულ გერლიანი — სეპარატისტებმა მძიმედ დაჭრილი, გონდაკარგული დატყვევეს და მძევლად აყვანილ, მშვიდობიანი მოსახლეობასთან ერთად, ტყვარჩელში გადაიყვანეს. როდესაც გონს მოვიდა, აფხაზმა სეპარატისტებმა უბრძანეს, საქართველოსა და საკუთარი მეთაურისთვის შეეგინებინა. მან პასუხად რამდენჯერმე დაიძახა, — გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს ჩემს მეთაურს!.. სეპარატისტებმა ჯამბულ გერლიანს სხეულის ყველა კიდური სათითაოდ დაუმტვრიეს, მაგრამ სანადელს მანც ვერ მიაღწიეს. მისი ბოლო სიტყვები იყო

— „საქართველო გაიმარჯვებს“. ეს ამბავი სეპარატისტების მიერ მძევლად აყვანილმა მოქალაქეებმა გაავრცელეს, რომლებიც ტყვეობიდან „მხედრიონელებმა“ გამოიხსნეს. თავად გერლიანის სასტიკად ნანამები სხეული აფხაზეთმა ქართველებს საკუთარ ტყვეებში გაუცვალეს. ჯამბულ გერლიანმა ფეხმძიმე ცოლი დატოვა; **ირაკლი ამირეჯიბი** — ჟურნალისტებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სამშვიდობოს გაყვანის დროს ერთ-ერთი ჟურნალისტისთვის დამიზნებულ ტყვიას მუშვირა მკერდი. ისე ღირსეულად და შეუპოვარად მოიქცა, აფხაზ სნაიპერს ხელიც



კი აუკანკალდა, ვიდრე სასხლეტს ხელს გამოჰკრავდა;

ზურა შავლიძე — სადაზვერვო ოპერაციის დროს, ნაღმის ნამსხვრევებით მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა. ის „მხედრიონელი“ იყო. სეპარატისტებში „მხედრიონელის“ მედალიონი, რომელზეც წმინდა გიორგი იყო გამოსახული, ძვირად ფასობდა. გარდა იმისა, რომ ამ მედალიონებს აფხაზეთი

სარფიანად ყიდდნენ ან ტყვეებში ცვლიდნენ, ქართული ოჯახების დაყარალების დროსაც იბნევდნენ გულზე... მძიმედ დაჭრილმა ზურა შავლიძემ მედალიონი მოიხსნა და საკუთარ ჭრილობაში დამალა, თანაც, ისე საგულდაგულოდ, რომ პირველი დათვალიერებისას საკუთარმა თანამებრძოლებმაც კი ვერ იპოვეს და აფხაზებს მისი დაბრუნების სანაცვლოდ ტყვეების გადაცემა შესთავაზეს. დაღუპული მებრძოლის ჭრილობაში ჩამალული მედალიონი ექიმებმა მოგვიანებით იპოვეს;

სერგო ბოკუჩავა — ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუსთან, ადგილობრივი მოსახლის გადასარჩენად, საკუთარი სიცოცხლე განირა. თბილისელი ბიჭი, აფხაზეთში სულ რამდენიმე დღის ჩასული იყო, როცა სოფელ არადუს, შამილ ბასაევის მეთაურობით, დაქირავებული ბოვიკე-

გაგრძელება იხ. გვ. 12

„დიდი მხატვრები“



ფიროსმანი

დიდი მხატვრები



10 იანვრიდან!

„კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!
მხოლოდ ერთი კვირის
განმავლობაში

იქითხუთ წიგნის კალაზიუბში
ან ჯიუსის გაძაჟოსელუბლუბთან



დასაწყისი იხ. გვ. 10

ბის დაგვიფუტა მიადგა. ქართველებმა დაინახეს, რომ მომხდურებმა ერთ-ერთი ადგილობრივი დაჭრეს, მაგრამ ორმხრივ ცეცხლში გასვლას ვერავინ ბედავდა. სერგომ გაბედა: დაჭრილი სამშვიდობოს გამოიყვა-

არც დაღუპულ გმირებს მივაგებთ პატივს, არც მათი ოჯახის წევრებს ვუწევთ თანადგომას



ნა, მაგრამ თავად სასიკვდილოდ დაიჭრა. როგორც ბიჭები ამბობენ, სერგოს უკანასკნელი სიტყვები იყო — „არ დატოვოთ, ბიჭებო, არადუ“; ავთო იოსელიანი — ხელყუმბარას საკუთარი სხეულით გადაეფარა. მას პოზიციებზე ხოხიალისას ხელყუმბარის „კალკო“ მოუსუსტდა; როდესაც შტაბში მივიდა, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ხელყუმბარა დაუვარდა... ავთომ უცებ გახედა ფანჯარას, დაინახა, რომ მას იქით, ქუჩაში ადგილობრივი მცხოვრებლები და ქართველი მეომრები იდგნენ... მერე მზერა ოთახში მყოფ თანამებძოლებს მოატარა და იატაკზე დავარდნილ ხელყუმბარას გადაეფარა;

დათო რამიშვილი — მტრის ალყაში მოქცეული, სრულიად შეუიარაღებელი აღმოჩნდა. დაფიცებული ჰქონდა, რომ ტყვედ არ ჩავარდებოდა და ეს რომ მაინც მომხდარიყო, მტრის მიერ დასმულ არც ერთ კოთხვას არ უბასუხებდა. ერთ-ერთი შეტაკების დროს ტყვიები გაუთავდა, ალყიდან გამოღწევის მცდელობისას კი სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა დათქმული პირობა შეასრულა... აფხაზების საუბრიდან გაარ-

კვია, რომ მათ შორის ერთ-ერთის შვილი იმ დღეს ქართველებთან შეტაკებისას დაიღუპა. დათომ შვილმკვდარ მამას პირში მიახალა, — შენი შვილი მე მოვკალიო! გამწარებულმა მამამ ნერვები ველარ მოთოკა და ქართველ ტყვეს ერთი გასროლით მოუსწრაფა სიცოცხლე...

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალა იმ ადამიანებისა, რომლებმაც სამშობლო საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვეს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია — დღეს ქართველები არც დაღუპულ გმირებს მივაგებთ პატივს, არც მათი ოჯახის წევრებს ვუწევთ თანადგომას და არც გადარჩენილ მეომრებს ვაფასებთ. უფრო მეტიც — მაროდოორებს ან, უკეთეს შემთხვევაში, „ნაგებული ომის მებრძოლებს“ ვუნოდებთ...

კულუარებში ინფორმაცია კი გავრცელდა, რომ ეროვნული გვარდიის სამმართველოში განთავსებული სტენდიდან მეომრების სურათები მინისტრის ბრძანებით ჩამოხსნეს. მიზეზი კი ის გახლდათ, თითქოს ვეტერანთა დეპარტამენტმა არ შეასრულა მინისტრის მიერ არაერთხელ მიცემული მითითება, რომლის მიხედვითაც, დეპარტამენტს გამოძიება უნდა ჩაეტარებინა და გაერკვია, ომის დროს ვინ იბრძოდა და ვინ მაროდოორობდა. ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ეს ინფორმაცია უარყო. მან მხოლოდ ის ფაქტი დაადასტურა, რომ ყოფილი მეომრების უმრავლესობა გაუსაძლის პირობებში იმყოფება და

სოციალურად დაუცველ ფენასთანაა გათანაბრებული. ისიც დასძინა, რომ აქციის მონაწილე ვეტერანებს შიმშილობა გმირთა მემორიალთან არ დაუწყიათ — ისინი უკვე დიდი ხანია, ოჯახის წევრებთან ერთად შიმშილობენ...

კაპიტანი მალხაზ თოფურია შეიარაღებული ძალების რიგებიდან 2009 წელს, მორიგი საორგანიზაციოსაშტატო რესტრუქტურის შედეგად დაითხოვეს. ოფიცერი, რომელმაც სამხედრო ძალებში საერთო ჯამში, 15 წელი გაატარა, ბედის ანაბარად დარჩა — ხელისუფლებას მისთვის არ მიუცია კომპენსაცია, არ შეუთავაზებია ალტერნატიული სამსახური. სამწუხაროდ, ის ერთადერთი არ არის, ვინც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა. როგორც სამხედრო ექსპერტი, ირაკლი სესიაშვილი ამბობს, ვეტერანების თითქმის 98% სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან მხოლოდ და მხოლოდ იმ ნიშნითაა დათხოვნილი, რომ ვეტერანია. ისინი „ვარდების რევოლუციამდე“ მაღალი პენსიითა და სოციალური შეღავათებით სარგებლობდნენ, ამჟამად კი მხოლოდ კომუნალური გადასახადების დასაფარავად, თვეში 22-ლარიან ვაუჩერსა და სამგზავრო ბარათს საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობისთვის იღებენ.

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტინა-დემოკრატების“ თავმჯდომარის, გიორგი ახვლედიანის თქმით, ქვეყანაში 50 ათასამდე ვეტერანია, რომელსაც ხელისუფლებისგან შეურაცხმყოფელი დანამატი აქვს, — 30-დან დაწყებული, საუკეთესო შემთხვევაში, 80 ლარით დამთავრებული. გარდა ამისა, 35 ათასზე მეტი ვეტერანია, რომლებიც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაათავისუფლეს სამსახურიდან და დღემდე არ იღებენ კუთვნილ პენსიას. რადგან საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ამ თემაზე საუბარს თავს არიდებენ, გიორგი ახვლედიანს დაუუსვი კითხვა, — რა მიზეზით მოუსხნეს ვეტერანებს



აქციის მონაწილე ვეტერანებს შიმშილობა გმირთა მემორიალთან არ დაუწყიათ — ისინი უკვე დიდი ხანია, ოჯახის წევრებთან ერთად შიმშილობენ...



ქართველი მეომრების სისხლის ფასად შენარჩუნებული აფხაზეთი ხელისუფალმა მტერს „ხონჩით მიართვა“



ის შეღავათები, რომლითაც ისინი „ვარდების რევოლუციამდე“ სარგებლობდნენ?

გიორგი ახვლედიანი:

— ვეტერანებისთვის სოციალური შეღავათების გაუქმების რეალური მიზეზი არ არსებობს. 2005 წლამდე მათ შეღავათები ჰქონდათ ელექტროენერგიაზე, გაზზე, ტრანსპორტით სარგებლობაზე... ხელისუფლებამ ეს შეღავათები ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გააუქმა. 2007 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, სააკაშვილმა ვეტერანებს მხოლოდ ტრანსპორტით სარგებლობის შეღავათი აღუდგინა, ისიც — მარტო თბილისში. ე.წ. გადაანგარიშების მუხლი კი კანონიდან ჯერ კიდევ 2003 წელს ამოიღეს.

— დავაკონკრეტოთ — რას ნიშნავს გადაანგარიშების მუხლი.

— დღეს ომის ვეტერანები და ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერები იმის მიხედვით იღებენ პენსიას, თუ რამხელა ხელფასი ჰქონდათ გასული საუკუნის 90-იან წლებში. მაშინ ხელფასები მაქსიმუმ 150 ლარს შეადგენდა. გადაანგარიშების მუხლის მიხედვით, გასამრჯელოს გაზრდის პარალელურად, პენსიებიც იზრდება — ე.ი. 150-ლარიანი პენსია 1.500-ლარიანი ხდება. რადგან ხელისუფლებამ 2005 წელს გადაანგარიშების მუხლი კანონიდან ამოიღო, ვეტერანების პენსია არ გაიზარდა. მე პირადად ვიცნობ პოლკოვნიკს, რომელიც არმიაში 30 წელი მსახურობდა, დღეს კი პენსია მხოლოდ 5 ლარი აქვს. ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში, ვეტერანების პენსია 30 ლარს, გამონაკლის შემთხვევაში კი — 80 ლარს შეადგენს. „კრისტიან-დემოკრატიებმა“ პარლამენტში ჯერ კიდევ შარშან შევიტანეთ საკანონმდებლო ინიციატივა — კანონში გადაანგარიშე-

ბის მუხლის აღდგენის აუცილებლობის შესახებ. ჩვენი გაანგარიშებით, ამ პრობლემის გადასაჭრელად, მხოლოდ 36 მილიონი ლარი და ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო.

ხელისუფლების პოლიტიკური ნების რა მოგახსენოთ, მაგრამ ვეტერანების დისკრედიტაციას რომ ცდილობს, ეს ფაქტია:

ზოგიერთმა სახელმწიფო მოხელემ მოშიშმილე ვეტერანებს „ნაგებელი ომის გენერლები“ უწოდა, ზოგიერთმა კი ისინი კრემლის ინტერესების გატარებაში დაადანაშაულა. ვეტერანები, რომლებმაც თავიანთი ჯანმრთელობა სწორედ რუსეთთან ომს შესწირეს, ბრალდების დასაბუთებას მოითხოვენ და სვამენ კითხვას, — სად იყვნენ და რას აკეთებდნენ დღევანდელი ხელისუფალნი, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა?.. რაც შეეხება ომის წაგებას, — ვეტერანთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნუკრი არღვლიანი ირწმუნება, რომ მებრძოლებს ომი არ წაუგიათ, აფხაზეთი ქართველებმა პოლიტიკური გადაწყვეტილების გამო დატოვეს. ვეტერანები — ირაკლი ბელთაძე, მურთაზ გაბიტაშვილი, გია გელოვანი იგონებენ, თუ როგორ ახევიებდა უკან ხელისუფლება მათ მიერ არაერთგზის აღებული პოზიციებიდან; როგორ განაიარაღა შევარდნაძემ (1993 წლის სექტემბერში) მთელი ქართული არმია და კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცების, აფხაზი სეპარატისტებისა და ჩრდილოკავკასიელი მეომრების წინაშე დატოვა... გოჩა ყარყარაშვილის სახელობის სადაზვერვო ასეულის მეთაუ-

რი მურთაზ გაბიტაშვილი ამაყობს იმით, რომ ავთო ფინცაკიას, ოლეგ გრიგოლიანის, შერმადინ შერმადინის, დავით ლომსაძისა და კიდევ მრავალი ქართველი გმირის გვერდით იბრძოდა, მაგრამ გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ამ ბიჭების თავგანწირვამ ფუჭად ჩაიარა. დაფასებას ვინ ჩივის, ყველაზე მეტად ის ანუხებს, რომ ქართველი მეომრების სისხლის ფასად შენარჩუნებული აფხაზეთი ხელისუფალმა მტერს „ხონჩით მიართვა“. მეომრები არც მაროდორობაზე საუბარს გაურბიან. ირაკლი ბელთაძე, რომელიც ოჩამჩირეში განხორციელებულ ყველა ოპერაციაში მონაწილეობდა, მაროდორობის არსებობის ფაქტს არ უარყოფს, მაგრამ იმასაც ირწმუნება, — ასეთი ადამიანები ნამდვილი მებრძოლებისთვისაც მიუღებლები იყვნენ: „სხვისი ქონებისთვის ხელი არასდროს გვიხლია. იშვიათად, გამოუვალ სიტუაციაში მყოფებს, დაჭრილის გადასაყვანად მხოლოდ მანქანა თუ გამოგვიყენებია. ჩვენს ბატალიონში ერთი ასეთი რამ მოხდა: რამდენიმე მაროდორობა ადგილობრივი მოსახლე გაძარცვა, მერე კი ის ბიჭები დაგვიხოცეს, რომლებმაც მათი ქმედება დაგმეს და „ჩაშვებით“ დაემუქრნენ. შეიძლება, ცუდ რამეს ვამბობ, მაგრამ მაროდორობი ჩვენ სიკვდილით დავსაჯეთ“. როგორც ირაკლი ბელთაძე ამბობს, დღეს ყველა ვეტერანმა მეთაურმა იცის, თუ ვინ მაროდორობდა აფხაზეთის ომში და თუ ხელისუფლება მონიდომებს, ძალიან ადვილად შეძლებს ნამდვილი მეომრებისგან მათ გამოჩვენებას, — ამით დამნაშავეებსაც დასჯის, ნამდვილ მეომრებსაც აღუდგენს ღირსებას და იმ ადამიანებსაც მოუსპობს ქილიკის საშუალებას, ვინც აფხაზეთის ომის დროს რესტორნებიდან არ გამოდიოდნენ, თავიანთ უნიათობას კი იმით ამართლებდნენ, ვითომ ამით მაროდორობას არიდებდნენ თავს...

Advertisement for VistaMedi dental services. Text includes: 'საქართველო VistaMedi', 'სამედიცინო სერვის-სენზორი სოფოპოლოგიური სამსახური', 'ბო ა ვ ა ზ ო ბ თ ი!', 'კვილის განმკურნალება (ულტრაბგერის აპარატით)', '50-20ლ', 'მხოლოდ შაბათ-კვირას!', 'უფასო კონსულტაცია!', 'წინასწარი ჩაწერით!', 'მის: შიმონის ქ. №14 (მგვავლ ბაღთან)', 'ტელ: 18 33 18 / 91 72 10'. Includes a diagram of a dental chair and a photo of a smiling mouth.



სეპარატისტული დღესასწაული რუსულ „პოენნი გოროდოკში“

„ახალ წელს მოქრძალეული სუფრითა და ბევრი იარაღით ვხვდებით“



„ერთხელ რუს ჯარისკაცს ვკითხე, — რატომ გინერიათ თქვენს საშტაბო ნაწილებზე, „გდე მი — ტამ მირ?“ — ხომ იცით, რომ ასე არ არის-მეთქი. — დიას, მაგრამ ამას ჩვენ არავინ გვეკითხებაო... ბოლო რამდენიმე წელია, აფხაზეთში ყველა დღესასწაული და მათ შორის ახალი წელიც, ერთმანეთს ჰგავს: მოკრძალეული სუფრა, ბევრი დაუბატიჟებელი სტუმარი და საჭიროზე მეტი იარაღი... ყოველ ახალ წელს იმდენ ტყვიას ისვრიან, რომ ერთ ასეულს თავისუფლად მოამარაგებდა“, — ამბობს თბილისში სტუმრად ჩამოსული აფხაზი ქალბატონებიდან ერთ-ერთი. ისინი „ენგურს გადმოღმა საქართველოში“ რამდენიმე წელია, არ ყოფილან.

ლალი პაპასკირი

ფატიმა, 47 წლის, სოხუმელი აფხაზი:

— ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, პირველად ვარ თბილისში. აქამდე საქართველოს ამ ნაწილის ქალაქების შესახებ ინფორმაციას მხოლოდ ქართული ტელევიზიებიდან ვიგებდით. ვიცოდი, რომ ყველაფერი დასაჯერებელი არ იყო და აქ ხალხი სამოთხეში არ ცხოვრობდა, მაგრამ რასაც უჩვენებდნენ, ისიც საკმარისია დღევანდელ აფხაზეთთან პარალელის გასაგებად... მეუღლე რუსი მყავდა და ვინაიდან აფხაზეთში სამსახური და სტაბილური შემოსავალი კარგა ხანია, აღარ არსებობს, თავის სარჩენად წვრილი ბიზნესი წამოვიწყეთ და რუსეთში წასვლა ხშირად გვინევდა (ახლა მე მარტო დავდივარ).

— რას საქმიანობდით?

— გალში ციტრუსს ვიბარებდით და ფსოუს საზღვრის გავლით რუსეთში

მიგვექონდა... ახლა ჩემი პატარა სურსათის მაღაზია მაქვს, რომელიც ვალებსა და ნისიებზე მუშაობს. ხალხს შაქარსა და პურზე უარს ვერ ვუბნები და კარგა ხანია, მოგებაზეც აღარ ვფიქრობ... თუმცა, მოდი, ცოტა შორიდან დავინყებ თხრობას: დეკემბრის პირველივე რიცხვებიდან, ჩვენ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის ძიებაში ღირსეულ დაპყრობილი აფხაზები და სახლკარ-დაკარგული ქართველები, მოსკოვის ვაგზალზე, ჭუჭყიანი ხელებითა და გამურული სახით, ერთმანეთის გვერდით ვდგავართ, გაყინულ ფეხებს ვაბაკუნებთ და ახლა უკვე კლიენტების წართმევაში ვეჯიბრებით ერთმანეთს... ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, პირველად, როცა ქართველმა ქალმა, მოსკოვის ვაგზალზე ცხელი ხაჭაპური მომანოდა, ასე მეგონა, სირცხვილისგან მიწა გამისკვებოდა და ქვეშ ჩამიტანდა, მაგრამ თვალი მოვკარი, როგორ ილუქმებოდა ჩემ გვერდით ჩემი ნაცნობი, აფხაზი ქერივი, ქართველის მიერ მოწოდებულ ცხელ ხაჭაპურს და მეც იგივე გავაკეთე... მერე თანდათან, რუსების მიერ ჩვენი მისამართით გამოთქმულ რეპლიკებსაც შევეჩვიე: „ზა შტო ონი ვოევალი?! ზა შტო ონი უბივალი დრუგ დრუგა, ი შტო ონი პოლუჩილი?!“ მაშინ სახლში ჩემი მშვიერი შვილები მეგულეობდნენ და მთავარი იყო, რაც შეიძლებოდა მალე და კარგ ფასში გამეყიდა გალის მანდარინი და ფორთოხალი, სახლში დავბრუნებულყავი და ბავშვები გამეხარებინა...

— როგორც მივხვდი, ასე გააქვთ თავი აფხაზეთში დანარჩენებსაც...

— დიას, ვისაც ხელის განძრევა არ ეზარება, ასე წვალობს, ვისაც ეზარება — ან გაჭირვებაში ცხოვრობს, ან ქურდობს... როცა მოსკოვურ ტკბილეულსა და სურსათსაც ვიყიდვით და ცოტა ფულს სიმბოლური საჩუქრებისთვისაც ვიტოვებდით, ქვეყანა ჩვენი გვეგონა. ის დამცირება მეორე წუთში აღარც კი გვასხოვდა და სახლისკენ კმაყოფილი მოვდიოდით. მაგრამ კარგა განწყობილება მხოლოდ ფსოუმდე მოგვეყვებოდა: საზღვარზე უზარმაზარი რიგი იდგა. იმ სიცივეში ხალხს „ბომბებივით“ პირდაპირ ჩანთებზე ეძინა... მერე ჩემი ქმარი დაფაცურდებოდა, თავის ეროვნებას „მოიშველიებდა“ და იმ ცოცხალ რიგში უსინდისოდ გამოვძვრებოდით, — რუსები ვართ და გვეკუთვნის-თქო. ხალხი უკვე შეჩვეული იყო იმ აზრს, რომ რუსი მათზე რამდენიმე საფეხურით მაღლა დგას და პრივილეგიით უნდა სარგებლობდეს, ამიტომ უსიტყვოდ გვიშვებდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ხალხის ტკივილი არ მანუხებდა, მაგრამ სანერვიულო საკუთარიც მყოფნიდა... ეს დაუსრულებელი კომპარი დღემდე გრძელდება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ უღელს უკვე მართლ ვეჭიდები.

— რატომ? მეუღლე გარდაიცვალა?

— არა, ცოცხალია, უბრალოდ, ამ ჯოჯოხეთს ვერ გაუძლო და რუსეთში დაბრუნდა. ერთი წელი მესვენა, სოხუმში ბინა გავყიდეთ ან გავაქირაოთ და რუსეთში დავბრუნდეთ, ადამი-

„ინ ვიხიო“

პანაჩოვთი პანაჩხაჩიონსა და სპაჩიონს
 ონოჩიონის, ანაპა სპაჩოვთი ეპოჩიონის
 მსაჩვიტთა ხაზისხაჩიონს
 (ანაპა სპაჩიონსა)

დაინტეხუხუხი პიხიბი ინფორმაციისათვის
 დაგვიკავშირდით

მისამართი: ლაზიონა 1. 2/6
 ტელეფონი: 868 40 50 50
 ოქსაბათი-პანაჩხაჩიონი (10:00-17:00-20:00)

გაგრძელება იხ. გვ. 16

ყველაფერი სიყვარულის შესახებ!

ცნობილი ადამიანების
რომანტიკული თავგადასავლები,
სასიყვარულო
ისტორიები,
ტირიკული
ლეგენდები,
ეპისტოლარული
მემკვიდრეობა...



ასევე წაიკითხავთ:

- ♥ რით მოვხიბლოთ ჩვენი რჩეული
- ♥ რა ვუძღვნათ გულის სწორს
- ♥ როგორ ვიცხოვროთ სიამტკებულობით
ჩვენი ცხოვრების თანამგზავრთან ერთად





დასაწყისი იხ. გვ. 14

ნურ პირობებში მაინც ვიცხოვრებთო, მაგრამ ვერ დამიყოლია... ბოლოს, ისევ წინასაახალწლო სეზონზე, მოსკოვის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიკინკლავეთ. ისევ ჩემს პოზიციაზე ვიდექი, — სამშობლოს ვერ მივატოვებ-მეთქი. — ჰოდა, კარგად იყავიო, — გატრიალდა და წავიდა. სახლში მარტო დავბრუნდი, ოღონდ ტრადიციულად, 31 დეკემბერს კი არა, 2 იანვარს: მანამდე ფსოუსთან საზღვარზე ვიდექი. გავცივდი და ფილტვების ანთება დამემართა... ჩემი ყოფილი მეუღლე კი მალე ოჩამჩირიდან დევნილ ქართველებზე დაქორწინდა და ახლა შვილიც ჰყავთ. ჩვენს საერთო შვილებთან ურთიერთობა არ გაუნწყვეტია. ბავშვები მამასთან ჩადიან. ამას წინათ მითხრა, — როგორც კი სრულწლოვნები გახდებიან, აქაურ პასპორტებს ავალებინებ და ჩემთან წამოვიყვანო...



ნათიალა, 41 წლის, სოხუმელი აფხაზი:

— ფსოუს საზღვართან „შექუჩებული“ ხალხი და საერთოდ, იქ შექმნილი მდგომარეობა — დღევანდელი აფხაზეთის ნამდვილი სახეა... რიგში დგომით დაღლილ ხალხს ფეკილისა და შაქრის ტომრებზე სძინავს. ადრე, იქვე ანთებდნენ ცეცხლს და თებოდნენ, რაც რუსმა მესაზღვრეებმა აკრძალეს და ახლა ხალხს თერმოსით ჩაი და ყავა მოაქვს... როგორც სხვა დანარჩენი, მეც გამოუვალმა მდგომარეობამ მიმიყვანა იქ. როცა ის სიტუა-

ჯოხეთი არც კი გამსენებია...

— წინასაახალწლოდ ალბათ ისევ მოგიწიათ იმ „რუსულ-აფხაზური ჯოჯოხეთის“ გავლამ...

— დიახ, ასე იყო. მაგრამ პრობლემა მხოლოდ ფსოუს საზღვარი არ არის — მთელი ჩვენი ცხოვრებაა ტრაგედია... იქ ქართველებიც დადიან და ისინიც ჩვენს ბედს იზიარებენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათი უმეტესობა სოფელში ცხოვრობს, მი-

ნას ამუშავებს და საკვების პრობლემა არა აქვს. ჩვენს ხალხს კი მუშაობა არ უყვარს. ამიტომაც, 90-იანი წლების შემდეგ, აფხაზეთში დასახლებული სოფლებიდან ხალხი აიყარა და ქართველების სახლებში დაბინავდა, იქაურობა კი დაცარიელდა. ომის შემდეგ გაირკვა, რომ აფხაზები უუნარო ერი ვართ... რუსეთში ცნება „სოხუმელი“, რომელიც 1990 წლამდე საამაყო იყო, უკვე აღარ არსებობს — იქაურები ზიზლით გვიყურებენ. საერთოდ, აფხაზი მშვიდობისა და ქურდობაცაცასთან ასოცირდება. რუსული მილიცია და ზოგადად რუსეთის მთავრობა, ქართვე-

ქართულ-აფხაზური ომის შემდეგ, ყველა ახალი წელი ერთმანეთს ჰგავს: ყველას ძალიან უჭირს, სიტუაცია უკეთესობისკენ არ იცვლება, მაგრამ ყველა ოჯახიდან ისმის ავტომატის ან უფრო მსხვილკალიბრიანი იარაღის სროლის ხმა... ჩემს მეზობლად ერთი ქართველი კაცი ცხოვრობს; მარტოხელაა, მხატვარი. ომის შემდეგ მისი ოჯახი თბილისში გადმოსახლდა, ის კი დარჩა, — სოხუმის ხედებს ვერ შეველევიო... თავიდან ყველას გიჟი გვეგონა. მეომარი აფხაზები რამდენჯერმე შეუსვცივდნენ, მაგრამ მის სახლში ომამდელი და ომის შემდგომი სურათების გარდა, ვერაფერი ნახეს და თავი დაანებეს. ამ კაცს ეზოც აქვს, ბოსტანიც, მიწის დამუშავებასაც ასწრებს, თევზაობასაც და ხატვასაც... კარგ და ცუდ ამინდში მხარზე მოღებურტადაკიდებული დადის სოხუმის სანაპიროზე და ხატავს. მისი ამბავი იმიტომ მოგი-

ყევით, რომ ყველა დღესასწაულზე მას ყველაზე მეტი სტუმარი ჰყავს, გამასპინძლება არ უჭირს... ალბათ იცით, რომ ტრადიციულად, აფხაზს სტუმარი ძალიან უყვარს; კარგი ოჯახი აქვს, სტუმრიანიო, — აღამიანზე რომ იტყვიან, ეს უკვე ნიშნავს, რომ ის სხვებისგან გამორჩეულია. ამას წინათ, იმ ქართველ მხატვართან ერთი შეიარაღებული აფხაზი შესულა. ნუ გეშინია, საჭმლის სუნი მეცა და იმიტომ შემოვედიო, — უთქვამს. არადა, ვიცნობ იმ აფხაზს, აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გამო გმირის ნოდება მიანიჭეს...

— დღესასწაულებზე რუსი სამხედროები არ გასტუმრობენ?

— რუსი სამხედროები ყოველთვის გვსტუმრობენ, მათ მიზეზი არ სჭირდებათ... ზოგი ძალიან უზრდელია, პირდაპირ გვიბრძანებს, — მაჭამეო!.. ზოგს კი ერიდება, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მშვიდობა არ არის. ზოგჯერ თვითონ მოაქვთ ნაწილში მოპარული სურსათი — „გავიადინა“, ბურღულეული, პური და გვთხოვენ, მოგვიშადაეთო... ადგილობრივებს პროდუქტს არაყუბც უცვლიან.

ვაზიმა:

— სხვათა შორის, ციტრუსის ბიზნესს რუსებმაც გაუგეს გემო. ისინი ყველგან არიან — ქუჩაში, სკვერში, სასადილოში, ნაცნობის სახლში... საერთოდ, აფხაზეთი ერთი რუსული „კონენ-

რუსეთში ცნება „სოხუმელი“, რომელიც 1990 წლამდე საამაყო იყო, უკვე აღარ არსებობს — იქაურები ზიზლით გვიყურებენ

ცია ვნახე, ერთმანეთზე დახვავებული ტვირთი და ზედ დამსხდარი, გასაცოდავებული ხალხი, ამან ჩემზე იმდენად ცუდად იმოქმედა, ვიფიქრე, არასადროს წავალ-მეთქი; მაგრამ როცა რუსეთიდან ჩამოტანილი მარაგი გამომელია, ისე გავმუხრე, ფსოუს ჯო-

ლებთან შედარებით, ჩვენ მიმართ უფრო მეტ ლმობიერებას იჩენს, მაგრამ ხალხი ძალიან უარყოფითად არის განწყობილი — ისე გვიყურებს, როგორც ველურ ტომს. ერთი სიტყვით, ყველა გვერიდება... თქვენ წინასაახალწლო განწყობილებზე გვკითხეთ...



ნი გოროდოკია“, სადაც რუსი სამხედროები თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ და ჩვენ ვემსახურებით... ერთხელ ორი რუსი სამხედროს საუბარი მოვისმინე: უნდა ვიჩაღო, რომ გალში გადამიყვანონ, „ოქროს ბიზნესი“ არც მე მანყენდაო, — თქვა ერთერთმა. გამიკვირდა: გალში ოქროს რა უნდა-მეთქი?! მერე აფხაზებისგან გავიგე — ციტრუსის ბიზნესს ეძახიან ასე. მათთან ბიზნესკავშირის დამყარებას აფხაზებიც ცდილობენ.

— ასეთ შემთხვევაში, უსაფრთხოების გარანტია მეთა?

— დიას, ასეა... გალის რაიონიდან ყოველდღე ფსოუს მიმართულებით მიმავალი 10 სატივროთო მანქანიდან 4 რუს სამხედროებს ეკუთვნით; მანქანასაც სამხედრო პირი მართავს — ეს გალიდან რუსეთის ნებისმიერი ქალაქის ბაზრამდე დაუბრკოლებლად გადაადგილების წინა პირობაა. მათ არსად აჩერებენ, მათ შორის, არც „ფსოუს ჯოჯოხეთთან“... გალში კი ციტრუსის შექენაზე რუსი სამხედროები არ ინუხებენ თავს — ამაზე აფხაზი „ბიზნესმენები“ ზრუნავენ, რომლებმაც, რა თქმა უნდა, მეგრული იციან და არც კლიენტის პოვნა უჭირთ. მანდარინის შექენა კი ჩალის ფასად შეუძლიათ — გალში ხომ ყველაფრის, მათ შორის ციტრუს-

სისა და თხილის ფასსაც აფხაზები და რუსები ადგენენ... ასე რომ, გალში კაპიკებად, ზოგჯერ ნისიად ნაყიდი ციტრუსი რუსეთში ძვირად იყიდება. ერთი სიტყვით, ძალიან დიდ მოგებაზე აწყობილი ბიზნესჯაჭვიც აწყობილია... ბოლო დროს, რუსი სამხედროებისთვის „ოქროს ბიზნესი“ ძალზე ხელსაყრელი გახდა და ამიტომაც, გალში დაბანაკე-

— ქართველებისთვის ციტრუსის ნისიად გამორთმევა ახსენეთ; თანხის დაბრუნების ალბათობა არსებობს?

— ხშირ შემთხვევაში — არა. გააჩნია, ნაცნობთა როგორი წრე ჰყავს იმ ქართველს, ვისგანაც აფხაზები და რუსები ციტრუსს ყიდულობენ. სხვათა შორის, ამ ბიზნესში ჩაბმას არც ქართველები თაკილობენ... ზოგი

90-იანი წლების შემდეგ, აფხაზებით დასახლებული სოფლებიდან ხალხი აიყარა და ქართველების სახლებში დაბინავდა, იქაურობა კი დაცარიელდა

ბულ სამხედრო ნაწილში მოსახვედრად, „ჩანაცობა“ და ნაცნობების გამოჩვენება საჭირო. ციტრუსის ბიზნესში ჩაბმულ სამხედრო პირებს, აფხაზებსა და ადგილობრივ ქართველებს შორის ბიზნესის გავლენის სფეროების განაწილება ზოგჯერ სისხლისმღვრელ შეტაკებამდეც მიდის, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საქმე იმდენად სარფიანია, რომ რისკზე წასვლა უღირთ...

ქართველი დამოუკიდებლად ცდილობს ციტრუსის ბიზნესის წარმოებას, მაგრამ მხოლოდ ფსოუს საზღვრამდე მიდის. თუმცა ციტრუსის გასაღების პრობლემა არც იქ დგას — ფსოუს საზღვართან მყოფი გადამყიდველები ნებისმიერი ოდენობის ციტრუსს იღებენ, გალსა და კი სახლში დაბრუნება იმავე დღეს შეუძლიათ...

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ყარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

აღბუხ აინშტაინი

14 იანვრიდან 21 იანვრამდე

მსხვირ შოლი

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)

წიგნების სერია ბავშვებისთვის

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები

შემდეგ

- ალექსანდრე მაკედონელი
- ალბერტ აინშტაინი
- მარკო პოლო
- ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი
- გალილეო გალილეი
- მიგელ დე სერვანტესი
- მაკათმა განდი
- უოლტ დისნეი
- ნიკოლაი კოპერნიკი
- ფრედერიკ მონტენი
- ლუი პასკერი
- ნაპოლეონ ბონაპარტი
- ისააკ ნიუტონი
- პლატონი
- ტომას ალფა ედისონი
- ქრისტეფორე კოლუმბი



სახსე

ვაჟზე ნაწყენი ზურაბ ცინცხილაძე და საახალწლოდ ახდენილი ბავშვობის სიზმრები

საშობაო-საახალწლო განწყობილება ჯერაც არ გაგვწვდის: ამჯერად ძველით ახალ წელს ვეგებებით. სუფრასთან ახალ წელს ვერ ვადღებრძვებით, ძველი თუ არ გავაცილებთ, დიდი მოწინებით. სწორედ ამ დროს ელვის სისწრაფით, კადრით ჩაიქროლებს უკვე გასული წლის მოვლენები, გულისა და გონების რალაც კუნჭულს შეგვიტოვებს და პერიოდი... „იქით მიბრძანდით, ბატონოთი“, თავაზიანად ვემშვიდობებით ძველს და გულგახსნლი, ჩვეული რიხითა და „კაი სიტყვა-პასუხით“ ვუღებთ გულისა და სახლის კარს ახალ წელს. ყველას ამბავს ვერ გეტყვით, მაგრამ ერთისას კი გიამბობთ: როგორი იყო ბევრისთვის საყვარელი ადამიანისა და მსახიობისთვის, ზურაბ ცინცხილაძისთვის 2010 და 2011 წლების მიჯნა და როგორ შესვდა 2011 წლის შობა-ახალ წელს.

ირმა ხარშილაძე

— ისე კომფორტულად ვგრძნობდი თავს 2010 წელში, რომ მეშინია, ეს კომფორტი იმ წელთან ერთად არ დამთავრდეს. საერთოდ კი, ცუდი იყო თუ კარგი, წელი არ უნდა „განსაჯო“ — ყოველი წელინადი, დღე, წუთი კარგია. მასში ცუდს და კარგს თვითონ ვქმნით, ჩვენვე ვაქცევთ დღეს კარგად, ღირებულად, აღმატებულად და ჩვენვე დავაქცევთ ხოლმე. ამიტომ ძალიან მოვინდომოთ თითოეულმა და შევეცადოთ, 2011 წელი კარგი იყოს. ამ ბოლო დროს, ღირებულებებიც



მთლად ისეთი ვერ ვარ, როგორც ბატონი არჩილია

გადაფასდა: კარგისა და ცუდის გარჩევის უნარი დავკარგეთ. უღირსი საქციელი კარგად მიგვაჩნია. მაგალითად, ერთ-ერთ შოუში ახალგაზრდა ვაჟი უღირსად იქცევა და წამყვანიცა და დამსწრე საზოგადოებაც ტაშს უკრავს. არადა, უღირს საქციელს შეიძლება ტაშით დაუკრა?! ჩემთან, აჭარაში კაცს იმით აქებენ, „კაი-გლახას“ გარჩევა რომ იცის. ჩვენც თუ გავარჩევთ „კაი-გლახას“, ყოველი წელი, დღე და წუთი კარგი იქნება. ქართული ლოცვის არ იყოს: „ღმერთო, მოულოდნელ უბედურებას ნუ დამატებ თავსო“, ჩემს ერს, ხალხს უსურვებ, მოულოდნელი სისხარული უმრავლოს ღმერთმა და მხოლოდ გარდაუვალი, თანამდევნი წუხილი აკმაროს.

— ამბობ, კომფორტულად ვგრძნობდი თავს გასულ წელსო. ასეთი განწყობილების შემქმნაში დიდი წვლილი ალბათ ახალ ტელესერიალსაც მიუძღვის — რა ხანია, აქტიურად არ გამოჩენილხარ ტელეეკრანზე. „გოგონა გარეუბნიდან“ და შენი გმირი, ბატონი არჩილი კი ძალიან პოპულარული გახდა, მაყურებელმა შეიყვარა.

— თუ ფილმების გახმოვანებასა და რადიოგადაცემებს არ ვიგულისხმებთ, თითქოს მართლა მივიწყებულივით ვიყავი. მერე, გაზეთ „ყვე-

ლა სიახლის“ რუბრიკაში — „ნაცნობი უცნობი“, შენი ინტერვიუ შეძახილივით აღმოჩნდა: საზოგადოებას გავახსენდი და სერიალშიც მიმინვეს. კარგი ფეხი გქონია და რაკი საახალწლოდ კინოსტუდიაში გვეწვით, დარწმუნებული ვარ, ჩვენს ახალშექმნილ საბავშვო სტუდიასაც დიდი წარმატებები ელის (იცი-ნის).. ამ ტელესერიალის ერთ-ერთ მთავარ როლში გამოჩენა კი მხოლოდ ძველი მაყურებლისთვის თავის შესწენება და ახალთან დაახლოება არ არის, ამ სერიალით არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ჯგუფი გავიცანი, ბევრ კარგ და ნიჭიერ ადამიანს დაუახლოვდი.

— შენი გმირი — ბატონი არჩილი რა კაცია, რით გგავს?

— იცი, ამ პროექტში რატომ ვგრძნობ თავს კარგად? — სცენარით მოქმედება სწორედ ისე ვითარდება, როგორც ჩემს სულსა და გულს ესიამოვნება. როგორც მსახიობს, ფილმის გმირების ქმედებების გამართლება არ მიჭირს, ამიტომაცაა ჩემი გმირი დამაჯერებელი. მთლად ისეთი კი ვერ ვარ, როგორც ბატონი არჩილია, — რალა მიჭირდა, ეგეთი რომ ვიყო! ერთ ოჯახ-



ამ სერიალით არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ჯგუფი გავიცანი



თამუნა
მახარაძესთან
ერთად



გად იციან გამოცდილი მსახიობების შესრულებიდან ღირებულის დანახვა, ამოღება, პარტნიორობის ფასი და ასე შემდეგ. მეც ბევრს ვსწავლობ მათგან.

— ჩვენს ამასწინანდელ ინტერვიუში, ვიდრე სერიალის მეორე სეზონის გადაღება დაიწყებოდა, მითხარ, რომ არა მარტო ფილმის ბატონმა არჩილმა იპოვა შვილი, ოცნება აგისრულდა და ორი საუცხოო ქალიშვილის მამამ და უკვე ბაბუამაც კი, თვითონაც იპოვე ვაჟი — ისე ახლობლად მიიღე ნუკას როლის შემსრულებელი თორნიკე გოგორჯიანი, რომ შვილობილად მიიჩნე.

— ახლაც ვადასტურებ ამ ამბავს, მაგრამ ამას წინათ „ჩემმა ვაჟმა“ ძალიან გამოოცა, გამაბრაზა და საყვედურიც ვუთხარი: შვილო, ცოლს რომ ირთავდი, არ უნდა მცოდნოდა-მეთქი (იციანის)? იმან ხუმრობად მიიღო, მაგრამ მე მართლა მენწყინა და კარგია, რომ ჩვენი ინტერვიუდან მანაც შეიტყობს სიმართლეს. ხედავ, რა მნიშვნელოვანი ამბავი დამიძალა? თორემ რძალიც ძალიან ახლობელია: ჩვენი პროექტის ერთ-ერთი მონაწილე და ჩემი ძველი მეგობრის, კახა ქორიძის შვილია. რასაკვირველია, ორივეს ვულოცავ და ბედნიერებას ვუსურვებ (ილიმის).

— შემოქმედებითი ჯგუფი არ იკრებებით ხოლმე, ვთქვით, ოჯახებში?


— სხვადასხვა შოუში კი ვხვდებით ერთმანეთს, თუმცა საშობაოდ რესტორანშიც შეგვეკრიბეს, ასე, 150 კაცამდე ვიყავით და მაგრად მოვიღიხინეთ. ოჯახებში ჯერჯერობით არ ვსტუმრობთ ერთმანეთს, თუმცა... რა კარგია, რომ აქეთვე გვიბიძგე გმადლობ, აუცილებლად გავითვალისწინებ (ილიმის)... უი, კიდევ ერთი ცინცხალი ამბავი მაქვს: ვინ თქვა, სახალწლოდ სასწაულები არ ხდებოდა? — შობის წინადღეს

ში მითხრეს, აი, მასე უნდა მოიწყო კაცმა ცხოვრებაო. იქვე დასძინეს, ასეთ ცხოვრებას მხოლოდ არჩილისნაირი კეთილშობილი და გონიერი ადამიანები თუ მოიწყოებენო. მართლაც თუ ასე მოსწონთ „ბატონი არჩილი“, ქართული ტელეკომპანიების მეპატრონეებს ვურჩევ, გაითვალისწინონ და ისეთები იყვნენ, როგორც არჩილ ნილოსანია... ალბათ, მეც, ჩემი გმირიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად შემეყვარა მყურებელმა. სერიალს ერთი საუცხოო თვისება ჰქონია — როლიდან გამოსვლის დროს არ გაძლევს. ყოველკვირა, ლამის ყოველდღე გადაღება მაქვს და ხანდახან მავეწყვდება, ზურაბ ცინცხილაძე რომ ვარ (იციანის). გადასაღებ მოედანზეც ასე მხვდებიან: ბატონო არჩილ, მობრძანდით, გრიმი გაიკეთეთო და ასე შემდეგ. ეგ კი არა და, ისე მოწინებით მექცევიან, მართლა დირექტორად აღმიქვამენ. ალბათ, დრო გავა, მეტად დავახლოვდებით და ზურაბ ცინცხილაძესაც გავაცნობ (იციანის).

— ალბათ, ტელესერიალის გადაღება ძალიან განსხვავდება კინოგადაღებისგან...


— უპირველესად, ხაზს გავესვათ მათ ნიჭიერებას, ვინც სერიალისთვის მსახიობები შეგვარჩია. გადაღება, სწორად შენიშვნა, სრულიად განსხვავდება იმისგან, რასაც წლების წინ სრულმეტრაჟიანი მსახიობული ფილმების გადასაღებ მოედანზე ვაკეთებდით. განსხვავებულია გადაღების ფორმა: ადრე ფილმს თავიდან ბოლომდე ვიღებდით და მერე ვახმოვანებდით. ახლა ყველაფერი პარალელურად მიმდინარეობს, ამიტომ თითოეულ ქმედებასა და დიალოგში მართალი უნდა იყო, ყოველი სიტყვა გულწრფელად უნდა წარმოთქვა. იმიტომ გავამახვილე ყურადღება მსახიობების ზუსტ შერჩევაზე, რომ სხვაგვარად ერთ კვირაში ერთი ფილმის გადაღება შეუძლებელი იქნებოდა. მემონტაჟით და ოპერატორით დანაყოფი, ყველა, შემოქმედებითი ჯგუფის თითოეული ახალგაზრდა პროფესიონალია, რაც მაოცებს და მახარებს კიდევ. იმ ახალგაზრდა მსახიობებმაც, სხვადასხვა თეატრის სცენაზე საინტერესო როლებს რომ ქმნიან, კარ-

დამირეკა დალი ფირცხალაიშვილმა, რომელიც პირველიდან მეოთხე კლასამდე მიყვარდა. სახელი და გვარი რომ მითხრა, გავუმედი, ამხელა კაცს ენა ჩამივარდა. მგონი, ახლაც გავნითლდი, ხომ (იციანის)? გურიის ერთ სოფელში ვცხოვრობდით, შუშუთში და ერთად ვსწავლობდით. ამას წინათ, ინტერვიუში ჩვენი სოფელი რომ გაიხსენე, იმან გამაბედვინა შენთან დარეკვაო, — მითხრა. თურმე, მასაც ვყვარებივარ, არც გათხოვილა, მაგრამ მე თუ მიყვარდა, არ სცოდნია. არადა, როგორ მიყვარდა? მახსენდება ჩემი განცდები, სიზმრები, სადაც დალისთან ერთად სად არ დავფრინავდი. ამ ამბებს ჩემს შვილებს, შვილობილ რეზისაც ვუყვებოდი ხოლმე, ჩემმა მეუღლემ, თამრიკო დათუაშვილმაც კი იცოდა... მეორე



ჩემმა მეუღლემ,
თამრიკო
დათუაშვილმაც
კი იცოდა

გოგონაც სწავლობდა ჩვენთან, ეთერ გალოგრე, რომელიც მეხუთე-მეექვსე კლასებში მიყვარდა. ახლაც თვალწინ მიდგას, ეთერი გაკვეთილს რომ ჰყვებოდა. ორივე ხუთოსანი იყო. მერე, 1966 წელს სოფლიდან ბათუმში წამიყვანეს და დალი და ეთერი თვალთაც აღარ მინახავს. ახლა, თურმე, ეთერსაც აღარ ვხვდები... მოკლედ, ჩემი ბავშვობის სიყვარულები შეკრებილან და ჩემთან შეხვედრა გადაუწყვეტიათ. შენც მიხვდი, ხომ? — ესეც არჩილის დამსახურებაა, გოგონებმა ტელევიზიით რომ დამინახეს, მაშინვე გამიხსენეს. არჩილ ნილოსანმა კიდევ ერთი კარგი საქმე გამიკეთა: ბავშვობის სიზმრები აღმადგინა. სასწრაფოდ, ყველას ვუამბე მათი გამოჩენის შესახებ და უახლოეს დღეებში პაემნისთვისაც ვემზადები (იციანის). რა მაგარია, არა, შობა-ახალი წელი?! მრავალ-ვაალ-ჟაა-მი-იერ (ომახიანად შემოსძახა ზურაბ ცინცხილაძემ „მრავალჟამიერი“ და ყველას ლამაზი სიზმრებისა და ოცნებების ახდენა უსურვა საახალწლოდ. — ავტ.)



ოჯახებში ჯერჯერობით არ ვსტუმრობთ ერთმანეთს



ეთორ ყორღანაშვილი

— ახალ წლამდე დატვირთული გრაფიკი მქონდა — „ჯეოსტარის“ ფინალისთვის ვემზადებოდი. ამიტომ ახალი წლის დღესასწაულს ემოციებისგან გადაღლილი შევხვდი. პროექტმა „ჯეოსტარმა“ ჩემთვის ძალიან კარგად ჩაიარა. განწყობილებაც მშვენიერი მაქვს. ბევრი მეკითხება — „ჯეოსტარი 2010“ რომ ვერ გახდი, გული ხომ არ დაგწყდაო? ვერ ვიტყვი, რომ კონკურსზე მეორე ადგილის დაკავება გამიხარდა, მაგრამ ჩემთვის მთავარი ხალხის სიყვარულის მოპოვება იყო — გამარჯვებად ეს მიმაჩნია.

— პროექტში მონაწილეობამდე რას საქმიანობდი?

— ბავშვობიდან ვმღერი — ქართველი მსმენელის გარკვეული ნაწილი მიცნობდა. საერთაშორისო კონკურსებში ხშირად ვმონაწილეობდი, სადაც პირველი ადგილი ბევრჯერ დამიკავებია და „გრან-პრიც“ მიმიღია... მოკლედ, კონკურსებში გამარჯვებებით განებივრებული ვარ. საქართველოში ჩატარებულ კონკურსში პირველად ვმონაწილეობდი. 4 წლის მანძილზე, რუსეთში (სანქტ-პეტერბურგში) ვცხოვრობდი. ჩემი მეუღლე სამედიცინო ფაკულტეტზე (გინეკოლოგიის განხრით) სწავლობდა. რუსეთში ერთ-ერთ კონკურსში — „ვესნა რამანს“ პირველი ადგილი დავიკავე, რის შემდეგაც სააგენტოსთან — „რუსსკაია მუზიკა“ — კონტრაქტი გავაფორმე. ბევრი კონცერტი მქონდა, მათ შორის — პატარა სოლო კონცერტიც. იმ პერიოდში ძალიან „გავიზარდე“, რადგან ძირითადად, რომანსებს ვმღეროდი. მერე ფინეთში „გასვლითი“ კონცერტები მქონდა. ბოლოს, მოსკოვში, სვეტებთან დარბაზში კონკურს „რომანსიდაზე“ გავიმარჯვე. ეს საკმაოდ მაღალი დონის საერთაშორისო კონკურსი გახლავთ... შემდეგ რუსეთსა და საქართველოს

სოფო გელოვანის მოზუზუული მასურბლები

რას ვერ ელევ „ჯეოსტარის“ ფინალისტი

მართალია, „ჯეოსტარელმა“ სოფო გელოვანმა პროექტში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ თავისი მიზანი განახორციელა: რუსეთში 4-წლიანი მუშაობის შემდეგ, ქართველ მსმენელებსაც გააცნო თავი. როგორც თავად სოფო ამბობს, გაჩერებას აღარ აპირებს...

შორის ურთიერთობა დაიძაბა, რის გამოც მე და ჩემს მეუღლეს საქართველოში დაბრუნება მოგვიხდა. „ჯეოსტარში“ მონაწილეობა იმიტომ გადაწყვიტე, რომ მინდოდა, ქართველ მსმენელს გავეცანი (თავად პროექტიც ძალიან მომწონდა). მიმაჩნია, რომ სწორად მოვიქეცი — ქართველმა მსმენელმა გამიცნო. იმედა, უფრო მეტ საინტერესო სიმღერას ჩავწერ და იმ ქართველებს გავახარებ, ვისაც ჩემი შემოქმედება მოსწონს.

— რა სხვაობაა ქართველ და უცხოელ მსმენელს შორის?

— როცა „ჯეოსტარში“ მონაწილეობა გადაწყვიტე, ძალიან ვნერვიულობდი, რადგან ქართველი მსმენელი ყველაზე კრიტიკული, დახვეწილი და გემოვნებიანია. ჩვენ მუსიკა სხვაგვარად გვესმის... ამიტომ უფრო გემოვნებიანი შემფასებლები ვარ.

— მუსიკალური განათლება გაქვს მიღებული?

— მუსიკალური შვიდწლიანი (ფორტეპიანოს განხრით) და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი (საესტრადოს განხრით) დავამთავრე. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძის სახელობის ინსტიტუტში სწავლაც დავასრულე — ესპანურ ენასაც ვფლობ. მუსიკალურ კონურსებზე სწორედ სწავლის პერიოდში დავდიოდი.

— სოფო, დედამიწელები გყავს?

— უფროსი ძმა მყავს, რომელიც ძალიან კარგად მღერის, ოღონდ — სუფრასთან (იციან). ასევე — და, რომელიც პროექტში ჩემი მარჯვენა ხელი გახლდათ. კიდევ, 5 წლის დაიკო მყავს. სხვათა შორის, ძალიან მუსიკალური ბავშვია — სიმღერა და ცეკვა უყვარს! საერთოდ, დედაც და მამაც მუსიკალურები არიან. მამას ჩემი ნამღერის შესაფასებლად ხშირად ვურეკავ — მისი აზრი ძალიან მაინტერესებს ხოლმე.

— დიდი ხანა, რაც ოჯახი შექმენი?

— 4 წელია. ნოდი მეგობრის სახლში გავიცანი. შემდეგ მოვლენები ნელ-

ნელა განვითარდა: ერთმანეთის მიმართ სიმპათიები გაგვიჩნდა. მერე ნოდი სანქტ-პეტერბურგში სასწავლებლად გაემგზავრა. ამის გამო, 2 წელიწადი ცალ-ცალკე ყოფნა მოგვიხდა, მაგრამ ერთმანეთთან მიმონერა გვექონდა. ჩემი მომავალი მეუღლე საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა. ერთხელ მოსკოვში მეც გავემგზავრე... ბოლოს მივხვდით, რომ ჩვენი ცალ-ცალკე ყოფნა არ შეიძლებოდა. ერთხელაც, როცა ნოდი საქართველოში ჩამოვიდა, ცოლად გავყვი, მერე კი სანქტ-პეტერბურგში ერთად გავემგზავრეთ...

— ახალგაზრდა წყვილს მართო ცხოვრება არ გაგიჭირდათ?

— არა. მიმაჩნია, რომ გარკვეული დროით, ახალგაზრდა წყვილისათვის ცალკე ცხოვრება აუცილებელია. ჩვენ პატარა-პატარა ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს ერთად ვუმკლავდებოდით, რამაც ჩვენი ურთიერთობა კიდევ უფრო გაამყარა.

— თბილისში როგორ ცხოვრობ, თავისუფალ დროს როგორ ატარებ?

— აქ ცხოვრება ყველაფერს მირჩევნია. თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ, ოჯახის წევრებზე ხშირად ვიკრიბებით... ჩემს დასთან ერთად „მოპინგზე“ სიარული მიყვარს.



მინდობა, ქართველ მსმენელს გავეცანი



— როგორი სტილის სამოსი მოგწონს?

— ძირითადად, კლასიკური. ცოტა მკაცრი სტილის სამოსის ჩაცმა მიყვარს. რა თქმა უნდა, სპორტულ სტილსაც დიდ პატივს ვცემ.

— ვარცხნილობას ხშირად იცვლი?

— ხშირად ვიცვლი, მაგრამ უფრო უკან გადაწეული, შეკრული თმა მიყვარს. როცა „ჯეოსტარში“ ლაიზა მინელის „კაბარე“ უნდა მემღერა, ჩემთვის გრძელი თმის შეჭრას აპირებდნენ, მაგრამ ჩვენმა არაჩვეულებრივმა სტილისტმა — რიჩარდმა თმა ისე „შემიტეხა“, თითქოს „კარე“ მქონდა შეჭრილი. ბევრი მოტყუვდა — ეგონათ, რომ ჩემი გრძელი თმა შევიჭერი. მოკლე ვარცხნილობაში ბევრს მოვეწონე, მაგრამ ჩემს გრძელ თმას მაინც ვერ შეველევი. გრძელი თმა სცენაზე უფრო კომფორტულია!

— ორი წელია, რაც საქართველოში დაბრუნდი. „ჯეოსტარში“ მონაწილეობის სურვილი მანამდე არ გაგჩენია?

— ჩემი ბიჭუნა ზუსტად 2 წლისაა (ილიძის). დიდი ბედნიერებაა, როცა შვილს აჩენ, მაგრამ როცა შემოქმედებითად ვერ იხარჯები, ეს შენს ხასიათზე უარყოფითად აისახება. „ჯეოსტარში“ მონაწილეობა მეუღლის თხოვნით გადავწყვიტე.

— ბოლო 3 თვის განმავლობაში, პროექტის გამო, ალბათ, პატარას საკმარის ყურადღებას ვერ აქცევდი...

— ჩემი შვილი ძირითადად, ბებიების გარემოცვაში იმყოფებოდა. ბავშვის ალზრდაში ჩემი და ჩემი მეუღლის მშობლები ძალიან მეხმარებიან. ამისათვის მათ დიდ მადლობას ვუხდით! დათა მუსიკალურ ნიჭს უკვე ამჟღავნებს (ილიძის). ჩემი შვილი ტელეეკრანზე როცა მხედავს, თვითონაც ცეკვავს და მღერის...

— სამომავლოდ რას აპირებ? სიმღერასთან დაკავშირებით საინტერესო შემოთავაზებები თუ მიიღე?

— კი, მივიღე, მაგრამ ამაზე ჯერ არ ვისაუბრებ. იმედია, 2011 წელი ჩემთვის შემოქმედებითად დატვირთული იქნება. ძალიან ბევრ კარგ სიმღერას ჩავწერ — არ გაგჩერდები! ჩემს მსმენელს ვპირდები, რომ მათთვის ხშირად ვიმღერებ; ახლა კი გარკვეული პერიოდით დასვენება, ენერჯის მოკრება მინდა, მერე მუშაობა განახლებული ენერჯით რომ დავინყო... ჩემს გულშემატივრებს დიდ მადლობას ვუხდით — ფინალურ კონცერტზე რომ მოვხვდი, მათი დამსახურებაა!..

რატომ „ჭედავდა“ ლენუკა ყიფშიძე „კოდში“?

პროექტის — „კოდი“ ხალისიან, აზარტულ და 20.000 ლარის მსურველ მოთამაშე ლენუკა ყიფშიძეს წარუმატებლობამ გული დასწყვიტა, მაგრამ დღეს თამაშს ხალისით იხსენებს. მას შობადღეს შევხვდით და პირველ რიგში, საახალწლო ამბები გამოვკითხე.

ელენე ბასილიძე

— ახალი წელი ჩემი საყვარელი დღესასწაულია. მის შესახებ დრად კარგა ხნით ადრე, დიდი მონდომებით ვემზადები. ნაძვის ხეს 25 დეკემბერს ვრთავთ, მაგრამ წელს ცოტა ვიზარმაცეთ და 28 დეკემბერს დავიწყე. ჩემი რძალი მხატვარია და ულამაზესად შეუძლია ნაძვის ხის გაფორმება. ცოტ-ცოტას მეც ვეხმარები... ოჯახში ასეთი ტრადიცია გვაქვს: ახალ წელს მთელი ოჯახი ერთად ვხვდებით და 12 საათის შემდეგ გავდივართ სახლიდან. წელს რამდენიმე ადგილი მოვიარე — ერთ-ერთ კლუბში, თამაშისას ვიყოჩაღე და საჩუქრებიც დამებედა (ილიძის). სახლში გამთენიისას მივედი. ვერ ვიტყვი, რომ წელს არაჩვეულებრივი ახალი წელი მქონდა, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ ყოფილა. წინ კიდევ ძველით ახალი წელი გვაქვს, მაგრამ ჯერ არაფერი დამიგეგმავს. დაკვირვებული ვარ, როცა რამეს წინასწარ დავგეგმავ, არასოდეს გამოდის, ხოლო როცა სპონტანურად ვაკეთებ, ყველაფერი გაცილებით უკეთ გამოდის. ძალიან მიყვარს თოვლი, გუდაური, ბაკურიანი... მაგრამ ძველით ახალ წელს როგორ გამოვა თოვლთან ჩემი „ურთიერთობა“, არ ვიცი. ამას წინათ ჩემი მეგობრები ხუმრობდნენ, სადაა თოვლი, ბაკურიანსა და გუდაურში პეპლები დაფრინავენო.



მთებში ვიყავით, მგლებთან და დათვებთან ერთად

— მოდი, პროექტ „კოდზე“ ვისაუბროთ...

— ოოო, ამ პროექტმა კარგი მოგონებები დამიტოვა. ცუდი ისაა, რომ წაგების გამო ვინერვიულე. ძალიან ემოციური ვარ და წაგება ჩემთვის დიდი სტრესი იყო.

— როგორ დათანხმდი ამ პროექტში მონაწილეობას?

— მოულოდნელად... ჩემი დებრესიული მდგომარეობა და პროექტიდან შემოთავაზება ერთმანეთს დაემთხვა. არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება იყო. არაჩვეულებრივი გადაწყვეტილება იყო. იმდენი მეგობარი შევიძინე, შეუძლებელია, ამ პროექტს არ ვემადლიერებოდე. ბევ-

რი უკმაყოფილოა ამ პროექტით, მაგრამ რაც უნდა ბევრი „ჩემე“ მოგვსვლოდა და ყველაფერი არ ყოფილიყო გათვალისწინებული, ამ ერთმა თვემ ბევრი რამე მასწავლა. პროექტში საოცარი ამაგი იყო ჩადებული. თითოეული ისე მუშაობდა, თავადაც გაკვირვებული ვუყურებდი. მთებში ვიყავით, მგლებთან და დათვებთან ერთად. ვერაფერს განსაზღვრავდა, რა

www.palitra.ge
PALITRA TV-RADIO
ლაპარაკობს და ურვენებს პალიტრა!



შეიძლება მომხდარიყო. გადაღების პირველივე დღეებში თოვლი წამოვიდა. იოლი შესაძლებელი იყო, რომ 45-კაციანი პერსონალი გაყვინულიყავით, სანამ დახმარება მოგვისწრებდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენტები ვიყავით, ერთმანეთზე ვზრუნავდით. ერთი დავალების შესრულების დროს გია ცინაძე ლამის ჩანჩქერში დაიხრჩო. ამ სცენას რომ ვიხსენებ, ახლაც სისხლი მეყინება ძარღვებში. ერთ თამაშში გაგა ჩიხლაძე ცივმა წყალმა გაყინა და კინალამ დაიხრჩო. სულ

სახური აღარ მაქვს... კრედიტები, სახელი, ცხოვრება... ფული ხომ ყველას სჭირდება? მით უმეტეს — მშობლებთან ერთად ვცხოვრობ, შვილი მყავს... ამასთან ერთად, ჩემი მშობლები-სთვისაც რამხელა სიხარული იქნებოდა ჩემი წარმატება?! სხვათა შორის, ბევრმა მითხრა, რა გინდოდა ამ პროექტში, რისთვის წახვედიო? დღეს ვფიქრობ, რომ ასეთ „ექმენ“ და ემოციურად დატვირთულ თამაშში კვლავ მივიღებდი მონაწილეობას.

— **ადრე თუ გიყვარდა ესტრე-მალური გართობა ან ქალაქ-გარეთ თუ დადიოდი კარვით?**

— არა, კარვით არსად ვყოფილვარ. ახლა კი დიდი სიამოვნებით წავიდოდი.

— **საპრიზო თანხის გარეშე თუ მიიღებდი მონაწილეობას მსგავს პროექტში?**

— ეს საკმაოდ რთული თამაშია. იოლი შესაძლებელია ისე დაშვდე, დიდი ხნის განმავლობაში ვერ ადგე ფეხზე. სწორედ საპრიზო თანხამ იქონია გავლენა, რომ ამ თამაშზე დავთანხმდი და ალბათ, ამის გარეშე არ წავიდოდი. ჩემი ხელი საბოლოოდ ჯერაც არ „გამოჯანმრთელებულა“.

ლელოს თამაშისას ლალის მივხატე, ბურთს ხელი დავუხვედრე და მომტყე და კიდევ, მაგრამ ისეთ აზარტში ვიყავი, თამაში არ მიმიტოვებია და მოტეხილი ხელით ლელოც კი გავიტანე. თამაშიდან დაბრუნების შემდეგ ყველაფერი მაინტერესებდა — რას ფიქრობდა ხალხი, როგორ გვეულმემატიკვრობდნენ... აღმოჩნდა, რომ მაყურებელთა მესიჯების მხოლოდ 9% გვერგო წილად. ამაზე ძალიან მწყდებოდა გული, გაგა კი მამშვიდებდა, მეტი სადარდებელი არ გაქვსო? პირველ იანვარს, როცა ფინალს ვუყურე, გაგას დაურეკე და ვუთხარი, ასე მგონია, მეორედ განვიცადე წაგება-მეთქი. სხვათა შორის, გაგა ჩემზე უფრო ნერვიულობდა, ვიდრე — თამაშზე... მახსოვს, ბოლო თამაშის შემდეგ მოვწესრიგდი, საწლიში ჩავსექი და ყველამ ჩემს ოთახში მოიყარა თავი. გაგა ლოგინზე ჩამომიჯდა. დღემდე მახსოვს მისი სიტყვები: — ჩემზე იმდენად არ მინერვიულია, მე ვმუშაობ მაინც, ლენუკას გამო უფრო განვიცადეო... ისე საყვარლად თქვა, ცრემლები ვერ შევიკავე. მიუხედავად ყველაფრისა, ძალიან კმაყოფილი ვარ პროექტის — მან ბევრი რამ მასწავლა...

— **მაინც რა?**

— ბევრი შიში გადამაღახვინა. მარტო ყოფნისას ბევრს ვფიქრობდი... თითოჯერ ყველამ „გაჭადა“... ჩხვლიდან მეორე დღეს დიდი ისტერიკა მქონდა — გოდერძის უღელტეხილზე თოვლი წამოვიდა. ვიყინებოდი, ისე მცოდნა... რა კარავი, რა ტყეში ძილი, თქვენ ხომ არ აფრენთ-მეთქი?! ყველას ვწახუბებოდი, მაგრამ მალევე მივხვდი, თვითნებურად თუ დავტოვებდი პროექტს, 20.000 ლარი უნდა გადამეხადა, ამას კი ვერაფრით მოვახერხებდი და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. მერე დამშვიდების გზა ვიპოვე: — აბა, ლენუკა, „სტოპ“ ახლა! — შევუძახებდი ხოლმე თავს. მთაში ყოფნა ოჯახისა და ბავშვის გარეშე ძალიან გამიჭირდა... მერე, დროთა განმავლობაში, ზღვისკენ რომ ჩამოვედით და სანაპირო დავინახე, ცუდმა განწყობილებამ ცოტა გადამიარა. მხესაც კი ვფეიცხებოდი — ნამზურს ვიღებდი.

— **შენი შვილი დედიკოს გარეშე ყოფნას არ აპროტესტებდა?**

— შეჩვეულია ჩემს მშობლებთან ყოფნას და უდებოდ დარჩენილს პრობლემა არ ექმნება. რა თქმა უნდა, ვენატრებოდი და ხშირად კითხულობდა, როდის ჩამოვარო?! მშვიდად ვიყავი, რადგან დედაჩემთან იყო.

— **თამაშის დროს ყველაზე მეტად რა გაგიჭირდა?**

— ერთი თამაში იყო, სადაც ფაზლებს ვწაყობდით და მინიშნება უნდა გვეპოვა. ეს დავალება ყველამ იოლად შეასრულა, ხოლო ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა. არადა, მინიშნება ბილიარდის მაგიდაზე იდო, ჩვენ კი ნაგავსა და უნიტაზში ვეძებდით! საერთოდ, თამაში რთული იყო. მე და გაგა სულ კვინკაობდით, მაგრამ ამავედროულად ერთმანეთს გვერდში ვდექით. ჩვენგან განსხვავებით, ყველაზე შესმატბილებული წყვილი ნუკი და გიორგი იყვნენ... „ქორქიებს“ ვეძახდით, ძალიან მშვიდად თამაშობდნენ.

— **თამაშამდე თუ იცნობდი გაგას?**

— არა, არასოდეს შევხვედრივარ, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩემი ძმის, გიოს მეგობარი იყო — თუმანიშვილის თეატრში თამაშობდა... თბილისიდან აჭარისკენ რომ მივდიოდით, გზაში ისე მღეროდა და ხალისობდა, მივხვდი, რომ არაჩვეულებრივი ადამიანია, მაგრამ გია ცინაძესა და ჩვენს ექიმს — ნიკას რომ ვუყურებდი, რომელიც ნამდვილი „ფორესტ გამპი“ იყო, მასთან შედარებით გაგა თითქოს ვერაფერი მოთამაშე ჩანდა, მაგრამ გამჭირაბი გონების პატრონია, სხარტად აზროვნებს და საბოლოოდ, თამაშით უკმაყოფილო სულაც არ ვარ. იმედია, მისთვისაც კარგი მენყვილე ვიყავი.



მოსხა ისე, რომ სამსახური დაეკარგე

გალურჯებული იყო. ამის დანახვისას, კინალამ გული გამისკდა. გიორგი ქორქიას წყლის ეშინოდა, მე — სიმალის. გადამღებმა გუნდმა ხომ არ იცოდა, რა მემართება სიმალეზე?! მერე ექიმები მეუბნებოდნენ, იოლად გადარჩი, შეიძლება, დიდი სტრესი მიგელოო...

— **მახსოვს, ძალიან შეშინდი...**

— კინალამ მოვკვდი! ვფიქრობდი, ახლა რომ არ დამიჯერონ, რა მეშველება-მეთქი? თან კამერებმა ძალიან დამაკომპლექსა: ვაიმე, კამერებია, მილიონი კაცი გნახავს, შეიკავე თავი-მეთქი, საკუთარ თავს ვუკიჟინებდი... ნუკის რომ გველების შეეშინდა, აქეთ მე ვკიოდი, იქით — გადამღები ჯგუფი ყვიროდა, კარგი კადრიაო (იციინის)! ბოლო თამაში ხომ სრული საოცრება იყო, მინიშნებები რომ გვეპოვა, ყველა ბოლომდე ვიხარავდით. ბოლო თამაშისას მივხვდი, რომ ყველა გულითა და სულით თამაშობდა.

— **მახსოვს შენი ფრაზა, როცა საკუთარ თავს ეუბნებოდი, მე ეს მოგება მჭირდებაო...**

— კი, ეს თანხა ყველას სჭირდებოდა. მოხდა ისე, რომ სამსახური დაეკარგე. 3 წლის განმავლობაში „მაგთიში“ ვმუშაობდი და დღეს სამ-



ბარო ქაჯაიას „მინუსი“ და კახა ჯოხაძის მუზეუმი

ყველაზე პოპულარული „ქვისლები“ — ლაშკო და ვახუნულა ცხოვრებაშიც კარგი მეგობრები არიან და შობა-ახალი წელიც ერთად იზეიმეს.

თაყა და დეჰალი

— როგორ ემზადდებით ასახლი წლისთვის და როგორ გაატარეთ ეს დღესასწაული?

პასუხი:

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მოგესალმებით და გილოცავთ შობა-ახალ წელს. ამჯერადაც ძალიან გადატვირთული გრაფიკი გვექონდა და ყველაფერი გასული წლის ბოლო რამდენიმე საათში მოვიმარაგეთ. პირადად მე, 31 დეკემბრის ღამეს სახლიდან არასდროს გავდივარ, ტრადიცია არც ამჯერად დავარღვიე და დღესასწაულს ოჯახთან ერთად შევხვდი. მეორე დღეს — სხვა ამბავია.

ბარო:

— მეორე დღეზე მე ვიტყვი: კახას ოჯახში ტრადიციაა, რომ პირველი იანვარს მთელი სამეგობრო მასთან

იკრიბება. წელს პირველი შემთხვევა იყო, როცა მათ მეც შევეერთდი და კარგადაც მოვუღსინეთ. ახალი წელი თბილი და ტკბილი დღესასწაულია, სხვა ღამეებთან შედარებით, ჯადოსნურია. ცრურწმენების არ მჯერა, მაგრამ ის შეგრძნება, რომ რაღაც ახალი იწყება, მაინც დამყვება. მიყვარს ახალი წელი. ნაძვის ხე ბოლო დღეს ავანყვე, ბავშვებს კი ძალიან უნდოდათ, ცოტა ადრე მოგვერთო, მაგრამ ნაძვის ხე ვერ მივიტანე, ხან

სად ვიყავი, ხან — სად. შარშან უარესი იყო — სერიების გადაღება, საკონცერტოდ მომზადება და ამის გამო ახალი წელი ბუნდოვნად მახსოვს, სიზმარივით. ღამეებს ვატენებდით.

— ზოგიერთ მამაკაცს გემრი-



2011 წლისთვის
განსაკუთრებული ხიბვა

გურაბ ქარუმიძის
ახალი რომანი
ნამდვილი
ჰოეზია

მნიშვნელოვანი
თარგმანები

№1

ლიტერატურული

პროზა

- ბესი ბუქიძე
- მია ლოინი
- მამა მახლიანი
- ნიკო ანაძე
- ველა ჭყავია

პოეზია

- ლა ზემა
- შოთა თაბუკაძე
- ნაფი ივანიშვილი

თარგმანი

- ანაბი სიყაყე
- დიმიტრი პაპიძე
- ელიაბ ნამიანი
- ლევანი და ქლიმენტე პაპია

დრამატურგია

- ჯეიმს ჯეიმსი
- ლიტერატურული პროდუქტი
- იმანოვი ჯეიმსი

სურათები

- სურათი: სურათი
- სურათი: სურათი
- სურათი: სურათი



წელს არ გავგიჟებულვართ. პირველი იანვარი იყო „დატვირთული“ და მერე დიდი პაუზა გაგვაკეთეთ

ელი კერძების კეთება ეხერხება, ზოგსაც — გოზინაყის. თქვენ თუ მიგიღიათ მონაწილეობა ოჯახში კერძის მომზადებაში?

ბარო:

— ჩობან-ყაურმა „მევასება“ და ამის კეთება თუ არ იცი კაცმა, არ ხარ ადამიანი. ახალი წლის ღამეს სახლში აუცილებლად უნდა მოამზადო. რთული გასაკეთებელია, მინაში მზადდება, მაგრამ ჩვენს პირობებში პარკეტზეც შეიძლება (იციანის).

პასხა:

— თუ სახლში საშუალება არ არის, ეზოში მაინც... ერთადერთი რაც შემიძლია, ღორი ან ქათამი მიმაქვს ხოლმე შესაწავად. სულ ეს არის ჩემი მოვალეობა. არაფრის კეთება არ მეხერხება.

— სიურპრიზების კეთება თუ გეხერხება?

— როცა ფული მაქვს, მეხერხება და როცა არა მაქვს, ვცდილობ, რაღაც მაინც გამოვნახო. წელს ოჯახში შევთანხმდით, რომ საჩუქარს არავინ მოვითხოვდით და მხოლოდ ბავშვები გავახარეთ. ყველა ადამიანი ასაკს მალავს ხოლმე და ახალი წელი ერთადერთი დღესასწაულია, როცა ასაკი გემატება და გიხარია (იციანის).

ბარო:

— მე ძალიან მიყვარს საჩუქრები. ჩემთვის ყველა ახალი წელი დასამახსოვრებელია, რადგან რა სიტუაციაშიც უნდა შევხვდე, ყოველთვის მიხარია ამ დღის დადგომა.

— ხშირად მართლდება ის მოლოდინი, რასაც ახალი წლისგან ელით?

ბარო:

— ვფიქრობ, ეს მოლოდინი და შეგრძნება მხოლოდ დილაამდე ან

მაქსიმუმ, ახალი წლის დღეებში გაქვს. მერე უკვე ყველაფერი ძველებურად გრძელდება და აღარ აქცევ ყურადღებას, როგორი ახალი წელი გქონდა. ამ ერთ ღამეს არ წყდება ცხოვრების წარმატება ან წარუმატებლობა. მთავარია, შენ როგორი ადამიანი ხარ და როგორ განსაზღვრავ შენ გვერდით მყოფი ადამიანების ცხოვრებას.

— ახალ წელთან დაკავშირებულ რაიმე სახალისო ამბავს ხომ ვერ გაიხსენებ?

— ახლა ისეთი ნაბახუსევი ვარ, განსაკუთრებულს ვერაფერს ვიხსენებ. „ღამის შოუს სტუდიის“ თანამშრომლებს უკვე მეორე წელია, ტრადიციად გვექცა, რომ შობას ერთად აღვნიშნავთ და ძალიან დავლიე... მე ხომ ზღვარი არ ვიცი.

— სასმელს კარგად იტან?

პასხა:

— წელს არ გავგიჟებულვართ. პირველი იანვარი იყო „დატვირთული“ და მერე დიდი პაუზა გავაკეთეთ. გადასარევად ვიტან ყველანაირ სასმელს.

ბარო:

— ალბათ საუბარზეც მეტყობა, რომ ნაბახუსევი ვარ და იმედია, „გზის“ მკითხველი არ გამკიცხავს, როცა ამ ინტერვიუს ნახავს. ვიცი, რა მინუსიც მაქვს — როცა ვსვამ, გაჩერება არ ვიცი. 3 დალიე, შეგერგება და მეორე დღეს იქნები ჯანმრთელად, მაგრამ არა, არა და არა! ასეთი ჩვევა მაქვს.

— როგორ ახერხებ მეორე დღეს აზრზე მოსვლას, როცა ბევრი სამუშაო გაქვს?

— როცა სპექტაკლი მაქვს, წინაღულს არ ვსვამ ხოლმე. რეპეტიცია კი ყოველთვის მაქვს, ესე იგი, არასდროს უნდა დავლიო და ასეც არ გამოდის... შუშხუნა ასპირინით გამოვდივარ ხოლმე, რომ დისკომფორტი მომიხსნას. თუ საქმე არ მაქვს, მეორე დღესაც ვსვამ. დიდი სიამოვნებით წავიდოდი გოგირდის აბანოში და მეორედ დავიბადებოდი. ნაბახუსევზე ძალიან შეველის (იციანის).

— მეკვლეობის ტრადიციაზე რა აზრის ხართ? ხშირად ყოფილხართ მეკვლეად?

პასხა:

— პატარა როცა ვიყავი, კი, მაგრამ ახლა სირცხვილი იქნება, ამხელა კაცებმა შეგნებულად დავიწყეთ ოჯახებში მეკვლედ სიარული (იციანის). შემთხვევით თუ შევალ პირველი, ეგ სხვა საკითხია. გამიგია, რომ რაიონებში იყო ტრადიცია, ერთი „ნდობით აღჭურვილი“ ადამიანი რომ ჩამოვივლიდა ყველასთან ახალი წლის ღამეს, თავისი შამფურებითა და მთელი ამბებით (იციანის).

ბარო:

— აბა, აბა, ფილმიც ხომაა ამაზე გადაღებული — „კუჩხი ბედინერი“. როგორც აღვნიშნე, ცრუმორწმუნე არ ვარ და ასეთ ტრადიციებს ყურადღებას არ ვაქცევ. თუმცა, არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც ეს მნიშვნელოვანია. მაგალითად, „ფეხის დაბრუნება“ გამიგია — თუ ოჯახში მეკვლედ შეხვედი, იმ ოჯახის წევრი აუცილებლად შენთან გამოიბრუნებოდა, რომ როგორი გულითაც მიხვედი, ის დაგიბრუნოს. ჩემმა შვილმა ბოლო გამოცდაში 5-იანი ვერ მიიღო და შენი ფეხის ბრალიაო, რომ ამბობენ, ეს უკვე სიგიჟეა. 2 სოფელი მაქვს, ხაშურისა და მარტვილის რაიონებში. ჩემი დიდი ბებია მეკვლედ შემოდიოდა და გოგრას შემოაგორებდა ხოლმე.

პასხა:

— ეს ყველაფერი უბრალოდ, ერთგვარი რიტუალია, სპექტაკლის შემადგენელი ნაწილი. სახალისოა. ამას სერიოზულად ვერ აღვიქვამ. მეც გამიგია, რომ საახალწლო სუფრაზე კარგია გოგრა.

— თოვლის ბაბუის არსებობის რა ასაკამდე გჯეროდა?



ალბათ საუბარზეც მეტყობა, რომ ნაბახუსევი ვარ და იმედია, „გზის“ მკითხველი არ გამკიცხავს



ბაჩო:

— მე დღესაც მჯერა, იმიტომ რომ თოვლის ბაბუა არსებობს.

პასხა:

— აბა, ჩვენ ვინ ვართ კაცო, ჩვენი შვილებისთვის? (იციინის)

— ცოტა გადავუხვით საუბრის თემას. კახა, როგორც ვიცი, რამდენიმე წლის წინ თეატრალურ სარდაფში მუშაობდი, 15 იანვარს კი ახმეტელის თეატრის სცენაზე შენი დებიუტი შედგება. იქნებ ამ სპექტაკლზე გვითხრა ორიოდ სიტყვა...

— სპექტაკლს „ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია“ ჰქვია — კომედიაა. ბაჩო ტაქსისტი გივის როლშია, მე — საგამოძიებო განყოფილების პოლიციელის. ახმეტელის თეატრში მოწვევით ვარ, ბაჩომ შემომთავაზა, თუ ითანაშუბო და მეც სიამოვნებით დავთანხმდი. 4-5 წელია, თეატრთან შეხება არ მქონია. ძალიან მახარებს ეს ფაქტი და ნელ-ნელა ვიხსენებ იმას, რაც ოდნავ დავიწყებული მქონდა. ვაკის სარდაფში თითქმის 2 წელი ვიმუშავე, მაინცდამაინც დატვირთული არ ვიყავი და წამოვედი.

— რას საქმიანობდი, სანამ სერიალში მოხვდებოდი? შენც ალბათ კასტინგით შეგარჩიეს, არა?

— დიახ. სანამ სერიალი ეთერში გავიდოდა, მაშინ ვიყავი პირველ შერჩევაზე. არ ამიყვანეს. ეტყობა, ფოტოები და მონაცემები შეინახეს. ჩანერებს როგორც ჩვეულებრივი მაყურებელი, ხშირად ვესწრებოდი, მერე კი მოხდა ისე, რომ მეოთხე სეზონში დასჭირდათ ჩემი პერსონაჟი. „შუა ქალაქამდე“ იმდენი პროფესია გამოვიცვალე, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — რადიოდან დანწყებული, ტელევიზიით დამთავრებული, ოლონდ სრულიად სხვა განხრით.

— როგორც ვიცი, სტუდენტობისას ფილმიც გაქვს გადაღებული, რომელშიც კარლო საკანდელიძე მონაწილეობდა და ამბობენ, წერაც კარგად ეხერხებაო...

ბაჩო:

— მართლა, კახა? ეს მეც არ ვიცოდი!

პასხა:

— ეს ფილმი მოკლემეტრაჟიანი იყო. მაშინ ბატონი კარლო მართლაც ძალიან დამეხმარა. სადიპლომოს ვიცავდი და პატარა მოთხრობაზე ნახევარსაათიანი მხატვრული ჩანახატი გავაკეთე. რაც შეეხება წერას, „მინაურულად“ ვწერ ხოლმე რაღაცებს, რაც რაჭაში, იმ სახლში ინახება, სადაც ვისვენებ. აივნის ერთი კუთხე

მაქვს ამოჩემებული, საიდანაც კარგი ხედაია, გასაშლელი სკამი მიდგას და ეტყობა, სუფთა ჰაერზე მუზეები კარგად მოდიან (იციინის). ბევრად უფრო სახალისოა, დიდი ხნის წინანდელ ნაწერებს რომ ვკითხულობ. ლექსი არასდროს დამიწერია, ვერც ვიმასხოვრებ. უფრო ნოველები, ჩანახატები.

— ბაჩო, შენ თუ დაგინერია ლექსი?

— არა. ერთხელ ბავშვობაში მგონი, „გავრითმე“ — თუთა და ყვავი იყო ნახსენები, მეტი არაფერი მახსოვს და ეს 2 სიტყვა როგორ გავრითმე, ისიც არ ვიცი.

— ამჟამად თეატრში რომელ სპექტაკლში ხარ დაკავებული?

— „მოთმინება და იმედი“, რომელიც კლდიაშვილის „უბედურების“ მიხედვით სოსო ნემსაძემ დადგა და ჩემი როლი ძალიან მომწონს.

— რა სახლებს უნდა ელოდოს უახლოეს მომავალში მაყურებელი სერიალში — „შუა ქალაქში“?

პასხა:


— როგორც იცით, მერვე სეზონი დამთავრდა და მალევე დავიწყებთ მეცხრესთვის მზადებას, ეთერში კი ალბათ თებერვლის შუა რიცხვებში გავა. სიურპრიზად ახალ ფილმს ვამზადებთ, რომელიც სერიალის მსახიობების ცხოვრების ერთი დღის ისტორიაზეა აგებული და სერიალთან კავშირში არ არის.



ცხოვრება

ხატია სიჭინავას და რამაზ ნოზაძეს „ზომეზუი“ დიდი გარღვევა აქვთ

ხატია სიჭინავა და რამაზ ნოზაძე ახლახან შეუღლდნენ და უკვე პატარა გოგონა, გაბრიელაც ჰყავთ. ის-ის იყო, მე და ფოტოგრაფი მათთან მივედი, რომ რომელიღაც ოთახიდან რამაზის მგრგინავი ხმა მოისმა: — ხატია, ხომ გითხარი, მაისური დამიფოთო, რა არის ეს? — შეშინებაც ვერ მოვასწართ, რომ ოთახიდან ხარხარით გამოვიდა და გვითხრა: — ჰა, შეგაშინეთ თუ არაო?!



ჩემი და ხატია ურთიერთობა მილიონებს მირჩევნია

ელენე ბასილაძე

— ალბათ ვერ არ დაგვინწყები ათ, როგორ გაიცანი ერთმანეთი...

ხატია:

— რამაზი დაახლოებით 5 წლის წინ გავიცანი. მაშინ შეყვარებული ჰყავდა... დანახვისთანავე გავიფიქრე, ვაიმე, რამხელა კუნთები აქვს-მეთქი! სიმართლე გითხრა, დიდი მეგობრები არ გავმხდარვართ; შეხვედრისას ვე-სალმებოდით და მოვიკითხავდით ხოლმე ერთმანეთს...

რამაზი:

— მახსოვს, ერთხელ მანქანაში დავინახე. გავეკიდე და როგორც იქნა, ჩემკენ მოვახედე, მაგრამ აღ-მოჩნდა, რომ მანქანის შუშა გაფუ-ჭებული იყო და მინას დაბლა ვერ სწევდა (იცინის).

ხატია:

— მაშინ როგორ დამინახა, ჯერაც ვერ გამირკვევია. მანქანი მეც გავეკიდე-ბივარ რამაზს. 3 წლის წინ, აღდგომის დღესასწაული მივულოცეთ ერთმანეთს და სწორედ ამ მესიჯმა განაპირობა ჩვენი დაახლოება. დღემდე ვფიქრობთ და ვერ ვხვდებით, ჩვენი მეგობრობა სიყვარულში როდის გადაიზარდა.

— რამაზ, ხატია გულის მოგება იოლი იყო?

— არც ისე იოლი გახლდათ... დიდი ხანი დამჭირდა მისი გულის მოსაგე-ბად. ვცდილობდი, სიურპრიზები მო-მეწყო, რომანტიკულ წერილებს ვწერ-დი...

ხატია:

— სხვათა შორის, რამაზს სიურ-პრიზების მოწყობის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს. ამაში ძალიან ნიჭიერია... მისმა ყურადღებამ ძალზე მომხიბლა. რაც მთავარია, არაფერი ავინყდებო-და! ბოლოს, იმდენად სწრაფად დავი-წერეთ ჯვარი, რომ ქორწინების ბე-ჭედი ერთი ზომით პატარა ვუყიდე, მან კი 3 ზომით დიდი მომიტანა და მერე გადავაკეთეთ... მოკლედ, ზომებ-ში „დიდი გარღვევა“ გვაქვს.

რამაზი:

— ხატია, ტელეფონში მქონდა ყვე-ლაფერი ჩანიშნული და ამიტომაც არაფერი მავინყდებოდა. რომ მოხე-ბლე, მერე ვკითხე, — მოგეწონა, რეკ-ლამა-მეთქი? (იცინიან)

ხატია:

— დღემდე გიკეთებთ სიურპრი-ზებს. მივხვდი, რომ მხოლოდ რეკლა-მის გულისთვის არ აკეთებდა ამა.

ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ მიყვარდა და „ჯექუპოტი“ მოხსნილი ჰქონდა.

რამაზი:

— ჩემი და ხატია ურთიერთობა მილიონებს მირჩევნია. მით უმეტეს ახლა, როცა პატარა ანგელოზი გვეყ-ოლა... მის თავს ვერაფერი შემიცვ-ლის. გაბრიელას სახით, მაიკოს „ოქრო“ უკვე ჰყავს. ჩემი და ხატია ურთიერთობა ძალიან განსხვავებულია — არც ისეთი ქორწინების ბეჭდები გვიკეთია, როგორც ყველას; ურთ-იერთობაც ძალზე განსხვავებულად დავინყეთ... მე სპორტსმენი ვარ, ხატია — ჟურნალისტი... ყველაზე მაგარი ისაა, რომ ხატია არაჩვეულებრივად მოირგო ოჯახური ცხოვრება. არაფერს მაკლებს,

უყუჩაბთ!
www.palitrav.ge
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



მიმზადებს, მირეცხავს... ჩვენს ოჯახში ყველაზე მალე სარეცხი ფხვნილი ილევა. 2 საათით რომ ჩავიცვა ტანსაცმელი, გავიხდი თუ არა, ხატია მაშინვე სარეცხის მანქანისკენ მიაცუნცულვს.

საბნა:

— მე და სარეცხის მანქანა „ვმეგობრობთ“...

კამათობ?

— რამაზი ძალიან მტკივნეულად მკბენს ხოლმე... ზოგჯერ ვერ ზომავს. ჩვენი გაბრაზება მაქსიმუმ 2-3 წუთს გრძელდება.

რამაზი:

— ისეთი ურთიერთობა, როგორც ჩვენ გვაქვს, მხოლოდ ფილმებში თუ მინახავს... სშირად მეკითხებიან, რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ხატია ცოლად მოიყვანე და ბავშვი გაგიჩნდათო? არაფერიც არ შეცვლილა, ადრე ორს გვიყვარდა, ახლა სამს გვიყვარს ერთმანეთი-მეთქი, — ვბასუბობ... თანდათანობით სიყვარულის ობიექტები კიდევ შემოგვემატებიან. 8 შვილი კიდევ გვინდა...

საბნა:

— ხუმრობს!

ურთიერთობას დიდი ხნის განმავლობაში მალავდით. რატომ?

— როცა ჩვენი ურთიერთობის შესახებ ყველამ გაიგო, ალბათ იცით, რა მოჰყვა ამას! ჩვენი არც ერთი ინტერვიუ არ დაბეჭდილა, მაგრამ ყველა ჟურნალში რაღაც შეთითხნილ ამბებს წერდნენ... წარმოიდგინეთ, ჩვენ შესახებ 2 წლის წინ რომ გაეგოთ, რაებს დანერდნენ?! სანამ ჩვენს ურთიერთობას ოფიციალური სახე მიეცემოდა, ჟურნალისტებმა ისე მატკინეს გული, ბევრ ჟურნალს ინტერვიუს აღარ ვაძლევ. წინასწარ ვიცოდით, რომ ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა ჩვენს სიყვარულს და არავის ვუმხელდით.

რამაზი:

— ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ჩვენს ურთიერთობაზე ჭორაობით მანც ყველამ მოიფხანა ენა. გული არავისთვის დაგვინყვებია. ალბათ, ჭორიკანებიც ნასიამოვნები დარჩნენ.

მშობლებს როდის გააცანით ერთმანეთი?

— ჩემმა მშობლებმა თავიდანვე იცოდნენ, რომ ხატიასთან ურთიერთობა მქონდა... არჩევანსაც მიწონებდნენ.

საბნა:

— რამაზს არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს. მამამისის დიდი

დამსახურებაა, რომ მან სპორტში წარმატებას მიაღწია. უნდა ნახოთ, გაბრიელა ბაბუას როგორ აკვირდება ხოლმე. ძალიან მოსწონს ბაბუ. რაც შეეხება ჩემს მშობლებს, დედაჩემი რამაზზე აფანატებს. ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად უყვარს. შესაბამისად, დედას არანაირი პრობლემა არ ჰქონია, როცა გავუშვილე, რომ რამაზი მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემი თანამგზავრი იქნებოდა.

რამაზი:

— კარგი „შაქარდედა“ მყავს — ქალბატონი მარინა.

შეუღლების შემდეგ რაიმე ისეთი თვისება თუ აღმოაჩინეთ ერთმანეთში, რომელის შესახებ მანამდე არ იცოდით?

საბნა:

— 2 წელი საკმაოდ დიდი დროა საიმისოდ, რომ ერთმანეთის ყველა თვისება კარგად შეგვესწავლა...

რამაზი:

— მიკვები, რომ ხატია მეტად შემოყვარდა მას შემდეგ, რაც ერთად დავიწყეთ ცხოვრება. მასში ვერც ერთი უარყოფითი თვისება ვერ აღმოვაჩინე — არაჩვეულებრივად შეითავსა დისახლისობა, დედობა... ძალიან მიყვარს ჩემი ცოლი!

ხატია, სპორტსმენი მეუღლის ცოლობა რაიმე სირთულეს ხომ არ გიქმნით?

— სპორტსმენი მამაკაცის ცოლობა ძალიან კარგია იმ მხრივ, რომ რეჟიმში ვარ. დილის 9 საათზე ვიღვიძებ... ადრე შუადღის 3 საათზე ვდგებოდი ლოგინიდან. კვება, დღის რეჟიმი, დასვენება — ეს ყველაფერი ჯანსაღი ცხოვრების წესია და მეც მის რეჟიმზე გადავერთე. მას მერე კი, რაც ბავშვი გაჩნდა, მამა-შვილი ერთად იღვიძებს, იძინებს, ჭამს... ერთი რეჟიმი აქვთ. არც ერთის მოვლა არ მიჭირს (ილიმის).

რამაზი:

— მოიცა, ძლიერი მამაკაცი რომ გყავს გვერდით და ვერავინ ვერაფერს გიბედავს, ეგ არაფერია?! კუნთები რომ მაქვს და გიცავ?

საბნა:

— მოიცა, კუნთები რომ არ გქონდეს, არ დამიცავდი?

— არა, შენ უკან დავიმალეობდი (იცინიან).

როგორც ვიცი, ბიჭს ელოდებოდით და გოგონა გაგიჩნდათ... საბნა:

— რამაზს ბიჭი უნდოდა, მე — გოგონა. როგორც ჩანს, პატარა გვეშურა და მუცელში ისე მოთავსდა, მისი სქესი რომ ვერ დაგვედგინა. როცა დაიბადა და გოგონააო, მითხრეს, ვერ დავიჯერე, მართლა-მეთქი? — ჩავეკითხე. ვიცი, რომ გოგონებს მამიკოვბი უფრო უყვართ და შეგუებული ვარ იმას, რომ გაბრიელა მამიკოს გოგონა იქნება. ახლაც, რამაზი რომ ესაუბრება, თვალს ახელს და გაკვირვებული შესტყერის. მუცლადმყოფს იმდენს ელაპარაკებოდა, რომ მგონი, ხმაზე სცნობს.

რამაზი:

— მიკვირს, ჯერ ძალიან პატარაა, მაგრამ როცა ველაპარაკები, ისე მიყურებს, თითქოს ყველაფერი ესმის... ამას წინათ ტიროდა; ხელში როგორც კი ავიყვანე და დაველაპარაკე, მაშინვე გაჩუმდა და ყური დამიგდო. თავიდან ძალიან მინდოდა, გოგონა ყოფილიყო, მერე ექიმმა ბიჭიაო, თქვა და შევეუუე. ახლა ჩემი გოგონა ყველაფერს მირჩევნია.

მშობიარობას დაესწარი?

— არა, ერთად გადავწყვიტეთ, რომ არ უნდა დაესწრებოდი. ხატიასაც ასე უნდოდა.

საბნა:

— ვაიმე, არც ერთ მამაკაცს არ ვურჩევ მეუღლის მშობიარობას დაესწროს. მით უმეტეს, თუ სუსტი გული აქვს. რამაზი კარგი მამაა. დილით მე თუ არ მცალია, რამაზი გაბრიელას თავისთან იწვეს და ელაპარაკება. უყვება ათას რამეს, ისიც უსმენს... ბოლო დღეებში უკვე ისე შევწუხდი, ერთი სული მქონდა, პატარა როდის დაიბადებოდა. 3 დღის განმავლობაში მეჩვენებოდა, რომ მშობიარობა მენწყებოდა. მივიდოდით საავადმყოფოში, ლამით დამტოვებდნენ, რამაზი სახლში წამოვიდოდა, გამოიძინებდა, დილით კი

სპორტსმენი მამაკაცის ცოლობა ძალიან კარგია იმ მხრივ, რომ რეჟიმში ვარ. დილის 9 საათზე ვიღვიძებ...





ისევ უკან მოვყავდი. ბოლოს, როცა მართლა ამტკიცდა მუცელი, საავადმყოფოში აღარ მივყვებოდი — იქნებ ისევ „ტყუილი განგაშია“ და სირცხვილია ექიმის შეწუხება-მეთქი, ვამბობდი.

რამაზი:

— ჩვენი პატარა ძალიან მშვიდია, საერთოდ არ ტირის. ან ჭმის, ან — სძინავს. დღეს ცოტა ადრე გაიღვიძა და ჩვენც დაგვაფუთიანა... სხვათა შორის, ხატის დასთან ჩერდება, ახლაც ძალიან მშვიდადაა... ალბათ გამოალაყა ნინომ, იმდენი არნია.

ხატია:

— ამას წინათ, ჩემი და გაბრიელას აძინებდა. შევედი ოთახში და ვხედავ, სანოლს ისე აქანავებს, ლამის კედელი გაანგრისო. რას შვრები-მეთქი?! შევეკითხე. დავაკვირდი და როცა ბავშვს თავი უყანყალებს, მაშინ უფრო კარგად იძინებსო, მიპასუხა. გაბრიელას კინალამ ტვიზის შერყევა დამართა (იციინია).

რამაზი:

— სახლში 3 ქალბატონის მეთვალყურეობის ქვეშ ვარ. სულ „მომართვით“ და „მომიტანეს“ ვიძახი. „შაქარდემი“ დაუბარა, ამ ბიჭს კარგად მოუარეთო და არაფერს მაკლებენ. როგორიც წარმომედგინა, ოჯახური ცხოვრება ზუსტად ისეთი ყოფილა. ეს კი ძალიან მაგარია.

ხატია:

— უკაცრიელ კუნძულზეც კი მშვენივრად ვიცხოვრებდი ჩემს შვილთან და რამაზთან ერთად... ჩვენთვის ახალი წელი 13 დეკემბერს დადგა, როცა ჩვენი პატარა დაიბადა. წელს ყველაზე მაგარი ახალი წელი მქონდა, რადგან არაჩვეულებრივ ადამიანებთან ერთად შევხვდი...

რამაზი:

— მთელი ცხოვრების განმავლობაში მეგონა, რომ ჩემთვის 13 რიცხვი ძალიან თარსი იყო. ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ყველაზე ბედნიერი ყოფილა. მე და ხატია 13-ში შევუღლდით და პატარაც 13-ში გვეყოლა. ურთიერთობა გავაოციციალურეთ თუ არა, ზუსტად ერთი თვისთავზე გაჩნდა გაბრიელა.

— **ნინ კიდევ ერთი, ძველით ახალი წელი გვაქვს და რას უსურვებდით ერთმანეთს?**

— ყველას ჯანმრთელობას ვუსურვებ. უფლისაგან დალოცვლები ყოფილიყვნენ და ჩვენს მტრებსაც დაგლოცავ, ღმერთმა ხელი მოუშაროთ.

ხატია:

— მინდა, ყველას ისეთი წრფელი და ძლიერი სიყვარული ეწვიოს, როგორიც მე და რამაზს გვაქვს. ჩვენზე მეტად თუ არა, ნაკლებად ბედნიერები არ ყოფილიყვნენ!

როგორ ხვდებიან საზღვარგარეთ მყოფი ქართველები ახალ წელს

სულ რამდენიმე დღეა, რაც მართლმადიდებლებმა შობის ბრწყინვალე დღესასწაული ვიზეიმეთ. ამ დღეს ზოგი ტაძარში, ზოგი კი შინ, ღია სარკმელში ანთებული სანთლით შეეგება. გადავწყვიტე, ჩემს რესპონდენტ ემიგრანტებს დავკავშირებოდი და გამეგო, რომელ ქვეყანაში როგორი საახალწლო თუ საშობაო ტრადიცია აქვთ. პირველ რიგში, მოსკოვში მცხოვრებ ყოფილ რესპონდენტს შევეხმიანე, რომელმაც მიპასუხა, რომ ინტერვიუს მოცემას აზრი არ ჰქონდა, რადგან მოსკოვშიც აბსოლუტურად ისე ხვდებიან ამ დღესასწაულებს, როგორც — თბილისში; მერე ინტერენტის მეშვეობით ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში მცხოვრებ მეგობარს დავუკავშირდი.

**ნათია ჟივიკი
ლალი პაპასკირი**

ნათია დვალისი:

— შობა ყველა კათოლიკე ადამიანისთვის უსაყვარლესი დღესასწაულია და ცდილობენ, ეს დღე ოჯახის წევრებთან ერთად გაატარონ. რაც შეეხება ახალ წელს, ვისაც საშუალება აქვს, აუცილებლად, საზღვარგარეთ მიემგზავრება, ძირითადი მასა კი ამ დღესასწაულს პირინის მთებში ხვდება; იქ კარგი სათხილამურო კურორტია და დროს მშვენივრად ატარებენ. ბარსელონაში მყოფი ახალგაზრდები ახალ წელს ქუჩაში ხვდებიან, მერე კი რესტორანში ან კლუბში მიდიან. ამ ღამეს კლუბები ისეთი გადაჭედილია, შესაძლოა, შიგნით შესვლაც ვერ მოახერხო. აქამდე ახალ წელს მეგობრების გარემოცვაში ვზეიმობდი, მაგრამ წელს დავოჯახდი — აქ მცხოვრებ ქართველს გავყევი ცოლად და გადავწყვიტეთ, წელს ეს დღესასწაული ჩვენი ტრადიციის მიხედვით აღგვენიშნა.

— ესპანელებს რაიმე განსხვავებული ტრადიცია თუ აქვთ?

— ნაძვის ხის ქვეშ დადებული საჩუქარი ალბათ, უკვე ყველა ერის ტრადიციაა. ერთადერთი, როცა საათის ისრები თორმეტს მიუახლოვდება, ყურძნის თორმეტ მარცვალს მიირთმევენ. ესპანელებს სჯერათ, რომ თუ ამ დროს სურვილს ჩაიფიქრებ, ის აუცილებლად აგისრულდება. სხვათა შორის, ეს ხერხი პირველად გასულ წელს მოვსინჯე და სურვილი ამისრულდა კიდევც...

— ესპანურ საახალწლო სუფრას რომელი ტრადიციული კერძი უნდა ამშვენებდეს?

— როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სუფრაზე აუცილებლად, შემწვარი გოჭი უნდა იდოს.

— ახალი წლის ღამეს ბარსელონის ქუჩებშიც ისევე შეიძლება აღკოპოლური სასმლის დაღვება, როგორც ეს საქართველოში ხდება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ მსგავსი



ნიკოლ გილმანი

რამ მხოლოდ პირველ და ორ იანვარს ხდება, სამში უკვე ყველა სამუშაოს უბრუნდება და მოსალხენად აღარავის ცხალია... სხვათა შორის, ესპანელებს კიდევ ერთი საინტერესო დღესასწაული აქვთ — 6 იანვარს მაგის ანუ იმ მეფეების დღეს აღნიშნავენ, რომლებიც იესოს ბეთლემში ძღვენით ეახლნენ. ბავშვები მაგიურ მეფეებს წერილს სწერენ და საჩუქარს სთხოვენ. აქაურ ბავშვებს სანტა-კლაუსი ისე არ უყვართ, როგორც მაგიური მეფეები. 6 იანვარს ბარსელონის ქუჩებში ტრადიციული საზეიმო სვლა ეწყობა ანუ მაგიური მეფეების სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდები ყველა ქუჩას მოივლიან და ხალხს ტკბილეულს ურიგებენ. მართლა საინტერესო სანახაობაა...

ირმა ბენიძე რამდენიმე წელია, ესპანეთის დაბა არნედოში ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ იქ ქართველების რიცხვი არც ისე ცოტაა და საეკლესიო თუ საერო ქართულ დღესასწაულებს ემიგრანტები ყველა წესის დაცვით აღნიშნავენ.

— ესპანეთში მცხოვრები ქართველები ახალ წელს საქართველოს



დროით ანუ მაშინ ვხვდებით, როცა აქ სალაშოს 9 საათია, 12 საათზე კი ყველასათვის საყვარელ დღესასწაულს უკვე აქაური წესით აღვნიშნავთ: ხალხი ქუჩაში იკრიბება. ხელში აუცილებლად, შამპანური და ბოკალი უჭირავთ, რომელშიც ყურძნის 12 მარცვლი ყრია და როცა საათი 12-ჯერ ჩამოკრავს, ყურძენს მიირთმევენ, თან — სურვილს ჩაიფიქრებენ ხოლმე. ამჯერად ახალ წელს ბილბაოში შევხვდით. ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გაშენებული ეს ულამაზესი ქალაქი ბასკეთს ეკუთვნის. იქ ყოფნისას ისეთი მეგრძნება მქონდა, თითქოს, საქართველოში ვიყავი: ქუჩებში მორთული ნაძვის ხეები იდგა. დაცვის თანამშრომლების წასვლის მერე, თითქმის ყველა სათამაშო და ლენტი მოიპარეს (იციინის).

— როგორაა ესპანეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების საახალწლო სუფრა?

— ისეთივე, როგორც საქართველოში გვაქვს ხოლმე, ოღონდ — აქაური პროდუქტებით მომზადებული. ესპანელები ძირითადად, კერძებს თევზისგან ან ზღვის პროდუქტებისგან ამზადებენ. ლარიოხის შტატი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ღვინის ინდუსტრიითაა განთქმული. ამბობენ, რომ საფრანგეთის შემდეგ, ყველაზე კარგი ღვინო აქ მზადდება და სხვათა შორის, საკმაოდ ძვირიც ღირს... საახალწლო სუფრაზე საცივიც გვაქვს, გოჭიც და გოზინაყიც. სამწუხაროდ, ხაჭაპურის მომზადებისას ძალიან ვწვალობთ — 4-5 სასეკობის ყველი უნდა ვიყიდოთ, რომ რაღაც გამოვიდეს.

— შობის დღესასწაულს ტაძარში შევხვდით?

— რა თქმა უნდა! ამ დღესასწაულის შესახებ დრად, ტაძარში დაახლოებით, 11 საათისთვის მივდივართ, წირვას ვესწრებით, მერე კი მსუბუქ ტორაპებს ვანყობთ. ამ დღისთვის საშობაო ღვეზელს, ნამცხვარს ვაცხობთ, ღორის ხორცს ვხარშავთ და ა.შ.

ქრისტეს შობის დღესასწაულს ესპანელები ტრადიციულად, ოჯახში ხვდებიან და რაც უნდა მოხდეს, სხვაგან არ წაველენ. მესას შემდეგ ვახშამი აქვთ — სენა. გარეთ ღამის 2 საათის მერე გამოდიან და ბარებიც მაშინ იღება.

— ქართველები 14 იანვარს თუ აღნიშნავენ?

— აუცილებლად! სხვათა შორის, ესპანელები ქართველებისთვის მნიშვნელოვანი დღესასწაულების, მაგალითად, აღდგომის მოახლოებისას შელავათს გვიკეთებენ და დასვენების ნებას გვაძლევენ. და კიდევ, მაშინ, როცა

ჩვენს ქვეყანაში ომი იყო, ესპანელებმა ქუჩაში დიდი ყულაბა დადგეს და ქართველების დასახმარებლად რამდენიმე ათასი ევრო მოაგროვეს... დაბოლოს, ყველა ქართველს ვულოცავ შობა-ახალ წელს. დაე, ღვთის წყალობა არ მოგვლებოდეთ, ჩვენი კი მალე დაგვბრუნებულ იყავით ლამაზ საქართველოში...

მიუხედავად უამინდობისა, როგორც საინფორმაციო გამოშვებების მეშვეობით შევიტყვევ, ყველაზე მეტი ტურისტისა ფრანგეთში ყოფილა. **ნანა ხაზარაშვილი** წლებია, პარიზში ცხოვრობს და იქაურ სადღესასწაულო წეს-ჩვეულებებზე სასაუბროდ ამიტომაც დაგუკავშირდა.

— ისევე, როგორც ევროპის ყველა ქვეყანაში, შობას აქაც, 25 დეკემბერს აღნიშნავენ, ამ დღეს ყველა საკუთარ ოჯახში ხვდება... აი, ახალ წელს კი აქ ბევრი ტურისტის ჩამოადის. წელს დათვალეს და მხოლოდ შანზელიზე 350 ათასი ადამიანი იყო შეკრებილი, ყველა ერთად ელოდა ახალი წლის დადგომას. 12 საათი როგორც კი ჩამოკრავს, ხალხი ერთმანეთს ეხვევა და დღესასწაულს ულოცავს, მიუხედავად იმისა, ერთმანეთს იცნობენ თუ არა. სხვათა შორის, აქაურები ახალი წლის ღამეს სენ-სილვესტრის ეძახიან. „სენ“ წმინდანს ნიშნავს, სილვესტრი კი რომაელი პაპი იყო...

— ალბათ, ეიფელის კოშკთან კონცერტებიც იმართება...

— ადრე მართლაც, უამრავი კონცერტი ტარდებოდა, მაგრამ წელს აღარ გამართულა...

— აბა, ახალ წელს ქუჩაში შევხვებით, მერე კი შინ წახვდით?

— არა. საერთოდ, მეგობრები წინასწარ ვიკრიბებით და ამ დღეს ვგეგმავთ, ვირჩევთ თემას და ყველას ამ სტილში გვაცვია ხოლმე. მაგალითად, წელს ჩვენი თემა 60-იანი წლების ჩაცმულობა იყო. ახალ წელთან შეხვედრის შემდეგ, „უცნაურად“ ჩაცმულობა ქუჩებში ვისერიწეთ, მერე კი ეს დღესასწაული ერთად აღვნიშნეთ...

— ამ დღესასწაულს ქართველები ერთად ხვდებით?

— არა, წელს ამ დღესასწაულს ფრანგ და ბელგიელ მეგობრებთან ერთად შევხვდი. აი, სტუდენტობის დროს კი ახალი წლის დადგომას თანამემამულეებთან ერთად ვხეივობდი. წელსაც, ჩემი ქართველი მეგობრები ერთად იყვნენ, ერთ-ერთის სახლში შეიკრიბნენ და აბსოლუტურად ქართული წვეულება მოაწყვეს.

— როგორც ვიცი, შვილიც გყავს.

— ნიკოლა ახლახან გახდა ერთი წლის, მაგრამ მასაც 60-იანელების სტილში ეცვა და ჩვენთან ერთად მოილხინა. ჩემ გვერდით იყო ჩემი მეუღლეც. აბა, ერთმანეთს გარეშე თუ ვიქნებით, ის რაღა დღესასწაულია?!

— ფრანგულ ტრადიციულ კერძებზეც მიწა გესაუბრო...

— საახალწლო სუფრას აუცილებლად უნდა ამშვენებდეს ისვის ღვინისგან დამზადებული კერძი, სახელწოდებით — ფუა-გლა. ეს ისეთივე დელიკატესია, როგორც, საქართველოში — ხიზილადა. ასევე, აუცილებელია სუფრაზე იდოს შემწვარი ინდაური ან ისვი, რომელსაც არ ყრიან და რაც მთავარია, საახალწლო სუფრას უნდა ამშვენებდეს ხამანკები და ფრანგული შამპანური... ყველა ქართველს ვულოცავ შობა-ახალ წელს. გული მწყდება, რომ საფრანგეთში არც 7 იანვარს ხდება რაიმე და არც — 14-ში, მაგრამ ჩემი ოჯახი ამ ორივე დღესასწაულს მაინც იხვიმებს.

ევროპის ქვეყნების მერე ამერიკითაც დავინტერესდი. ვიფიქრე, ყველაზე უჩვეულო ახალი წელი ალბათ, მაიაში იქნება-მეთქი, რადგან ამ დროს იქ 20-25 გრადუსი სითბოა. ამ ქვეყნის ტრადიციებზე ნიკოლ გილმანს ვესაუბრე.

— შობას ტრადიციულად, ოჯახში ვხვდებით. აუცილებელია, რომ ამ დღეს ყველა ოჯახის წევრი შინ იყოს. რაც შეეხება ახალი წლის დღესასწაულს, წელს მაიამის ქუჩებში საახალწლო კარნავალი გაიმართა და მშვენივრად გავერთეთ. კარნავალის შემდეგ 2011-ის შემობრძნება მშობლებთან, ძმასთან და მშობლების მეგობრებთან ერთად რესტორანში აღვნიშნეთ... ახალი წლის დადგომისთანავე მაიამის ყურეში რამდენიმე ლამაზად განათებული გემი შემოადის, საიდანაც ფეიერვერკებს ისვრიან... მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ცხელა, თოვლი არ მოდის და არც თოვლის პაპა გვყავს, აქაურ ბავშვებს სანტა-კლაუსი მაინც სტუმრობს და ნაძვის ხის ქვეშ საჩუქრებსაც უტოვებს. ამ დღესასწაულს თბილისშიც არაერთხელ შევხვედრივარ, მაგრამ მგონი,



ნიკოლა ახლახან გახდა ერთი წლის, მაგრამ მასაც 60-იანელების სტილში ეცვა და ჩვენთან ერთად მოილხინა



მაიამიში უფრო ლამაზი სანახაობა ენ-
ყოფა ხოლმე...

ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ქვეყ-
ნებში განსხვავებული ტრადიციები აქვთ
და ცხადია, იქ ახალ წელსაც განსხ-



ვავებულად აღნიშნავენ. თუ როგორ
ეგებებიან ამ დღესასწაულს იაპონიასა
და ჩინეთში, ამის შესახებ ქართველი
ემიგრანტები გვიამბობენ.

**თამარ ღარჩიაშვილი, ჩინე-
თი:**

— მოცეკვავე ვარ და ერთ-ერთ
ჩინურ შოუში ვმონაწილეობ. აქაურები
მიიჩნევენ, რომ ამ დღესასწაულის აღნიშ-
ვნის ტრადიცია მთელ მსოფლიოში,
მათი ქვეყნიდან გავრცელდა, უბრალო-
დ, დროშია ცვლილება: ჩინელები ახალ
წელს 17 იანვარსა და 19 თებერვალს
შორის, ახალმთავრობისას აღნიშნავენ.
გადმოცემის მიხედვით, ამ დღესასწაულს
ღარიბების ზეიმს უწოდებდნენ, რად-
გან ამ დღეს მიუხაფრებასა თუ მოხე-
ტიალე ადამიანებს მდიდრების სახლ-
ში შესვლა და სასურველი ნივთის აღება
შეეძლოთ. ახლა ეს ტრადიცია აღარ
არსებობს... ადგილობრივები ქუჩაში
საახალწლო მსვლელობებს აწყობენ და
ერთმანეთს საჩუქრებს უძღვნიან. დე-
კემბრის შუა რიცხვებიდან ქუჩები დამ-
ატებითი ფარნებით ნათდება, რომლებ-
საც ჰოროკოპის მიხედვით, 12 ცხოვე-
ლის ფორმა აქვს, წელიწადის სიმბო-
ლო (წლის ჰოროკოპის ნიშანი) კი საახ-
ალწლო ფარნების მთავარი თემაა...
ახალი წლისთვის აუცილებელი ატრიბუ-
ტია ფეიერვერკი. ჩინელები მიიჩნევენ,
რომ მათი ავეთქებით ბოროტ სულებს
აფრთხოებენ... ბოლო დროს მოდაში შე-
მოვიდა გეიმების დაქირავება და ერთ-
მანეთისთვის მიძღვნა. ამას შეძლებუ-
ლი ჩინელი მამაკაცები აკეთებენ და ეს
მათი მეუღლეებისგან ფარულად სუ-
ლაც არ ხდება... საახალწლოდ ჩინურ
ტრადიციულ სუფრაზე აუცილებლად
უნდა იდოს სუმი, ტკბილეული და ნუგ-
ბარი. სპეციალურად ამ დღისთვის დიდი

მონდომებით ინახავენ მწვანე თხილს,
რომლისგანაც წინასახალწლოდ წვნიანს
ამზადებენ. ახალი წლის სუფრას ამშ-
ვენებს ერთგვარი ტკბილი ფლავი მაკ-
ტოცუც, რომელიც ბრინჯის, ცხვრის
ან ხბოს ხორცის, შემწვარი
ბანანის, ქიშმიშისა და სხვა-
დასხვა ხილის ჩირისგან
მზადდება... საახალწლო
სუფრა სავსეა ზღვის
პროდუქტებითაც. ასევე,
ტრადიციულია ლოკოინ-
იანი ბლინიც, რომელიც
მხოლოდ ერთხელ გავსინ-
ჯე... შარშან ჩემი ინგლი-
სურის მასწავლებლის
ოჯახში, სტუმრად ვიყავი
მინვეული. არ ვიცოდი, რა
უნდა მიმეტანა და ბოლოს,
არჩევანი ხილსა და ტკ-
ბილეულზე შევჩერე. ჩემ-
და საუბედუროდ, მანდა-
რინი არ მიყვია, არადა,

თურმე, ახალ წელს მასპინძელს ორი
მანდარინი უნდა აჩუქო. ეს ტრადიცია
ჩინეთში ათასწლეულებს ითვლის,
წყვილი მანდარინი ოქროსთან ასოცირ-
დება... ერთი სიტყვით, ჩინელები გაო-
ცებული დავტოვე, სამაგიეროდ, იქიდან
მანდარინით დატვირთული წამოვედი.
მათი რწმენით, მთელი წარმატებულო-
ბა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი
აურა აქვს მანდარინის მწუქებელს... წელს
ემიგრანტებმა სავალო უხვი ქართული
სუფრა გავშალეთ და ჩინელებიც დავ-
პატივეთ. მწვადი და ხაჭაპური ძალიან
მოეწონათ, „ხვანჭყარაც“ დავალეგინეთ
და სადღევრძელოებიც ვუთხარით, რომ-
ლის თარგმნაც მე მომიხდა. ჰოდა, იმ-
დენი ვინვალე, სიმთვრალემ გადამი-
არა კიდევ; ბოლოს მრავალჯამიერიც
ვიმღერეთ, შემდეგ ვიცეკვეთ... ქეიფის
შემდეგ ყველამ საფულე ამოიღო და
ზრდილობიანად გვკითხეს: — რამდენი
უნდა გადავიხადოთო?... ისევ დავინყე
ჩემი სამეტყველო აპარატის წამება, —
ყველაფერი უფასო იყო-მეთქი, მაგრამ
ვერაფერი გაიგეს. ბოლოს ერთმა ხან-
დაზმულმა ჩინელმა, რომელსაც
საქართველოზე რაღაც ინფორმაცია
ჰქონდა, მითხრა: — ჩვენ საკმაოდ
ძლიერი სახელმწიფო გვაქვს, თქვენ კი
განვითარებადი ქვეყანა გაქვთ და ასე
რაატომ იხარჯებითო?!

ზაზა მარღიაშვილი, იაპონია:

— იაპონელები საახალწლო თადარი-
გს დეკემბრის პირველივე რიცხვიდან
იჭერენ, რადგან ქვეყანაში საზეიმო
განწყობილება 28 დეკემბრიდან იგ-
რძნობა; ამ რიცხვში ხელისუფლება უქმე
დღეებს აცხადებს: ისვენებენ ფირმები,
კერძო კომპანიები, ბანკები, სავაჭრო
ცენტრები, ჩვეულ რეჟიმში მუშაობას
მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორ-

ტი, პოლიცია და სამედიცინო დაწესე-
ბულებები აგრძელებს. იაპონელები საახ-
ალწლოდ თითქმის ყველა ქუჩასა და
სკვერს რთავენ... მართალია, ბოლო
წლებში ამ დღესასწაულს აქაც ევროპ-
ულად აღნიშნავენ, მაგრამ ქუჩებში
აუცილებლად მოისმენთ ტრადიციულ
მილოცვასაც — „ო, სეგაცუ...“ ახალი
წლის ღამეს ბუდისტურ ტაძრებში 108-
ჯერ რეკენ უზარმაზარ ზარს. ვიკითხე,
— მაინცდამაინც 108-ჯერ რატომ-მეთ-
ქი? ამ კითხვაზე პასუხი ვერავინ გამცა.
მერე ვიღაცამ ამისხნა: ყოველ ადამი-
ანს 6 ნაკლი აქვს — გაუმადლობა,
სიავე, სისულელე, ქარაფშუტობა, გაუბე-
დაობა და სისარბე. ეს ნაკლები თვრამეტ-
ნაირად იყოფა და ზარის ყოველი
დარეკვისას ადამიანების ამ თვისებებ-
ისგან განწმენდა ხდებაო... 31 დეკემბერს
ყველა ალაგებს სახლს — ეს არის
რიტუალი, რომელშიც ოჯახის ყველა
წევრი მონაწილეობს... საახალწლოდ
იაპონელები ერთმანეთს ღია მისალოც
ბარათს უგზავნიან და რა გასაკვირია,
რომ ამ დღეს იქ 1 მილიარდზე მეტი
მისალოცი ბარათი იყიდება... იაპონე-
ლი ახალგაზრდები ახალ წელს თავისე-
ბურად ხვდებიან: ჯერ პრემიერ-მინის-
ტრის საახალწლო მილოცვებს ისმენენ,
შემდეგ შამპანურს სვამენ, მერე კი მთე-
ლი ღამე ბარებსა და კლუბებში ერ-
თობიან.

**— ტრადიციული სუფრა არ იშლე-
ბა?**

— სუფრას ახალი წლის შემოსვლის
შემდეგ, პირველ იანვარს შლიან.
იაპონელების საახალწლო სუფრაზე
აუცილებლად უნდა იყოს სხვადასხ-
ვანაირად მომზადებული ნუგბარი,
რომელსაც ხის კოლოფებში აწყობენ.
ასევე, აუცილებელია კერძის — ოსეჩის
მომზადება. სხვათა შორის, ამ კერძს
ზოგი ზღვის პროდუქტებისგან ამზა-
დებს, ზოგიც — ტკბილეულისგან.
იაპონელები ამ დღეს ბამბუკის წვენი-
სგან მომზადებულ სასმელს მიირთმევენ.
ასევე, სუფრას უნდა ამშვენებდეს საახ-
ალწლო წვინანი... 2 იანვარს, ტრადი-
ციულად, იაპონიის საიმპერატორო კარი
ერთი დღით იღება — იქ ყველას შეუ-
ძლია შესვლა და იმპერატორისა და
მისი ოჯახის წევრების ნახვა... სავაჭრო
ცენტრები 2 იანვრიდან იღება, მაგრამ
ქვეყანა ჩვეულ რეჟიმს მხოლოდ 4-5
რიცხვიდან უბრუნდება... მეოთხე წე-
ლია, აქ ვცხოვრობ. ვინაიდან იაპონია-
ში ქართველები ძალიან ცოტანი ვართ,
ახალ წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნების
წარმომადგენლებთან ერთად აღვნიშ-
ნავთ. ვიცი, საქართველოში ეს არავის
ესამოვნება, მაგრამ ძალიან ბევრი რუსი
მეგობარი მყავს და ისინი ახალ წელს
ჩვენთან ერთად, ქართულად აღნიშნავენ.



სიყვარულით უაქმნილი ოჯახის სიმდიდრე

რამიშვილების 7-შვილიანი ოჯახის გაცნობის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ წრფელი სიყვარული ადამიანებს ყოველგვარი ყოფითი პრობლემის დაძლევაში ეხმარება და ბრძოლის უნარს მატებს. ამ ოჯახის უმცროსი წევრები — 14 წლის ტყუპი, შოთა და პავლე ვანის რაიონის სოფელ შუამთაში, მეგობრის ოჯახში სტუმრობისას გავიცანი. მეგობრის მამამ, ვანის კოლორიტმა და ცნობილმა ლოგბარმა, იური კორძაძემ სტუმრებს სიურპრიზი მოგვინყო — იმერული ხორავით გაშლილ სუფრასთან ტრიო „იმერეთის“ თანხლებით მიგვიპატიჟა.

„რძლავს რომ მოვიყვან, მაშინ ვიქნები გალადეული...“

სათუნა ბახტურიძე

ტრიოს წევრი ძმები რამიშვილები ბატონი იურის მონაფეები არიან და როგორც საუბარში გაირკვა — უკვე ხელოვნების აკადემიის ლაურეატები, სტიპენდიანტები, არაერთი კონკურსის პრიზიორები და არტ-გენის ფავორიტებიც. ყველა წარმატებაზე მეტად, ბავშვებს ის უხარიათ, რომ გასული წლის 4 აპრილს რამდენიმე სიმღერა საპატრიარქოში, თავად უწმინდესისა და უნეტარესისთვის შეასრულეს. მასპინძლისგან ისიც შევიტყვე, რომ ტყუპ ძმას კიდევ ხუთი დედამამიშვილი, მათ შორის — ტყუპი დაც ჰყოლია და გადავენყვიტე, სტუმრად ბიჭების ოჯახშიც მივსულიყავი. მათი მშობლები — 54 წლის ამირანი და 45 წლის ინგა სიხარულით შემხვდნენ...



54 წლის ამირანი და 45 წლის ინგა სიხარულით შემხვდნენ...

ინგა:

— ჩვენი უფროსი შვილი, სოფო უკვე 27 წლისაა, ფიქრია — 24-ის, ნათია — 18-ის, ტყუპი — ხატია და თათია 16 წლისანი არიან, შოთა და პავლე კი 14-ის. უკვე სამი შვილიშვილიც გვყავს, არადა, ჩემი და ამირანის პირველი შეხვედრა გუმინდელი დღესავით მასსოვს.

ამირანი:

— ის დღე მეც გუმინდელივით მასსოვს: ზაფხული იყო, შუამთის ცენტრში გოგონა დავინახე, მეგობრებთან ერთად მოდიოდა, თავზე ცილინდრი ეხურა და ნაყინს მიირთმევდა; საოცრად ლამაზად იყო... მაშინვე მივედი, ნაყინზე დავეწვიე, იმ დღის შემდეგ კი აღარც მოვცილებივარ. სხვათა შორის, ის ცილინდრი ჩემს მანქანაში სამი წელი იდო...

როცა ინგა გავიცანი, 26 წლის ვიყავი, ის კი მეათე კლასის მოსწავლე გახლდათ და უჩემოდ ნაბიჯს ვეღარ დგამდა, ყველგან მიყვებოდი... პროფესიით ხელოსანი ვარ. ერთხელ ვანში, ექიმ ლილი გორგაძის სახლში ვმუშაობდი. მას ბუხრის თავზე შემოდგმულ ლარნაკში ულამაზესი ყვავილის ტოტი ჰქონდა ჩადებული. ვთხოვე, — ლილი ექიმო, ეს ყვავილი მაჩუქეთ-მეთქი. გაცუბულმა მკითხა, — რად გინდაო? — შეყვარებულის ეზოში უნდა ჩაერგო-მეთქი. მაშინვე მომცა. დაღამებას დაველოდე, მერე კი ყვავილის ტოტი ინგას ეზოში, კართან ახლოს დავრგე. დილით ინგას მამას გოგონებისთვის (ჩემს მეუღლეს და ჰყავს) უკითხავს: ყვავილებს რომელს შეგპირდნენ? აგერ, ეზოში დაურგავთ და მიხედეთო. გოგონებმა ყვავილი ქოთან-

ში ჩარგეს. სხვათა შორის, დღემდე ხარობს.

— ინგა მოიტაცეთ თუ—

— არა, რას ამბობთ?! ქალს შენთან ცხოვრების სურვილი თუ არა აქვს, ეს როგორ უნდა დააძალო? ოჯახი სიყვარულით შექმენით. ვიცოდი, ინგას როცა ვეტყოდი, მაშინ გამომყვებოდა, მაგრამ მისი ოჯახის წინაშე მოვალეობა მოვიხადე და მშობლებთან ერთად, საცოლის ხელის სათხოვნელად მივედი. უფროსებმა ლაპარაკი დაიწყეს, მე კი ავდექი და ტელევიზორი ჩავრთე. ინგას დეიდამ შეიცხადა, — ამან აქანე უკვე ოჯახობა დეიწყოო. მახსოვს, იმ დღეს მამა ქორწილზე ლაპარაკობდა, სასიამაორო კი უმტკიცებდა: ინგა ჯერ გასათხოვარი არ არის, თბილისში უნდა გაფუშვა, სასწავლებლადო. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ვუთხარი, — ვერც ეგ დაუდებს გულს სწავლას და ვერც მე ვიმუშავებ, თუ ინგა ახლოს არ მეყოლება; ჰოდა, ქორწილი 25 რიცხვისთვის მექნება! თუ ჩემს ჭკუაზე წამოხვალთ, ხომ კარგი, თუ არა და, ჩემს ოჯახში ვერ შემოხვალთ-მეთქი, — ეს ვთქვი, კონიაკი დავლიე, შოკოლადიც მივირთვი და ოთახიდან გამოვედი. მეორე დღეს ვანში ინგას დედა და მამა შემხვდნენ. სასიამოვნოდ

მისალმებისთანავე მკითხა, — ნუხელ რაც თქვი, მასწრობდი თუ მართლა ამბობდიო? ვუპასუხე, — სამასხროდ არ მცალია-მეთქი. — მაშინ საღამოს, მშობლებთან ერთად ამოდიო. ვუპასუხე, — ჩემი მშობლები მაგ საქმისთვის აღარ ამოვლენ, მე კი, თუ გინდათ, ყოველდღე ვივლი-მეთქი. იმ საღამოს მართლაც ვენვლე ინგას ოჯახს და კარგადაც მოვილხინეთ, ორ კვირაში კი ვიქორწინეთ.

— ინგა თქვენთვის პირველი სიყვარული იყო?

— დიას, პირველი, ნამდვილი და ნატურალური! დარწმუნებული ვარ, უკანასკნელიც ეს არის. უკვე 27 წელია, ერთად ვართ და ინგას ლალატი გულშიც არ გამივლია, ერთმანეთი ძველებურად გვიყვარს.


— ყოფილი პრობლემების გამო უთანხმოება არასდროს მოგსვლიათ?

ინგა:

— არა და მეტსაც გეტყვით — როცა ძალიან გაგვიჭირდა და ბავშვების გამოკვების პრობლემის წინაშე დავდექით, ვიფიქრე, — კიდევ კარგი, იმ ადამიანთან ვცხოვრობ, ვინც მიყვარს, თორემ ამდენ პრობლემას როგორ გადავიტანდი-მეთქი?! ერთმანეთისთვის საყვედურიც არასდროს გვითქვამს... ღვთის მაღლიერი ვარ, მოსიყვარულე



ვანის კოლორიტმა და ცნობილმა ლოგბარმა, იური კორძაძემ სტუმრებს სიურპრიზი მოგვიწყო



უპრეტენზიო ბავშვები არიან და რაც აქვთ, იმით კმაყოფილდებიან

ქმარი და ჯანმრთელი შვილები რომ მყავს. ყველას ვურჩევ, სიყვარულზე წინ არაფერი დააყენონ. მერწმუნეთ, ნამდვილი სიყვარული ადამიანებს ყველა წინააღმდეგობას დააძლევინებს!.. ბავშვებიც ძალიან თბილები, ყურადღებიანები და უკონფლიქტოები არიან. მეზობლები სწორად მეუბნებიან, — შენს სახლში 7 კი არა, ორი ბავშვიც თუ ცხოვრობს, ვერავინ იფიქრებსო; აქედან მხოლოდ სიმღერის ხმა გადის.

— ოჯახში ყველა მღერით?

— შეძლებისდაგვარად, ყველანი ვმღერით, ეს გენში გვაქვს: დედაჩემი და მისი ცხრა დედამამშვილი საუცხოოდ მღეროდნენ, მამამთილიც კარგი მომღერალი გახლდათ.

— სიმღერის პროფესიულ დონეზე შესწავლა მხოლოდ ბიჭებმა რატომ გააძაწყიტეს?

ამირანი:

— როდესაც ნაბახუსევი ვიყავი, ბიჭებს ლოგინში ჩავიგორებდი და ერთად ვმღეროდით. პირველად მათ „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ ვასწავლე. ერთხელ, შუამთის ცენტრში იურის შევხვდი და ვთხოვე, — ჩემს ბაღებს მოუსმინე, ეგებ მათგან რაღე გამოვიდეს-მეთქი. — რაზეა ლაპარაკი?! მეორე დღესვე ვანვიე ბიჭები, ტყუბ გოგონასთან ერთად. იურის ყველა მოენონა, მაგრამ გოგონებმა თავად არ მოინდომეს სიმღერა; ასე მითხრეს, — ჩვენ სხვა გეგმები გვაქვსო. შოთა და პავლე გულმოდგინედ მოეკიდნენ ამ საქმეს, ღვთის ნყალობით. სამწუხაროდ, ჩვენ ისე ვერ ვეხმარებით, როგორც საჭიროა, მაგრამ იმედი გვაქვს, თავიანთი ნიჭის ნყალობით რაღაცას მაინც მიაღწევენ.

ნება:

— იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ კონკურსებზე გავუშვათ. ჰოდა, რამდენჯერმე მეზობლებმა შეუგროვეს ფესტი-

ვალზე თუ კონცერტზე გასამგზავრებელი ფული.

— ადგილობრივი ხელისუფლება, როგორც მრავალშვილიანებს, არაერთ გეხმარება?

— როგორც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფები, შემწეობას ვიღებთ, სხვა დახმარება არ გვაქვს... კიდევ კარგი, უპრეტენზიო ბავშვები არიან და რაც აქვთ, იმით კმაყოფილდებიან. სხვათა შორის, ერთმანეთზე ზრუნვაც ისწავლეს. მაგალითად, ამას წინათ, შოთიკოს და პავლეს ერთ-ერთ კონცერტზე მობილური ტელეფონები და ნიგნები (ქართული პროზის საგანძური) აჩუქეს. შოთიკომ მაშინვე თქვა, — ჩვენ ერთი ტელეფონიც გვეყოფაო და მეორე ტყუბ დას აჩუქეს, ნიგნის ერთი ეგზემპლარი კი მეზობლის გოგოს მისცეს. ის ბავშვი სიხარულისგან ლამის გაგიჟდა — ბეჯითი მონაფეა, კარგად სწავლობს, მის მშობლებს კი იმის საშუალება არა აქვთ, რომ კლასკარეზე ლიტერატურა უყიდონ. ღვთის მადლიერი ვარ, ჩემი შვილები გაჭირვებამ რომ არ გააბოროტა.

— ბატონო ამირან, ბიჭი თავიდანვე რომ შეგქნოდათ, მაინც გახდებოდით მრავალშვილიანი მამა?

— არ ვიცი... ისე, სწორედ ბიჭის მოლოდინში მოვუყარე თავი 7 შვილს. აბა, რა აზრი აქვს იმ კაცის ცხოვრებას, ფუძეზე ვაჟი რომ არ ეზრდება? გოგო მაინც, სხვისი ნაცარია.

— დედაც ასე ფიქრობს?

ნება:

— არა, მე შვილებს ვერ განვასხვავებ.

ამირანი:

— შვილებს არც მე ვანსხვავებ, უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ გვარს გამგრძელებელი უნდა... მიუხედავად იმისა, რომ უკვე სამი გოგონა გყავდა, ინგამ მეოთხე ორსულობის დროსაც არ გაიკეთა ექოსკოპია. აბა, რა მნიშვნელობა ჰქონდა, გოგო იქნებოდა თუ ბიჭი, როცა ბავშვს მოსამორებლად ვერ გავიმეტებდით! სამშობიაროში მისულეხს, ექიმებმა ფეხმძიმობის ისტორია მოგვთხოვეს და როცა გაიგეს, არ ჰქონდა, ლამის გაგიჟდნენ. მათ ჩემი კლასელისთვის, რომელიც ასევე, სამშობიაროში მუშაობს, უკითხავთ: — ესენი ნორმალურები თუ არიან? ქალი არც კონსულტაციასზეა ნამყოფი და არც ის იცის, გოგოს აჩენს თუ ბიჭსო... მეოთხე შვილის მოლოდინში, გულშემატკივრებთან ერთად სამშობიაროს ეზოში ვიდექი, ექთან რომ გამოვიდა. მაშინვე ვუთხარი, — ალბათ, ისევე გოგო შემეძინა-მეთქი. გაეცინა და მიპასუხა, — გოგო კი არა, გოგონებო. ტყუპის დაბადება მართლა ძალიან გამიხარდა და სახე გამეხადრა. ექთანმა კი ცერა თითი საფეთქელთან მიიღო და დაიტრიალა

(იცინის)... ინგა მეხუთედ 3 წლის შემდეგ დაფეხმძიმდა. რომ მითხრეს, — ტყუბი ბიჭი შეგეძინაო, არ ვიჯერებდი, რალაც გეშლებათ-მეთქი...

— როგორც გავიგე ქალიშვილი 14 წლის ასაკში გავითხოვდათ. ეს თქვენი თანხმობით მოხდა?

ნება:

— არა, რას ამბობთ, 14 წლის ბავშვს ჩვენი თანხმობით როგორ გავათხოვებდით?! გაგეგმარა და 15 წელი ქმრის ოჯახში შეუსრულდა. მის ტანსაცმელს რომ ვუყურებდი, ტირილი მინდოდა.

ამირანი:

— მახსოვს, იმ დღეს, როცა გაიპარა, დილით ეზოში დადიოდა და რაღაცაზე ეცინებოდა. ვუთხარი, — ნათია, უშნოდ ნუ ყვირტავ მაგ თვალებს; იცოდე, ჭკვიანად იყავი-მეთქი. საღამოს დამირეკეს და მითხრეს, მოიტაცესო. საქმეში მაშინვე პოლიცია ჩავრეე და იმ დღესვე ვიპოვეთ, მაგრამ რად გინდა — სახლში რომ მივადექი, ჩემი შვილი ვენახებში დამემალა. პოლიციამ, — თავისი ნებით არის ნამოსული და ჩვენ ვერაფერს გავხდებითო... ჩემი სიძე კარგი ოჯახის შვილია. ვეხვეწე, ვემუდარე, — გამატანე ჩემი შვილი, ღარიბ-ღატაკი კაცი ვარ, მოყვარედ ვერ გამოგადგები-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა? მეც ავდექი და გაეჭიმე — „ბუღი“ რომ ჩავივარდებო ხელში, მჭადს ხომ არ დაუწყებო ტეხას?..

ნება:

— ნათიას გაპარვის ამბავი მონელეული არ გვექონდა, მეორე ქალიშვილიც რომ გაგვეპარა.

ამირანი:

— ნათია 15 წლის რომ გახდა, ქმრის ოჯახმა დაბადების დღე გადაუხადა და რა თქმა უნდა, ჩვენც მიგვიწვიეს. თურმე, იმ დღეს ფიქრიასთვის ჩემი სიძის ახლობელს დაუდგამს თვალი. გადავიკვიდა სიძე, — ფიქრია ცოტა ხნით დაგვიტოვო, მაგრამ არ დაგუტოვო. 10 დღეში ჩამომავითხეს და ორდღიანი მოლხენის შემდეგ, სიძე ისევე გადავიკვიდა, — ფიქრია ცოტა ხნით გაგვატანეო. ერთი კი ვუთხარი, — მიფრთხილდი, ვინც ნაყვანილი გყავს, ისიც არ დაგატოვებინო-მეთქი, მაგრამ თავისი გაიტანა და ფიქრიაც წაიყვანა. რას ვიფიქრებდი, სულ თუ მიჰყავდა? ათ დღეში დამირეკეს და მითხრეს, — ფიქრია გაითხოვდაო. ახლა ღიმილით ვყვები ამ ყველაფერს, მაგრამ მაშინ ძალიან ბევრი ვინერვიულე, ტელეფონი ხელიდან გამივარდა და ამ ხნის კაცმა მოთქმით დავინყე ტირილი. ეჰ, ჩემი გოგონების გადავიკვიდე ალბათ, კიდევ მეღის გულიანი ტირილი. არა უშავს, სამაგიეროდ, რძლებს რომ მოვიყვანე, მაშინ ვიქნები გალალეული...



წლის სუპერბები და სუპერბაბუა გამოავლინეს

„ჩვენი სიბერის დამარცხება შვეკლით“

ახალი წლის დღესასწაული „კათარზისში“ კარნავალით აღნიშნეს. ამ შენობის პირველ სართულზე მოხუცების ხელით მორთული, ლამაზი ნაძვის ხე დგას. ცეკვა-სიმღერამ და იუმორმა მოხუცები კარგ განწყობილებაზე დააყენა. მართალია, დღესასწაულმა ხალისიანად ჩაიარა, მაგრამ მოხუცები განსაკუთრებით, 5 იანვრის კონკურსისთვის ემზადებოდნენ, ყოველდღე რეპეტიციებს გადიოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მაყურებლის წინაშე ღირსეულად წარმდგარიყვნენ. „კათარზისში“ სუპერბებისა და სუპერბაბუას შესარჩევი კონკურსის ჩატარება ტრადიციად იქცა — წელს უკვე მეშვიდედ გაიმართა.



ჟიურიმ 24 მონაწილეს შორის 2010 წლის სუპერბები და სუპერბაბუა შეარჩია

თბა სურსილავა

5 იანვარს „კათარზისის“ სალონში რიგი იდგა — სტილისტები მოხუც ქალბატონებს თმას უვარცხნიდნენ, გაპრანჭვაში ეხმარებოდნენ. კონკურსის მონაწილე აუცილებლად, 70 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო და ჟიურის წევრები ცეკვით ან სიმღერით მოეხიბლა... მოხუცებმა ლამაზი კონცერტი გამართეს და საზოგადოება ალაფრთოვანეს, დარბაზში აპლოდისმენტები, ოვაციები არ ცხრებოდა. ცნობისათვის, საღამოს მსახიობი ნანული სარაჯიშვილი უძღვებოდა. კომპეტენტურმა ჟიურიმ 24 მონაწილეს შორის 2010 წლის სუპერბები და სუპერბაბუა შეარჩია, მათ თავზე ლამაზი გვირგვინი დაადგეს და სამასოვრო ფოტოებიც გადაუღეს.

საჩუქრის გარეშე არც სხვა კონკურსანტები დარჩენილან, მაგრამ როგორც მოხუცებმა აღნიშნეს, — მთავარი გამარჯვება და საჩუქარი კი არა, კონკურს-

ში მონაწილეობა იყო. ამით ხომ სიხარული სხვებსაც მივანიჭეთ და საკუთარ თავსაცო.

სხვათა შორის, ამ ადამიანების დევიზი ასეთი გახლდათ: „ჩვენ სიბერის დამარცხება შეეძლებოდა!“

ციური პაპაბაძე, 77 წლის სუპერბები:

— 3 წლიდან ვმღერი. „კათარზისში“ გამართული სანახაობის რეჟისორი ილია ნიშნიანიძე გახლავთ. აქ ხშირად ტარდება კონცერტი, რომელშიც მეც ვმონაწილეობ. რამდენიმე თვის წინ რუსთავის ერთ-ერთ სკოლას ვენვეით და ახალგაზრდებს კონცერტი გაუმართეთ. პირადად მე, ჯერ — „სულო, რა მოგივიდა“ ვიმღერე, შემდეგ კი დუეტში ორი სიმღერა: „მხოლოდ შენ ერთს“ და „ქალო, გნახე ფეხშიშველი“ შევასრულე... ეტყობა, სცენაზე დგომას უკვე მიეჩვენებ და დღეს აღარ მინერვიულია... სიმღერით გავიზარდე და ალბათ, სიმღერითვე დავამთავრებ ცხოვრებას.

— **რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა სუპერბების გვირგვინი დაგადგეს?**

— ძალიან ლამაზი, დაფინით განწყობილი გვირგვინი რომ გადმომცეს, ამით უზომოდ ბედნიერი ვიყავი. ეს საპატიო ტიტულია და ალბათ, დამსახურებულად მომანიჭეს. სასიამოვნოა, როცა გაფასებენ და უყვარხარ... შვილთან და შვილიშვილებთან ერთად ვცხოვრობ. მათ იციან, რომ სიმღერა მიყვარს და აქ რეპეტიციაზე კვირაში ორჯერ მოვდიოდი. სხვათა შორის, ჩემი შვილ-

იშვილი კარგად მღერის, გიტარაზეც უკრავს... კარგია, ფულადი პრიზიც რომ გვერგო. პირადად მე, 300 ლარი, ვერცხლის ყელსაბამი და სხვა საჩუქრები გადმომცეს.

იური მირაზოვი, 76 წლის სუპერბაბუა:

— პლესანოვზე დავიბადე და გავიზარდე. ადრე გუნდში კახურ სიმღერებს ვმღეროდი. „კათარზისში“ ლოტბარი უშანგი მუშაობდა და აქ მან მიმიღო. სამწუხაროდ, ის კარგა ხანია, გარდაიცვალა... ამ კონკურსში მონაწილეობა მეოთხედ მივიღე. წლების წინ ჩემი მეგობარი, ბიჭიკო დავარაშვილი საცხოვრებლად ისრაელში წავიდა. გასულ წელს სტუმრად ჩამოვიდა, სიმღერა მომცა და მითხრა: — იურა, კონკურსზე ეს სიმღერა შეასრულე და აუცილებლად გაიმარჯვებ; საქართველოდან წასულ ებრაელებს საოცარი ნოსტალგია აქვთ და ეს სიმღერა — „ნოსტალგია საქართველოზე“ — მათი დაწერილია, გული მართლა აქ დარჩათო. სიმართლე გითხრათ, გამარჯვება დიდად არ მაინტერესებდა — სიმღერა მიყვარს და სცენაზე ამიტომაც გამოვედი, მაგრამ გამიმართლა, მეგობრის შერჩეულმა სიმღერამ გამარჯვება მომიტანა. ძალიან სასიამოვნოა, როცა ასეთ საპატიო ტიტულს იღებ. სუპერბები და სუპერბაბუა რესტორანშიც მიგვინვიეს, ჟიურის წევრებთან ერთად... ადრე სცენაზე გასვლის წინ ძალიან ვღელავდი, მაგრამ უკვე ყველაფერს შევეჩვიე, მაყურებლის წინაშე თავს თავისუფლად ვგრძნობ.



მოხუცებმა ლამაზი კონცერტი გამართეს და საზოგადოება ალაფრთოვანეს



გულიყო რომანოვილი, ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდენტის მოადგილე:

— ნელს კონკურსი ძალიან წარმატებული და მასშტაბური გამოვიდა — ლონისძიებაში არა მარტო თბილისის სხვადასხვა თავშესაფრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, არამედ მოხუცები სხვადასხვა კუთხიდანაც — თელავიდან, ახალციხიდან, თეთრიწყაროდან, საჩხერეიდან — ჩამოვიდნენ. კონკურსი ორ ნომინაციაში ჩატარდა; მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა 70 ნელს გადაცილებულ ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ცეკვა ან სიმღერა შეეძლო. ცხადია, კონკურსში ჩვენი თავშესაფრის ხანდაზმულებიც მონაწილეობდნენ. მართალია, ამჟამად არც ერთი მათგანი აქ არ ცხოვრობს, მაგრამ ჩვენი ბენეფიციარები არიან, მთელ დღეებს აქ ატარებენ და სახლში გვიან ღამით მიდიან... 31 იანვარს კარნავალიც გვქონდა. ჩვენი ერთ-ერთი ბენეფიციარი სანტა-კლაუსის ფორმაში გამოვანწყვეთ, საჩუქრებით სავსე ხურჯინი მივეციტ და მოხუცები გავახარეთ; ყველამ ერთად, კარგად ვიმხიარულეთ. ნელს კონკურსში 24 ხანდაზმული მონაწილეობდა. გამარჯვებულებს 300-300 ლარი გადაეცაოთ, ხოლო დანარჩენი მონაწილეები ტუბილულით, საჩუქრებითა და 50 ლარით დასაჩუქრდნენ. საჩუქარმა თითოეული მოხუცი ბავშვივით გაახარა, ისინი საოცრად ემოციურები არიან. სხვათა შორის, ამ დღეს ყველანი ძალიან ლამაზები იყვნენ.

7 იანვარს „კათარზისში“ 2000-მდე მოხუცს და სოციალურად დაუცველ ადამიანს ცხელი სადილით გაუმასპინძლდნენ; ეს საჩუქარი მათ „ავერსმა“ გაუქვია.

გულიყო რომანოვილი:

— ამ დღეს ძირითადად, სოციალურად დაუცველები, ოჯახის წევრებთან ერთად მოდიან და სადილობენ. ძირითადად, ერთი და იგივე ხალხი მოდის, მაგრამ მათ რიგებს ახალი სახეები ყოველთვის ემატება. ძველით ახალ ნელს ასეთ სადილს „ბეკო“ დააფინანსებს, 19 იანვარს კი „თბილისის წყალი“. ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ მოხუცებს ჩვენი მზრუნველობა და მხარდაჭერა ესაჭიროებათ.


P.S. დღეს „კათარზისში“ 385 ბენეფიციარი ჰყავთ, თავშესაფარში კი მხოლოდ 12 ქალბატონი ცხოვრობს. „მეც დავბერდები“ — ამ პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მშენებლობა და სულ მალე, 50 ხანდაზმულისთვის იქ კარგი საცხოვრებელი პირობები შეიქმნება.

წინაპართა კვლდაკვალ

ჩვენმა თანამემამულემ, ჟურნალისტმა და მთარგმნელმა ირმა ბერშიძე-ქიმერიძემ, რომლის სახელიც „გზის“ მკითხველისთვის გერმანელი ტყვეების შესახებ გამოქვეყნებული სტატიითაა ცნობილი, ამჯერად ქართველი ემიგრანტის შვილის წერილი მოგვანოდა, რომელიც ნათესავეების მოძებნაში დახმარებას გვთხოვს.



ილარიონ ჯაში



ლიდია ჯაში

მარიო ირაკლი ჯაში
— 1948 წელი. ბერლინი დანგრეულია. თვალწინ მიდგას ასეთი სცენა: ახალგაზრდა კაცი მიდის სახლში. მეზობელი აუწყებს, რომ მისი ნახვა გრძელ ტყავის ლაბადაში გამოწყობილ კაცებს სურდათ. კაცი ბინაში აღარ შედის, შეტრიალდება და მიდის — ტოვებს ბინას, ტოვებს ბერლინს...

ეს ამბავი მამჩემს — რაფაელ ჯაშს გადახდა თავს. ის წარმოშობით ქართველი იყო და საქართველოდან XX საუკუნის 20-იან წლებში წავიდა. ომის დროს ჯერ ტუნისში, მერე საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი ისევ გერმანიაში დაბრუნდა და გერმანელი ქალი შეირთო ცოლად. მათ

სამი ვაჟი შეეძინათ... ჩვენ ჯერ კიდევ 80-იან წლებში ვცადეთ, საქართველოში ნათესავეები გვეპოვა, მაგრამ — უშედეგოდ. მერე ძებნა ინტერნეტის საშუალებითაც გავაგრძელებთ; სამწუხაროდ, არც ამან გამოიღო შედეგი. ახლა ვცდილობთ, ქართული ჟურნალ-გაზეთების დახმარებით მივალნით მიზანს. იმედი გვაქვს, ჩვენი მამიდების შთამომავლებიდან ვინმე მაინც წაიკითხავს ჩემს წერილს და გამოიმეხმარება.

რაფაელ ჯაში დაიბადა 1902 წლის 18 ივნისს (იულიუსის კალენდრის მიხედვით), შესაბამისად — 1902 წლის 1-ელ ივლისს (გრიგორიანული კალენდრის მიხედვით), ქედაბეგში (პას-



ბარბარა ჯაში



არქელავა ჯაში



პორტში დაბადების ადგილად ეს სახელია ჩანერ-ილი).

ის სუთი შვილიდან ყველაზე უმცროსი იყო. ლუარსაბი, მოფერებით ლაშა, დაბადებული 1893 წლის 30 სექტემბერს, და-ძმას შორის ყველაზე უფროსი იყო. მას მოსდევდა სამი და: პილარია, დაბადებული 1895 წელს, ბარბარე (მოფერებით ვავა), დაბადებული 1897 წელს და არქელაია, დაბადებული 1900 წელს (მათი ზუსტი დაბადების თარიღები ჩვენთვის ცნობილი არ არის).



პილარია ჯაში



ლარსა ჯაში



ლურსაბ ჯაში

ბაბუაჩემი, ილარიონ ჯაში დაბადებულია 1863 წელს, ბასილეთში, გარდაცვლილი უნდა იყოს დაახლოებით 1913 წელს. მას ცოლად ჰყავდა ლილია ბრაკერი, დაბადებული 1867 წელს, დუშეთში. ბებიჩემის მამა, ალექსანდრე ბრაკერი (წარმოშობით გერმანელი) ჟანდარმერიის ოფიცერი იყო, პოლტავაში (უკრაინა). პილარია 1917 წლის რევოლუციამდე დაქორწინებულია პეტერბურგში, კაპიტან შიტოვზე.

ქორწინებისას პილარიას წარუდგენია დოკუმენტი, რომელიც მის თავადურ წარმოშობას ადასტურებდა — ის იყო „დვორიანკა“ (ეს ინფორმაცია მამაჩემისგან მაქვს. სამწუხაროდ, ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ გაგვაჩნია). მამაჩემი იხსენებდა, რომ მამამისს ჰქონდა ბექედი, რომელზეც ხე იყო გამოსახული. ის ამბობდა, რომ ჯაშის გვარი აზნაურთა წარმოშობისა გახლდათ (სამწუხაროდ, არც ამის დამადასტურებელი დოკუმენტები არსებობს).

ბაბუაჩემი, ილარიონი თბილისში ამაღლების ეკლესიის მღვდელი იყო. როგორც ჩანს, მას პოლიტიკური მიზეზებით დაუტოვებია საქართველო და ლუცკში (უკრაინა) გადაუყვანიათ, იქ კი ტიფთ გარდაცვლილა დაახლოებით 1913 წელს. საქართველოდან წასვლის შემდეგ ის ოჯახს აღარ უნახავს.

მამაჩემის მამა, იესე (ან იასე) ცხოვრობდა ბასილეთში, სადაც მას კარმიდამო ჰქონია. ილარიონის გარდა, მას კიდევ ერთი ვაჟი — ბესარიონი ჰყავდა, რომელსაც ეს კარმიდამო მემკვიდრეობით გადაეცა. ბესარიონის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მომეპოვება. როგორც გაზეთ „კვალის“ 1985 წლის №44-ში წავიკითხეთ, იესე ლარგვისის ეკლესიაში მღვდელი და დიაკონი ყოფილა.

საქართველოს ანექსიის შემდეგ,


1922 წელს მამაჩემმა სამშობლო დატოვა და სასწავლებლად გერმანიაში გამოემგზავრა. თავდაპირველად, ოჯახთან მიმოწერა ჰქონდა, შემდეგ კი დედამისს უთხოვია, წერა შეწყვიტა, რადგან გერმანიასთან მიმოწერის გამო ოჯახს პრობლემები შეჰქმნია — ეს უნდა მომხდარიყო დაახლოებით, 1928 წელს. მამას დედა და დეტი აღარასოდეს უნახავს.

მამა სწავლობდა გერმანიაში, ომის დამთავრებამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ბერლინში. ჩვენმა ოჯახმა გერმანია ომის შემდეგ დატოვა. ამის მიზეზი, როგორც მამა ვარაუდობდა, ერთი სტატია გახდა, რომელიც მან ანტიკომუნისტურ თემაზე დაწერა. როგორც ჩანს, ლაბადიანი კაცები ამასთან დაკავშირებით იყვნენ ჩვენთან მოსულები. 1948 წელს მამა ტუნისში, ემიგრაციაში წავიდა, რაშიც უფროსი ძმა, ლუარსაბი დაეხმარა. ის ოდესაში სწავლობდა, შემდეგ კი მოხალისედ დაიწყო სამხედრო სამსახური, რომ დამპყრობელთა (იგულისხმება რუსები) წინააღმდეგ ებრძოლა. 1920 წელს მოეწყო სამხედრო გემზე, რომელმაც ტუნისისკენ აიღო გზი. ფრანგმა მოხელეებმა ევიპაჟის რამდენიმე წევრს ტუნისში დარჩენის ნება დართეს. მამაჩემს ძმასთან მიმოწერა ჰქონდა და ისე მოხდა, რომ ძმებმა ერთმანეთი ტუნისში ნახეს.


ტუნისის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1957 წელს ქვეყანა დავეტოვეთ და გერმანიაში დავბრუნდით. დავფუძნდით ქალაქ ესენში. მამა 1987 წელს გარდაიცვალა ისე, რომ საქართველო აღარ უნახავს. მას ასევე აღარაფერი გაუგია ოჯახის სხვა წევრთა შესახებ. ჟურნალში გამოქვეყნებული სურათები, იმედია, ნათესავთა პოვნაში დაეხმარება. მაინტერესებს, ვინ იყვნენ ჩემი წინაპრები და ჰყავთ თუ არა ჩემს მამიდებს შთამომავლობა.

აქედან გამომდინარე, მინდა, მეტი ვიცოდე ბაბუაჩემის, ილარიონის, მისი ძმის, ბესარიონისა და დიდი ბაბუის, იესეს შესახებ: ჰყავდა თუ არა ბესარიონს შვილები და დარჩა თუ არა მას შთამომავლობა? როდის გარდაიცვალა ბებია? სად არის დაკრძალული? ჰყავთ თუ არა მამიდებს — ბარბარეს, პილარიას და არქელაიას შთამომავლები? თუ ჰყავთ, სად ცხოვრობენ ისინი? როგორ შეიძლება მათთან დაკონტაქტება?

იმედი მაქვს, რომ ეს სტატია და სურათები ნათესავების პოვნაში დაეხმარება. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე აქ გამოსახულ პირებს შეიცნობს, გთხოვთ, დაუკავშირდეთ რედაქციას ან მომწეროთ ელექტრონული ფოსტით: MarioDjaschi@web.de. სამწუხაროდ, ქართულად ვერ ვლაპარაკობ, კონტაქტი შეგიძლიათ ფრანგულად, გერმანულად ან ინგლისურად, თუმცა შეგიძლიათ, ქართულადაც მომმართოთ — ამ შემთხვევაში ტექსტს მთარგმნელის საშუალებით გავცნობ.



ოლღა ლანგინგი



სამყარო

„მასალა რაც უფრო ახლოსაა ბუნებასთან, მით უკეთესია“

ქალების უმეტესობას დღის განმავლობაში სამზარეულოში ხანგრძლივი დროის გატარება უნევს, ამიტომ მისი კომფორტულად და ლამაზად მოწყობა ხალისსა და ენთუზიაზმს მატებს. ამჯერად რჩევებს არქიტექტორ-დიზაინერები — თინათინ ჯანაშვილი, ელენე ცქვიტინიძე და არჩილ მიქუჭაძე მოგვცემენ.

თათბარ დაღუპული

თინათინ ჯანაშვილი:

— სამზარეულოსთვის დაახლოებით 10-14 კვმ ფართობია მისაღები. შეიძლება, ცალკე ოთახი იყოს გამოყოფილი, ან ინტეგრირებული იყოს სასააღილოსთან. კარგი ვარიანტია, თუკი ცალ-ცალკეა. დღეს მოდურია ბარის მოწყობა, რაც ადგილის ეკონომიასაც გვაძლევს და სუფრის გასაშლელადაც მოსახერხებელია. სივრცე შეიძლება, გამოყოფილი იყოს ავეჯით, ჩაშენებული კარადებით ან რბილი სავარძლებით. როცა ფართობი მცირეა, ჯობია, ავეჯიცა და კედლებიც ღია ფერებში შევლებოთ. თუ მუქი ავეჯი გსურთ, უმჯობესია, მუქი ფერის კედლის ქვედა ნაწილი იყოს. ზოგიერთ დამკვეთს კონტრასტული ფერები ურჩევნია — წითელი, მწვანე, სა-

ლათისფერი, სტაფილოსფერი. ახლა ლამინატის პრიალა მასალის დიდი არჩევანია, რომელიც მოსახერხებელიცაა და მოხდენილიც.

იატაკი

არჩილ:

— ძირითადად, მეტლასს ან გრანიტს ვაგებთ ხოლმე. უპირველესი რჩევა იქნება, რომ ყველაფერში ბუნებრივი მასალა გამოიყენოთ. იატაკი პრაქტიკული და ადვილად გასანმენდი უნდა იყოს. დიდ ოჯახში, წესით, სამზარეულოც დიდი უნდა იყოს, მაგრამ ზოგს სამზარეულო უმეტესწილად, ყავის მოსადუღებლად სჭირდება. ამგვარად, მოთხოვნა სხვადასხვაგვარია — ყველა ადამიანისა თუ ოჯახის ცხოვრების წესიდან გამომდინარე. კოტეჯში, ბინაში, კერძო სახლში,

საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტში და სხვაგან, სამზარეულო აბსოლუტურად სხვადასხვაგვარად შეიძლება მოეწყოს. მოსახლეობის საშუალო ფენათა უმეტესობა კერამიკულ ფილებს აგებს. მეტლასის არჩევანი მრავალფეროვანია — თურქულით დაწყებული, იტალიურით დამთავრებული. დაბალფასიანი მალე იცვივება, სკდება, ცხიმის ლაქებიც ეტყობა. მეტლასის გარდა, სხვა მასალასაც ვიყენებთ. მაგალითად, ქალაქგარეთ, ერთ სახლში, იატაკის დასაგებად, ქართული აგური ავირჩიეთ, ოლონდ — მოჭიქული; ზედ ფერადი მინა „დავასხით“: ძველებური იერი აქვს და ძალიან ლამაზია. მოკლედ, დღეს ყველაფრის გაკეთებაა შესაძლებელი და ყველაფერი ადამიანის ფანტაზიაზეა დამოკიდებული.

თინა:

— არსებობს სპეციალური პარკეტი, რომელიც სააბაზანოშიც კი იგება; ხარისხიანია და ძვირიც ღირს — 1 კვმ-ის მინიმალური ფასი 50 ევროს აღწევს. თუ დამკვეთს შესაძლებლობა აქვს, ვურჩევთ, ეს პარკეტი დააგოს, რადგან ნატურალურია, თბილია, მის ქვემოთ გათბობის გაყვანაც შეიძლება; თან — ჭურჭელი რომ დავარდეს, არ გატყდება. ეგვიპტური ფილებიც საკმაოდ ხარისხიანია, ფასიც არ არის მაღალი, ვიზუალურადაც ლამაზია.

— იატაკზე თუ კეთდება რაიმე დეკორი?

— დიას, რა თქმა უნდა. შეიძლება, კლასიკური მოზაიკა იყოს, რამდენიმე ფერში გადანყვებილი, ან — გამოიჭრას ნახატი, აწეწოს მოხატული ფილები და ა.შ. საერთოდ, მუქი ფერის იატაკი ძნელი მოსაველეია — ყველანაირი ლაქა, ცხიმი ეტყობა; პრიალა უკეთესია.



თინათინ
ჯანაშვილი



ელენე
ცქვიტინიძე



კედლები

ელენა:

— კედელი ჯობია, იყოს სადა და აქცენტი ავეჯზე გაკეთდეს. ის აუცილებლად უნდა ეხამებოდეს ავეჯისა და იატაკის ფერს. კონტრასტული უნდა იყოს: თუ კარადები ღია ფერისაა, მაშინ კედლები ჯობს, ოდნავ მუქად შეღებოთ.

თინა:

— კედელს ძალიან უხდება დეკორატიული ელემენტები, მოზაიკა, მინის „ჩანართები“, პატარა ვიტრაჟები, პანოები. დეკორატიული მეტლახი და კაფელიც არსებობს და მისგანაც შეიძლება ავანსოთ. ფერად მინებში მზე სხვანაირად ანათებს და მყუდრო სიტუაცია იქმნება. თუ ადამიანს ახალი ავეჯის ყიდვის საშუალება არა აქვს, შეუძლია, ძველი ამგვარად გადააკეთოს: ზემოდან „არაკალი“ გადააკრას (ფერადი, წყალგამძლე, ნეობოვანი ქაღალდია), ორნამენტები სურვილის მიხედვით გამოჭრას და ა.შ. ინტერიერს ძალიან აცოცხლებს მცენარეები. შეიძლება გაიკრას შპალერი, რომელსაც ისეთი გარეგანი აქვს, ირეცხება კიდეც; ასეთივე საღებავიც არსებობს. შეიძლება კედელზე ხის, კერამიკული ფილების დეკორებიც გაკეთდეს.

ჭერი

ანიკო:

— დღეს უკვე ისეთი ტექნოლოგიები არსებობს, რომ ჭერის გაჭუჭყიანების პრობლემა აღარ დგას, თუნდაც კარგი გამწოვის წყალობით. მაგრამ გამწოვის არქონის შემთხვევაშიც შეიძლება ისეთი ჭერის გაკეთება, რომელიც ადვილი გასანმენდია. შედარებით იაფია პლასტმასისგან დამზადებული, მაგრამ ინტერიერს აუბრალოებს. ამიტომ ჯობია, ფოლადის შეკიდული, თაბაშირ-მუყაოს, ბარისოლის დასაჭიმი ჭერი... მაგალითად, „არმსტრონგი“ ტრანსფორმირებადია: თითოეული ფილა შეიძლება ასწიო, ჩამოხსნა, გადაღებო, შეცვალო და ა.შ. ასეთი ჭერი უფრო ოფისებში, დიდი სივრცისთვის გამოიყენება, თუმცა სამზარეულოშიც შესაძლებელია მისი კომბინაცია რომელიმე სხვა ტიპის ჭერთან.

კარ-ფანჯარა

თინა:

— მეტალოპლასტმასზე უკეთესი, ალუმინის კარ-ფანჯარაა — უფრო მაღალი ხარისხისაა, სცივებსაც იკავებს და სითბოსაც ინარჩუნებს; ხმის იზოლაციითაც გამოირჩევა. ხის კარ-ფანჯარა უფრო ძვირია, რადგან მისი გამომშრობა, ისეთი მასალით დამუშავება, რომელიც ნესტს არ იღებს, ორმაგი მინის ჩასმა — ძვირად ღირებული პროცესია, რაც მის საერთო ფასსაც ზრდის.

ანიკო:

— ქართველები ცოტა ფხვის ხმას აყოლილი ხალხი ვართ და მეტალოპლასტმასი ძალიან ავიტაცეთ. არადა, ხეს არაფერი სჯობს — ეკოლოგიურად სუფთაა და სახლი „სუნთქავს“. თუ ახლის შეძენის საშუალება არ გაქვთ, შესაძლებელია, ძველი ხის კარ-ფანჯარა განაახლოთ, გადაამუშაოთ, ზედმეტი საღებავი, ლაქი მოაცილოთ, დაზიანებული დეტალები გამოცვალოთ და ა.შ. ალუმინი არ „იცრემლება“, ვიზუალურადაც ჯობია, ბევრნაირი ფერისაა და შეღებვაც შეიძლება. მომხმარებელთა უმეტესობა უკვე ცდილობს, ბუნებრივი მასალები აირჩიოს.

კარალები

თინა:

— ავეჯს თავისი სტანდარტული ზომები აქვს, რასაც ვერ გავექცევით. თუმცა გარკვეული დიზაინის შემუშავება შეიძლება... ლამინატი და „ემდეფი“ ვიზუალურად თითქმის ერთნაირია, მაგრამ განსხვავება შიგთავსშია: „ემდეფი“ დაფხვნილი თხილის ნაჭუჭისგან კეთდება, ნეობოვანიაო, ამბობენ და კარგი მახასიათებლებით არ გამოირჩევა.

ელენა:

— ამ ბოლო დროს ძალიან მოდურია თეთრი, ქათქათა ინტერიერი. იისფერსაც აკეთებენ. ფერების აღრევა სასურველი არ არის: მწვანე





საძინებელი, ლურჯი სასადილო და წითელი სამზარეულო — ასეთი შეხამება, ცხადია, უგემოვნოა. ბინა სტილისტურად ერთგვაროვნად უნდა იყოს გადაწყვეტილი, საერთო ხაზი უნდა ჰქონდეს. არსებობს ფერების შეხამების კანონები, რასაც ვერ გავუცევით. პოპულარულია კარადებში ჩაშენებული ტექნიკა — არ ჩანს გაბჭურის, ჭურჭლის სარეცხი მანქანის წინა პანელები. ძალიან კარგია მინა — გამჭვირვალე, ანარეკლი აქვს და სივრცეს „აღიდეგს“.

არჩაო:

— ადრე მოდური იყო ჩაშენებული კარადები. ახლა აღარ არის გავრცელებული. საერთოდ, დიასახლისს უნდა შეეძლოს ინტერიერის განახლება. მაგალითად, მისაღებ ოთახში ბევრი რამ შეიძლება დაიდგას და გარემოს განახლების საშუალება უნდა არსებობდეს, რასაც პატარა კომპოზიციები, დეკორაციები უწყობს ხელს. ზოგი სამზარეულოში სარკეებსაც კი აყენებს — ალბათ მოსწონთ, სადილის მზადებისას საკუთარ თავს რომ უყურებენ.

სამზარეულოს ნიჟარა

ილიანა:

— სასურველია, ერთგანყოფილებიანი იყოს, გვერდზე კი ჭურჭლის დასაწყობი ჰქონდეს. თუმცა ზოგს ორიანიც მოსწონს. კარადებში ჩადგმული უკეთესია. ზედაპირის გაკეთება სხვადასხვა მასალისგან შეიძლება.

არჩაო:

— ბუნებრივი ქვისგან ნებისმიერი ფორმის ნიჟარა შეიძლება გაკეთდეს, პრაქტიკულიც და ისეთი, დიზაინსაც რომ შეესაბამება. ახლა უმეტესად, ვერცხლისფერი და პრიალაა მოდაში. მაცივარი, გაზი, აირგამწოვი, ლუმენი თუ ნიჟარა, პრაქტიკულობიდან გამომდინარე, შესაბამის ადგილას უნდა დაიდგას.

ილიანა:

— გამწოვი რაც შეიძლება მძლავრი უნდა იყოს, რომ სუნის და ორთქლი კარგად გაიწოვოს.

ფარდა-ქალუხები

არჩაო:

— ფარდა ყოველთვის მყუდრო ატმოსფეროს ქმნის; ოღონდ ისეთი ფარდა არ უნდა დაკიდო, რომ ქარის დაბერვისას, ჭურჭელი აგვირაოს და კერძი დაგიქციოს (იციანის). თანამედროვე ინტერიერში ჟალუზიც ლამაზია. კლასიკური, „რუშებიანი“ ფარდა ასეთ ინტერიერს არ მოუხდება. მოკლე, ამ შემთხვევაშიც მთავარი — ოთახის დიზაინია.

თანამედროვე ჩოხები და ქალაქნები — ყოველდღიური სამოსი ძველბილისური ელფარით

ახალგაზრდა დიზაინერმა ნანია მამუკაძემ XIX საუკუნის თბილისელთა ჩაცმულობის შესწავლა და თანამედროვე მოდის ტენდენციებთან მისი შეხამება გადაწყვიტა და საკუთარი კოლექცია შარშანდელ „თბილისი ფეშენ-ვიკზე“ წარმოადგინა.



ეთი ყორღანაშვილი

— „ფეშენ-ვიკზე“ გათანამედროვეებული „მეცხრამეტე საუკუნის თბილისი“ წარმოვადგინე. აქცენტი ნაციონალურ კოსტიუმებზე გავაკეთე. მუშაობა „ფიროსმანის თემით“ დავიწყე, მაგრამ კოლექციის შექმნის პროცესში „ძველ თბილისად“ მივედი. „ფიროსმანში“ რაღაც ისეთი ვერ „დავიჭირე“, რაც თელი კოლექციის შექმნას შთაბეჭობდა.

კოლექციის შექმნა შრომატევადი საქმე იყო?

— დიახ. ჯერ ერთგვარი კვლევა ჩავატარე: იმ პერიოდის კოსტიუმების თითოეული ელემენტი შევისწავლე — რას რა დანიშნულება ჰქონდა; ლიტერატურა, ინტერნეტი გამოვიყენე...

რამდენი კოსტიუმი წარადგინე და მათ შესაქმნელად რამდენი ხანი დაგჭირდა?



— დაახლოებით 3 თვე ვმუშაობდი. 10 კოსტიუმი შევქმენი.

ეს სრულიად დამოუკიდებლად განახორციელე?

— კონსტრუქტორი მენმარებოდა.

რა სახის კოსტიუმებია?

— „პრეტ-ა-პორტული“ ხაზია. კოსტიუმებს „აქცენტები“ დავამატე, მათში ჩემებული სტილი შევიტანე. ტყავის აქსესუარები, ჩანთები, წინსაფრები, ყარაჩოხელის საქილეები, ყარაჩოხელის ქუდეები, ჩექმები შევქმენი. ჩემ მიერ გაკეთებული ჩანთები გუდებთან ასოცირდება... 5 კოსტიუმი ქალისაა, 5 — მამაკაცის.

ჩოხა ისე როგორ „გაათანამედროვე“, რომ „მოდის კვირეულზე“ ყოველდღიური სამოსის სახით წარმოადგინე?

— ჩოხა ლაბადად ვაქციე. ასევე შევქმენი მამაკაცის პიჯაკები, გოგონებისათვის — უფრო თავისუფალი სტილის სამოსი.

აქსესუარებზე რას გვთქვით?

— თავდაპირველად, როცა „ფიროსმანის თემზე“ ვმუშაობდი, გადავწყვიტე, „თანამედროვე მხატვრები“ გამეკეთებინა და ფიროსმანისთვის მიმეძღვნა. ამიტომ შევქმენი ტყავის საკიდრები, რომლებშიც მხატვრები სამუშაო დაფას ჩადებდნენ. მერე, როგორც უკვე გითხარით, სამუშაო თემა შეიცვალა, მაგრამ ეს აქსესუარები ჩემს კოლექციაში მაინც დავტოვე...

კოლექციისთვის სამკაულები არ შეგიქმნა?

— არა, კოსტიუმები სამკაულებით აღარ დავტვირთე, რადგან სამკაულები ჩემ მიერ შერჩეულ თემაში მთავარი არ იყო. თვით კოსტიუმი საკმაოდ მძიმე, დატვირთული იყო — დაახ-



ლოებით 10 ნაწილისაგან შედგებოდა: წინდები, ტყავის აქსესუარები, პიჯაკი — მთელი „ანსამბლი“ გამოვიდა.

— ქუდების გარდა, ქალებისთვის თავსაბურავები თუ წარმოადგინე?

— არა, მხოლოდ ქუდები. მამაკაცის სტილი რატომღაც, ქალის სამოსშიც გადავიტანე. ჩემს კოლექციაში, მამაკაცისა და ქალის ქუდებს შორის უმნიშვნელო სხვაობაა.

— როგორია XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი ფენსაცმელების თანამედროვე სახე?

— ჩემები და კედები შევქმენი. კედები მაშინდელ ქალაშნებთან „გავაიგივე“. ქალაშანი პრაქტიკული იყო და მუშათა ფენას მასობრივად ეცვა.

— დიდი ხანა, რაც ტანსაცმლის დიზაინის სფეროში მუშაობ?

— თავდაპირველად, მოდელირების ფაკულტეტზე ჩაბარება მინდოდა, მაგრამ ძალიან დიდი კონკურსი იყო. არქიტექტურის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ იქ სწავლის პერიოდში სულ მინდოდა, მოდელირება მესწავლა... მერე ორწლიანი პაუზა მექონდა — შვილი შექმინა. შემდეგ, მაგისტრატურაში ჩაბარება გადავწყვიტე, მოდელირების განხრით.

— წინათ კოლექციაზე არასოდეს გიმუშავია?

— ყოველი სემესტრის ბოლოს, საკოლექციო ხაზიდან 4-5 კოსტიუმს ვაკეთებთ. თემატურად, კოლექცია სრულყოფილია — 10-15 კოსტიუმს ესკიზების სახით ვქმნით, მათგან რამდენიმეს ვირჩევთ და კოსტიუმებზე ვმუშაობთ. წინათ ჩოხები პალტოების სახით გავაკეთე; ეს მხოლოდ ქალებისთვის განკუთვნილი სამოსი იყო... მუშაობას ფაქტობრივად, ახლა ვინწყებ. ვაპირებ, რომ ამ საქმიანობას სერიოზულად მოკვიდო ხელი. სამხატვრო აკადემიაში სასწავლო რეჟიმი ისეთი დატვირთულია, რომ აქამდე ამის საშუალება არ მექონდა.

— შეს პირველ სერიოზულ ჩვენებას



როგორ გამოხმურება მოჰყვა?

— არ ვიცი, აპლოდისმენტები ყველა ჩვენებას ახლდა (იციინს)... მაინც მგონია, რომ საზოგადოებამ ჩემი კოლექცია მიიღო.

— სხვა დიზაინერების ნამუშევრები თუ მოგეწონა?

— სამხატვრო აკადემიაში ძალიან ბევრი ნიჭიერი სტუდენტი სწავლობს. აქ არსებული სასწავლო ბაზა ბევრი რაღაცის საშუალებას გვაძლევს. როცა აკადემიაში მივედი, ფაქტობრივად, არაფერი ვიცოდი — მანამდე ტანსაცმლის დიზაინის სფეროსთან შეხება არ მექონია. თვითონ პედაგოგებიც ძალიან მონდომებულები არიან. სამხატვრო აკადემიის გარეთაც ბევრი საინტერესო დიზაინერია, რომლებმაც „მოდის კვირულებზე“ ნამდვილად კარგი კოსტიუმები წარმოადგინეს.

— ტანსაცმლის დიზაინთან დაკავშირებული, ორიგინალური იდეები შეს ყოველდღიურ სამოსშიც თუ აისახება?

— ხანდახან, ხასიათს გააჩნია. ზოგჯერ ამის შინაგანი მოთხოვნილება ნამდვილად მაქვს.

— სამომავლოდ, კონკრეტული გეგმები თუ გაქვს?

— 2 შვილი მყავს. ბომონდური ცხოვრება ჩემთვის ცოტა ძნელი იქნება. ბუნებითაც არა ვარ მისკენ მიდრეკილი. მინდა, ჩემი პატარა სახელოსნო მექონდეს და ჩუმად, წყნარად ვიმუშაო, საინტერესო კოსტიუმები შევქმნა... ძალიან გამიხარდება, როცა თბილისის ქუჩებში გავივლი და ჩემ მიერ შექმნილ კოსტიუმში გამოწყობილ თუნდაც ერთ ადამიანს დავინახავ.





„აუდი“ „კუპესაგვარი“ სედანი

კომპანია „აუდი“ 2012 წლის დასაწყისისთვის „კუპესაგვარი“ სედანის — A9 — წარმოდგენას გეგმავს. ავტომობილის პროექტი მწარ-

„ლამბორჯინის“ ახალი სედანის პლატფორმაზე აიგება. ადრე იტალიური ბრენდის გენერალურმა დირექტორმა, სტეფან ვინკლმანმა განაცხადა, რომ თუ კომპანია ოთხკარიანი მანქანის გამოშვებას გადაწყვეტდა, ამ შემთხვევაში „ლამბორჯინის“, მისი სერიული ვერსიის შემუშავება კონცერნ „ფოლკსვაგენის“ ფინანსური მხარდაჭერით მოუწევდა. ეს თუ განხორციელდება, „აუდი“ ახალი სედანის ასაგებად,

ახალი პლატფორმის გამოყენებას შეძლებს. ამასთან, „ლამბორჯინისა“ და „აუდის“ ავტომობილები სხვადასხვა ძრავათი აღიჭურვება: A9-ს ალბათ, 4-ლიტრიანი V8 მოტორს დაუყენებენ,

ხოლო ტოპ-ვერსიისთვის — 6,3-ლიტრიანი, W12-ია განკუთვნილი; „ლამბორჯინის“ სედანს კი სავარაუდოდ, კუპე „გალარდოსაგან“ 5,2-ლიტრიანი V10 ერგება. მოსალოდნელია, რომ „კუპესაგვარი“ სედანი Audi A9 ამჟამად გამოშვებულ 4-კარიანი სედანებს — Mercedes-Benz CLS, Porsche Panamera, აგრეთვე BMW-ს მომდევნო მოდელს — GranCoupe-ს გაუწევს კონკურენციას. ადრე გავრცელებული ცნობით, უახლოეს მომავალში კომპანია „ლამბორჯინი“ სამოდულო რიგის გაზრდას 4-კარიანი ავტომობილის ხარჯზე აპირებს, რომლის პროტოტიპად, კონცეპტავტო Estoque იქცევა. ეს მანქანა 2008 წელს პარიზის ავტოსალონზე წარმოადგინეს. მას შემდეგ, რაც ავტომობილი პუბლიკამ და პრესამ ერთხმად მოიწონეს, 2011 წლისთვის სერიულ წარმოებაში მისი ჩაშვება გადაწყვიტეს, მაგრამ 4-კარიანი „ლამბორჯინის“ პროექტი მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო შეჩერდა.



მოებელს ჯერჯერობით არ დაუმტკიცებია, თუმცა კომპანია უკვე მუშაობს მომავალი მოდელის დიზაინსა და მოტორების საზზე. წინასწარი მონაცემებით, ავტომობილი

Ford Ranger ლოკომოტივის მოხრია



წელს ამგვარივე ექსპერიმენტი კომპანია „ფოლკსვაგენმა“ ჩაატარა. მაშინ არასაგზაო VW Toareg-ს 200-ტონიანი თვითმფრინავი — Boeing 747 ჩააბეს. მანქანა სერიული V10 მოტორითა და სიჩქარის გადაცემათა მცირედ მოდიფიცირებული კოლოფით იყო აღჭურვილი, რამაც „ტურნეგს“ მრავალტონიანი მისაბმელის ადგილიდან დაძვრის შესაძლებლობა მისცა. გარდა ამისა, იგი 4,3-ტონიანი სიმძიმით იმისთვის დატვირთეს, რომ ასფალტზე არა-

საგზაოს ბორბლების მოჭიდების კოეფიციენტი გაეზარდათ. მაშინ „ტურნეგით“ მძივი საფრენი აპარატის არა მარტო ადგილიდან დაძვრა, არამედ ასაფრენ ტრასაზე მისი 150 მეტრის მანძილზე გადაადგილებაც შეძლეს.



ახალმა პიკაპმა — Ford Ranger — რომლის პრემიერაც 2010 წლის ოქტომბერში შედგა, 160-ტონიანი ლოკომოტივის გაგორება შეძლო. კომპანია „ფორდის“ მიერ გავრცელებული ოფიციალური პრესრელიზის თანახმად, ექსპერიმენტისთვის გამოიყენეს ავტომობილის სერიული ვერსია, რომელიც ამ ღონისძიებისთვის სპეციალურად არ შეუცვლიათ. ექსპერიმენტი ავსტრალიის რკინიგზაზე ჩატარდა. მისაბმელის როლს კი ორთქლმავალი R711 ასრულებდა, რომელიც ბრიტანულმა კომპანიამ ააგო და ექსპლუატაციაში 1951 წლიდან ჩაუშვა. აღნიშნული „ფორდის“ პიკაპი 3,2-ლიტრიანი, 5-ცილინდრიანი, 200 ცხძ სიმძლავრის ძრავათია აღჭურვილი. მანქანის მასა კი 3 ტონაა. 2006





„ჩენტო ვანსი“ — ერთადერთი ეგზეკუტივად

ამერიკულმა ტიუნინგ-კომპანიამ — GWA Tuning — ერთადერთ ეგზეკუტივად ააგო სპორტული ავტო, რომელმაც შექმნელა ჩანაფიქრით, ავტომოყვარულებს უნდა გაახსენოს ფრანკფურტის მოტორშოუზე 1969 წელს წარდგენილი კონცეპტუალური ავტომობილი Mercedes-Benz C111. ამ მანქანის თანამედროვე ინტერპრეტაცია, რომელსაც „ჩენტო ვანსი“ (ესპანურად — C111) ჰქვია, მილისეზური კარკასი და ხელით დამზადებული ძარას ალუმინის პანელები აქვს. მანქანის მასა 1400 კგ-ს შეადგენს, ხოლო მისი ბორბლების ზაზა (2616 მმ) მცირედით უფრო ვიწროა, ვიდრე „მერსედესის“ კონცეპტ-ავტოსი. სიასლე მოძრაობაში „მერსედეს ბენცის“ 6-ლიტრიანი, 12-ცილინდრიანი, 408 ცხმ სიმძლავრის (ასეთივე აგრეგატი იყო ალტურვილი ცნობილი „ექსპანსი“ გასული საუკუნის 90-იან წლებში) მოტორს მოჰყავს. ძრავა სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი მე-

ქანიკური კოლოფით მუშაობს. „ჩენტო ვანსის“ დინამიკური მას-ასიათებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია



ცნობილი. გარდა ამისა, GWA Tuning-ის მიერ აგებულ სპორტავტოს სედანის — Mercedes-Benz S55 AMG-ის (W220) სამუხრუჭე მექანიზმები, უკანა სპოილერი, წინ — 265/35 ზომის საბურავებიანი 19-დუიმიანი, ხოლო უკან — 295/30 ზომის საბურავებიანი 20-დუიმიანი ბორ-

ბლების დისკები აქვს. კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, ასეთი მანქანის სერიულ წარმოებაში ჩაშვების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის. C111-ის სახელით, გასული საუკუნის 70-იან წლებში კომპანია „მერსედეს-ბენცმა“ პროტოტიპების მთელი სერია გამოუშვა, რომელზეც გერმანული მარკის ტექნიკური მიღწევების დემონსტრირება ხდებოდა. მაგალითად, ეს იყო როტორის ძრავა და 5-ცილინდრიანი ტურბოდიზელი. გარდა ამისა, ამ ავტომობილებმა სიჩქარის რამდენიმე რეკორდი დაამყარა, თუმცა ისინი სერიულ წარმოებაში მანაც არ ჩაუშვიათ. ■

განახლებული Kangoo

კომპანია „რენომ“ განახლებული Kangoo-ს შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ავტომობილის მსოფლიო პრემიერა ბრიუსელის მოტორშოუზე 15 იანვარს შედგება. ევროპულ ბაზარზე მანქანა მარტივად გამოჩნდება. რესტაილებულ Renault Kangoo-ს ძარას წინა ნაწილის მოდერნიზებული გაფორმება ექნება, რაც ტონირებულ შუქფარებში, განსხვავებულ ბამპერებსა და უკანა ხედის გვერდით სარკეებში გამოიხატება. ავტომობილის ძარასთვის აგრეთვე 3 ახალი ფერია გათვალისწინებული. მის სალონში სხვა ფერები იქნება გამოყენებული, ხოლო ავტომობილის ოპციათა ჩამონათვალი გარკვეულწილად გაიზრდება. ევროპულ ბაზარზე სიასლის ძრავათა გამაში 1,6-ლიტრიანი, 105 ცხმ სიმ-



ძლავრის მოტორიც შევა, რომელიც როგორც ბენზინით, ასევე ბიოეტანოლ 85-ით იმუშავებს. ამ ავტომობილისთვის გამოყენებული იქნება ასევე, 1,5-ლიტრიანი „დიზელი“, რომელსაც, სიმძლავრის მიხედვით, 3 ვარიანტად — 75, 90 და 110 ცხმ სიმძლავრის აგრეგატებად გამოუშვებენ. საფრანგეთში განახლებულ Kangoo-ზე ფასები 13 ათას 499 ევროდან დაიწყება. ■



ანტიფაქტისა

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქელეჩენელი თქუი ივანიძე

1. ჯონ მალკოვიჩი ნარმოშობით ხორვატია.
2. მედომალაკუფობია ერექციის დაკარგვის შიშია.
3. ნიკოლაე ჩაუშესკუ 24 წელი მართავდა რუშინეთს.
4. ფილიპე მხარაძე ნოე ჟორდანის სიყრმის მეგობარი იყო.
5. საბჭოთა არმიამ ფინეთის ომში 125 ათასი ჯარისკაცი დაკარგა.
6. ალ კაპონე 1947 წელს ფლორიდაში, საკუთარ ვილაში გარდაიცვალა.
7. საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ს სასახლეში 413 სანოლი ჰქონდა.
8. „ზასტავ დურაკა ბოგუ მალიტსა, აონ სეზე ი ლობ რაზაბოტ“, — ამბობენ რუხები.
9. ძველგვიპტელებს ეგონათ, რომ გაცივებული ადამიანის ცხვირიდან მისი ტვინი მოედინებოდა.
10. პრეზიდენტ შარი ტრუმენს ჰყავდა თხა, რომელსაც თეთრი სახლის ეზოში უშვებდნენ საბალახოდ.



11. „ბუტატი ვეირონი“ 800 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირს და ყველაზე ძვირად ღირებული სერიული ავტომობილია მსოფლიოში.
12. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯერალდ ფორდი 12 წლის იყო, როცა მშობლებმა გამოუცხადეს, ნაშვილები ხარო.
13. იაპონელები ობობას კოლოფში ამწყვდევენ, სადაც იგი ბადეს ქსოვს. გარკვეული დროის შემდეგ კოლოფს ხსნიან და მოქსოვილ ბადეზე მკითხაობენ.
14. ძველად, ლონდონში საცობში მოყოლილ ტაქსის მძღოლს, თუ სხვა გამოსავალი არ იყო, კანონი უფლებას აძლევდა, ავტომობილიდან გადმოსულიყო და მცირე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება უკან საბურავთან დაეკმაყოფილებინა. ამ დროს იგი სახეს კაპიუშონით მალავდა.
15. „მაპაბარატა“ ძველი ინდური ეპოსია, რომელიც ძველი წელთაღრიცხვით მეორე-პირველ ათასწლეულებში არის შექმნილი. მასში ორ სამეფო გვარს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლის ამბავია მოთხრობილი.
16. 2009 წლის მაისში შეერთებულ შტატებში 5 სხვადასხვა ნომინალის საფოსტო მარკა დაიბეჭდა მულტსერიალ „სიმფსონების“ გმირთა გამოსახულებით.
17. საშობაოდ მოსახლეობისადმი მისალოცი სიტყვით მიმართვით, ინგლისში ელისაბედ მეორის ბაბუამ, მეფე ჯორჯ V-მ დაამკვიდრა. პირველი მიმართვის ტექსტი მეფეს რედიარდ კიბლინგმა დაუწერა.

აღამიანი-კალკულატორი

ჯორჯ პარკერ ბიდერი 1806 წლის 14 ივნისს ინგლისში დაიბადა. მამა „მონგარიშე ბიჭუნას“ ეძახდა, რადგან 6 წუთში შეეძლო, გონებაში გადაემრავლებინა 9-ნიშნა ციფრი. ჯორჯის მამას სურდა, შვილი ცირკში მოეწყო და ამ გზით ეშოვა ფული, მაგრამ მდიდარი ნათესავების წყალობით, ბიდერმა უნივერსიტეტი დაამთავრა და ინჟინერი გახდა. მათემატიკური ნიჭი ბრიტანეთის სარკინიგზო გზების დაგების საქმეში გამოიყენა.



შაკუნტალა დევი 1939 წლის 4 ნოემბერს ინდოეთში დაიბადა. მათემატიკური ნიჭი 3 წლის ასაკში გამოავლინა. იგი მამის ცირკში გამოდიოდა. ციფრების გამრავლების გარდა, დევი ბანქოსაც თამაშობდა და ინდოეთში ყველაზე ცნობილ მოთამაშებსაც კი უგებდა. 1980 წელს გონებაში გადაამრავლა 13-ნიშნა ციფრი — 7,686,369,774,870 2,465,099,745,779 და 28 წამში სწორი პასუხი — 18,947,668,177,995,426,462,773,730 მიიღო.

დენიელ მაკარტნი დაბადებიდან უსინათლო იყო, მაგრამ მათემატიკური ნიჭითა და უნიკალური მესხიერებით გამოირჩეოდა. ოჯახის წევრებსა და გარშემო მყოფებს იმით ართობდა, რომ მათ მიერ დასახელებული წლის, თვისა და დღის ამინდსაც იხსენებდა და იმასაც, თუ ვის რა ეცვა, სადილად რა ჰქონდათ და სხვა ამგვარს.

გენიალურ მათემატიკოსებს შორის ყველაზე ახალგაზრდა — ალბერტო კოტო გარსია. იგი 1970 წლის 20 მაისს დაიბადა. მათემატიკურ ნიჭს სხვადასხვა შოუსა და გასართობ გადაცემაში იყენებს. 8 წუთსა და 25 წამში შეუძლია 8-ნიშნა ციფრის გამრავლება. ბუალტრად და ფინანსურ მრჩეველად მუშაობს.

ყველაზე პრესტიჟული უბნები

ევროპის ყველაზე ძვირად ღირებული ქუჩად, მონაკოში მდებარე, პრინცესა გრეისის ავენიუ მიიჩნევა: 1 კვმ-ის ფასი 100 ათასი დოლარია; ყველაზე უბრალო ბინა 30-35 მლნ დოლარი ღირს. ჰონკონგის ცენტრში 1 კვმ მიწის ფართობი 90 ათასი დოლარი ღირს. 1997 წელს ჩინელმა მილიონერმა 4-ოთახიან ბინაში 100 მლნ დოლარი გადაიხადა. ნიუ-იორკში, მეხუთე ავენიუზე ბინების ფასი 5-დან 17 მლნ დოლარამდეა. რამდენიმე წლის წინ ინდოელმა მილიონერმა, ლაკშიმი მითალმა ლონ-

დონის ცენტრში 12-ოთახიანი ბინა 90 მლნ დოლარად შეიძინა. იტალიაში, სან-მორიცის კურორტზე ვილის მინიმალური ფასი 20 მლნ დოლარს აღწევს. პოლიუდის ვარსკვლავები მილიონერების უბანში — ბევერლი-ჰილზში ცხოვრობენ. იქ სახლის ფასი სულ ცოტა, 50 მლნ-ს შეადგენს. მუშაბის (ინდოეთი) ცენტრში კი ბოლიუდის ვარსკვლავები ცხოვრობენ. ინდოელმა მილიონერმა მუკუემ ამბანიმ 1,6 მლრდ დოლარად 27-სართულიანი სახლი აიშენა.





ქვირად ღირებული ეგზოტიკური ცხოველები

DeBrazza-ს ჯიშის მაიმუ-ნი ცენტრალურ აფრიკა-ში, ჭაობების მახლობლად და ძალიან ნესტიან ადგი-ლებში ბინადრობს. შე-შინებული მაიმუნი საში-ნელ ხმას გამოსცემს. თი-თოუული ცხოველი 7 ათასი დოლარი ღირს.



ეგზოტიკური ფრინ-ველების მოყვარულები 12 ათას დოლარს იხდიან მაკაოს ჯიშის თუთიყუშში. მისი სამშობლო — სამხრეთ ამერიკაა. თუთიყუში იოლად სწავლობს ლაპარაკს, ლამაზი შეფერილობით გამოირჩევა; თუ გააბრაზეთ, საკმაოდ საში-ში ხდება — ამ დროს, ნისკარტით ქო-ქოსის კაკლის გახვრეტა შეუძლია.

ინდოეთში ყველაზე გრძელ (4 მე-

ტრამდე იზრდება) გველად პითონი მიიჩნევა. ზრდასრულ გველთან „ჩახ-უტების“ შემდეგ, ადამიანი ძვლების ტომარას ემსგავსება. მიუხედავად ამისა, პითონს შინაური ცხოველივით, ოჯახ-ებში ზრდიან. ეგზოტიკური შინაური ცხოველის ფასი 15 ათასი დოლა-რია.

დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში მობინადრე შიმპანზე 65 ათასი დოლარი ღირს. ამ ჯიშის მაიმუნი ერთადერთი ცხო-ველია, რომელსაც ადამიანივით სიცილი შეუძლია.

ალბინოს ვეფხვს ველურ ბუნება-ში ცხოვრება უჭირს, კერძო ან სახელმწიფო ზოოპარკებში თავს დაცულად და უსაფრთხოდ გრძნობს. თითოეული ეგზემპლარი 138 ათა-სი დოლარი ღირს.



უჩვეულო ვულკანები

კუნძულ ტანაზე (ნენარი ოკეანე) ვულკან იასურის ამოფრქვევა ფე-იერვერეს ჰგავს.

ეკვადორში მდებარე ვულკან კო-ტოპაკსის სიმაღლე 5897 მეტრია. ეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ვულკანია. მისი დაპყ-რობა ალპინისტებსა და მთის ველოსიპე-დისტებს უყვართ.

კუნძულ ლანსაროტს „ცეცხლისმფრქვეველ მთასაც“ ეძახიან — ამ ციცქნა კუნძულზე 300-მდე ვულკანი მდებარ-ეობს. ერთ-ერთის კრა-ტერთან რესტორანი „ელ დიაბლო“ მდებარ-ეობს. კერძების მომზა-დებისას ვულკანის სიმზურვალეს იყენებენ. მაგრამ კლიენტები

რესტორანში დიდხანს ვერ ჩერდე-ბიან: იატაკი იმდენადაა გახურე-ბული, რომ ფეხსაცმლის ლანჩებს წვაავს.



პაკაიას ვულკანი (გვატემალა) იმ-ითაა ცნობილი, რომ ლავის ამოფ-რქვევის დროს, მის მახლობლად სიარული საშიში არ არის.

ანტიუპარსანტი გზაში საკითხავი კოლაჟი

ქებღერელი თუყუ ივანიძე

18. „ჩვენ სამხედრო ტყვეები არ გვყავს, ჩვენში მხოლოდ სამშობლოს მოღალა-ტეები არიან“; — ამბობდა სტალინი საბ-ჭოთა ჯარისკაცთა შესახებ, ვინც ომის დროს ტყვედ ჩაპაზრდა გერმანელებს.

19. ერთხელ, საკუთარ მონაზე გაბრა-ზებულმა პლატონმა მასთან სტუმრად მყოფ ქსენოკრატეს სთხოვა, შენ დასაჯე ეს ადამიანი, მე საამისოდ მეტისმეტად გაბრა-ზებული ვარო.

20. თბილისის სახლიცა და საგურამოს სახლიც ილია ჭავჭავაძემ ანდერძით, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ-ავრცელებელ საზოგადოებას დაუტოვა. მწერლის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ, ოლა გურამიშვილმა მთაწმინ-დის მახლობლად პატარა კუთხე იქირავა და დარჩენილი სიცოცხლე იქ გაატარა.

21. „რატომ ხდება, რომ ადამიანი ხე-იბარსა და მათხოვარს უფრო ხალისით უმართავს ხელს, ვიდრე ბრძენს?“ — ჰკითხ-ეს ერთხელ დიოგენეს. — „იმიტომ, რომ ადამიანი შიმობს, ოდესმე თავადაც არ გახდეს ხეიბარი ანდა მონყალების მის-ალებად თავადაც არ მოუხდეს ხელგამ-ვერილი სიარული. ბრძენად კი ვერას-დროს გადაიქცევა, ამიტომაც არ ებრალებ-ბა იგი“.

22. მსახიობი ლიუბოვ ორლოვა გრაფე-ბის ჩამომავალი გახლდათ. მამამისმა რევოლუციამდე სულ ცოტა ხნით ადრე კარტ-ში წააგო თავისი მესამე, ყვე-ლაზე დიდი მამული და მოგვიანებით გაიძახოდა, — კიდევ კარგი, თორემ ბოლშე-ვიკები წამართმევდნენ და გული დამწყდებოდაო.

23. ერთხელ მსახიობები — მიხაილ ბოიარსკი და ვალენტინ სმირნიცი ბურლინიში ყოფნი-სას ბარში ისე დათვრნენ, რომ ერთმა-ნეთს ვეღარ ცნობდნენ. სულ მალე ადგი-ლობრივმა პოლიციამ დააკავა და რ-ტანიანისა და პორთოსის როლის შემ-სრულებელი მსახიობები, რომლებიც ცდი-ლობდნენ, შტურმით აეღოთ რაიხსტაგის შენობა.

24. ერთხელ მთვრალმა ახალგაზრდებმა ქუჩაში ათენელი ტირანის, პისისტრატეს ცოლი ვერ იცნეს და სიტყვიერი შეურაცხ-ყოფა მიაყენეს. მეორე დღეს გამოეხიზლდნენ და შეშინებულუბმა პისისტრატეს სასახლე-ში ტირილითა და პატიების თხოვნით მი-აკითხეს. ტირანმა მშვიდად მოუსმინა და უთხრა: „იმედია, სხვა დროს უფრო მეტ კეთილგონიერებას გამოიჩენთ. რაც შეეხე-ბა ჩემს მეუღლეს, ამ ერთხელ გეტყვი და მეორედ აღარ გაგიმეორებთ: გუშინ ჩემი ცოლი სასახლიდან არსად გასულა“.



დღესასწაულებზე ადამიანი საღვთო მადლით იბვირება

19 იანვარს ნათლისღების დღესასწაულს მიეგვიტებით. ამ დღეს უფალმა ინება და ნათელ იღო იოანე წინასწარმეტყველის ხელით, რომელსაც მას შემდეგ, რაც მაცხოვარი მონათლა, ნათლისმცემელი ეწოდა. იოანე ნათლისმცემელს თავად უფალმა უწოდა უდიდესი ადამიანთა შორის. მას განუზომლად მნიშვნელოვანი მისია ერგო — კაცობრიობა უფალთან შესახვედრად უნდა მოემზადებინა, ადამიანთა გულები განემზადებინა მხსნელის მისაღებად. ის არის ხიდი ძველსა და ახალ აღთქმას შორის — კაცობრიობა ძველი აღთქმიდან ახალ აღთქმაში გადაჰყავს.

შორენა მერკვილაძე

იოანე ნათლისმცემელმა თავისი მისიის განცხადებულად აღსრულება იორდანეს შემოგარენში სინანულის ქადაგებით დაიწყო: „შეინანეთ, რამეთუ მოახლოვებულ არს სასუფეველი ცათა“, — მიმართავდა იგი მასთან ნათლისღებისთვის მისულ ხალხს და მდინარე იორდანეში ნათლავდა. ამ სიტყვებით ამზადებდა მაცხოვრის, მხსნელის მისაღებად.

როგორც ვიცით, იუდეველები იმ პერიოდში ელოდებოდნენ მხსნელს. როდესაც გამოჩნდა კაცი, რომელიც მათ სინანულისკენ მოუწოდებდა და წყლით ნათლავდა; ეკითხებოდნენ: „შენ ხარ მესია?“ იოანე ნათლისმცემელი პასუხობდა: „მე არა ვარ ქრისტე“. ხოლო როდესაც ჰკითხეს, — მამ რატომ ნათლავო? — მიუგო: „მე ვნათლავ წყლით, მაგრამ თქვენ შორის დგას, ვისაც არ იცნობთ. ის ჩემ შემდგომ მოდის, მაგრამ უწინარეს ჩემსა იყო. მე მისი თასმის შესხნის ღირსიც არა ვარ. ვინც ჩემ შემდგომ მოდის, ის მოგნათლავთ წყლითა და სულიწმიდით. მე კი იმიტომ მოვედი წყალში სანათლავად, რომ ის გამოეცხადოს ისრაელს“...

ამ დროს იორდანეს შემოგარენში გამოჩნდა მაცხოვარიც. როდესაც იოანე ნათლისმცემელმა მისკენ მიმავალი იესო იხილა, თქვა: „აჰა, ტარიგი ღმრთისაი, რომელმან აღიხუნეს ცოდვანი სოფლისანი“, — ეს არის ის, რომელთაც ვთქვი ჩემზე უპირატესია, ვინაიდან ჩემზე უწინ იყო. შემოქმედი ბურუსში არ ტოვებს კაცობრიობას, პირდაპირ აძლევს ნიშანს მხსნელის შესახებ. იოანე კი იმიტომ უდიდესი ადამიანთა შორის, რომ სწორედ მას ხვდა წილად დამონება მაცხოვრისა, მხსნელის მოსვლისა. მაცხოვარი მიდის იოანესთან და ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, ინათლება იორდანეში...

გვესაუბრება **მამა პეტრე** (გიორგაძე).

რატომ ინება უფალმა ნათლისღება?

როდესაც მაცხოვარი იოანე ნათლისმცემელთან მივიდა და ნათლისღება ითხოვა, იოანემ თავი ამის ღირსად არ ჩათვალა. მაცხოვარმა მიმართა, — შესაძლებელია ის, რაც უნდა შესრულდეს; ის მორჩილებითა და თავმდაბლობით აღასრულებს სჯულს. ჩვენ კი მიგვანიშნებს, — რა მდგომარეობისაა უნდა იყოს ადამიანი, ვალდებულია სჯულის აღსრულებისა. ამასთან, უფლის მისვლა იოანესთან და მისგან ნათლისღება იყო ნიშანი ნათლისღების აუცილებლობისა. თუკი უფალმა ინება, შენც გჭირდება ნათელ იღო. ნათლისღების გარეშე ვერავინ ცხონდება: როდესაც ადამმა შესცოდა, მასში მთელმა კაცობრიობამ, ყველა ადამიანმა შესცოდა. ამიტომაც ყველა იბადება ცოდვაში — თითოეულ ჩვენგანს მემკვიდრეობით ერგება პირველქმნილი ცოდვა. ყველას ადევს ბოროტის მონობის დაღი — დანომრილი ჰყავს ბოროტს თავისი ბუჭდით, რომ ის მისი მონაა; როდესაც ადამიანი ინათლება, ეს დაღი ერეცხება და სულიერად სუფთა, ჩვილი ხდება. თუ ხორციელად შეცოდებული ადამის შთამომავლები ვართ, ნათლისღებით — სულიერი შობით — ახალი ადამის, უცოდველი ქრისტეს შთამომავლები ვხდებით. ნათლისღებით ადამიანზე გადმოდის სულიწმიდის მადლი და აღუდგება უფლება ღვთის შვილობისა, ღვთის შვილად წოდებისა. როგორც ნათლისღების ლოცვებშია მოხსენიებული: ღვთის ძედა არა ხორციელად იწოდებით, არამედ ძედა სასუფეველისადა.

ნათლისღება, რომელსაც იოანე იორდანეში აღასრულებდა, მაინც უფრო ძველადღებულს იყო, გარეგნულ განწმენდას ემსახურება, მაგრამ არის მინიშნება, მომზადება ადამი-



იოანე ნათლისმცემელი

ანებისა, წყლითა და სულიწმიდის მადლით ნათლისღებისთვის.

ამასთანავე, უფალმა ნათლისღებისას, იორდანეში ჩასვლით განწმინდა წყალი და მას კურნებისა და განწმენდის მადლი მიანიჭა. სწორედ ამის ნიშნად აღესრულება ნათლისღების დღესასწაულზე დიდი აიაზმა — დიდი წყლის კურთხევა.

ნათლისღების დღესასწაულს ღვთის განცხადების დღესასწაულიც ეწოდება...

რადგან სწორედ მაცხოვრის ნათლისღების ჟამს განეცხადა კაცობრიობას ყოველადწმინდა სამების საიდუმლო — რომ ღმერთი ერთია, მაგრამ სამგვამოვანი — სამპიროვანი: წყლიდან ამოსვლის შემდეგ, მაცხოვარს თავს დაადგა ზეციდან მტრედის სახით გარდამოსული სულიწმიდა და გაისმა ხმა მამისა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, მისი ისმინეთო. უფალმა იმიტომაც ინება ნათლისღება, რომ კაცობრიობას ყოველადწმინდა სამების საიდუმლო განცხადებოდა. კაცობრიობაც მომნიჭებული იყო იმისათვის, რომ ყოველადწმინდა სამება არ არეოდა მრავალღმერთიანობაში. ამ დრომდე მხოლოდ ერთი ღმერთის შესახებ იცოდნენ. ნათლისღების დღეს კი ღმერთი კაცთა წინაშე განცხადდა ახალი სახით, რამეთუ უფალმა მიიჩნია, რომ დადგა ჟამი, განცხადებულიყო ეს უდიდესი საიდუმლოება და ადამიანს დაეწყო ახალი მსახურება.

ნათლისღების დღესასწაულზე, იმის ნიშნად, რომ უფალმა იორდანეში ჩასვლით განწმინდა წყა-



ლი, აღესრულება დიდი აიაზმა. აქვს თუ არა რაიმე განსაკუთრებული ძალა დიდი აიაზმის დროს ნაკურთხ წყალს?

— ნათლისღების დღესასწაულზე დიდი აიაზმის კურთხევით, არა მარტო მაცხოვრის ნათლისღებას მივავებთ პატივს (როდესაც განიწმინდა წყალი და მას კურნების ძალა მიეცა), არამედ ყოვლადწმინდა სამების განცხადებასაც. ამიტომაც მიიღო ნათლისღების დღესასწაულზე აღსრულებულმა წყლის კურთხევამ დიდი აიაზმა. რაც შეეხება მცირე აიაზმას — ნებისმიერ დროს შეიძლება აღესრულოს. მართლაც, ხშირად კითხულობენ, — დიდი აიაზმის დროს ნაკურთხ წყალს უფრო დიდი ძალა აქვს თუ მცირე აიაზმის დროს ნაკურთხს? მაგალი და ძალა ორივე წესით ნაკურთხ წყალს შესწევს, უბრალოდ ეს არის ორი სხვადასხვა დანიშნულების სულიერი ნაშალი — ორივე მკურნებელია და თავისი დანიშნულება აქვს: დიდი აიაზმა წელიწადში ერთხელ აღესრულება, ამიტომაც ნათლისღების დღესასწაულზე აღებულ წყალს მთელი წლის მანძილზე ინახავენ და განსაკუთრებულ შემთხვევებში, უფრო მძიმე განსაცდელისა და სნეულების ჟამს იყენებენ.

— რა მნიშვნელობა აქვს საეკლესიო, სასულიერო დღესასწაულებს და როგორ შეჭყერის ადამიანს ამ დღეების გატარება?

— თვითონ სიტყვა „დღესასწაული“ მიანიშნებს, რომ განსაკუთრებულ დღეზე, საკვირველ მოვლენაზეა საუბარი, არსში მოიცავს დიდ საიდუმლოებას, ღვთის სასწაულს, აგრეთვე — დიდ პასუხისმგებლობას ადამიანისგან. თუკი თორმეტ საუფლო დღესასწაულს ავიღებთ, ისინი შეიძლება განვიხილოთ, რო-

გორც სასწაულთა აღსრულებით გამოვლენილი ღვთის განსაკუთრებული წყალობა ადამიანთა მოდგმაზე, ან ადამიანის მიერ უფლის მიმართ განსაკუთრებული სიყვარულისა და მორჩილების გამოხატულება, როგორცაა მაგალითად, ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაული: წმინდა ქალწულის შობის ჟამს იოაკიმემ და ანამ სიტყვა თქვეს, ალთქმა დადეს ღვთის წინაშე, რომ შვილს ღმერთს შესწირავდნენ და თავიანთი ალთქმა აღასრულეს, რაც იერუსალიმის ტაძარში ყრმა მარიამის მიყვანებით იქნა გამოხატული. ეკლესიამ უფლის შთაგონებით, წმინდა ჰყო ეს დღეები, რამეთუ უფლისთვის წმინდაა ყოველი დღე, როდესაც ადამიანს ახსოვს ღვთის წყალობა და აღასრულებს მის ნებას. დანარჩენი დღესასწაულების უმეტესობა — შობა, ნათლისღება, სულთმოფენობა, აღდგომა, ამაღლება — არის ღვთის განსაკუთრებული წყალობის გამოხატულება კაცობრიობის მიმართ.

ყველა სადღესასწაულო მოვლენა დროში რეალურად მომხდარი სასწაულია — მოვლენა, რომელიც თავისი არსით, ყოველწლიურად მეორდება; და ყოველწლიურად ხდება იმ დღის, სასწაულებრივი მოვლენის განახლება, მისტიკური გამოვლენა, რომელსაც განვადიდებთ. მხოლოდ თარიღი კი არ უნდა აღვნიშნოთ, არამედ აქტიური მონაწილეობა უნდა მივიღოთ, გავხედოთ თანაზიარი, თანამონაწილე სადღესასწაულო მოვლენისა. ამასთან, უფალი გვაიმეებს, როგორ ვზეიმობთ. სამწუხაროდ, ზოგი დღესასწაულებს მხოლოდ მინიერად, ხორციელად აღნიშნავს. ეს, რა თქმა უნდა, მონაწილეობა არ არის, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისა და საკუთარი სიამოვნებისთვის აღნიშვნა.

დღესასწაულები, სადღესასწაულო დღეები დაწესებულია იმისთვის, რათა ადამიანმა აღიდგინოს ერთობა ქრისტეში. სადღესასწაულო დღეებში ადამიანი იტვირთება მაღლით და შემდეგ კვლავ აგრძელებს სულიერ ბრძოლას და საკუთარი ცხოვრებისთვის ცხოვრებას. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. რაც უფრო დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ადამიანი დღესასწაულს, მით მეტი მაღლის დამტევია, სულიერად ივსება და გული გრძობს, რომ ეს დღე მის-

თვის ძალზე მნიშვნელოვანია. ზოგიერთისთვის დღესასწაული ქეიფთან, დროს ტარებასთან ასოცირდება, ზოგისთვის კი მთავარია მასში მონაწილეობა და უხილავი მაღლის მიღება, რომელიც გულმა და გონებამ უნდა იგრძნოს. სწორედ ეს არის საჭირო უფალთან ერთობის აღსადგენად, უფალთან მისაახლოებლად.



ყრმა მარიამის მიყვანება იერუსალიმის ტაძარში

სადღესასწაულო დღეებს უქმეებ-საც უწოდებენ. ეკლესია წინასწარ აფრთხილებს ხოლმე მრევლს — ხვალ დიდი დღესასწაულია, ხვალ უქმე დღეა. ეს მიანიშნებს, რომ უნდა იუქმო შენი პირადი დღე, შენი პირადი კეთილდღეობისგან განდგე, გვერდზე გადადო პირადი ცხოვრება, პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვა და მომეტებულად იზრუნო სულის მაცხოვრებელ საქმეებზე. განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში უნდა მოვიცალოთ მოყვასის შეწვევისთვის, საკუთარი თავის განსჯისთვის: უნდა ჩაულრმავდე შენს თავს, გამოიძიო შენი სულიერი მდგომარეობა — გყავს უფალი გულში თუ — არა, დაკარგე უფალი თუ მასთან ხარ. თუ უფალთან ხარ, მაღლობა უნდა შესწირო და ევედრო, მოგცეს ძალა, კვლავ ღვთის გზით იარო. თუ არა, მეტად იღვანო, იმუშაო, დაუახლოვდე. თუკი ადამიანი სადღესასწაულო დღეებს მხოლოდ ტრაპეზითა და ქეიფით აღნიშნავს, შორდება მის დანიშნულებას და ვერ იღებს მთავარს — საღვთო მაღლს.



უფლის ნათლისღება იოანეს მიერ



კლასიკური თუ ექსტრაპოზიტივი

თუკი ახალგაზრდობა მამაკაცმა ტელეფონის ნომერი გთხოვთ, უბრალოდ დააკვირდით მის ქვევას და იოლად ამოიცნობთ, როგორი ხასიათი აქვს თქვენს თაყვა-ნისმცემელს.

კომუნიკაბელური


ამ ტიპის მამაკაცი სასწრაფოდ იწერს ნომერს — ქალაღზე, გაზეთზე, ასანთის კოლოფზე — ერთი სიტყვით, ყველანაირ ნივთზე, რაც კი ხელში მოხვდება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ წინაშეა ცვალებადი ხასიათის ადამიანი. მისთვის უცხოა პედანტიურობა, მონესრიგებულობა, პირიქით — ზედმინევენი თავისუფლებისმოყვარე, კონტაქტურია, მაგრამ ამავე დროს, სრულებით არ უფრთხილდება ურთიერთობებს. ის უმეტეს შემთხვევაში, კარგავს ასე სპონტანურად ჩანერილ ტელეფონის ნომერს და სრულებითაც არ ნანობს. მართალია, მეგობრული, მხიარული ადამიანია, მის გვერდით არ მოიწყენთ, მაგრამ სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობისთვის არ გამოგადგებათ.

კლასიკური

ამ კატეგორიის მამაკაცი დიდ ინტერესს იწვევს სუსტი სქესის წარმომადგენლებში. ის იღებს ბლოკნოტს და გულდასმით იწერს თქვენი ტელეფონის ნომერს. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მამაკაცს ცხოვრება წინასწარ აქვს დაგეგმილი და გარკვეულ განრიგს იცავს; მისთვის ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. ამ კატეგორიის მამაკაცი — პუნქტუალური და საიმედო, თუმცა ხშირად მოსაბუზრებელი და უინტერესოა. რაც შეეხება ხანგრძლივ ურთიერთობებს, ის არაფერს გადაწყვეტს მანამ, ვიდრე საფუძვლიანად არ გაგიცნობთ და თქვენი ხასიათის თავისებურებებს სათანადოდ არ შეისწავლის.

ექსტრაპოზიტივი

ამ ტიპის მამაკაცი მართლაც რომ ექსტრავაგანტიურობით გამოირჩევა. მას შეუძლია სთხოვოს ნებისმიერ გამკლელს სანერ-კალამი და ტელეფონის ნომერი ხელისგულზე წაიწეროს. ის ადვილად ინტერესდება საპირისპირო სქესით და მოვლენების სწრაფად განვითარების მო-



მხრეა. ურთიერთობებს ამყარებს შემდეგი პრინციპით: „შეუძლებელი არაფერია და თუკი მანც არსებობს ასეთი რამ, არა — ჩემთვის“. ამ ტიპის მამაკაცს, როგორც წესი, გატაცება მალე გაუვლის ხოლმე.

ბულმოზინა

ის რამდენჯერმე, თანაც საგულდაგულად ჩაიწერს თქვენს ნომერს: გაზეთზე, ბლოკნოტში, საბუთებზეც კი. თუმცა მისი გულმოდგინება ნუ მოგატყუებთ: შეიძლება ითქვას, ეს არის ყველაზე დადებითი თვისება ამ ტიპის მამაკაცისა. ის ვერასდროს მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, ის კი არა და, თავისი უმწეობით, უსიტყვო თანაგრძობას იწვევს. ყოველივე ამის შემდეგ თუ კიდევ შეგრჩათ მასთან ურთიერთობის სურვილი, დაუყოვნებლივ გამოიჩინეთ ინიციატივა.

სოკოს სალათა



50 გ გარჩეულ და გარეცხილ სოკოს დაასხით 250 გ თეთრი ღვინო, დაუმატეთ მარილი და 8-10 წუთის განმავლობაში შუშეთ თავდახურულ ქურჭელში. შემდეგ მოათავსეთ თუშვალანგზე და საშუალო ზომის ნაჭრებად დაჭერით.

2 საშუალო ზომის სტაფილო გახეხეთ, დააჭერით 2 თავი ხახვი, 1 პომიდორი და რამდენიმე ღერი კამა. აურიეთ სოკოში და შეაზავეთ ცალკე მომზადებული სოუსით: კარგად ათქვიფეთ 4 ს/კ ზეთი, 1 ლიმონის წვენი (ან ძმარი), ცოტა მარილი და შავი პილპილი. სოუსით შეზავეთ შემდეგ, სოკოს სალათა შეგიძლიათ ზეთისხილით გააფორმოთ.



იზინით და ბანსაგღვრით თქვენი ფსიქოლოგიური პორტრეტი

ავსტრალიელი სპეციალისტების აღმოჩენა იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ თითოეული ადამიანის სიცილი განუმეორებელია. სიცილის მანერა კი ყოველთვის შეესაბამება ადამიანის ხასიათს.

როგორ იცინით? თავშეუკავებელი მხიარულებისას სარკეში ჩაიხედეთ, შემდეგ კი შეადარეთ, რამდენად ზუსტია თქვენი ფსიქოლოგიური პორტრეტი.

სიცილისას ნაკბ თითით ტუჩებს ეხებით

საკუთარი შეხედულება გაქვთ კარგი ტონის, გრაციოზულობის, დახვეწილი მანერების შესახებ და ცდილობთ, მას შეესაბამებოდეთ. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

პირზე ხელს იყარავთ

თავდაჯერება გაკლიათ. მორცხვი ხართ და ჩრდილში ყოფნა გირჩევნიათ.

თავს უკან სწვით

მიმდობი ხართ. ზოგჯერ მოულოდ-



ნელი საქციელი გჩვევიათ. მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობთ.

ხალით სახეს ან თავს ეხებით

ასე მეოცნებენი და ფანტაზიორები იქცევით.

სიცილისას ცხვირს ჭაფხნით

განწყობილება, გრძნობები და შეხედულებები სწორად გეცვლება. ემოციური ხართ და ამასთანავე, ჭირვეულიც. ადვილად ემორჩილებით ნუთიერ განწყობილებას.

სამაგლს იცინით და პირს ფართოდ ალავთ

ტემპერამენტიანი ხართ. თავშეკავება და ზომიერება თქვენთვის უცხო ხილია. ბევრს ლაპარაკობთ და არ გიყვართ სხვების მოსმენა.

თავს წინ ხრით, ვიღრა ჩუბად ჩაიციწვავთ

კეთილსინდისიერი ადამიანი ხართ, იოლად ეგუებით ნებისმიერ გარემოს და ადამიანებს. გრძნობებს ყოველთვის აკონტროლებთ.

ხელს ნიკაპს ჰკიდებთ

ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურებით და ხასიათიც შესაბამისი გაქვთ. სწორად დაუფიქრებელი მოქმედება გახასიათებთ.


სიცილის კონკრეტული მანერა არ გაქვთ

თქვენ ინდივიდუალისტი ხართ. ყველგან და ყოველთვის საკუთარ მოსაზრებას ეყრდნობით და გარშემო მყოფთა შეხედულებებს თითქმის არასდროს ითვალისწინებთ.

თაფლის ნიღბები – სახის კანისთვის

მშრალი და მოშვებული კანისთვის

აიღეთ თანაბარი როდენობით მრავალძარღვას, პიტნის, ჭინჭრისა და სალბის ფოთლები. დააქუცმაცეთ და მათ ნარევეს 2 სუფრის კოვზი მღულარე წყალი ან ყურძნის წვენი დაასხით, შემდეგ კი 50 გ თაფლი შეურიეთ. მიღებული მასა 15 წუთით სახეზე დაიდეთ. ჩამოიბანეთ თბილი წყლით.



მადეზინფექციური ნიღბი

წყლის აბაზანაზე 100 გ თაფლი ოდნავ შეათბეთ, დაუმატეთ 25 გ სპირტი და 25 გ წყალი. კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20-25 წუთი და გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

მშრალი კანისთვის

1 კვერცხის გულის, 1/2 ჩ/კ თაფლის, 3-4 წვეთი მცენარეული ზეთის, 1 წვეთი ლიმონის წვენისა და 1 ჩ/კ შვრიის ფქვილის ნარევი მიქსერით ათქვიფეთ. ეს ნიღბი არა მარტო წმენდს, არამედ კვებავს და ატენიანებს კიდეც კანს.

„გამაახალგაზრდავებელი“

2 სუფრის კოვზი პურის ფქვილი, 1 კვერცხის გული და 1 ჩ/კ თაფლი ერთმანეთს შეურიეთ. ნიღბი რეკომენდებულია მშრალი და ნორმალური კანისთვის. არაჩვეულებრივია ნაადრევ ნაოჭების პროფილაქტიკისთვისაც.

რეცეპტები ყელის მოსაგლულად

ორმაგი ლაბაბის გაჩენის პროფილაქტიკისთვის ან მის დასაბატარაველად, ასევე — ნაკვეცების მოსაშორებლად გაიკეთეთ შემდეგი სახის ყოველდღიური პროცედურა: 3-5 წუთის განმავლობაში მსუბუქად ირტყით ნიკაპსა და ყელზე მარილიან წყალში დასველებული პირსახოცი (1 ჩ/კ მარილი ერთ ჭიქა წყალზე).

თუ ყელზე კანი მოშვებულია, გაიკეთეთ შემდეგი ნიღბი: დასრისეთ ძალიან მწიფე ბანანი და წაისვით სახეზე 10-15 წუთით. ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

რუბრიკა მოამზადა
ქაბ გუნთაიშვილმა



ყვირილას ხაზინის შესარქობისა და „დიდი ჩაპარდნა“

მიხეილ ლაბაქა

1905 წლის ბოლოს, როდესაც საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ პიკს მიაღწია, გამოირკვა, რომ რევოლუციური პარტიების კომიტეტებს იარაღისა და საბრძოლო მასალების საკმარისი მარაგი აღარ ჰქონდათ. იმხანად იაპონიასთან ომი უკვე დამთავრებული იყო და, სანქტ-პეტერბურგამც ფრონტებიდან მოხსნილი არმიის დიდი ნაწილი კავკასიის სამეფისნაცვლოში ჩააყენა. ამდენად, თანდათან ჯარისკაცთა და „შავრაზმელთა“ (ასე ეძახდნენ იმ დროს ცარიზმის მხარდამჭერებს) რაოდენობამ ბრძოლისუნარიან რევოლუციონერთა რაოდენობას დიდად გადააჭარბა კიდევ. საჭირო გახდა იარაღის ახალი პარტიის შემოტანა და ახალ მოხალისეთა შეიარაღება, რათა ბრძოლა გამარჯვებით დასრულებულიყო.

ქართველი მარქსისტი-რადიკალები — რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) კავკასიის ბიუროს წევრები, რომელთაც რევოლუციის მეთაურობაზე პრეტენზიები ჰქონდათ, ცდილობდნენ, რომ ევროპაში იარაღის დიდი პარტია თავადვე შეეძინათ ისე, რომ ამისათვის „ბურჟუაზიის“ (ვარლამ ჩერქეზიშვილსაც და მის მიერ დაარსებული სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრებსაც ისინი ჩვეულებრივ, „ბურჟუაზად“ თვლიდნენ) შეწუხება საჭირო არ გამხდარიყო: „იარაღის შეძენა კიდევ მათზედ რომ მიგვენდო, კაცმა არ იცის, სად გაგვისხენებდნენ ამას“, — ასე იხსენებდა მაშინდელ მოვლენებს ერთ-ერთი ცნობილი ქართველი ბოლშევიკი-ტერორისტი, იოსებ ჯულაშვილის თანამებრძოლი კოტე ცინცაძე. ერთი სიტყვით, იარაღის შესაძენად ფული იყო საჭირო, ამიტომ ჯერ ეს საკითხი უნდა მოეგვარებინათ.

1905 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნატორად მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის ახლო მეგობარი, უკრაინელი „სამოსტოინიკი“ ვლადიმერ სტაროსელსკი დაინიშნა. ის

მარქსისტ-რადიკალთა მიმართ სიმპათიებს არ მალავდა და რევოლუციურ საქმეებშიც კი ხშირად ეხმარებოდა მათ, რის გამოც „ნითელი გუბერნატორი“ შეარქვეს. სწორედ სტაროსელსკი დაჰპირდა რევოლუციონერებს იარაღის შესაძენად საჭირო ფინანსების გადაცემას. პროფესიით იგი აგრონომი იყო და, გუბერნატორობამდე სოფ. საქარაში (ახლანდელ ზესტაფონის რ-ნში) მდებარე სანერგეში მუშაობდა. დეკემბრის დასაწყისში საქარაში საიდუმლოდ ჩამოსული სტაროსელსკი ადგილობრივ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებსაც და ბოლშევიკებსაც) შეხვდა და აღუთქვა, რომ ქუთაისიდან რამდენიმე კვირაში სოლიდურ თანხას გამოგზავნიდა: „ფული ყვირილის ხაზინაში ოფიციალურად წინასახალწოდ ჩამოვა; ხაზინადარი და პოლიციის ბოქაული გაფრთხილებულნი კი იქნებიან, მაგრამ მთავრობამ რამე რომ არ იეჭვოს, ახალი წლის ღამეს ქუთადობა უნდა გაითამაშოთ და 300 ათასი მანეთი თქვენი იქნება!“ — უთხრა სტაროსელსკიმ მარქსისტ-რადიკალებს.

საიდუმლო შეხვედრის მონაწილენი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათი საუბარი არავის გაუგონია და ამი-

ნასკნელი მთელი შორაპნის მაზრაში ცნობილი „იდუური მებრძოლი“ იყო, მაგრამ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ემხრობოდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხანდახან — სხვადასხვა მიზეზის გამო, იძულებული ხდებოდა, რომ „ერთობის ხალხის“ (ასე ეძახდნენ მაშინ საქართველოში მარქსისტ-რადიკალებს) შეკვეთები შეესრულებინა. ცხადია, იარაღის შესაძენად ფული აფრასიონ მერკვილაძესაც ძალიან სჭირდებოდა — მაშინ ხომ პოლიტიკოსებზე უფრო ნაკლებად იქნებოდა დამოკიდებული და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაც გაცილებით გაუადვილებოდა. აქედან გამომდინარე, აბრაგი მარქსისტ-რადიკალებთან შესაძლო დაპირისპირებას აღარ მოერიდა და გადაწყვიტა, სტაროსელსკის გამოგზავნილი ფული მთლიანად ჩაეგდო ხელში.

1905 წლის 30 დეკემბერს, შორაპნის მაზრის დაბა ყვირილაში (ასე ერქვა იმხანად ქ. ზესტაფონს) დღის სამ საათზე, ფოსტის „პოვოზკა“ შეჭრილდა, რომელსაც სტრაჟნიკთა ათეული მოჰყვებოდა. ხაზინასთან მათ აფრასიონ მერკვილაძის რაზმელები ელოდნენ. აბრაგები გლეხურად იყვნენ ჩაცმულნი და სტრაჟნიკებს არაფერი უეჭვიათ — „პოვოზკა“ შეაჩერეს და ფულის გადმოზიდვას შეუდგნენ. ამ დროს ერთ-ერთმა რაზმელმა მათი მიმართულებით ყუმბარა ისროლა და რამდენიმე კაცი ცხენიდან ჩამოგდო. სხვებმა ფულის გადმოზიდვას

თავი ანებეს, სწრაფად თოფები მოიმარჯვეს და თავდამსხმელთა მოგერიებას შეუდგნენ.

ალსანიშნავია, რომ სტაროსელსკის მიერ ჩაფიქრებული ფინანსური კომბინაციის თაობაზე მაშინ ყვირილელმა „ნითელრაზმელებმა“ — სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითმა აქტივისტებმა — არაფერი იცოდნენ; იმხანად პარტია ყვირილაში აჯანყების მოწყობას გეგმავდა (ცხადია, მას შემდეგ, რაც იარაღს შეიძენდნენ) და, როგორც წესი, აქტივისტები გაფრთხილებული ჰყავდათ — დღე-

დღეზე შესაძლოა, თოფი გავარდეს და, მაშინვე თქვენც გამოდითო. ამიტომაც, როდესაც ხაზინასთან მართლაც სროლა ატყდა, ნითელრაზმელებმა ეს აჯანყების დაწყებად მიიჩნიეს და, როგორც დარიგებულნი



ყვირილას (თანამედროვე ზესტაფონის) სადგური და ხაზინის შენობა, საიდანაც მერკვილაძის რაზმელებმა ფული გაიტაცეს; 1905 წლის ფოტო

ტომაც მშვიდადვე დაიშალნენ. როგორც აღმოჩნდა, სანერგის მებაღემ — ვინმე არაბიტემ — სტაროსელსკის სიტყვებს ყური მოჰკრა და, იმ საღამოსვე ყველაფერი აბრაგ აფრასიონ მერკვილაძეს აცნობა. ეს უკა-



„იდეური მებრძოლი“, აბრაგი აფრასიონ მერკვილაძე მეგობარ ქალთან ერთად, 1904 წლის ფოტო

იყვნენ, თვითონაც შეიარაღებულნი, ქუჩებში გამოვიდნენ. სროლის ხმა ასევე ყვირილის გარნიზონის ჯარისკაცებმაც გაიგონეს; მათაც სასწრაფოდ თოფებს დაავლეს ხელი და სტრაჟნიკების საშველად საზინისკენ გაიქცნენ.

სანამ შეიარაღებული შეხლა-შემოხლა სერიოზულ შეტაკებაში გადაიზრდებოდა, აფრასიონ მერკვილაძის რაზმელებმა ფული გაიტაცეს და მიიმაღლნენ, მაგრამ მათ უკან არავინ დასდევნებია — რევოლუციონერები და ჯარისკაცები ერთმანეთს „ხიდისთავად“ წოდებულ ადგილას დაუპირისპირდნენ. მცირერიცხოვანმა გარნიზონმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და დანებდა. წითელრაზმელებმა სადგურის, ფოსტისა და სადაბო ერობის შენობები დაიკავეს, დაატუსაღეს ბოქაული კოლია ნემსაძე, პოლიცია და ჟანდარმერია კი განაიარაღეს. საღამოს ხუთ საათზე სოციალ-დემოკრატებმა ყვირილაში რუსული მმართველობის დამხობის და რესპუბლიკის დამყარების შესახებ განცხადება გააკეთეს, შემდეგ კი აფრასიონ მერკვილაძესა და მის რაზმელებს, რომლებიც სოფ. საქარაში იმყოფებოდნენ, გატაცებული თანხის უკან დაბრუნება მოსთხოვეს.

გადმოცემით, მერკვილაძე სოფ. საქარაში სოციალ-დემოკრატიული

პარტიის სამმა წარმომადგენელმა ინახულა, რომელთაგან ერთ-ერთი იოსებ ჯულაშვილი, იგივე კობა იყო; აბრაგმა ფულის დაბრუნებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ჯულაშვილმა იცოდა, რომ აფრასიონ მერკვილაძეს ძალით მაინც ვერაფერს წაართმევდა და ამიტომაც ასეთი რამ შესთავაზა: „ვიცი, რომ იარაღი გჭირდება; ჩვენ ფული სწორედ იარაღის შესაძენად გვინდოდა. თანხის ნახევარიც რომ დაგვიბრუნო, შენინანებსაც შევაიარაღებთ და სანაცვლოდ კი არაფერს მოგთხოვთ!“

კობას სიტყვებმა აფრასიონ მერკვილაძე შეაფიქრინა — ის არც ერთი პარტიის წევრი არ იყო, არც გავლენიანი ნაცნობები ჰყავდა, რომ იარაღი დამოუკიდებლად და სანდო პირებისგან შეეძინა; ამიტომაც მეტად უხალისოდ დათანხმდა ჯულაშვილის ამ წინადადებას. თავისთვის და რაზმელებისთვის 100 ათასი მანეთი დაიტოვა, დანარჩენი კი — 200 ათასი მანეთი — სოციალ-დემოკრატებს დაუბრუნა. სხვათა შორის, აფრასიონ მერკვილაძეს ამის გამო მერე ხშირად საყვედურობდნენ კიდევ — ფულის გატაცებისას ამდენი სისხლი დაღვარეთ და შენ კი პირველივე მოთხოვნისას „ლუსმნის ქურდს“ (ასე ეძახდნენ იოსებ ჯულაშვილს — იმხანად თბილისის რკინიგზის დეპოში იგი საშპალე ლურსმნებს იპარავდა, ჯართში აბარებდა და ფულს ასე შოულობდა) ჩაუთვალეო.

იოსებ ჯულაშვილმა და სხვა სოციალ-დემოკრატებმა აფრასიონ მერკვილაძისაგან მიღებული 200 ათასი მანეთი 1906 წლის 2 იანვარს ბათუმში ჩაიტანეს. იქ მათ უკვე ელოდა პარტიის აქტივისტთა შვიდკაციანი ჯგუფი, რომელსაც იარაღი მაკედონიდან, ქ. სალონიკიდან საქართველოში უნდა ჩამოეტანა; ამ ჯგუფში ცნობილი ტერორისტი და ბოლშევიკების შავბნელ საქმეთა დიდოსტატი კამოც შედიოდა. რევოლუციონერები ბათუმიდან ოსმალური გემით 4 იანვარს გა-

ემგზავრნენ და რამდენიმე დღეში უკვე დანიშნულების ადგილზე — ქ. სალონიკში ჩავიდნენ, რომელიც იმხანად ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა. როგორც უკვე აღინიშნა, იარაღის შეძენის საქმეში ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი აქტიურად იყო ჩართული და მაკედონიაში სწორედ მას ჰყავდა საიმედო ხალხი, რომელიც იარაღით ვაჭრობდა.

კამომ და დანარჩენებმა იარაღის სოლიდური პარტია ბულგარელ ვაჭარ დამიანჩო სოკოლოვისაგან შეიძინეს; ასევე, მათ იყიდეს მცირე წყალწყვის იახტაცე, რაზედაც შენაძენი დატვირთეს და საქართველოსკენ გამოემართნენ. გზაში მათ შეიტყვეს, რომ „ყვირილას რესპუბლიკა“ დაცემულიყო, ქუთაისის გუბერნიაში კი გენერალ ალისანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი იმყოფებოდა. ბუნებრივია, იარაღით დატვირთული იახტა ვერც ერთ ქართულ ნავსადგურში ვეღარ შევიდოდა, მაგრამ უკან დაბრუნებაც უკვე აღარ შეიძლებოდა. ამიტომ კამომ გადაწყვიტა, იარაღი ხოფაში გადაეტვირთათ და იქიდან კი საზღვარზე უჩუმრად გადაეტანათ. ასე გაცილებით ადვილი იყო, რადგანაც რევოლუციონერებს იმხანად ოსმალეთის ლაზეთში საკუთარი ბაზებიც კი ჰქონდათ და კონტრბანდისტთა უმრავლესობას პირადად იცნობდნენ.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სანამ კამო მაკედონიაში იარაღის საყიდლად იყო წასული, რუსეთის „ოხრანკამ“ გუბერნატორ სტაროსელსკის რევოლუციონერებთან კავშირის თაობაზე ყველაფერი შეიტყო და თვალთვალ-იც დაუწესა. ინფორმაციონერებმა „ოხრანკას“ ისიც აცნობეს, რომ სოციალ-დემოკრატებს იარაღის შეძენაში სწორედ სტაროსელსკი ეხმარებოდა. „წითელ გუბერნატორს“ ვორონცოვ-დაშკოვმაც კი ვეღარ უშველა, რადგანაც თავად ნიკოლოზ II-მ, როდესაც სტაროსელსკის საქმეს გაეცნო, ამგვარი რეზოლუცია დაადო: „აი, ეს კაცი ნამდვილად იმსახურებს სახელმწიფო სტრუქტურებიდან სამუდამოდ გაქეევას!“. ამიტომაც, 1906 წლის იანვრის შუახანებში ქუთაისის გუბერნატორად გენერ-



ბოლშევიკების შავბნელი საქმეების ოსტატი კამო ციხეში, 1906 წელი



ლაზი კონტრაბანდისტი ჰასან გიმეშ-ოღლი

ალი მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი დანიშნეს, ვლადიმირ სტაროსელსკი კი ყიზანის მხარეში გადასახლეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს.

„ოსრანკამ“ რევოლუციონერთა მომხრე გუბერნატორს „ყვირილას რესპუბლიკის“ ამბებიც ამოუქექა და სხვათა შორის, მაკედონიაში გაგზავნილ სოციალ-დემოკრატთა ვინაობაც შეიტყო; კამოსა და მის თანამზრახველებს უკვე მთელ რუსეთის იმპერიაში წითელი ცირკულარით დაექებდნენ, ისინი კი ოსმალეთ-რუსეთის საზღვარზე იარაღის კონტრაბანდულად გადმოტანას აპირებდნენ. კამო დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი კარგად გამოვიდოდა: როცა იახტა ხოფის სანაპიროს მიადგა, საჩქაროდ მოძებნა ახლობელი კონტრაბანდისტი, ლაზი ჰასან გიმეშ-ოღლი, რომელსაც საქმის არსი აუხსნა და დახმარება სთხოვა. გიმეშ-ოღლიმ ქუთაისის გუბერნიის ამბები იცოდა, მაგრამ კამოს ხატრი ველარ გაუტეხა და დათანხმდა. იმავე ღამეს, იახტიდან იარაღი ნაპირზე გადმოზიდეს და საიმედო ადგილას გადამალეს. მალე გამოირკვა, რომ ჰასან გიმეშ-ოღლის საკმაოდ ორიგინალური ჩანაფიქრი ჰქონდა.

ლაზმა კონტრაბანდისტმა გათენებისთანავე აუხსნა კამოს და მისიანებს, როგორც უნდა მოქცე-

ულიყვნენ: „იარაღს თუთის კუბოებში ჩავანყობოთ, თავს ჩვეულებრივად დავახურავთ და რომელიმე სავაჭრო გემზე ავიტანთ... აქედან გემები ბათუმში, ფოთსა და სოსუმში ყოველდღე გადიან და, ნავსადგურში შესვლისას რუსები მათ არც კი ჩხრეკენ“, — უთხრა გიმეშ-ოღლიმ სოციალ-დემოკრატებს; ისინიც დათანხმდნენ. გარდა ამისა, გიმეშ-ოღლიმ იახტის ჩაძირვა მოითხოვა — საქმეს ასე სჭირდებოდა.

საბოლოოდ, იახტა ჩაძირეს, მერე კი თუთის კუბოები ტრაპიზონში, ბერძნებისაგან მოიძიეს, შიგ იარაღები ჩააწყვეს და ერთ-ერთ სავაჭრო გემზე აიტანეს, რომელიც ჰასან გიმეშ-ოღლის კარგ ნაცნობს, არქაბელ ისკანდერ ლაზ-ოღლის ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა იცოდა, რომ კუბოებით იარაღი გადაჰქონდათ: „მეც ერთობის კაცი ვარ, ამიტომ ჩემი თავი თქვენ გენაცვალეთ!“ — ანუგეშებდა ის კამოს. რადგანაც ისკანდერ ლაზ-ოღლის გემი სავაჭრო იყო, რუსეთის იმპერიის ნებისმიერ ნავსადგურში თავისუფლად შესვლა შეეძლო — მას მართლაც არავინ გაჩხრეკდა; მით უმეტეს, რომ ამჯერად ბათუმში მიდიოდნენ, ის კი „პორტო-ფრანკო“, ანუ თავისუფალი ნავსადგური იყო.

ზღვაში გასვლამდე კამომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის სამეგრელო-იმერეთის კომიტეტს დაშიფრული დეპეშა გაუგზავნა — ბათუმში დაგვხვდითო. დეპეშის ფიქციური ადრესატი, კომიტეტის ერთ-ერთი მკავშირე, ბათუმელი მედუქნე მნაცვან აკოფიანცი უკვე „ოსრანკის“ მიერ იყო გადაბირებული და, ადვილი წარმოსადგენია, კომიტეტის ნაცვლად, სადაც მიიტანდა დეპეშას. ბათუმის ჟანდარმერიაში სოციალ-დემოკრატების ასაყვანად მასშტაბური სპეცოპერაცია დაიგეგმა. აგენტები დილაადრიან ნავსადგურში გავიდნენ და კამოსა და მის თანამზრახველებს დაუწყეს ლოდინი.

გემიდან გადმოსულ სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც თან თუთის სამი კუბო მოჰქონდათ, მნაცვან აკოფიანცი ჩვეულებრივად, ტირილით შეეგება. აგენტები იქვე ახლოს ტრიალებდნენ და ცდილობდნენ, შეუმჩნეველნი დარჩენილიყვნენ. აკოფიანცმა კუბოები თან მოყვანილ ურემზე დააწყო, ნაბდები გადააფარა და მერე ზედ სოციალ-დემოკრატები დასხა; მეურმეს (ჟანდარმერიის აგენტს) თავისი სახლისაკენ ნასვლა უბრძანა. მანაც ხარებს ნკვპლა გადაჰკრა და გზას

გაუყენა. ურემს უკან შეუმჩნეველად სხვა აგენტები მიჰყვნენ.

მნაცვან აკოფიანის სახლის ეზოში ნაბადგადაფარებული ურემი ისე შეიყვანეს, გარეშეთა ყურადღება რომ არ მიექცია. კამოს პირველად მაშინ უღალატა „მარქსისტის ალლომ“ და ვერ შენიშნა ადევნებული აგენტები, რომელთა წყალობითაც პოლიცია ისე სწრაფად დაადგათ თავს, რომ გამორკვევაც ვერ მოასწრეს. პოლიციელებმა კამოს და მის თანამზრახველებს, ასევე მნაცვან აკოფიანსაც წამსვე ხელბორკილები დაადეს და თუთის კუბოებს სახურავები ახადეს.

მოგვიანებით, როცა კი ამ ამბავს გაიხსენებდა, კამო ყოველთვის გულ-დანყვევით აღნიშნავდა იმას, რომ გული დროზე ადრე დაიმშვიდა და, სიფიზოლევ სწორედ მაშინ მოადუნა, როდესაც პირიქით — ასი თვალისა და ყურის გამოშმა იყო საჭირო: „ეს იყო დიდი ჩავარდნა, რამაც თავზარი დასცა კავკასიის სამეფის-ნაცვლოს რევოლუციურ პარტიებს... ამხანაგ კამოსაგან ამას არავინ ელოდა, მაგრამ მან მალევე მოახერხა რეაბილიტაცია — ციხიდან გაიქცა და ტფილისში ისევ ამხანაგ ჯუღაშვილსა და მის „დრუჟინას“ შეუერთდა“, — წერდა შემდგომში კამოს ოფიციალური ბიოგრაფი, ცნობილი ქართველი ბოლშევიკი და ტერორისტი ბარონ ბიბინეიშვილი. გადმოცემით, როდესაც სტალინს კამოს გაჯავრება სურდა, ყოველთვის „დიდ ჩავარდნას“ ახსენებდა და თან ეუბნებოდა — ის ფული აბრაგებს ძლივს ნავგლიჯე ხელიდან და შენ კი ყველაფერი წყალში ჩაყარეო. მართლაც, კამოს ამ საქმის გამო კარგა ხანს ჰქონდა ნირი წამხდარი და ავტორიტეტის აღდგენა მერეულა მოახერხა, როდესაც 1907 წელს ერევნის მოედანზე საყოველთაოდ ცნობილ ექსპროპრიაციაში მიიღო მონაწილეობა.

P.S. „დიდ ჩავარდნაზე“ საუბრისას, ბოლშევიკები, გასაგები მიზეზის გამო, აბრაგ აფრასიონ მერკვილადეს აღარ ახსენებდნენ ხოლმე; არადა, ამ ამბის გაგრძელება მას უშუალოდ უკავშირდება: კამო ციხიდან ახალი გამოქცეული იყო და თავს მეგობრის სახლს აფარებდა, როდესაც აფრასიონმა მოინახულა და პასუხი მოსთხოვა — იარაღს რომ დამპირდით შენ და კობა, რატომ აღარ მომეცით?! კამოს აბრაგის შეეშინდა და რომ გაჩუმებულიყო, ლენინის ნაჩუქარი, წარწერიანი მაუზერი გადასცა.



„სულიერად ძეგა“ და სწსნიათით „დიდცხვირა“ ნუკი კოშკელიშვილი ბელაჰიზიში დაბრუნებაზე ოცნებობს

ნუკი კოშკელიშვილი შინიდან მოუნქსრიგებელი არასოდეს გადის, ჯანმრთელი კვების რეჟიმს იცავს და სახის კანს ისე უვლის, როგორც 18 წლის გოგონას შეეფერება. ცხვირის ოპერაციასთან დაკავშირებულ კითხვებს კი ასე პასუხობს: ჩემი „უზარმაზარი“ ცხვირი მიჩვენია, რადგან ხასიათითაც „დიდცხვირა“ ვარო...

ეთო ყოვლანაშვილი

— ნუკო, სახალწლო დღესასწაულებზე წონასთან დაკავშირებული მცირე პრობლემები ხომ არ შეგიქნა?

— საერთოდ, დიეტების მომხრე არ ვარ. უბრალოდ, ჯანსაღი კვების რეჟიმს მივსვალა. მიმაჩნია, რომ ადამიანი თავისი ნორმალური წონის დაკლებას არ უნდა ცდილობდეს, თუმცა 7 კილოგრამით ნაკლებს რომ ვინონიდე, ამაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი (იციინის). ახალ წელს რაც შეეხება, ჩემს დაქალებთან ერთად, გუდაურში წასვლა მქონდა დაგეგმილი. მინდოდა, ახალ წელს „შინაურულად“, კოტეჯში, ე.წ. „ტუსოვკების“ გარეშე შევხვედროდი, მაგრამ გუდაურში არ მოთოვა და ჩვენი გეგმაც ჩაიშალა. მივხვდით, რომ თბილისში ყოფნა მოგვიწევდა, არადა, სიტუაციის შეცვლა გვინდოდა. „კაპიკი“ ფული არ გვეკონდა. 31 დეკემბერს ანგარიშზე გარკვეული თანხის დარიცხვას ველოდი. მეგობრებმა ჯიბეები „მოვიქექეთ“ და რალაც თანხა შევაკონინეთ, რომლითაც ბათუმში ტაქსით წასვლა მოვახერხეთ. იქ, ჩემს გაყინულ ბინაში (სადაც ზაფხულის მერე არავინ ყოფილა) მივედი. მთელ დღეს ბანკომატთან ვატარებდით. გაირკვა, რომ 31-ში თანხის გადარიცხვა არ ხერხდებოდა. შესაბამისად, უფულოდ დავრჩით. მწარედ მასსოვს, როცა თბილისში მყოფ მეგობრებს ტელეფონით ველაპარაკებოდი. ისინი მეუბნებოდნენ, რომ სუფრას შლიდნენ, ჩვენი სახალწლო სუფრა კი „სუფრიკისგან“ შედგებოდა, რომელიც მეზობელთან მოვადულე (ჩვენი გაზი არ გვეკონდა). გოგნებულმა მეზობელმა მკითხა, ნაღდი ხარ თუ „პატენტიო“ (იციინის)?.. მერე კონცერტზე წავედი, სადაც ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. მინდა, აღვნიშნო, რომ სოფო ნიჟარაძემ საოცრად იმღერა. ბათუმში ძალიან კარგად „გაკეთებულ“ კონცერტი იყო, მშვენივრად გავერთეთ. კონცერტის მერე, სხვა მეგობრებს შევხვდით და რესტორანში წავედი. ამასობაში, ბანკომატზე თანხაც დაირიცხა... მოკლედ, ყველაფერი კარგად დასრულდა.



— ძალიან კარგი. ნუკო, ჩვეულებრივ თავის მოქსრიგებს რა დროს ანდომებ?

— შინიდან გასვლამდე, ტანზე წყალი რომ არ გადავივლო, გამორიცხულია. მერე თმას ვიშრობ, ვარცხნილობას ვინქსრიგებ, მაკიაჟს ვიკეთებ (ჩაცმა ბევრ დროს არ მართმევს)... ამ ყველაფრისთვის 40-50 წუთი მჭირდება.

— შენი თმის ბუნებრივი ფერი როგორია?

— ღია ფერის თმა მაქვს. თუმცა, შეიძლება ვიტყუებ: დიდი ხანია, ჩემი თმის ბუნებრივი ფერი აღარ მინახავს. ასე რომ, არ გამიკვირდება, მაგალითად, წითური რომ აღმოვჩნდე (იციინის).

— მოკლე ვარცხნილობაში საკუთარი თავი არ მოგწონს?

— როგორ არა, ე.წ. „ბიჭური“ ვარცხნილობაც მქონია, „კარეც“, „იტალიანკაც“... ამ ეტაპზე გრძელი თმა ჩემთვის ყველაზე მარტივად მოსავლელია.

— იმიჯის რადიკალურად შეცვლის სურვილი თუ გინდება ხოლმე?

— კი, ამის სურვილი ყოველდღე მაქვს! რთული ასახსნელია, მაგრამ „სულიერად ქერა“ ვარ. მაგალითად, შავგვრემანი ქალებისათვის განკუთვნილ სუნამოს ვერ ვხმარობ, რადგან ჩემს ხასიათს არ შეესაბამება. ამიტომ, უე-

ცრად თმა შავად რომ შევიღებო, ეს იმას ნიშნავს, რომ სტილი მთლიანად უნდა შევიცვალო, რადგან მომწონს, როცა ადამიანის გარეგნობა მის ხასიათს შეესაბამება... ქერა თმასავით „ნათელი“ ხასიათი მაქვს (იციინის).

— „კოდში“ მონაწილეობისას თავის მოვლის საშუალება გქონდა?

— კი, მაგრამ ეს რთული იყო: მაგალითად, ბანაობა ტბაში, ჩანჩქერში გვინევდა.

— მაკიაჟი?

— შეგეძლო, დილის 5 საათზე გაგეღვი და მაკიაჟი გაგეკეთებინა. ერთადერთი ადამიანი, ვინც „კოდში“ მონაწილეობისას მაკიაჟს ძალიან „პატიოსნად“ იკეთებდა, თავო პოპიაშვილი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ის ჩვენი „კეთილი დაცინვის“ საგანი იყო, სარკე ხელიდან არ გაუგდია (იციინის). ჩემს თვალში თავო ძალიან პატივსაცემი ადამიანია, რადგან თავის მოვლას ტყე-ღრეშიც კი ახერხებდა — ყოველთვის ფორმაში იყო.

— ნუკო, პლასტიკურ ქირურგიასთან როგორი დამოკიდებულება გაქვს? საკუთარ გარეგნობაში რამის შეცვლის სურვილი თუ გაგჩენია?

— არასოდეს! ჩემი მისამართით ხშირად მესმის, ვაიმე, რამხელა ცხვირი აქვს?! კი, კარგი გოგოა, მაგრამ ეს ცხვირიო?! პირადადაც უთქვამთ, აუ, ნუკი, პატარა ცხვირი როგორ მოგისდებოდაო... პლასტიკურ ოპერაციას არ გავიკეთებ. ალბათ, „ზემოდან“ ჩემი ცხვირი ასე იყო ჩაფიქრებული — როგორც ჩემი ხასიათის ნაწილი. ჩემნაირი ბუნების ადამიანისათვის ნაზი, პატარა ცხვირი შეუსაბამო იქნებოდა — ხასიათით „დიდცხვირა“ ვარ (იციინის). საკუთარ გარეგნობაში არაფერს შევცვლი — ეს ჩემი ქარიზმაა! ცხვირის ოპერაციის მერე თვალბრუნის მოყვანილობა „ემლებათ“, ნორმალურად ვერ იღიმები, ერთნაირი ცხვირებით არიან „დამტამპულები“... რა, უშნო შვილი რომ გამიჩნდეს, უნდა „დავაოპერაციო“, თუ გაცვალაო?!

— ნუკი, პროექტი „კოდი“ დასრულდა. ახლა რას აპირებ?

— თავიდანვე ვამბობდი, რომ პროექტის ნებისმიერი მონაწილის გამარჯვება გამახარებდა, თუმცა რა თქმა უნდა, საკუთარი თავის — უფრო მეტად. როცა ერთი თვის განმავლობაში, გარკვეულ ადამიანებთან ერთად ცხოვრობ, ისინი შენთვის ძალიან ახლობლები ხდებიან. მაგალითად, ლალისთან ყოველდღე გულის გადასაშლელად მივდიოდი. მისმა გამარჯვებამ ძალიან გამახარა.. ნამყვანის ამპლუაში, ტელევიზიაში დაბრუნების დიდი სურვილი მაქვს. ეს შემოთავაზებებზეა დამოკიდებული. ენახოთ, რა იქნება...



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიძევილი

მკურნალი ფანჯრის რაფიდან

გაგრძელებთ „გზის“ №1-ში დაწყებულ საუბარს ოთახის მცენარეების სამკურნალო თვისებების შესახებ

სასნაულმოქმედი ქოთნის

ჭინჭარი: კურნავს და არ სუნსავს

„ჭირვეული“ ტროპიკული მცენარეების მოვლის თავი არ გაქვთ? მაშინ მოაშენეთ პლექტრანტუსი, მარტივად, რომ ვთქვათ — ჭინჭარი. დაბალი, დაკბილული ჭინჭრისმაგვარ ფოთლებიანი მცენარე დაამშვენებს თქვენს ბინას და თან ადვილი მოსავლელიცაა. მოტეხეთ 3-4-ფოთლიანი ღერო, ჩაარჭვეთ მინაში, ზემოდან მოაყარეთ მდინარის ქვიშა და დააფარეთ ქილა. 2-3 კვირაში ის ფესვებს გაიდგამს.

საკმარისია, სახლში პლექტრანტუსის ტოტები მოიტანოთ, რომ ჩრჩილი გაქრება და ბუზების რაოდენობაც მკვეთრად შემცირდება. ეს მცენარე დადებითად მოქმედებს ფიცხ, ზედმეტად ემოციურ ადამიანებზე; მათთვის ჭინჭარი კატაბალასას წვეთებივითაა — ამშვიდებს. სასარგებლოა ამ მცენარის მოშენება მათთვის, ვისაც აწუხებს ნევროზი და შაკიკი კლიმაქსის, მალალი წნევის, ასთმისა და კუჭის წყლულის გამო.

ღიათუნის დროს: წაისვით დაზიანებულ კანზე მცენარეული ზეთი და შემდეგ დაიფარეთ პლექტრანტუსის ფოთოლი 15-20 წუთით.

ნაწილებისას ბავშვებსა და მწოლიარე ავადმყოფებში: გაახმეთ მცენარის ფოთლები, დაფხვენით, შეურიეთ ბავშვის ტალკში პროპორციით 1:5, შემდეგ მიაყარეთ პრობლემურ ადგილებზე.



ზარდის შეუკავებლობისას (განსაკუთრებით ბავშვებში): 2 ს/კ დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი. ჩაასხით მიღებული ნაყენი თბილი წყლით სავსე აბაზანაში და დაბანეთ ბავშვი ძილის წინ. აგრეთვე, დილა-სალამოს ბავშვს ჩააყოფინეთ ფეხები გრილ წყალში, რომელსაც დამატებული აქვს 1/2 ლ ჭინჭრის ნაყენი.

ზომჯარ სიღვრიის ენას

ქი სასარგებლოა...

„ქარიყლაპიას კუდი“ ან „სიდედრის ენა“ — ასე უწოდებენ ხალხში ვეფხვისტყავას. ის ადვილად მოსავლელი, გრძელი, ზოლებიანი ფოთლების მქონე მცენარეა და ისეთ სახლშიც კი ხარობს, სადაც სხვა მცენარეები ფეხს ვერ იკიდებენ.

ვეფხვისტყავა არ გააჩეროთ საძინებელ ოთახში, რადგან ხელს უშლის მშვიდ ძილს.

მცენარის ფოთლებისგან დამზადებულ ნაყენს მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყენებენ.

საკვერცხების ანთების დროს: 2 კვირის განმავლობაში მიიღეთ თითო ს/კ ნაყენი (1 ჩ/კ დაქუცმაცებულ ვეფხვისტყავას დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 10-15 წუთი, შემდეგ გაფილტრეთ), დღეში 2-ჯერ.

ცისტიტის დროს: 10 დღის განმავლობაში მიიღეთ თითო ჩ/კ ნაყენი ჭამის შემდეგ, 3-4-ჯერ დღეში.

ანემიისა და ვეგეტოსისლბარღოვანი დისტონიის სამკურნალოდ: დღეში 2-ჯერ, ჭამის შემდეგ მიიღეთ 1/3 ჭიქა წყალში გაზავებული 1 ჩ/კ ნაყენი.

კანზე ჭრილობის, ნაკანრებისა და წყლულების დროს: გააზავეთ ნაყენი წყალში (პროპორციით 1:4) და მოიბანეთ დაზიანებული კანი.

ოტიტის სამკურნალოდ: 4 საათში ერთხელ, მტკივნეულ ყურში ჩაინვეთ 2-3 წვეთი შემთბარი მცენარის წვენი ან ნაყენი; შემდეგ ჩაიდეთ ყურში ბამბა, დაიფარეთ ტილოს ნაჭერი, ზედ დააფარეთ პოლიეთილენი და შეიხვიეთ შალის თავშლით.

ყურადღებით!!! ვეფხვისტყავა არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში.

„ბედნიერების ხე“

„ბედნიერების ხე“ უძველესი დროიდან ცნობილია, როგორც ზარმაცების სამკურნალო მცენარე. მისი გამრავლება იოლია: ნებისმიერი ჩამოცვენილი ფოთოლი ყუნწით მინაში ჩარჭობის შემთხვევაში გაიხარებს. მაგრამ უკეთესია, თუ 7-10 სმ სიგრძის ტოტს იშოვით, მინით სავსე ქოთანში ჩაარჭობთ, ზედ მდინარის ქვიშას მოაყაროთ. ერთ კვირაში ის ფესვებს გაიდგამს, 1 თვის შემდეგ კი თავის არაჩვეულებრივი თვისებების გამოვლენასაც დაიწყებს: თუ სახლში ვინმე ავად გახდა, სნეულების ეს პატარა „ბარომეტრი“ მოიწყენს, რადგან ის დაავადებული ორგანოს ნეგატიურ ენერგიას თავისკენ გადაქაჩავს; როგორც კი ავადმყოფი განიკურნება, „ბედნიერების ხე“ კვლავ გახალისდება და ბედნიერებისგან გაბრწყინდება.

ტოტი ჩარგვის შემდეგ დიდ მოვლას არ საჭიროებს, რადგან თავადვე მოუვლის თავს, მაგრამ როგორც ნებისმიერი სულდგმული, ყურადღებისთვის დაგაჯილდოებთ: კარგად განათებულ რაფაზე მისი წვნიანი ფოთლები კიდევ უფრო გამსხვილდება და გასუქდება.

მომრგვალო, ხორციანი ფოთლების გამო ამ მცენარეს „ფულის ხესაც“ უწოდებენ. თუ ჯანმრთელობით მოისუსტებთ და მატერიალურად გიჭირთ, სასწრაფოდ მოაშენეთ ბინაში „ბედნიერების ხე“ — ის თქვენს სახლს გაასუფთავებს ნეგატიური ფიქრებისა და ემოციებისგან, მხიარულებისა და კარგი გუნება-განწყობილების ატმოსფეროს შეგიქმნით. „ბედნიერების ხე“ დადებითად მოქმედებს გარშემო მყოფებზე — მათ უფრო შრომისუნარიანს ხდის და დაავადებების მიმართ გამძლეობას მატებს.

მოუვლელი, დამტვერილფოთლებიანი მცენარე სრულყოფილად ვერ გამოავლენს თავის დადებით თვისებებს. ამიტომ ყოველ საღამოს დაავკირდით „ბედნიერების ხეს“, მოაცილეთ ფოთლებიდან მტვერი; ისიც ბზინვას დაინწყებს; დროდადრო თბილი წყლის შხაპი „მიალეზინეთ“ — მაშინ ამ მცენარის შესაძლებლობები მთელი სისრულით გამოვლინდება და თუ უკვე ზრდასრული მცენარე ერთ დღესაც უეცრად აყვავილდა, მაშინ — მოაზაადეთ ტომარა ფულისთვის!..

ჭრილობებისა და ნაკანრების დროს: დაიფარეთ დაზიანებულ კანზე შუაში გაჭრილი ფოთოლი.

თირკმლებში ანთებითი პროცესების დროს: 1 ჩ/კ „ბედნიერების ხის“ დაქუცმაცებულ ფოთოლს (უმჯობესია, ფოთოლი კენწეროდან მოკრიფოთ) დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და გააჩერეთ ნელ ცეცხლზე 15 წუთი;



გააჩერეთ 1 საათი და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ თითო ს/კ, დღეში 2-3-ჯერ, ჭამის წინ.

სახლის ფსიქოთერაპევტი

ფუნთუშას (მსუქანა) მრავალი სახეობა არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და ორიგინალური სახეობაა მორგანა. მისი გრძელი, დახრილი ტოტები სავსეა უამრავი წვნიანი და წვრილი ფოთლით, რომელსაც ცვილისებური ზედაპირი აქვს და მოცისფრო ელფერი დაჰკრავს. მორგანას შეუძლია, დიდხანს გაძლოს უწყლოდ, განსაკუთრებით — სიცივეში. მართალია, ამ შემთხვევაში მისი ფოთლები მოიწყენს, მაგრამ მაინც განაგრძობს ზრდას. სახლში, სადაც მძიმე სიტუაციაა, ხშირია სკანდალი და საქმის ხმაურიანი გარჩევა, ფუნთუშა მთელი თავისი ენერგეტიკით დაიცავს სუსტ და დაზარალებულ ადამიანებს. ამ მცენარის ძალა იმდენად დიდია, რომ „გადანონის“ სკანდალისტების ნეგატიურ ემოციებს და სწრაფად გაუუმჯობესებს მათ განწყობილებას.

ფუნთუშას გამრავლება იოლია: საკმარისია, მოტეხოთ ტოტი, ჩაარჭოთ მიწაში და ის სწრაფად გაიდგამს ფესვებს.

გაცივების დროს: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ფუნთუშას ნედლ ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ თითო ს/კ დღეში 2-3-ჯერ, ჭამის წინ. ეცადეთ, ეს ნაყენი არ მიიღოთ საღამოს, რადგან ფუნთუშას აქვს მატონიზებელი მოქმედება და ძილს დაგიფრთხოთ.

ნაკნრებისა და დიდხანს შეუსორცებელი წყლების სამკურნალოდ: დასრისეთ ფუნთუშას ფოთოლი, დაიდეთ დაზიანებულ ადგილზე და შეიხვიეთ; ნახვევი დილა-საღამოს გამოიცვალეთ.

ჰემოროის დროს (ბუასილი): ფუნთუშას ფოთლები მოათავსეთ საყინულეში 15-20 წუთით, მერე დანაყეთ და დაიდეთ ანთებად, ჰემოროიდულ კვანძებზე; გაიმეორეთ პროცედურა დღეში 3-4-ჯერ (ბოლოს — აუცილებლად ძილის წინ).

დამწვრობისას: გამოწურეთ მცენარის წვენი, დაასველეთ მასში დოლბანდი და დაიდეთ დაზიანებულ კანზე. გაიკეთეთ ასეთი ნახვევი ყოველ 1-2 საათში ერთხელ, სრულ გამოჯანმრთელებამდე.

სასარგებლო რჩევები

თუ ხშირად ხართ გაღიზიანებული, განუხებთ უძილობა, არტერიული წნევის მატება, მაშინ მოაშენეთ ბინაში გერანი. როგორც ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, მისი არომატის შესუნთქვამაც კი 2-3 კვირაში ამშვიდებს ნერვებს, ანესრიგებს ძილს და აქვეითებს მომატებულ წნევას.

თუ გსურთ, ქოთნის მცენარეები სამკურნალო მიზნითაც გამოგადგეთ, გამოიყენეთ მხოლოდ ორგანული სასუქი და არა — მინერალური.

ქოთნის მცენარეების შექენის დროს ყურადღება მიაქციეთ ფოთლებს: მისი სიჯანსაღის მაუწყებელია მკვეთრი ფერი, ლაქებისა და გამომშრალი წვეროების არარსებობა. ყვავილობის პერიოდში უმჯობესია შეიძინოთ ის მცენარე, რომელსაც ბევრი გაუშლელი კვირტი ასხია. როცა მცენარეს სახლში მოიტანთ, თავიდანვე მიუჩინეთ მუდმივი ადგილი. არც ერთ მცენარეს არ უყვარს ადგილმდებარეობის უმიზეზო შეცვლა. ■

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თქვენი ოჯახის მკურნალი



ადამიანი



„კარგ დროს ტარებას გისურვებთ!“ ანუ მძღოლი გამოქანებით



ირმა ხარშილაძე

ხადრი გაზაფხილიც ერთ-ერთი იმ მძღოლთაგანია, ვინც საოცარი ნებისყოფით გამოირჩევა და მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, მთვრალმა კაცმა შეურაცხყოფაც კი მიაყენოს, მას ოჯახის წევრებს მშვიდობიანად მიუყვანს.

— ნასვამ მძღოლებთან ურთიერთობისას უამრავი თავგადასავალი გადამხდენია. მასსოვს, ერთხელ რესტორნიდან დაგვირეკეს, — კაცია ნასაყვანიო. ადგილზე მისულს ვილაცამ მითხრა, — აი, ეს უნდა მიიყვანოთ სახლამდეო, მერე მანქანის გასაღები მომცა, თავად კი რესტორანში შებრუნდა. ავტომობილის პატრონს მანქანაში ეძინა და ვერაფრით გავალვით. დიდხანს ვეჯაჯგურე, მაგრამ მისგან მხოლოდ იმის გაგება მოვახერხე, რომ ზაზა

საინტერესო ცხოვრება აქვთ ტაქსის მძღოლებს: გზადაგზა ათასნაირი ჯურისა და ზნის ადამიანს სვდებიან, აკვირდებიან, უამრავ ამბავს ისმენენ და თავადაც ჰყვებიან, მაგრამ ჩვეულებრივი „ტაქსისტებისგან“ განსხვავებით, გამორჩეულად საინტერესო იმ მძღოლების ცხოვრება მგონია, რომლებიც ნასვამ „კოლეგებს“ ემსახურებიან... როგორ გგონიათ, ნასვამი ქართველი მამაკაცისთვის მანქანის გასაღების ჩამორთმევა და მის საჭესთან დაჯდომა იოლი საქმეა? კიდევ უფრო მიმიყვალბათ, ნასვამი ქალების მომსახურებაა.

ერქვა. ვეკითხები: ბატონო ზაზა, აბა, საით წავიდეთ-მეთქი? მპასუხობს: ვაჟაო. ვიფიქრე, — ეტყობა, ვაჟა-ფშაველას გამზირს გულისხმობს-მეთქი და „ვაჟაზე“ წამოვედი... ასე ვატარე ეს თქვენი ზაზა ზევით-ქვევით, ბლოს კი ისევ იმ რესტორანს მივადექი, საიდანაც წამოვიყვანე, იქ ძლივს მივაკვლიე მის მეგობრებს. მერე ერთ-ერთმა ამ კაცის მეუღლის ნომერი მომცა; დავრეკე და ზაზა-ვაჟა ვარკვეთილში ნასაყვანი გამიხდა.

— ასეთ დროს ნერვები არ გეშლებათ?

— მითხარით, ასეთ დროს კაცს როგორ ან რისთვის უნდა გავუბრაზდე? ასე რატომ დათვერი-მეთქი? აი, მეუღლე კი იცოცხლე, კარგად გაუბრაზდა... ზოგიერთი კლიენტი ძალიან ცუდად მოგვმართავს. სამწუხაროდ, ისეთებიც ბლომად არიან, რომ ვერ გაიგებ, რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ ამქვეყნად... სახალისო ამბები კი ძირითადად, მანქანაში ჩაჯდომამდე ანუ იმ მომენტიდან იწყება, როცა ნასვამ კაცს მანქანის გასაღებს სთხოვ.

— ალბათ, ამას აპროტესტებენ...

— ძალიან ბევრი ვერ თმობს საჭეს. თუ მეუღლემ გამოგვიძახა, იწყება ჩხუბი: შენ ჩემს მანქანას ვის აძლევ, საჭესთან ვის სვამო? ვუხსნი, — ბატონო ჩემო, მეც ვიცი ტარება, კარგი მძღოლი ვარ-მეთქი. ასეთ დროს, როგორც წესი, მპასუხობენ: მერე ნადი და შენი მანქანით იარეო. როცა მთვრალს როგორღაც დავიყოლიებ, მერე ამონებებს, ნასვამი ხომ არა ვარ, ჩემში ეჭვი ეპარება; რადგან ასე ტკბილად, შინაურულად ველაპარაკები (ასეთი ტაქტიკა შევიმუშავეთ), ნაცნობი ვგონივარ, ჩემს გასხენებას ცდილობს და გონებით სუფრის წევრებს შორის „მეძებს“... უკვე ძალიან ბევრი მუდმივი კლიენტი გვყავს; ზოგიერთი ქალაქგარეთაც, საკუთარ აგარაკზე რომ მიდის, და იცის, იქ დალევს მოუწევს, გვეპატიუება. ჩვენთვის სუფრასთან ადგილიცაა გამოყოფილი. ბევრის დედასა და მეუღლეს ლამის ოჯახის წევრებად მივაჩნევართ. ასეთი კლიენტების არათუ მისამართები, არამედ ისიც ვიცი, რომელი მანქანა რომელ გარაჟში უნდა დავაყენო... ერთხელ ნაცნობმა ბიჭმა გამომიძახა. რესტორნიდან ბევრნი გამოვიდნენ, ყველანი მთვრალები იყვნენ. მანქანაში დაჯდომისთანავე



დაიძინეს და ვერ მივხვდი, ვინ სად უნდა წამეყვანა. რალაც მომენტში ჩემს ნაცნობს გაეღვიძა, მაგნიტოფონი ჩართო და „ჰარდ მეტალს“ ბოლო ხმაზე უსმენდა. ადამიანი „იავენანაზე“ ვერ დაიძინებს ისე ღრმად, როგორც ამ ახალგაზრდებს, ასეთ გუგუნში ეძინათ. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ყველა იმ ნაცნობი ბიჭის დედას მივაყენე. ქალი ლამის გაგიჟდა, — ეს ხალხი საიდან მომიყვანე, ვინ არიანო? — ეგ გამაგებინა, ქალბატონო და ახლავე სახლებში ჩამოვარიგებ-მეთქი (იცინის). მანქანა მგზავრებიანად, გარაჟთან დავტოვე და კლიენტისთვის ფულიც არ გამომირთმევია. თურმე, დილაზე ავტომობილში ისხდნენ, ვერც ერთი მათგანი ადგილიდან ვერ დაუძრავთ, დილით კი იმ ბიჭმა დამირეკა: გესვენები, ლუდი წამომიღე და ამოდი, ფული უნდა მოგცეო...

— კლიენტებთან ერთად არასდროს გიქეიფიათ?

— მხოლოდ არასამუშაო საათებში.

— ყველაზე ურჩი და „ძნელად აღსაზრდელი“ კლიენტიც გაიხსენეთ.

— ერთხელ საგურამოში გამოგიძახეს. მანქანის პატრონი ყოველ ხუთ წუთში ერთხელ მეუბნებოდა, — მანქანა გააჩერე! ვინ ხარ და ჩემი ავტომობილის საქვსთან რატომ ზიხარო? ვერ წარმოიდგენთ, თბილისში ჩამოსასვლელად რამდენი ხანი დამჭირდა... ბევრი ცხოვრობს პრინციპით: „რაკი ფულს ვიხდი, ყველაფრის უფლება მაქვს“. ერთხელ გამომიძახეს, — გესვენებით, რესტორანში მოდი, ბავშვი მყავს წასაყვანიო. ცხოვრებაში ასე სწრაფად არ მივლია: შემეშინდა, ბავშვი ცუდად ხომ არ არის-მეთქი და ადგილზე 5-6 წუთში მივედი, მაგრამ კლიენტს ზუსტად საათ-ნახევარი ველოდე, ამასობაში კი ჩამთვლიმა კიდეც. როცა ის კაცი გამოვიდა, ჩხუბი დამინყო, შეურაცხყოფა მომაცენა, — რატომ გძინავსო? მასზე ისე გავბრაზდი, აღარ მოვემსახურე, თან — ხიფათსაც ავაირიდე თავი: შეიძლებოდა, ჩხუბი მანქანაშიც განეგრძო და საქვსთვისაც აეკრა ხელი, ასეთი შემთხვევაც მქონია.

— არასდროს მომხდარა, რომ

ცოლს გამოუძახებინარო და ქმარს უეჭვიანა?

— ეჭვიანობენ მაშინ, თუ ნასვამი ქალი მიგყავს შინ. როცა მამაკაცი ეზოში გამოიხედავს და დაინახავს, თუ როგორ გადმოდის უცნობი კაცი მისი ცოლის მანქანიდან და სხვა მანქანაში ჯდება, ეგრევე გინებას იწყებს: სად მიდიხარ, შენი დედა, მანდ დამელოდო... მაგრამ როგორც კი მანქანაზე გაკეთებულ წარწერას წაიკითხავენ, მაშინვე ბოდიშს მიხდიან (იცინის).

— თქვენ არასდროს დაგჭირვებიათ „მძღვრი გამოძახებით“?

— კი, როგორ არა! გამომიძახებია და მოუკითხავთ კიდეც სამსახურის მანქანით. ოღონდ, ასეთ დროს ჩემსავე მეგობარს ვურეკავ ხოლმე...

— ბადრი, ამ საახალწლოდ რას უსურვებთ ქეიფის მოყვარულ მძღვრებს?

— ყველა მძღვრს და მათ შორის საკუთარ თავსაც, უპირველესად, „მწვანე შუქსა“ და მშვიდობით მგზავრობას უსურვებ! ერთს გთხოვთ, საქვსთან მთვრალეები ნუ დასხდები. დაბოლოს, კარგ დროს ტარებას გისურვებთ!

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!

ყოველ ხუთშაბათს, ყურწლ „ჯასთან“ ერთად შეიძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თეოტო ტომი

ბიორგი შატბერაშვილი

ივანტო მინოშვილი

ილვაშვა მალრაპი

ტომი №46

ოთარ შილაპი (ნაწილი III)

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

<p>№1 ბურაბ ფონანაშვილი №2 შინილ ჯანაშიაშვილი №3 ნოზარ ფუშაპი №4 ილია ჭავჭავაძე №5 ბურაბ რეაუნიშვილი №6 შავა-ფშაპილა №7 რეზო შიშვილი №8 ააკი ნარაძე №9 ბურაბ ბიბიშია №10 ფაშით კლავაშვილი №11 ოტარ იოსელიანი №12 ზარბოლ აბაშიძე (წიგნი-1) №13 ზარბოლ აბაშიძე (წიგნი-2) №14 არჩილ სულაბაძე №15 ნიკო ლორთქიფანიძე №16 ზორბეგი ჩოხელი №17 ლევან გომთა №18 პაპ შორილაძე №19 პასილ ბაროვი №20 თაბაზ გივილიანი №21 რევაზ ინაშვილი №22 ნიკო ლეონიანი №23 ბურაბ ფანჯიანიძე</p>	<p>№24 კონსტანტინე ზანაზურაძე (პარი-1) №25 კონსტანტინე ზანაზურაძე (პარი-2) №26 კონსტანტინე ზანაზურაძე (პარი-3) №27 თეოდორე ხიფინი №28 ლაშვინტა პარაჯიანი №29 შირაზ თეოდორე №30 ალექსანდრე ჯანაშია №31 ნოზარ შატბერი №32 უიარალო (კონსტანტინე თათარაშვილი) №33 ფანტა შენგელაია №34 იაკობ გომბაშვილი №35 კობე ჯანაშიანი №36 ლევან სანიანი (წიგნი-1) №37 ლევან სანიანი (წიგნი-2) №38 თამაზ შილაპი №39 ლეო ქიჩაძე №40 შავა ბიბაშვილი №41 ბიორგი ნარაძე №42 ბესიკ ხარაბაძე №43 ზაქარა ფანჯიანი №44 ოთარ შილაპი (ნაწილი II)</p>
--	---

წიგნის ფასი **3 ლარი!**

13- დან - 20 იანვრამდე!

გამოიწერეთ **გზა** საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**ალმაჯი**“ ბელ: 38 26 73; 38 26 74



მეძავ ქალს ორმა მამაკაცმა პოლიციაში უჩივლა

თავ სურსილავა

ალბათ, ბევრჯერ მოგიკრავთ თვალი ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვაგზალზე ან სხვა ადგილებში მამაკაცების მომლოდინე მეძავი ქალებისთვის. კლიენტსა და მეძავს შორის გარიგება პირდაპირ ქუჩაში ხდება, შემდეგ კი ისინი სასტუმროში, ნაქირავე ბინაში ან აბანოში მიდიან. ამას წინათ, ორთაქალის აბანოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც ჩემს მეზობლად ცხოვრობს, შემომჩივლა:

— ბოლო დროს აბანოში მეძავი ქალების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. ეტყობა, მათაც მიადგა ხელისუფლება.

— რას გულისხმობ? — ჩავეძიე.

— თურმე, მათაც სთხოვენ ოფიციალური გადასახადის გადახდას; ხშირად აკავებენ, აჯარიმებენ და ბიუჯეტში ფულის შეტანას ასე აიძულებენ. ჰოდა, თვალში საცემ ადგილებში გამოჩენას ამიტომაც ვერიდებიან.

ჩემი მეზობლის ნათქვამი სიმართლეს შეესაბამება თუ არა, ვერ გეტყვით, მაგრამ პირადად მე, მართლა მაინტერესებს, მეძავების დაკავებისას რას წერს პოლიცია დაჯარიმების ოქმში? ამის დაზუსტებას მოგვიანებით შევეცდები, ახლა კი მეძავი ქალის მახეში გაბმული მამაკაცების შესახებ გიამბობთ...

მეძავის დაქირავებისას კაცებს მეტი სიფრთხილე რომ მართებთ,

ეს ცხადია. ბოლოს და ბოლოს, გადამდებ დაავადებებს თავი რომ დავანებოთ, არც ისაა გამორიცხული, მამაკაცმა მეძავ ქალთან დაშორების შემდეგ აღმოაჩინოს, რომ ჯიბეში თეთრიც აღარ უდევს; ან შეიძლება, ქალმა მომსახურებისთვის ფული წინასწარ აიღოს, მაგრამ მამაკაცს დანაპირები არ შეუსრულოს. კაცების ამ გზით მოტყუებისთვის ძალოვნებმა 2 წლის წინ, 20 წლის ქალი დააკავეს. როგორც ჩანს, მან კაცები იმდენად გააბრაზა, რომ მათ არც ფაქტის გახმაურების და არც ცოლების შერცხვით (ორივე მომჩივანი ცოლშვილიანი იყო), მეძავს სასამართლოშიც კი დაუპირისპირდნენ. მაშინ სასამართლომ ეს საქმე ღია სხდომაზე განიხილა და საბოლოოდ, ქალს — ერთი წელი თაღლითობისთვის, ხოლო 3 წელი ქურდობისთვის მიუსაჯა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, 2006 წლის 27 სექტემბერს, დაახლოებით 23 საათზე გიამ ინგა (ვინაიდან საქმე ინტიმურ დეტალებს ეხება, განსაზღვრისა და დაზარალებულების სახელები შეცვლილია) თბილისში, რკინიგზის სადგურის პირველ სართულზე გაიცნო და 60 ლარის სანაცვლოდ, სქესობრივი კავშირის დამყარება შესთავაზა. მეძავის თანხმობის შემდეგ ისინი სასტუმრო „კოლხეთში“ მივიდნენ. ქალმა კლიენტს შეპირებული თანხა წინასწარ მოსთხოვა. ვინაიდან მამაკაცს 100-ლარიანი კუპიურა ჰქონდა, ინგამ შესთავაზა, — დავახურდავებ და მალე ამოვალო, მაგრამ ფული წაიღო და სასტუმროს ნომერში აღარ დაბრუნებულა... ინგა მსგავს მეთოდს ხშირად იყენებდა თუ არა, უცნობია; შესაძლოა, მამაკაცები ამას არც ახმაურებდნენ, მაგრამ 2008 წელს კიდევ ერთი კაცი გამოჩნდა, რომელმაც ქალს უჩივლა. საქმის მიხედვით, 20 აგვისტოს, დაახლოებით პირველ საათზე ინგამ ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ზურა გაიცნო და მათ შორის მოლაპარაკება შედგა. ისინი სასტუმროში წავიდნენ. სექსუალური მომსახურების შემდეგ, ქალმა კლიენტს შარვალის მარჯვენა ჯიბიდან ტყავის საფულე ამოაცალა და გაიპარა... ამჯერად ინგას არ გაუმართლა — ფაქტიდან ერთ კვირაში პოლიციამ დააკავა.



მეძავი დაზარალებულმა მამაკაცმა ამოიცნო და ამხილა, პოლიციამ კი ორი წლის წინ აღძრული, თაროზე შემოდებული კიდევ ერთი საქმე გაიხსენა და ქალი სასამართლოს წინაშე ამ ორი ბრალდებით წარდგა.

გიას ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„ხელფასი ავიღე და რკინიგზის სადგურზე მატარებლის ბილეთის ასაღებად წავედი. სოფელში, ცოლშვილთან მივედი. ბილეთი ავიღე, მატარებელი გვიან გადიოდა და ამიტომ ვაგზალზე გავიარ-გამოვიარე. ამ დროს დაბალი, გამხდარი გოგო გავიცანი, რომელსაც სექსი შევთავაზე. 60 ლარი მომთხოვა, შევთანხმდით და სასტუმრო „კოლხეთისკენ“ წავედი. შენობაში შესვლამდე ქალმა მითხრა, — ფული წინასწარ უნდა გადამიხადო. 100-ლარიანი მქონდა, სხვა რა გზა იყო, ფული მივეცი და ვუთხარი, — დაახურდავე და ხურდა უკან მომიტანე-მეთქი. მე სასტუმროში შევედი და იქ ველოდებოდი, მაგრამ წავიდა და წავიდა. მას ვენდე და უკან იმიტომ არ გავყვი, მაგრამ როცა ვეღარ ვიპოვე, პოლიციას მივმართე“.

ზურას ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„იმ ღამეს, ქალის გასაცნობად ვაგზალზე ტაქსით მივედი, დაახლოებით 19 წლის გოგო შემხვდა. ლურჯი ჯინსის კაბა და დეკოლტე მაისური ეცვა, წინა კბილები არ ჰქონდა და ამით შემიძლია მისი ამოცნობა. როდესაც სექსუალური მომ-





სახურება შევთავაზებ, თავიდან უარი მითხრა, — ნასვამი ხარო. ვუთხარი, — ფულის გადახდა პრობლემა არ არის-მეთქი, საფულიდან 600 ლარი ამოვიღე და ვაჩვენე... მერე იქვე მდგარ სხვა ქალს დავუწყე საუბარი, მაგრამ ამ დროს ის ჩემთან მოვიდა და საათში 40 ლარი მომთხოვა. სასტუმროში წავედი, ადმინისტრატორს 10 ლარი გადავუხადე და ოროთახიანი ნომერში შევედი. ერთ ოთახში ტანსაცმელი დავაწყვე, მეორეში კი, სადაც ტელევიზორი იყო, ჩვენ მოვთავსდით. დაახლოებით ნახევარ საათში ქალი წამოხტა — უნდა წავიდეთ. ვუთხარი, — ბარემ ერთად გავიდეო-მეთქი, მაგრამ არ დამელოდა. იმ ოთახში შევიდა, სადაც ჩემი ტანსაცმელი იყო, იქიდან მალე გამოვიდა და წავიდა. საექვო არაფერი შემინიშნავს, მაგრამ როცა შარვალი ჩავიცვი და ჯიბეები მოვისინჯე, აღარც საფულე მეჩონდა და აღარც პირადი დოკუმენტები. მას მთელ ვაგზალზე ვეძებდი, სასტუმროს ადმინისტრაციასაც ვთხოვე დახმარება, ბოლოს კი პოლიციას მივმართე“.

ბრალდებულმა დანაშაული აღიარა და მომხდარის გამო პატიებას ითხოვა, მაგრამ ბოლო ფაქტის ირგვლივ ცოტა განსხვავებული ჩვენება მისცა. განსასჯელის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„ვაგზალზე ვიყავი, როდესაც 26 წლამდე ასაკის მამაკაცი მოვიდა. მას სახეზე ვიცილობდი, ადრეც მყავს ნანახი, მაგრამ სახელი არ მახსოვს. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სასტუმრო „კოლხეთში“ გაყვე. 40 ლარი წინასწარ გადამიხადა. როდესაც სასტუმროს ადმინისტრატორს ფულს უხდიდა, დავინახე, ტყავის საფულე რომ დაუფარდა, არ აუღია. ნასვამი იყო და ალბათ იმიტომ არ აიღო. ვისარგებლე ამ მომენტით, საფულე ავიღე და მაისურში დავემალე. ჩვენ სასტუმროდან ერთად გამოვედით, მას კართან დავცილდი. ამის შემდეგ ტაქსი გავაჩერე და წერეთლის მეტროსკენ წავედი. საფულეში 542 ლარი იდო, ფული ამოვიღე, ტყავის ცარიელი საფულე კი ტაქსის ფანჯრიდან გადავაგდე. მისი საბუთები არ მინახავს. რაც შეეხება იმ ფულს, პოკერკლუბში ვითამაშე და იქ დავხარჯე...“

ამ ორი დანაშაულისთვის ქალს 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა, მაგრამ ვინაიდან განსასჯელმა დანაშაული აღიარა, პროკურატურამ მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა და მხოლოდ 4 წელი მიუსაჯა... ■

მხიარული ყაჩაღი, ნარკომანი მამამთილი და პროკურორის მახეში გახული ქალი

რამდენიმე წელია, რაც ნანა ფრიდონაშვილმა საყვარელ საქმეს, ჟურნალისტიკას თავი დაანება და ახლა ადვოკატად მუშაობს. მან თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა და ერთხანს თეატრში, საყვარელ საქმეს აკეთებდა, შემდეგ ჟურნალისტიკაში გაიტაცა, მოგვიანებით კი ტრანსპორტის პროკურატურაში, პრესსამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა მუშაობა. როგორც ჩანს, სამართალდამცავებთან ურთიერთობამ პროფესიის შეცვლა გადაწყვეტინა და ქალბატონმა ნანამ იურიდიული ფაკულტეტიც დაამთავრა. პრესსამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს პროკურორების თავს გადახდენილი კურიოზული ამბების გახსენება არ გასჭირვებია.



თავ სურსილავა

იძულებითი სიძლერა

დღის ბოლოს პროკურატურაში ჩოჩქოლი ატყდა — შენობაში დაახლოებით, 12-15 აღმფოთებულნი ადამიანი შემოიჭრა ყვირილით:

— ეს ქვეყანაა?! დღისით, მზისით, ასეთი საშინელება ხდება... ბავშვებსაც აღარ ერიდებიან! ხომ შეიძლება, ვინმეს გული გახეთქოდა?! კანონი არ კანონობს და იმიტომ გავიდნენ თავს! ახლა პროკურორს მოვასხენებთ ყველაფერს!.. კაბინეტში ჯდომავს საქმის კეთება?!.

სმაურზე ოთახიდან პროკურორი გამოვიდა და იკითხა:

— რა ხდება?!

— მეტი რა უნდა მოხდეს?! ადამიანი ქუჩაში ვერ უნდა გამოვიდეს?! — აყვირდა ყველა ერთად.

— ერთმა ილაპარაკოს! გამაგებინეთ, რა მოხდა? — მკაცრად თქვა პროკურორმა.

— ყველა ერთად დაგვაყაჩაღეს, თანაც — დღისით, მზისით.

— სად იყავით ყველა ერთად?!

— ჩემს „მარშრუტკაში“! ამით რაიმე რომ მოსვლოდათ ან ჩემთვის ეგლიჯა ვინმეს ტყვია შუბლში, თქვენ მიხედვით ჩემს ოჯახს? — დაინუნუნა მძლოლმა.

— აბა, დამზვიდდით და ისე მომიყვით, რა მოხდა? — იკითხა პროკურორმა.

— „მარშრუტკა“ თითქმის საცხე იყო, როცა გამაჩერეს... — დაბნეულია კაცი, ჩვენზე ნაკლები არ უნერვიულია, — ჩაერთო საუბარში მეორე.

— გაჩუმდით! თქვენ ჩემს მოადგილესთან შედით და მას მოუყევით, რაც მოხდა, მძლოლი კი ჩემთან შემოვა! — თქვა პროკურორმა და კაბინეტში შევიდა, მძლოლიც უკან გაჰყვა.

— ერთი ადგილი იყო დარჩენილი, როცა „მარშრუტკა“ ახალგაზრდა კაცს გაუჩერე. ამოვიდა, თავისუფალ სკამზე დაჯდა, 5 წუთის შემდეგ კი იარაღი ამოიღო და დაგვემუქრა...

— დაგაყაჩაღათ? ფული წაგართვათ?

— არაფერი წაუღია!

— აბა, რა უნდოდა? ქალაქში გასერინება ხომ არ გთხოვა?..

— დიას! მგზავრებთან ერთად, მთელი ქალაქი შემომამტარა.

— სხვას რას ითხოვდა?

— სიმღერას!

— ანუ მაგნიტოფონის ჩართვა მოგთხოვა? — ჰკითხა გაკვირვებულმა პროკურორმა.

— სად მაქვს მაგნიტოფონი?! რა ვერ გაიგე, კაცო, იარაღი ამოიღო და მიბრძანა, — არ გაჩერდეთ... მერე მგზავრებს მიუბრუნდა და უთხრა, — თქვენ იმღერეთო, თან — სიმღერა შეუკვეთა: „რა მადლიანად ანათებს“...

— მერე?

— რა, მერე? ყველანი ვმღეროდით,



აბა, რა გვექნა?! იქ რომ ყოფილიყავით, თქვენ არ იმღერებდით?!

— ყველა მღეროდით?

— აბა, რას ვიზამდით?! ერთმა შენინაალმდეგება სცადა და ისე დაუყვირა, მეგონა, მოკლავდა...

— ახლა სხვანირად ფიქრობ?

— ჰო... როგორ გვესროდა, როცა იარაღი არ ჰქონია.

— კაცო, ერთი საათია იმას მიმტკიცებ, შეიარაღებულმა პირმა სამარშრუტო ტაქსიში დაგვაყაჩაღაო, ახლა კი მეუბნები, — იარაღი არ ჰქონიაო...

— გვეგონა, ჰქონდა... იცით, როგორ ჰგავდა ნამდვილ პისტოლეტს? არადა, სათამაშო ყოფილა. ჩვენ კი კარგა ხანს გავვიოდით: „რა მადლიანად ანათებს, შენი მზე, შენი მთვარეო...“ მერე მანქანის გაჩერება მიბრძანა. რომ გავაჩერე, დაგვცინა: — არ გრცხვენიათ, ქვეყანას ასე უჭირს, თქვენ კიდევ, მღერითო. ის პისტოლეტი მოგვიგდო და „მარშრუტკიდან“ ჩავიდა. ისეთი დაბნეულები ვიყავით, ვერაფერი გავაკეთეთ.

ამასობაში კაბინეტში პროკურორის მოადგილე შევიდა, რომელიც სიცოცხლს ვეღარ იკავებდა, პროკურორიც ცუდ დღეში ჩავარდა. ბოლოს, მგზავრები დაამშვიდეს და შეჰპირდნენ, — დამნაშავეს აუცილებლად მოვძებნითო. იმ კაცის პოვნა ყველას გულით უნდოდა, მაგრამ მის გზა-კვალს ვერავინ მიაგნო.

სოლმა ძეხნილი ქმარი დააჭირნა

მომჩივანი ქალი გაუთავებლად დადიოდა პროკურატურაში და დახმარებას ითხოვდა, მას არც სიარული ეზარებოდა, არც — ლაპარაკი. პროკურორს უმტკიცებდა: გინდა თუ არა, ბინა მეზობელმა წამართვაო და ასე გრძელდებოდა თვეების მანძილზე... ერთხელაც, პროკურორმა შეტყობინება მიიღო, რომ ქურდობისთვის მამაკაცი იძებნებოდა; ისიც მალე გაირკვა, რომ ძეხნილი ამ ქალის ქმარი იყო და ერთ დღესაც პროკურორი მას გაბრწყინებული სახით დახვდა:

— მგონი, თქვენს საქმესთან დაკავშირებით რაღაც გამოსავალი ვიპოვე...

— თქვენ ხომ იცით, მართალი ვარ, უკანონოს არაფერს ვითხოვ — მეზობელმა მომატყუა და ჩემი ბინა მისაკუთრა...

— ვიცი, ვიცი... სიმართლის დამტკიცება რთულია, მაგრამ შევეცდები, არ დაზარალდეთ.

— უცნაურად მელაპარაკებით, პროკურორო, ცუდი სიზმარი ხომ არ ნახეთ?

— სიზმარი არა, მაგრამ მგონი, გამოსავალი ვიპოვე. თქვენ ქმარი ხომ

გყავთ? მართალია, ბინა თქვენს სახელზე გახლდათ გაფორმებული, მაგრამ ქმარი ხომ იყო ამ ბინის თანამესაკუთრე?

— დიას, ეს ბინა ერთად შევიძინეთ, მაგრამ მამინ, როცა გავყიდე, ჩემი ქმარი საქართველოში არ იყო, მე კი ვალებში ვიხრჩობოდი. ამის შესახებ მეზობელმა იცოდა და ბინის ხელში ჩაგდება „კაპიკებში“ მოინდომა. მან ნოტარიუსთან მათქმევინა, რომ ქმარი არ მყავდა, რათა მისი თანხმობა არ დამჭირვებოდა.

— ახლა სად არის თქვენი ქმარი? — საქართველოშია, მაგრამ ვიჩხუბეთ და სახლიდან წავიდა.

— ბინის გაყიდვის გამო იჩხუბეთ? — ჩაეძია პროკურორი.

— არა, ეგ ამბავი ჯერ არ იცის... საზღვარგარეთ ვითომ სამუშაოდ წავიდა, იქ კი... იქნებ, არ უნდა გითხრათ? — უცებ გაჩუმდა ქალი.

— მითხარით, ყველაფერი მითხარით, თორემ ვერ დაგეხმარებით...

— მეშინია, ქმარი არ გამიბრუნდეს... მეგონა, იქ მუშაობდა... ფულს მიგზავნიდა... ბოლოს იქით მთხოვდა ფულს და ვალებიც ამიტომ დამეღო...

— ფულს რატომ გთხოვდათ? ნუ გეშინიათ, მითხარით, მე ხომ თქვენი მტერი არ ვარ?!

— კარგით, გეტყვით, მაგრამ არავისთან თქვით: საზღვარგარეთ ოქროსოლობა მოუპარავს...

— რაა?

— უი, არ უნდა მეთქვა!

— დაწყნარდით, საზღვარგარეთ თუ მოიპარა, მე რა შუაში ვარ? ოქროსოლობა ჩამოიტანა?

— მაგაზე ვარ გაგიჟებული, რომ არაფერიც არ ჩამოუტანია... რაც მაგას იქ ოქროსოლობები დაუტოვებია, ერთი ბექდით, თურმე, სახლს ვიყიდდი. ჰოდა, ამის გამო ვეჩხუბე და წავიდა სახლიდან.

— ახლა სად არის?

— ჯანდაბაში, მეგობართან არის!

— გირეკავთ?

— კი, ყოველდღე რეკავს. არ ვიცი, ახლა რა ვქნა; რომ ვუთხრა, ბინა გავყიდე, მეც მომკლავს და იმ მეზობელსაც.

— სხვა გზა არ არის, უნდა უთხრათ. ბინის გადაჩრჩინის ერთადერთი გზა თქვენი მეუღლის ჩვენებაა. იტყვის, რომ მისი თანხმობის გარეშე გაყიდეთ და იქნებ, დაიბრუნოთ კიდევ. მეუღლეს შესვდით, ყველაფერი აუხსენით, ბოდიში მოუხადეთ და მერე უთხარით, რომ ჩვენების მოსაცემად ჩვენთან მოვიდეს. ჰო, თანამშრომელსაც გაგაყოლებთ — ხომ შეიძლება, ამ ამბის გაგებისას გაგიჟდეს, პოლიციელი კი დაგიცავთ, — მშვიდად უთხრა პრო-

კურორმა.

— ასე ფიქრობთ?... კარგით, ის ვვალ დამირეკავს.

მეორე დღეს ქალმა პროკურორს ქმართან შეხვედრის ადგილი შეატყობინა, პროკურორმა კი დაპირება შეუსრულა და „მცველი“ გააყოლა. როგორც კი ერთმანეთს შეხვედნენ, ქალმა ამბის მოყოლაც ვერ მოასწრო, ისე „გასკვანჩეს“ მისი ძეხნილი ქმარი...

სარძლომ საამაამთილო

„ჩაბბლო“

ერთმა ნარკომანმა მამაკაცმა ოჯახი გაამწარა. ყველა ახლობელი უზუნებოდა, — ასეთი საქციელით თავს დაიღუპავო, მაგრამ არავის უსმენდა. ერთხანს ცოლიც გაექცა, — იქნებ გონს მოეგოსო, თუმცა არც ამ მეთოდმა გაჭრა, ოჯახის უფროსი გამუდმებით ნარკოტიკით გაბრუნებული დადიოდა...

ერთ დღესაც, მისმა ვაჟმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა, საყვარელი ქალი დედას გააცნო და ქორწილის დღეც დათქვეს. იმ დღეს, როცა გოგო საქორწინო დეტალების შესათანხმებლად ბიჭთან უნდა მისულიყო, მათ სახლში პოლიციელები მივიდნენ.

— რა ხდება? — იკითხა ნარკომანმა.

— თავს რომ იკლავ, ეგ ვიცი, მაგრამ ახლა ბარიგობაც დაიწყე?! — ჰკითხა ირონიით პოლიციელმა.

— ზედმეტი არ მოგივიდეთ... „წამალს“ რომ ვერ გავყიდი, თქვენც კარგად იცით, სხვისთვის ვერ გავიმეტებ!

— აბა, ბაქოდან მთელი პარტია რომ ჩამოიტანე, ის რისთვის გინდა, თავის მოკვლა გადაწყვიტე? ახლავე, შენი ხელით გამოიტანე და შენც მოემზადე წამოსასვლელად!

— არაფერი მაქვს!

პოლიციელებმა სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. ბოლოს, სამზარეულოში შესვლა დააპირეს. მათ ნარკომანმა დაასწრო, მაცივირიდან რაღაც ფუთა გამოიტანა და ფანჯრიდან გადააგდო.

პოლიციელები უკვე წასასვლელად ემზადებოდნენ, როცა კარზე დააკაკუნეს. კარი ბიჭმა გააღო — იქ მისი შეყვარებული იდგა, სწორედ იმ ფუთით ხელში, რომელიც მისმა სამამამთილომ მოისროლა. გოგონამ ჯერ შეყვარებულს გადააკოცა, მერე კი უთხრა, — რომ ამოვიდოდი, ფანჯარას ამოხვებდე, თქვენი სარკმლიდან ეს გადმოვარდა და წამოვიღეო. პოლიციელმა გოგოს ლამის ხელიდან გამოჰგლიჯა ფუთა, მერე კი გაუღიმა და უთხრა:

— სამამამთილომ ცოტა ხნით რომ დაგტოვოთ, ხომ არ გენწყინებათ?..

აი, ასე დააჭერინა სარძლომ სამამამთილო. ■



2010 წლის აღმოჩენა და „ყელში ამოსული ტიპები“

„ის აუსილაბლად, მსოფლიოს მასშტაბით გვასახელებს“

ვის მიიჩნევთ 2010 წლის აღმოჩენად? — ამ კითხვით მივმართე მოზარდებს და მათგან რადიკალურად განსხვავებული პასუხებიც მივიღე. გასული წლის აღმოჩენად ზოგი ისეთ პიროვნებას მიიჩნევს, რომელიც ადრეც პოპულარული იყო, მაგრამ მას თავად არ იცნობდა, ამ ადამიანის ნიჭიერება თუ სილამაზე მხოლოდ ახლახან შეამჩნია, ზოგმა კი დასმულ კითხვაზე გამცა პასუხი და 2010 წლის ყველაზე უიღბლო „ვარსკვლავიც“ დაასახელა.

ლიკა ქავია

გაფუჰა, 17 წლის:

— გასული წლის ტალანტად დავასახელებ სოფო ნიჟარაძეს. ის მართლა მაგარი ქალი და რაც მთავარია, შესანიშნავი მომღერალია. ეგ რომ არა, ნეტავ, „ვეროვიზიაზე“ ვის გაუშვებდნენ? ცუდია, რომ არ გაუმართლა და პოლიტიკის გამო დაიჩაგრა, პირველ ადგილზე ვერ გავიდა, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარი ისაა, რომ მსოფლიომ დაინახა, თუ როგორი „ვარსკვლავი“ გვყავს... იცით, რომ ბათუმში ჩამოსულ ანდრეა ბოჩელს სხვა არც ერთი მომღერალი არ მოსწონებია, მხოლოდ სოფოსთვის დაუდგამს თვალს?..

— შენი აზრით, რომ არა სოფო ნიჟარაძე, „ვეროვიზიაზე“ ვერავის გავუშვებდით?

— აბა, ვინ უნდა გავგეშვა? ვინ გეგულეება ისეთი, ვინც მანდ „გაქაჩავდა“? ვინც კარგი იყო ან დაბერდა, ან უკვე მონანილეობდა ამ კონკურსში... არა, ალბათ კარგი მომღერლებიც გვყავს, მაგრამ არ ჩანან. აუ, ბოდიში სალომე ბაკურაძესთან — ეს გოგო ძალიან მომწონს, მაგარი „დუშკა“ იქნება. ძალიან გამიხარდა, „ბრაუოში“ რომ გაიმარჯვა. აი, ანი კეკუას კი ვერ ვიტან, მატრაკვეცა გოგოა. ჩემი ახლობლის ჯგუფული გახლდათ და ვიცი, რასაც წარმოადგენს. მართალია, სცენას უხდებოდა, მაგრამ მერწმუნეთ, ცხოვრებაში არც ისეთი მხიარული და საყვარელია, როგორიც ეკრანიდან ჩანს.

— მამაკაც „ვარსკვლავებზე“ რას მეტყვი?

— ვისზე, ვანიკო თარხნიშვილზე? აბა, სხვა ვინლა გვყავს?.. ახალი სახეები იმდენად უსუსურები არიან, რომ მათი დასახელებისგან პირადად მე, თავს შევიკავებ. რაც შეეხება ვანიკო თარხნიშვილს, მან დუტასავით უკვე მოგვაბუზრა თავი...

ვიკა, 16 წლის:

— ჩემთვის ლელა ნურნუშია შეუცვ-



ლელია. ეს ქალი ყოველთვის ფორმაშია, უაზროდ არასდროს იპრანჭება და სხვას არ დასცინის. თურმე, ურთიერთობაშიც საოცრად კარგი ადამიანი ყოფილა. შეიძლება, უცხოებს კი უბზუებს ცხვირს, მაგრამ ყველა რომ გაუცინოს, მერე იტყვიან, — ცოტა ვერააო; მისი მესმის... სამწუხაროდ, არ მომწონს მისი მეუღლე მამულიჩა, რალაცნაირი ტიპია და იმიტომ!

— მაინც, როგორი ტიპია?

— უმარილო. რომ არა ლელა, ვერაფერს მიაღწევდა, დაიკარგებოდა... ლელას თვალები ყოველთვის უბრწყინავს. მის გარდა ჯერ არ მინახავს ქალი, რომელსაც კეხიანი ცხვირი ასე უხდებოდა...

— მაგრამ ლელა გასული წლის აღმოჩენა ნამდვილად არაა...

— მართალია, მაგრამ ამ სახელს გვერდი ვერ ავუარე... 2010 წლის აღმოჩენა უდავოდ, ნუკი კომპლექსივითაა, რომელმაც კარიერა ისე უცვბ აიწყო, რომ მგონი, თავადაც ვერ მიხვდა, რა დამსახურებისთვის გახდა ასეთი პოპულარული. თუმცა, მისი ნამდვილად არ მშურს — კარგი გოგოა,

სიმპათიური და ძალიან საყვარელი; ასე რომ, ღირსია, წარმატებული იყოს. სხვათა შორის, გიორგი გოგიჩაიშვილთან ერთად დილის პროგრამას მშვენივრად უძღვებოდა და ქრისტიანულ განსხვავებით, ის ხალხს ნამდვილად არ მოჰბეზრებია, ტელევიზიიდან არ უნდა გაეშვათ... საოცრად არ მომწონს ოთო ნემსაძე და ვერ ვხვდები, გოგონები ამ ბიჭზე რატომ გიჟდებიან. მართალია, კარგად მღერის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის „სექსობობადაც“ უნდა ვაღიაროთ. ქართველები უცნაურები ვართ: თუ ადამიანში რაიმე მოგვეწონა, მის გაღმერთებას ვინწყებთ. სიმართლე გითხრათ, მე სოფო გელოვანს უფრო „ვბალებშივობდი“. მგონი, ვოკალური მონაცემებით ოთარს არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ სულელმა გოგონებმა იმარჯვეს და ბიჭს გაამარჯვებინეს... იცი, ვინაა 2010 წლის ნამდვილი აღმოჩენა? — ანი ხანწალიანი. საოცარი ბავშვია, ძალიან მაგრად მღერის და ღირსია, მომავალში უდიდეს წარმატებას მიაღწიოს. მაგ ბავშვს პატრონი რომ ჰყავდეს, ახლა ზეპოპულარული იქნებოდა.

არტურა, 16 წლის:

— წლის აღმოჩენა ჩემი თიკო სადუნეშვილია.

— შენი საიდანაა?

— (იციანის) ასე ვეძახი, თორემ მის თავს ვინ მომამავეებს? მაგარი ნაშაა, მომწონს ეგ ქალი და რა ვქნა? სიამოვნებით მოვიყვანდი ცოლად, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, ამ შემთხვევაში, ნათესავებს, ახლობლებს დავკარგავდი...

— რატომ?

— იმიტომ, რომ თამამი ქალია და მისი საქციელი ყველას აღიზიანებს. ახალ წელს ვილაც ახალგაზრდა მომღერალს შიგ ტუჩებში რომ „დაეზასა“, მაგრად ვიხალისე.

— ამაში სახალისო რა იყო?

— ხალხი გადაიხრია: ეს როგორ გააკეთა? ნუთუ, არ რცხვენიაო? არადა, ამას იცი, ვინ ამბობდა? — ის, ვინც თავად ყოველდღე სჩადის მსგავს რალაცებს, მაგრამ ამას სხვებისგან ფარულად აკეთებს... თიკო თამამი გოგონაა და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ პოპულარული გახდეს, ფული იშოვოს და ამაში სათაკილოს



ვერაფერს ვხედავ.

— შენი ცოლი სხვას სახალხოდ რომ „ეზასაოს“, მოგწონება?

— მაგრამ თიკოს ხომ ქმარი არ ჰყავს? დარწმუნებული ვარ, როცა შეუღლდებო, მერე ასე აღარ მოიქცევა... ძალიან მომწონს ნანკა კალატოზიშვილიც. მიუხედავად იმისა, რომ ყველგან მისი სახელი წერია და ყველა არსზე ისაა, ამ გოგოს დანახვა ჯერ არ მომბეზრებია; მეტიც — სიამოვნებით ვუყურებდი ყოველდღე. გულწრფელად გეტყვით: არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, — ნანკა ყელში ამოვიდაო. როგორ შეიძლება, ასეთი ლამაზი გოგოს ცქერა ყელში ამოგივიდეს? შეიძლება, ეს ქალებმა თქვან იმიტომ, რომ ეჭვიანობენ, მაგრამ თუ ამას კაცი ამბობს, ე.ი. კაცურ ამბავში პრობლემა აქვს.

სალი, 15 წლის:

— 2010 წლის აღმოჩენა დიმიტრი ტატიშვილია. აუ, ძალიან მაგარი მსახიობია და რომ არა ის, „დეტექტივეზი“ არაფერი იქნებოდა.

— დიმიტრი ტატიშვილი არა მგონია, გასული წლის აღმოჩენა იყოს, მას მანამდეც ბევრი იცნობდა...

— შეიძლება, მაგრამ მე მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცოდი. ალბათ, ეს არც უნდა მეთქვა, მაგრამ ხომ გაგიგონია, — არცოდნა არცოდნააო. დიმიტრი ძალიან საყვარელი ტიპია და მაგლობა „დეტექტივეზის“ რეჟისორს იმისთვის, რომ ეს კაცი მაპოვნინა... ძალიან მომწონს ნუკი კომპლექსივილი. საოცარი გოგოა და თან — სულ იცინის, სხვებივით კი არ იბზუებს ცხვირს. კიდევ, მანიკა მომწონს. აი, ის, წითელთმიანი მოდელი რომ არის. მაგარი გოგოა. მისნაირი გარეგნობა რომ მქონდეს, მთებს გადავდგამდი, ბიჭებს გადავრევი, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ თმის ფერით ვგავარ (იციან).

ნია, 17 წლის:

— 2010 წლის აღმოჩენა მარიამ კახელიშვილია. ის ნამდვილად, პატარა „ვარსკვლავია“, რომელიც მომავალში აუცილებლად, მსოფლიოს მასშტაბით გვასახელებს. მისი ნამღერია ძალიან მომწონს... წლის ადამიანად დავასახელებ ვანიკო თარხნიშვილს. ის უდავოდ, ნიჭიერი ადამიანია და ღირსია, რომ საუკეთესო როლები მისცენ. მართალია, გარეგნულად ძალიან მაგარი და სიმპათიური არ არის, მაგრამ საოცრად საყვარელია, ამიტომაც მომწონს სხვებზე მეტად.

ნანიკო, 16 წლის:

— ძალიან მომწონს რუსკა მაყაშვილი. მაგარი გოგოა, საყვარელი მანერები აქვს. მეც მიყვარს მიმიკებით

ლაპარაკი და ვფიქრობ, ერთმანეთს რომ ვიცნობდეთ, კარგი მეგობრები ვიქნებოდით... რუსკა ჩაჩუა შეიძლება, 2010 წლის აღმოჩენად მივიჩნიოთ, ვინაიდან „ბრავომდე“ მას თითქმის არავინ იცნობდა. არაჩვეულებრივი გარეგნობა აქვს, მაგრამ ოდნავ ტლაქნია. არა უშავს, დაიხვეწება და ბევრ ცნობილს გადაუჯოკრავს!

ენია, 15 წლის:

— გასული წლის აღმოჩენა თორნიკე გოგრიტიანი. ეს მსახიობი ძალიან მომწონს, საოცრად კარგი გარეგნობა აქვს. ცუდი ისაა, რომ ქორიძემ დამასწრო და მას თავი შეაყვარა (იციან). ძალიან მომწონს რუსკა მაყაშვილი, როგორც თოვლის ბაბუის მეგობარი. ეს როლი საოცრად მოუხდა, თან — არაჩვეულებრივი გარეგნობა აქვს და ბიჭების უმეტესობას ამითაც იოლად „შეაბამს“.

სოფო, 14 წლის:

— გვიუდები ოთო ნემსაძეზე. მასზე ამბობენ, რომ ისეთივე არაჩვეულებრივი ადამიანია, როგორი ხმაც აქვს. ამ ბიჭს სიამოვნებით გავიცნობდი. წლის მივიწყებულ ადამიანებად დავასახელებ ქრისტიანე იმედაძეს, თავო გაჩეჩილაძეს, ზაზა ფაჩულიას და კახა კალაძეს. მათზე შარშან დიდი მოთხოვნა იყო, წელს კი ამ ადამიანების სახელი თითქმის არსად გაუღერებულა.

მერაბი, 18 წლის:

— ეს დუტა, ვანიკო თარხნიშვილი, ნანკა კალატოზიშვილი, ნინი ბადურაშვილი, თიკო სადუნიშვილი და სხვა ყელში ამოსული ტიპები ძალიან არ მომწონს, მეტიც — მათი დანახვაც კი მალიზიანებს. აი, დები ქორქიები კი ძალიან მომწონს. ორივე ულამაზესია, მაგრამ ანის რაღაცით, ლიკა სჯობია, მაგრამ რით, ამას ნამდვილად ვერ გეტყვით... 2010 წლის აღმოჩენაა ქალბატონი გულნაზ გოლეთიანი, რომელსაც ვგულმემატიკვირობდი. მართალია, გამარჯვება სხვა ხედა წილად, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარია, რომ ხალხმა მისი ნიჭიერება დააფასა და შეიყვარა...

მარი, 17 წლის:

— გასული წლის აღმოჩენად დავასახელებ სერიალის — „გოგონა გარეუბნიდან“ რეჟისორს, რომელმაც არაჩვეულებრივი ფილმი შემოგვთავაზა. მართლა კარგი სერიალია და ვცდილობ, ყოველთვის ვუყურო. ძალიან მომწონს „შუა ქალაქშიც“. „იმედმა“ მგონი, ამ ფილმების წყალობით „გაქაჩა“... წლის აღმოჩენაა ნანუკა გოგიჩაიშვილი. ის ულამაზესი გოგოა და წარმატებას ამიტომაც მიაღწია. რაც შეეხება სხვა მოდელებს, მხოლოდ გვანცა დარასელია მომწონს — თუმცა, ის კარგა ხანია, მოდულობას შეეშვა.

მართალია, თინიჯერების უმეტესობას თოვლის ბაბუს არსებობის არ სჯერა, მაგრამ მას წერილებს მაინც სწერენ, საჩუქრებს სთხოვენ — ამ ხერხით ცდილობენ, ბავშვობა შეინარჩუნონ და ახალი წლის დღესასწაული გაილამაზონ. საინტერესოა, ამ დღეს რას ჩუქნიან წყვილები ერთმანეთს ან რა სურთ, რომ აჩუქონ?..

ლიზა:

„თქვენი აზრით, რა შეიძლება აჩუქო საყვარელ ადამიანს ისეთი, რომ თან გამოადგეს და თან — გახალისდეს?..“

MR-ABCD:

„ჩუქა-ჩუქი“, რა თქმა უნდა!“

ნუცა:

„მე საათი ვუყიდე. ვიცოდი, რომ უნდოდა და თან — სჭირდება კიდევ. მართალია, მაგარ თანხაში „გადავვარდი“, მაგრამ „კ ჩორტუ“... ახლა ვზივარ და ვფიქრობ, — ნეტავ, თვითონ რა მიყიდა-მეთქი? სახლი გადავუქექე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე, არადა, ზუსტად ვიცი, რომ რაღაც მიყიდა“.

ლოგაშულ ორგანი:

„რა უნდა უყიდო? — თმის ალისფერი საღებავი, „ჰილფიგერის“ შარვალი, ისეთი თოჯინა, რომელმაც გინება იცის, შოკოლადის დიდი ფილა და კიდევ რაიმე, დედამისისთვის“.

KATE:

„საჩუქარს რაღაც ქვეტექსტი უნდა ჰქონდეს. მაგალითად, I LOVE YOU-ს თუ ეძახი, პლუმის პატარა სპლიყვი უნდა აჩუქო, წითელი ქუდი“.

კაპაბუჯი:

„დიდი სიყვარული და ცხელ-ცხელი გული აჩუქე“.

FOREST GUMP:

„საყვარელ ადამიანს თბილ ლოგინზე კარგი აბა, რა უნდა აჩუქო? ფუმფული მკერდში ჩაკვრასა და ჩადუღუღლებას რა სჯობს?!“

ფუტურა:

„გახეხილი ყველის შესანახი კონტეინერი რომ აჩუქოთ?“

სლავი:

„არ მიყვარს ახალი წელი, თოვლის ბაბუები და ვილაცის ბიზნესის გასაფართოებლად შექმნილი სისულელები. ჰოდა, ამ დღეს საყვარელ ადამიანს არაფერს ვჩუქნი“.

შოზოფრანიკი:

„ყველი და პური, კეთილი გული, ამბობენ, მაგრამ მხოლოდ ეგ არაა საკმარისი. ეჰ... მე კი ვიცი, რომ არავინ არაფერს მაჩუქებს, მაგრამ...“

FOREST GUMP:

„ვინმემ მკერდში ჩაკვრა მაჩუქეთ, რა და მეც იმნამსვე, კოცნას გაჩუქებთ...“



რა სურთ მოზარდებს ანუ საუკეთესო სარეჟისო ტიპური შეყვარებულისთვის

ლოგოლ ორბალი:

„დიდი შოკოლადის გული, ბაფთით, რიფლეს კაბა, სათამაშო ორლულუნიანი თოფი, კარგი სამაჯური...“
POP-CORN:

„თოვლის ბაბუსგან არაფერი მინდა... ერთადერთი სათხოვარი მაქვს — დედაჩემს ჩემს ნაცვლად, საცივისა და ხაჭაპურების მომზადებაში დაეხმაროს, მე მეზარებაა. და კიდევ, ამ ყველაფრის ჭამაში... ცოცხალი ძალა ანუ ბებოები გამოუშვი, თოვლის პაპავ, რათა დედაჩემს დაეხმარონ“.

ლოგოლ ორბალი:

„მინდა, ახალ წელს დაიკო და მამა შემირიდგენ. თუ დამდეგს ჩემთან ერთად შეხვედებიან, გამიხარდება“.

SUN-DANCE:

„მინდა, თოვლის პაპამ ლამაზი საღამო მაჩუქოს: სანთლებით, შამპანურით და... თვითონაც იქ უნდა იყოს“.

LEGALLY BLONDE:

„საჩუქარს მგონი, ვერც მე მივიღებ. არა უშავს, საკუთარ თავს რაიმეს ვუყუდი (როგორ მიყვარს ეგ საზიზღარი, ეგა)“.

ოლივი:

„პირადად მე, ყველაზე მეტად თოვლი მინდა“.

ლოგოლ ორბალი:

„ახალი მანქანა მინდა და საინტერესოა, სანტა ამ საჩუქარს წინდაში როგორ ჩაატეხს?“

098:

„წინდაში ვერ ჩაატეხს თორემ, ოთახში ხომ შემოეტევა, რა... ისე, გასაღები რომ იყოს?“

აკრეატონ:

„ჩემთვის ყველაზე ძვირფასს, საყვარელ და მისაბაძ ადამიანს საათი ვუყიდე, ოღონდ არ ვიცი, ახალ წლამდე ჩამომიტანენ თუ არა“.

ლიზა:

„ხალხს საათი რატომ ევასება? საათი ხომ მობილურ ტელეფონებშიც აქვთ?“

გუზა-ნუკრი:

„წარმოდგენა არ მაქვს, რას მაჩუქებს საყვარელი ადამიანი, მაგრამ სავარაუდოდ, ეს კოცნა იქნება. მე უკვე ვაჩუქე, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ

სიურპრიზი ახალ წელსაც უნდა გავუკეთო“.

შოკოლადინი:

„ერთმანეთს ვაჩუქოთ ტიტები... ნუ, ტიტები არა, მაგრამ ახალ წელს ერთი მანქანა კი დამხატავდა. ეჰ...“

დარილა:

„მოდი, ჩემო კარგო, მე ქაცვის წვეს მაჩუქებ, შენ კი რა ვიცი, რაიმე გექნება — ან რბილი სათამაშო, ან „სნიკერსი““.



გვანცუა 123:

„კუბოს ვუყიდი, დიდი სიყვარულის ნიშნად“.

გოლ-უა:

„სუნამოს ვაჩუქებ... ბოლო დროს ფანტაზია არ მყოფნის“.

ქათი-ქათუსია:

„მე კატა მინდა... და კიდევ, საჩუქრად მინდა ისეთი ვინმე, ვისაც საჩუქარს თავად ვუყიდი“.

ADDICT:

„ვიცი, რომ საჩუქარს არ უნდა ველოდო, რადგან ჩემი თოვლის პაპა „ეკონომიკურ კრიზისს“ განიცდის, თან — მისთვის მეც არაფერი მიყიდა“.

CUSTOMER:

„საცვლები უნდა აჩუქო. მაგალითად, წითელი ბიუსტპალტერი“.

ნონი 877:

„რა მინდა? — არ ვიცი. მინდა, ახალი წელი ჯაკუზიში გავატარო და კიდევ 2.000 დოლარი“.

CUSTOMER:

„ახლა შემქლო, შენთვის მომენერა: „დაჩა“ არ გინდა, მთვარეზე

მეთქი?... მაგრამ არ მოგწერ, რადგან მეც მინდა ჯაკუზი და ფიფქია“.

ლიზაოლი:

„ვიცი, სამაჯურებს მაჩუქებს!..“

ლიზა:

„მთავარი ყურადღებაა და რას გაჩუქებს, სულერთია. P.S. აი, მე არასდროს არავინ არაფერს მჩუქნის“.

ჯუნგა 19:

„თოვლის პაპა მაჩუქე, რა. გასულ წელს დასახული მიზნებიდან რამდენიმე ბოლომდე მივიყვანე — ვგულისხმობ უნივერსიტეტში მოწყობასა და სამსახურის შოვნას, საკუთარი თავის დაფინანსებას... ასევე, მიზნად მქონდა დასახული მეორე ნახევრის მოძებნა, მაგრამ ეს იმაზე ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. თურმე, ასეთი რაღაცების დაგეგმვა შეუძლებელი ყოფილა...“

ჯული 26:

„გაზის ლუმეს რალაც გაუფუჭდა და მენეჯერი შემპირდა, ახალ წელს მე თვითონ მოგიტან სახლში, შენი თოვლის ბაბუა ექნებო“.

JAPMAN:

„გასულ წელს საყვარელი ხელთათმანები ვაჩუქე და ისე მოეწონა, რომ მაკოცა (პირველად). მეგონა, მისი საჩუქარი ეგ იყო, მაგრამ მერე ძალიან მაგარი კაშენი „გაჩითა“ და თავისი ხელით გამიკეთა... P.S. არ მიყვარს ძვირად ღირებულ ნივთებს რომ მჩუქნიან“.

POP-CORN:

„მინდა, ახალმა წელმა სურვილი ამისრულოს. იცით, რას ვინატრებდი? — აი, ცოტა ხნით, სულ ნახევარი საათით ისევ ბავშვი რომ გავხდე, მერე მოვიდეს თოვლის პაპა და მომიტანოს ბევრი კანფეტი, ჩურჩხელა და ბრჭყვი-ალა სათამაშო; მსურს, მისი მოსვლა ისევე გამიხარდეს, როგორც მხოლოდ ბავშვებს უხარიათ. ძალიან მინდა, ეს ვიგრძნო და მერე „უსიო“, ისევე ჩემს სამყაროს დავუბრუნდები... აბა, ახლა გახარება კი არა, რომ მახსენდება, რამდენი რამეა გასაკეთებელი, არც თოვლის პაპა მინდა და არც ახალი წელი“.



გიგლუსი

გიგლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



„ტორერო“

დგას ტორერო უორიდაზე,
ბრბო ყიყინით ითხოვს: „ოლე!“ –
მთავარია, ბრძოლა, თორემ
ხარს ყასბებიც ჰყლავენ ხოლმე.

მოვლენ ისე, როგორც წავლენ,
წავლენ ისე, როგორც მოვლენ, –
მთავარია ფრენა, თორემ
ფრთებს ქათმებიც შლიან ხოლმე.

ცა იჭმეხნის ხშირად წარბებს,
მაგრამ მაინც გვწყალობს ობლებს, –
მთავარია რალაც გწამდეს,
პირჯვარს ეშმაც იწერს ხოლმე!

გორის ფოცხიშვილი

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაბითი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენალი თეიმურაზ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“;

№2-52, 2010 — №1, 2011

კამში — კბენა, საკბენად მომართვა ყბებისა (ცხენმა კამში იცის; კამპს გაჰკრავს).

კანამხალი — იგივეა, რაც ლახანა (თავხვეული კომბოსტო).

კანდელი (ძვ.) — სანათი, ლამპარი.

კანთიელად (კუთხ.) — გარკვევით, აშკარად.

კანკელი — ეკლესიაში — ჩარჩოებიანი ტიხარი (ჩვეულებრივ ხატებით შემკული), რომელიც გამოყოფს საკურთხეველს.

კანკლედობა (ძვ.) — იგივეა, რაც ბრუნება (სახელის ცვლა ბრუნების მიხედვით).

კანძი — ერთი ცხვრის ნაპარსი მატყლი.

კანჭი — ფეხის ნაწილი მუხლის თავიდან კოჭამდე.

კანჯარი (ძვ.) — გარეული ვირი.

კანჯო — მომცრო ნავი.

კაპაკუპი — კბილების ერთმანეთზე ცემის ხმა — კაპუნი.

კაპარჭი — ისრების ჩასაწყობი ბუდე.

კაპარჭინა — ერთგვარი მტკნარი წყლის თევზი (მდინარის სახელის მიხედვით, რომელიც პალიასტომის ტბიდან გამოდის).

კაპლა (იტალ.) — მოძღვრალთა გუნდი.

კაპრაში — ყვითელ-მონითალო ფერის საქონელი.

კაჟანდევი — ზღაპრებში — ძალიან დიდი, ვეება დევი.

კარაბა — კარის ჩარჩოს ზედა ნაწილი.

კარაბინი (ფრანგ.) — მოკლელულიანი შაშხანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ვახტანგ VI გიორგი XI-ის ძმის — ლევანის ძე გახლდათ. დაიბადა 1675 წლის 15 სექტემბერს. იგი სულხან-საბა ორბელიანის აღზრდილი იყო. ვახტანგის მეფობის ხანა (1716-1724 წლები)

ვახტანგ VI



გამორჩეული იყო საქართველოს ლიტერატურული და ინტელექტუალური ალორძინების დანეებით. სულხან-საბა ორბელიანისა და ანტონ კათოლიკოსის გვერდით, ვახტანგი ახალი ქართული ლიტერატურის სულისჩამდგმელად მიიჩნეოდა... დედა 3 წლისას გარდაეცვალა და დედინაცვალი ზრდიდა. სწავლა-განათლება და სამხედრო წვრთნა მან ბიძის — გიორგი XI-ის კარზე მიი-

კრებული იყო ე.წ. „ბატონყმური რიგის“ მონესრიგების მნიშვნელოვანი ღონისძიება. ის მიზნად ისახავდა ფეოდალთა ძალადობის შეზღუდვას... ნაყოფი-

„მართლა თქმულა: არავის შვენის პირში ქება, უკან ზრახვა“

ერი საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის ვახტანგ VI-ს „სჯულმდებელი“ უწოდეს. მის სახელთანაა დაკავშირებული პროგრესული, განათლებულ მეცნიერთა დასის — „სწავლულ კაცთა კომისიის“ დიდი კულტურული საქმიანობა. 1709 წელს ვახ-

„უჭკუო კაცის სიკეთე ვაი, რა ცარიელია“

ლო. იგი დაახლოებული იყო აგრეთვე თავის უფროს ბიძასთან — არჩილ II-სთან. 13 წლის ვახტანგი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში: გამოდიოდა გიორგი XI-ის მომხრედ და ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ იბრძოდა. 1695 წელს ჩერქეზეთის ბატონის ასულ — რუსუდანზე იქორწინა... 1703 წელს ირანის შაჰმა ვახტანგი ქართლში ჯანიშინად (მეფის მოადგილედ) დანიშნა. იგი იბრძოდა ქვეყანაში წესრიგის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. ფართო ბრძოლა გააჩაღა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული განვითარებისთვის. მისი თაოსნობით შექმნილი კანონთა

ტანგმა თბილისში პირველი სტამბა გახსნა, სადაც პირველად, „ვეფხისტყაოსნის“ (1712 წელს) საფუძვლიანი კრიტიკულ-მეცნიერული გამოკვლევაც დაიბეჭდა. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვანია როგორც პირველი მეცნიერული გამოცემის ცდა... მან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთველო-

და გადმოაკეთა მსოფლიო დიდაქტიკური ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშები... მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლირიკას, რომელიც თემატური მრავალფეროვნებითა და იდეური სიღრმით გამოირჩევა... ვახტანგი 1712 წელს

„რაცა შენთვის არ გინდოდეს, ნუ გნადიან იგი სხვისთვის“

ირანის შაჰმა ქართლის სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად ისპაჰანში დაიბარა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა, მაგრამ ქრისტიანი მეფისგან უარი მიიღო. იგი ქირმანში გადასახლეს, სადაც 1719 წლამდე დაყო. ვახტანგი ცდილობდა, გაეგრძელებინა დაწყებული საქმიანობა, მაგრამ იმ დროისთვის პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში საგრძნობლად შეიცვალა... ვახტანგი საგარეო პოლიტიკაში ქრისტიანულ რუსეთთან კავშირის ტრადიციულ კურსს მისდევდა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი პეტრე I-თან დაამყარა... 1723 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალები დაეპატრონნენ. 1724 წელს ვახტანგ VI თავისი ამალით (1200 კაცი) რუსეთს გაემგზავრა. ქვეყნის მიტოვება და მხოლოდ გარეშე ძალაზე იმედის დამყარება მისმა თანამედროვეებმაც შეცდომად ჩაუთვალეს. რუსეთში ემიგრირებული ვახტანგ VI და მისი მრავალრიცხოვანი ამალა ბევრს ეცადა, რუსეთის დახმარებით თავისი ქვეყანა უცხოელ დამპყრობთაგან გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამაოდ... ვახტანგ VI 1737 წლის 26 მარტს ასტრახანში გარდაიცვალა, დასაფლავებულია იქვე, მიძინების ტაძარში.

„ყოველ სიბრძნის საფუძველად მოთმინება დაუდვიათ“

ლოგიას. მასვე წვლილი მიუძღვის ქართული დიდაქტიკური მწერლობის განვითარებაშიც. ვახტანგმა თარგმნა



ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი



ზემთხვევით აღმოჩენილი ცოლისძმა და დუქანში მოგვარებული საქმე

გელა კორძაძე

შაქრო ბაბუ შვილიშვილებს ხშირად გვიყვებოდა საინტერესო ამბებს თავისი ცხოვრებიდან. ჩვენც გულისყურით ვუსმენდით. ერთ ამბავს 2-3-ჯერაც კი ვაყოლებდით. მასაც არ ჰბეზრდებოდა და ღიმილით დაიწყებდა თხრობას: „ომი ახალი დამთავრებული იყო, ხალხი შიმშილობდა...“

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, შაქრო ბაბუსა და ჟენია ბებოს სიყვარულის ამბავმა განსაკუთრებით დაგვაინტერესა და აი, რა გვიამბო მან:

— ბებიათქვენი პირველად პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჭიშკართან შევნიშნე. ძალიან მომეწონა, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გავბედე. მას უკან გავყვი და გავიგე, რომელ ფაკულტეტზე სწავლობდა. მოგვიანებით ჟენიას სახელი, გვარი და მისამართიც დავადგინე და გაცნობაც მოვახერხე. მაგრამ ისეთი მორიდებული ვიყავი, გასაცნობად რომ წარუფდექი, სახელის გარდა, სხვა ვერაფერი ვუთხარი. არადა, ვგიჟდებოდი, ისე მომწონდა. ბოლოს ჩემი თანაკურსელი, რომელიც მისი შორეული ნათესავი აღმოჩნდა, დამპირდა, რომ დამეხმარებოდა — მასთან ოჯახში მივიდოდა და მამამისს დაელაპარაკებოდა.

— ცოტა მძიმე კაცი კია, მაგრამ ვეცდები, ქალიშვილის გათხოვებაზე დავითანხმო, — მითხრა მან. მაგრამ „მაჭანკალმა“ ცუდი ამბავი მომიტანა:

— მამა კი დავითანხმე, მაგრამ ძმამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: უსახლკარო ისტორიკოსს ჩემს დას არ გავატან, თანაც ჟენიაზე უფროსი 2 და მყავს გასათხოვარიო.

აღარ ვიცოდი, რა მექნა, სწავლას გულს ვეღარ ვუდებდი... ჩემი მომავალი ცოლისძმა ახოვანი აღნაგობის მქონე, ქეიფის მოყვარული და ქალაქში ცნობილი თამადა გახლდათ... ერთი კი ვიფიქრე, მოდი, შევხედები, გავიცნობ-მეთქი, მაგრამ თუ ახოვანი ვაჟკაცია, ჩემს დანახვაზე, სულ რაღაც მეტრი და 70 სმ ვარ, მთლად არ გავაფუჭო საქმე-მეთქი და უკან და-

ვიხიე. სევდა მომეძალა და თანდათან ქალაქის დუქანების ხშირი სტუმარი გავხდი. ერთხელაც, „სევდის ჩასახშობად“ ერთ-ერთ დუქანს მივაშურე. ბოთლი ღვინო, კიტრის მწნილი ავიღე და პატარა მაგიდას მარტო მივუჯექი. იქვე, დუქანის მეორე კუთხეში, მაგიდასთან 3 კაცი ქეიფობდა. თამადა ლამაზ სადღეგრძელოებს ამბობდა, მე მის ნათქვამს გულში ვიმეო-



რებდი და ჩემთვის ვსვამდი. ერთ-ერთი სადღეგრძელოც სიყვარულისა შესვა, ვეღარ მოვითმინე და ღვინით გათამამებულმა, მის ნათქვამს ხმამაღლა შევუერთდი, თან, პატარა ლექსიც დავურთე. თამადამ გაკვირვებით შემომხედა და თავის მაგიდასთან მიმინვია. როგორც შემატებულ სტუმარს, განსხვავებული სასმისი — საკმაოდ

მოზრდილი ყანნი — მაჯახეს. სადღეგრძელო ვთქვი და სასმისი მამინვე დავცალე.

— გენაცვალოს გიორგი, — მითხრა თამადამ და გადამოკცნა. ადგილზე გავქვავდი, რადგანაც სახელი, გვარი და მისი გარეგნული მონაცემები სრულად ემთხვეოდა ჟენიას ძმისას... რაღას ვიზამდი, ქეიფი გავაგრძელე... გიორგიმ რატომღაც მიზანში ამომიღო და ყველა სადღეგრძელოზე ალავერდს ჩემთან გადმოდიოდა. თავს შევუძახე, — არ უნდა წაიქცე, თორემ ყველაფერი მართლა დამთავრდება-მეთქი და ყანებსა თუ ფიალებს თვალის დაუხამხამებლად ვცლიდი. ჩვენმა თანამეინახეებმა სმა შეწყვიტეს, გიორგი კი ახალ-ახალ სადღეგრძელოებს გვთავაზობდა. თითოეულს 5-5 ლიტრი ღვინო გვქონდა დალეული, როცა თამადამ აღმოფოთება ვეღარ დამალა:

— ამ პატარა კაცმა თუ დამათრო, აქედან პირდაპირ რიონში გადავხტები, — დაიღრიალა და მედუნეს ვედროს მოტანა უბრძანა! გიორგიმ 3-ლიტრიანი ჭურჭელი ბოლომდე დაცალა და შებარბაცდა კიდეც. ვედრო მეც დავცალე, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ მე ფეხზე მყარად ვიდექი.

— კაცო, ვინ ხარ შენ, ეშმაკი?! — მითხრა ენის ბორძიკით.

— ვინ ვარ და სიძეობაზე უარი რომ განმიცხადე, ის კაცი გახლავარ, — მივუგე გათამამებულმა.

— სამი და მყავს, ჩემო ძმაო, ახლავე წავიდეთ და რომელიც მოგენონება, ის წაიყვანე. თუ გინდა, სამივეს გაგატან, — სრული სერიოზულობით მითხრა.

— სამი რად მინდა?! მე ჟენია მიყვარს და უარს თუ არ მეტყვი, გაპრდები, არაფერს მოვაკლებ, — ძლივს ამოვილულულე.

— იყოს ჟენია! სვალ გელოდები ჩემთან — სახლში. ჟენიას გამოგატან და თანაც რევანშისთვისაც მოემზადე.

ასე მოგვარდა პრობლემა. ჟენია ჩემი ცოლი მეორე დღესვე გახდა. ცოლისძმამ კი რევანში დღემდე ვერ აიღო...

უყუჩაბი! www.palitra.ge PALITRA TV-RADIO ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



მორიგანი

არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1, 2011

დავიძაბე, ყველა კუნთი დამეჭიმა, კბილები გავაკრაჭუნე, ხელი მთელი ძალით მოვიქინე და სახეში გაფულანუნე. მაშინვე ტანისამოსს მივვარდი და ჩაცმა დავინყე. მეგონა, ბადრაგს დაუძახებდნენ და ცემაში სულს ამომხდიდნენ. წარმოვიდგინე, რომ ასე დედიშობილას „გამიფენდნენ“ და ტკივილზე უფრო ამის შემეშინდა. სწრაფად ვიცვამდი, რომ ბადრაგის შემოსვლამდე მომესწრო, მაგრამ ამ ამბავმა მშვიდად ჩაიარა — ჩემი ქმედებისთვის პასუხი არავის მოუთხოვია.

ზურას მეორედ 6 თვის შემდეგ შევხვდი. ციხის თანამშრომელმა, ლიდამ დამიძახა და საკნიდან გამიყვანა. წარმოდგენა არ მქონდა, სად მივყავდი. რამდენიმე წუთის შემდეგ თავი ექიმის კაბინეტში ამოვყავი.

— გამარჯობა, — მითხრა ზურამ. პასუხი არ გამიცია.

— დაჯექი, — სკამი გამოსწია და მხარზე ხელი დამაჭირა. ძალით დამსვა. — ნაწყენი ხარ, ალბათ, მინდა, ჩემი საქციელი მოვინანიო და პატიება გთხოვო. შევრიგდეთ, რას იტყვი? — არც ამჯერად გავუცი პასუხი. — ქართველი ხარ? — ქართულად შემეკითხა.

— კი, — ამჯერად ვუპასუხე და გაცუბულმა შევხედე.

— გარეგნობით ვერ იტყვი, რომ ქართველი ხარ, ნამდვილი სლავური სახე გაქვს.

— დედა რუსი მყავს, მამა — ქართველი, — უცებ დავმშვიდდი, ყველაფერი ვაპატიე. გულმა მიგრძნო, რომ ეს კაცი მტრულად არ იყო განწყობილი.

მთელი საათის განმავლობაში რაღაცებს მეკითხებოდა, ყავას, ჩაის მთავაზობდა, რაზეც თავაზიანი უარი ვუთხარი. ის შემთხვევა აღარც უხსენებია, თითქოს არც მომხდარიყო. არც მე მითქვამს რამე. გული ბოლომდე არ გადავუშალე. არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ციხის ადმინისტრაციის დავალებით არ მოქმედებდა.

ასეთი ვიზიტები კვირაში ერთხელ წესად იქცა. თანდათან შევეჩვიე და ყოველ პარასკევს მოუთმენლად ველოდი. თუ რომელიმე კვირა ჩავარდებოდა, ისე განვიცდიდი, როგორც ახლობელი ადამიანის დაკარგვას. ეს იქ ყოფნის დროს ერთადერთი ნათელი წერტილი იყო.

როგორ ახერხებდა ჩემთან შეხ-

ვედრის ორგანიზებას, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მიმძაფრდებოდა მის მიმართ გრძნობა, მაგრამ ამ გრძნობას სახელი არ ერქვა. ეს არ იყო სიყვარული, არც მეგობრობა ან ახლობლობა. ვხვდებოდი, რომ ეს უფრო ლტოლვა იყო მამაკაცის მიმართ, მაგრამ მიჭირდა, საკუთარ თავს ამაში გამოვტყდომოდი. თუმცა, არც იყო გასაკვირი — ის ერთადერთი მამაკაცი იყო, რომელსაც ამ დროის განმავლობაში ვხვდავდი და მასთან თავს ძალზე მყუდროდ ვგრძნობდი. არასოდეს მიკითხავს, რა იყო ამ შეხვედრების მოწყობის მიზეზი. თვითონ რამდენჯერმე ჩამოაგდო საუბარი ამ თემაზე და აღნიშნა, რომ როგორც ქართველს, თანამიგრძნობდა და სურდა, ჩემი პატიმრული ცხოვრება ოდნავ მაინც გაელამაზებინა. ეს სიმართლეს ჰგავდა, რადგან ხანმოკლე პატიმრები მართლა ძალიან მეხმარებოდა და დროის გაყვანას აიოლებდა. მისი დამსახურება იყო სწორედ, რომ ლიდა, რომელიც თავისი სისასტიკით იყო ცნობილი, კარგად მექცეოდა და მისი „დუბინკა“ — წარწერით „ანალგინი“ ერთხელაც არ მომხვედრია. მას მივყავდი ზურასთან და უკანა გზაზე მომავალს მეუბნებოდა, ამ კაცს უყვარხარ, მარგო, ბედნიერი ქალი ხარო. მე კი მხოლოდ მხრებს ვიჩქრედი და პასუხი არც მისთვის მქონდა, არც საკუთარი თავისთვის, ვინაიდან ექიმი არასოდეს დამლაპარაკებია გრძნობაზე, არ უთქვამს, რომ ვუყვარდი. შეხვედრის დროს შინაგანად დამაბული ვიყავი ხოლმე და დარწმუნებული, რომ ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად სიყვარულში გამომიტყდებოდა.

ეს დღეც დადგა. ახალი წლის ღამეს, როცა 12 საათის შესრულებას 20 წუთი აკლდა, ლიდამ „კარმუშკაში“ შემოიხედა და გამოდიო, — დამიძახა. არ ველოდი, რომ იმ დღეს ზურასთან შეხვედრა მომიწევდა და დაძახებისთანავე საკნის კართან დავდექი და ხელები ზურგზე დავინწყე.

— თავს მიხედე ცოტა, თმა მაინც გაისწორე, — ისევ „კარმუშკიდან“ დამიძახა.

ძნელი მისახვედრი აღარ იყო, სად მივყავდი. უცებ მოვწესრიგდი და კარზე დავაბრახუნე.



მარი ჯაფარიძე

კართან ის მამაკაცი იდგა, რომლის გამოჩენასაც ყველაზე ნაკლებად ველოდი. — ზურა?! — გაცუბისგან პირი დავაღე.

— როგორ ხარ, მარგო? — გადამხვია, მხარზე ხელი მომიტათუნა.

— მოდი, — გზა დავუთმე და სამზარეულოში შევუძქი.

სტუმარი სანდროს დანახვაზე შეიმშრდა.

— მოდი, მოდი, — შევაგულიანე, — სანდრო უკვე წასვლას აპირებს, ჩემი ძველი მეგობარია და რომ გაიგო, გათავისუფლდი, თბილისიდან ჩამოვიდა. გაიცანი, სანდრო, ეს ზურაა, ციხის ექიმი, — მამაკაცები ერთმანეთს წარუდგინე.

— კარგი, მე წავალ, — სანდრომ ავად შეხედა სტუმარს და გავიდა.

ზურა ციხის ექიმად მუშაობდა და იქ ყოფნის დროს გავიცანი. ჩვენი პირველი შეხვედრა მაშინ მოხდა, როცა „კარანტინში“ ვიყავი. მასთან ოთახში სამედიცინო შემოსწმებაზე შემიყვანეს, — ამ პროცედურას ყველა ახალი პატიმარი გადიოდა, ვიდრე საკანში გადაიყვანდნენ.

ჩვენი პირველი შეხვედრა ჩხუბით დაიწყო. ექიმთან ოთახში შესული პატიმარი ვალდებულია, ტანისამოსი გაიხადოს და დედიშობილა დარჩეს. რასაკვირველია, ამ წესს მეც დავემორჩილე. ოთახში 2 ექიმი იყო — ზურა და ასაკოვანი ქალი. გავშიშვლდი, მათ წინ დავდექი და შემდგომ განკარგულებას დაველოდე.

მამაკაცი ადგა, მომიახლოვდა და გარშემო შემომიარა. ამ დროს ქალს თვალებში ვუყურებდი და მზერას არ ვაცილებდი, რადგან რაღაცნაირი, უცნაური გამომეტყველება ჰქონდა. ზურამ ჯერ თეძოზე დამაადო ხელი, შემდეგ ფეხზე ამისვა, მუცელზე, მკერდზე...



ზურას კაბინეტში სუფრა იყო გამ-
ლილი. დაბალ მაგიდაზე ხილი, ტკბი-
ლეული და კონიაკის ბოთლი ეწყო.
მაგიდა „ტაფჩანთან“ იყო მიდგმული.
თვითონ იქვე იჯდა. ჩემს დანახვაზე
წამოდგა, გადამოკცნა და დამდეგი ახ-
ალი წელი მომილოცა. როგორც კი
ლიდამ კარი გაიხურა, გასაღებით გადა-
კეტა და უკან მობრუნდა:

— ნუ დგახარ, დაჯექი, — სკამზე
მოითითა.

თვითონ მოპირდაპირე მხარეს
ჩამოჯდა და კონიაკის ბოთლს დასწვ-
და.

— მარგო, გადაწყვიტე, ახალ წელს
შენთან ერთად შეხვედროდი. იმედია,
ამის წინააღმდეგი არ ხარ.

— არა, რას ამბობთ, — ძლივს
ამოვიღულღულე. ცოტა ნასვამი მო-
მეჩვენა.

— ოჯახი არ მაქვს, — თვითონ
დაიწყო ამ თემაზე ლაპარაკი, წინათ
არასოდეს მოუყოლია თავისი პირა-
დი ცხოვრების შესახებ, — სულ მარ-
ტო ვარ, თბილისში, უპატრონო ბავშ-
ვთა სახლში გავიზარდე. 3 თვის ვყო-
ფილვარ, როცა დედას იქ მივუყ-
ვანივარ, დირექტორის კაბინეტში,
მაგიდაზე დაუწვევნივარ და დაუწ-
ტოვებნივარ. ჩემი მშობლები რუსები
იყვნენ, გვარიც რუსული მაქვს, მა-
გრამ ქართულ გარემოში გავიზარდე
და საქართველო ძალიან მიყვარს. ჩემი
მშობლების შესახებ ინფორმაცია ბავშ-
ვთა სახლის დირექტორისგან შევი-
ტყვე, როცა სრულწლოვანი გავხდი
და იქაურობის დატოვებამ მომიწია.
სამედიცინო ინსტიტუტი თბილისში
დავამთავრე, ასპირანტურა — მოსკო-
ვში და საცხოვრებლად აქ დავრჩი.
შენი ბიოგრაფია რაღაცით ჩემსას
ჰგავს, მონათესავე სულები ვართ, ერთ-
მანეთის გაგება არ გაგვიჭირდება,
— ამ ხნის განმავლობაში პირველად
შემომხედა, — ამასობაში კი ახალი
წელი მოსულა და ჩვენ არც გაგვი-
გია. მოდი, ჩვენ გაგვიმარჯოს! —
მოზრდილი ჩაის ჭიქები კონიაკით
ნახევრამდე შეავსო, თავისი ჭიქის ძირი
ჩემი ჭიქის პირს მოუჭახუნა და ერთ-
ბაშად გადაკრა.

საათს შევხედე — პირველის 15
წუთი იყო. მეც უხმოდ გადაკვარი სას-
მელი.

— რუსულად დალიე? — გაცინა
ზურას.

მეც გულიანად გამეცინა და ვი-
გრძენი, როგორ სასიამოვნოდ დამი-
არა ძარღვებში სასმელმა. სისხლს
ალკოჰოლი თითოეულ უჯრედთან მი-
ჰქონდა და სასიამოვნოდ მთენთავდა.
რატიონალურად ეს პროცესი ფუნქციონირებს
მიერ ფიჭის თითოეული უჯრედის
აქსების პროცესს შევადარე.

ზურას თავისი ამბების მოყოლა
აღარ გაუგრძელებია. ჭიქები ხელმოე-
რედ შეავსო და ახალი წელი მოკლედ,
რამდენიმე სიტყვით დალოცა. მეც
მივბაძე და ბევრი ლაილას გარეშე
გადავკარი.

გული მიგრძნობდა, რომ ეს დღე
ისევე არ დასრულდებოდა, როგორც
სხვა შეხვედრები. ზურას სასმელი არ
ეკიდებოდა, მე კი თანდათან ვთვრე-
ბოდი, ლაპარაკის საღერღელიც ამე-
შალა, ყველაფერს დაუფარავად ვყე-
ბოდი, ენას არ ვაჩერებდი — რაც
აქამდე საიდუმლოდ მქონდა შენახუ-
ლი, ისიც კი გადმოვალაგე. ხან ვიცე-
ნოდი, ხან — ვტიროდი. ამასობაში
ზურამ მეორე ბოთლი გახსნა და ისიც
ნახევრამდე ჩავიყვანეთ.

ალკოჰოლს არასოდეს ვეტანებოდი,
სულ რამდენიმე შემთხვევას თუ გავიხ-
სენებდი, როცა 1-2 ჭიქა დავლიე. ვვარ-
ჯიშობდი, ცხოვრების ჯანსაღ წესს
მივდევი და სპირტიან სასმელთან
ვერ „ვემოგობობდი“. თანაც, დაფიცე-
ბული მქონდა, რომ არასოდეს დავთვრე-
ბოდი. სასმლის შოვნა ციხეში ძნელი
არ იყო. საკანში ლამის ყოველდღე
სვამდნენ, მაგრამ არასოდეს დამილე-
ვია მათთან ერთად. ახლა კი უჩვეუ-
ლოდ კარგად და მსუბუქად ვგრძნობ-
დი თავს.

ზურას გადავკვიდე, შენი სახით „ნათე-
ლი ნერტილის“ სადღეგრძელო უნდა
დავლიო-მეთქი. ფეხზე წამოვდექი და
მისი საქებარი სიტყვები ისე წარ-
მოვთქვი.

— ახლა გაკოცებ და ამ ჭიქას
ბოლომდე გამოვცლი, — ცალი ხელი
მხარზე დავადე, ჩემკენ მოვიზიდე და
ტუჩები მოვპრუნე, რომ ლოყაზე მეკოც-
ნა.

მამაკაცმა ხელი წელზე მომხვია,
მკერდზე მიმიკრა და ტუჩებზე დამაკე-
ვა. ხელში შერჩენილი ჭიქა ისე გამო-
მართდა და მაგიდაზე ჩიქ დადგა, ტუ-
ჩები არ მოუშორებია. მის მკლავებში
მოქცეული მთელი გრძნობით ვკოცნი-
დი, მის სურნელს ვისუნთქავდი და
დროდადრო კვნესაც აღმომხედებოდა
ხოლმე.

— მარგო, მიყვარხარ, — მეჩურ-
ჩულებოდა ზურა და ეს სიტყვები ჯა-
დოსნურად მოქმედებდა ჩემზე. მზად
ვიყავი, სიცოცხლე დამეთმო, ოღონდ
ახლა ჩვენთვის ხელი არაფერს შეეშა-
ლა.

გამთენიისას გამეღვიძა. ხმელ დი-
ვანზე ვინეკი, გვერდით ზურა მენვა
და მშვიდად სუნთქავდა. ყველაფერი
ერთბაშად გამახსენდა, რაც იმ ღამით
მოხდა. სინდისის ქენჯნა არ მიგრძნია.
ცხვირი მის კისერში შევყავი და სურ-
ნელი ღრმად შევისუნთქე. გაღვიძა
და მომხვია.

— ძალიან საყვარელი ხარ, — ჩამ-
ჩურჩულა ყურში.

— შენ კი — ყველაზე კარგი, —
ვალში არ დავრჩი.

— ჩემი შესაძლებლობების მხო-
ლოდ ნახევარი გამოვიყენე, — ხმამა-
ლლა გაიცინა, — რომ არ შემეჩვიო
და ხშირად არ შემანუხო.

დამავინწყდა, სად ვიყავი... აღარც კი
მახსოვდა, რომ ცოტა ხანში საკანში
უნდა დავბრუნებულიყავი. ბედნიერი
ვიყავი და მეგონა, ასე გაგრძელდებო-
და.

ლიდას საკანში რომ მივყავდი, ეშ-
მაკურად ილიმოდა.

— რამის თქმა გინდა? — მხარი
გავკარი.

— პატიმარი რომ ხარ, ხომ არ
გავინყდება? — მკაცრად შემომხედა.

— კარგი, კარგი, — ხელები ზურგ-
ზე დავინწყე იმის ნიშნად, რომ ვიცო-
დი, ვინც ვიყავი.

— რაო, ზურა ექიმმა? — მაინც ვერ
მოითმინა.

— ლიდა მომიკითხეო.

— მარგო, მართლა ბედნიერი ქალი
ხარ, — ისე მიმედ ამოიოხრა, ცოტა
მანძილი კიდევ რომ გვქონოდა გასა-
ლელი, აუცილებლად მომიყვებოდა თავის
თავგადასავალს, მაგრამ უკვე საკნის
კართან ვიდევით.

ამ ახალი წლის შემდეგ ჩემი და
ზურას შეხვედრები გაგრძელდა, თუმი-
ცა ამ შეხვედრებს უკვე სხვა დატივრო-
ვა ჰქონდა.

მისთვის არასოდეს მითქვამს, მიყ-
ვარხარ-მეთქი, რადგან ეს ტყუილი
იქნებოდა და მისი მოტყუება არ მინ-
დოდა. თვითონ კი სიყვარულს მეფიცე-
ბოდა... ჩვენი ურთიერთობა 3 წლის
განმავლობაში გრძელდებოდა. ერთ მშ-
ვენიერ დღეს კი აღმოვაჩინე, რომ ორ-
სულად ვიყავი და ჩემი შემფოთება
ზურასაც გავანდე და ვთხოვე, ბავშვის
მოცილებასი დამხმარებოდა. სასტიკი
წინააღმდეგობა გამიწია და აბორტის
გაკეთებაზე უარი მივიღე, მიუხედავად
იმისა, რომ ბავშვის გაჩენას შესაძლოა,
უამრავი პრობლემა მოჰყოლოდა: ქალი,
რომელიც 3 წელია, პატიმარია, ვისგან
უნდა დაორსულებულიყო? ამას გამო-
ოიკვლევდნენ და ზურას მიადგებოდ-
ნენ.

ზურამ სასწრაფოდ მიიღო საჭირო
ზომები — თავის მეგობარს ჩემთან
გრძელვადინა, ერთდღიანი პაემანი
დაუნიშნა. რა თქმა უნდა, პაემნისთვის
განკუთვნილ ოთახში გამიყვანეს, ის
კაციც მოვიდა, რომ მისი შემოსვლა
ოფიციალურად გაფორმებულიყო და
მალევე წავიდა.

მალე ჩემი ორსულობის ამბავი გას-
და და ყველაფერი ზურას მეგობარს
დაჰპრალდა. სამწუხაროდ, ბავშვი ვერ



შევიწარჩუნე, მუცელი მომეშალა და ციხის უფროსებისთვის ყველაფერი მაშინ გახდა ცნობილი. ვილაცამ ზურას თავიდან მოშორება განიზრახა და ჩვენი ამბავიც გაახმაურა. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ციხის უფროსი თავზე დაგვადგა. ზურა სამსახურიდან გაუშვეს, მე კი 1 წლით სხვა საკანში გადამიყვანეს, სადაც მარტო ვიყავი...

— აი, ის კაცი იყო ახლა ჩემთან სტუმრად, ჩემ წინ იჯდა და ისე მიყურებდა, თითქოს პირველად მხედავდა.

— როგორ გაიგე, რომ გავთავისუფლდი?

— მუდმივად საქმის კურსში ვიყავი, რა ხდებოდა შენს თავს. მუდმივად ვიგებდი შენს ამბებს, ლიდას საშუალებით.

— ამანათებს შენ გარდა რომ არავინ შემომიგზავნიდა, ეგ ვიცოდი.

— როგორც კი გამოგიშვეს, იმავე საღამოს დამირეკა ლიდა და მცნობა, მაგრამ მაშინვე არ დაგადექი თავზე. ცოტა აზრზე მოსვლა გაცალე. ვიცი, რომ ხვალ მიფრინავ და მინდოდა, დაგლაპარაკებოდი.

— შენი მისამართი არ ვიცოდი, თორემ თვითონ მოგაკითხავდი, — დანანებით ვუთხარი. სინამდვილეში რაც ციხიდან გამოვედი, ზურა არც გამსენებია.

— მარგო, ნუ წახვალ თბილისში, დარჩი ჩემთან, ცოლად გამომეყვი.

— არა, თბილისში აუცილებლად უნდა წავიდე! — გადაჭრით ვუთხარი.

— გთხოვ, კარგად დაფიქრდე...

— არა, ზურა, აქ ვერ დავრჩები. ბინა უკვე გავაქირავე და ხვალ მიფრინავ. ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს.

— მე კი შენ გამო ცოლს გავცილდი.

— რას ჰქვია, ჩემ გამო? ნურაფერს დამაბრალებ, გთხოვ... მე არ დამივალე შენთვის, ვინმეს გაცილდი მეთქი. თანაც, კარგად მახსოვს, რომ ცოლი არ მყავსო, მითხარი...

— 2 წლის წინ მოვიყვანე, ახლა კი გავცილდი.

— ზურა, მოდი, ასე მოვილაპარაკოთ: ცოლს დაუბრუნდები, ჩემზე აღარ იფიქრებ და ცხოვრებას ჩვეულებრივად გააგრძელებ. მე ჩემი გზა მაქვს. პატარა ბიჭივით იქცევი და არ გრცხვენია.

— ყველაფერი გასაგებია, — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით თქვა და კარისკენ გაემართა.

წინ არ გადავდგომივარ, ნუ წახვალ-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ მინდოდა, ცოტა ხანს დარჩენილიყო და გვესაუბრა. წავიდა და არც კი ვიცოდი, ამ ადამიანს ოდესმე შევხვდები თუ — არა.

ზურას წასვლის შემდეგ მკვდარივ-

ით ჩამეძინა. არც ბარგი მქონდა მოსაგროვებელი — რამდენიმე ხელი ტანისამოსი ერთ მომცრო ჩანთაში ჩაუტია და ამ პროცესს სულ რამდენიმე წუთი მოვანდომე.

მეორე დღეს, საღამოს რეისით მიფრინავდი. აეროპორტისკენ ტაქსით მიმავალს ის დღე გამახსენდა, როცა შინიდან გამოვიქეცი და თბილისში წავედი...

შენობაში სანდრო დამხვდა და მაშინვე ჩემკენ გამოემშურა. ჩანთა ჩამომართვა, გამიღიმა...

— შენც ამ რეისით მოდიხარ? — ვკითხე გოცებულმა და შუბლი შევიჭმუხნე, რადგან მისი დანახვა არ მესიამოვნა.

— არა, შენს გასაცილებლად მოვედი; მე რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვფრინდები.

თბილისის რეისზე რეგისტრაცია

გამოაცხადეს. ავფუსფუსდი... რეგისტრატორს ბილეთი და პასპორტი გავუწოდე. სანდროს გამოვემშვიდობე და ჯებირს იქით გადავედი, სადაც გამცილებლებს უკვე აღარ უშვებდნენ. სანდრომ ხელი დამიქინა და დავინახე, გასასვლელისკენ რომ დაიძრა. ჩანთა შესამონშებელი აპარატის ლენტახე დავდე და მეორე მხარეს დაველოდე.


ის იყო, ჩანთის ასაღებად დავინახე, რომ ვილაცამ დამასწრო. მაღალი, ფორმიანი მამაკაცი იყო.

— გამომეყვით, — მიბრძანა და დარბაზის მეორე ბოლოსკენ გაემართა.

გულმა რეჩხი მიყო. მივხვდი, რაღაცაში გავები. უკან მოვიხედე და იქაურობა მოვთვალიერე. სანდრო შენობის გარეთ დავლანდე — თავის სიმახრს ელაპარაკებოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსულან პერიოდი
დასაწყისი № 51, 2010-1, 2011

— ვის ეძებთ?
 ამ კითხვაზე გოგლა სწრაფად შებრუნდა და რეკვიტ დაბუჯებული თითი ზარის ღილაკს ძლივს მოაშორა. მოპირდაპირე ბინის ოდნავ შეღებულ კარში საშუალო ასაკის ქალი იდგა და ლაღიძეს გაკვირვებული ათვალიერებდა.

— ქალბატონ მარიამ იაშვილის ნახვა მინდოდა.

— მარიამის? — კიდევ უფრო გაკვირვებული სახე მიიღო ქალმა.

— დიახ, აუცილებელი საქმე მაქვს.

— მარიამი ორი კვირის წინ დავასაფლავეთ.

— რას მეუბნებით? — გაოგნდა გოგლა. — არადა, საკმაოდ ყოჩაღად გამოიყურებოდა.

— მართალი ხართ, — ამოიოხრა ქალმა, — გაზის გაყონვით რომ არ მონამლულიყო, ჯერ სასიკვდილო არაფერი სჭირდა. კიდევ კარგი, მეზობლებმა გაზის სუნი მალევე ვიგრძენით, თორემ მთელი სახლი ჰაერში აიწყოდა. სულ ვამბობდი, ამ ხნის ადამიანის მარტო დატოვება აღარ შეიძლება-მეთქი, მაგრამ ვინ მოგისმინა?..

— მერე ნათესავები? თუ არავინ ჰყავდა?

— როგორ არა, ძალიან კარგი შვილიშვილი ჰყავს, საწყალი მან დამარხა.

— სიცოცხლეში რატომ არ მიაქცია ყურადღება? — გოგლა თავადაც ვერ ხვდებოდა, გარდაცვლილი მოხუცის ბედმა ასე რატომ დააინტერესა.

— აბა, რა გითხრათ?
 — ხელი დანანებით ჩაიქნია ქალმა და მცირეოდენი პაუზის შემდეგ ხმადაბლა დასძინა: — ისე, თვითონაც მაგარი ოხერი იყო.

— ???

— ცხონებულზე ვამბობ. ერთადერთი შვილი მარტო იმიტომ მოიძულა, ჩემი ნების წინააღმდეგ რატომ ნავიდა და გათხოვდაო... საწყალი გოგო მუცელს გადააჰყვა. მოხუცი ამის შემდეგ შვილიშვილსაც აუხირდა... სიძეზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი...
 — ხომ არ იცით, შემთხვევით, შვილიშვილი სად ცხოვრობს?
 ქალმა მისამართი უთხრა.

მარიამ იაშვილის შვილიშვილი — ირაკლი კორძაძე 20-22 წლის საკმაოდ სიმპათიური ახალგაზრდა აღმოჩნდა, რომელიც გოგლას თავიდან ცოტა ცივად შეხვდა.

— მე გოგლა მქვია, — გაეცნო მას ლაღიძე, — ცოტა ხნის წინ, ბები-ათქვევისგან ერთი სურათი ვიყიდე და...
 — ახლა მისი უკან დაბრუნება გინდათ, ხომ?
 — პირიქით. დანარჩენი ორი სურათის ყიდვაც მინდოდა, მაგრამ როგორც შევიტყვე, ქალბატონი მარიამი გარდაცვლილა...
 — ჰო, — ამოიოხრა ირაკლიმ, — გაზქურაზე ასადუღებლად რძით სავსე ქვაბი შეუდგამს და ეტყობა, მერე ჩაეძინა, ანდა საერთოდ დაავიწყდა... ისე, ცოტა კი მიკვირს, რადგანაც ყურადღებიანი ქალი იყო და არც მასსოვრობას უჩიოდა.

— ძალიან ვნუხვარ, ასე რომ მოხდა.

— გმადლობთ.

— ირაკლი, იქნებ თქვენი დიდი ბაბუის რომელიმე ნამუშევარი კიდევ შემოგრჩათ?

— არა. ბებიჩემს ჩემთვის და მამაჩემისთვის არაფერი დაუტოვებია.

— ცუდი ურთიერთობა გქონდათ?

— წლების მანძილზე საერთოდ არანაირი ურთიერთობა არ გვქონდა.

— რატომ?

— ბებიჩემმა დედაჩემს მამაჩემზე გათხოვება არ აპატიო. მერე დედა ჩემს გაჩენას გადააჰყვა და...
 — მამათქვენი ასე რატომ აითვალწუნა?
 — იმიტომ, რომ დედაჩემივით

კეთილშობილი გვარი არ ჰქონდა და, თან, უბრალო მუშად მუშაობდა. მართალია, მამამ შემდეგ ისწავლა და კარგი სპეციალისტიც გახდა, მაგრამ ბებიჩემს მაინც არაფრის გაგონება არ სურდა. მოკლედ, ქალი კი არა, აულებელი „ცინესიმაგრე“ იყო.

— ბებიათქვენს მემკვიდრეები კიდევ ჰყავს?

— არა.

— გამოდის, რომ მთელი მისი ქონებაც თქვენზე გადმოვა...
 — ვიცი, რაც გაინტერესებთ, მაგრამ დამიჯერეთ, ბებიჩემმა მამამისის ყველა ნამუშევარი სიცოცხლეშივე გაყიდა.

— უკლებლივ ყველა? — დანანებით ჩაეკითხა გოგლა.

— ყველა. ის კი არა და მისი წერილებიც კი ზედ მიაყოლა. მგონი, რომელიღაც ყურნალს მიჰყიდა.

— საერთოდ არაფერი დაგიტოვათ?

— წერილებს მიტოვებდა, მაგრამ არ გამოვართვი. რა თავში ვიხლიდი? სურათები კი... — წამით ჩაფიქრდა ირაკლი და შემდეგ განაგრძო: — ბებიჩემი დარწმუნებული იყო, რომ მათი სახით ფასდაუდებელ შედეგებს ფლობდა.

— იქნებ, ასეც იყო?

— მამაჩემისგან ვიცი, რომ სურათები სპეციალისტებმა ნახეს და, ოსტატური შესრულების მიუხედავად, დიდ მხატვრულ ღირებულებას არც ერთი არ წარმოადგენდა. მაგრამ ჩემი დიდი ბაბუაც თავის წერილებში რატომღაც სულ იმას უსვამდა ხაზს, — ჩემს ჩამოსვლამდე სურათები არ გაყიდოთ, რადგან მათი წყალობით ბედს ვეწვევითო. მოკლედ, ეტყობა, საკუთარ ნიჭს მეტისმეტად აზვიადებდა, მისი ცოლ-შვილი კი მის ნამუშევრებზე უბრალოდ ჩაიციკლა.

— თუ არ ვცდები, ერეკლე იაშვილი გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გარდაიცვალა, ხომ?

— კი, ასე იყო.

— მაგრამ მამის ხომ უკვე შეეძლოთ, ემიგრანტებს სამშობლოში დაბრუნება და რატომ არ დაბრუნდა?

— ვეღარ მოასწრო. თავიდან ნამუშევრები და დღიურების სახით დანერგილი წერილები ერთ თავის ძველ მეგობარს გამოატანა; ცოტა ხანში თვითონაც უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა.

— სიკვდილის წინ არაფერი მოუწერია?

— კი. იყო კიდევ ერთი წერილი, რომელიც სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოგზავნა.

— რას წერდა?



— ზუსტად არ მასხოვს. მგონი, ისევე ბედის სიმუხტლესა და კიდევ იმას ჩიოდა, საქართველოს გასაბჭოება რომ არა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდაო. ბოლოში კი კიდევ ერთხელ ირწმუნებოდა, რომ დიდ სიმდიდრეს შეიძენთ თუ ჩემს სურათებს გონივრულად მოიხმართო. ახლა ნამუშევრები გაყიდულია, სიმდიდრე კი თავადაც ხედავთ, რომ არსაიდან მოსულა.

— რას იზამთ, რთულია ცხოვრება.

— ვისთვის როგორ, — სევდიანად გაეღიმა ირაკლის და შემდეგ დასძინა: — ახლა გამახსენდა, რომ თქვენამდე, ჩემთან, კიდევ ერთი ბიჭი იყო მოსული. მასაც ნამუშევრები აინტერესებდა. თუ გნებავთ, მისი ტელეფონის ნომერს მოგცემთ.

— ჰო, მაგრამ რად მინდა? მე ხომ სურათის გაყიდვას კი არა, ყიდვას ვაპირებდი.

— ჰოდა, შეიძლება, ერთმანეთში მორიგდეთ, რადგან მასაც თქვენსავით იაშვილის ერთი ნამუშევარი ჰქონდა და მეორეს ეძებდა.

გოგლამ ირაკლის ტელეფონი გამოართვა და დაემშვიდობა.

— ვინ არის? — გაისმა კარს იქით ქალის სასიამოვნო ხმა.

— გამომძიებელი ოთარ ორდენიძე ვარ, ქალბატონო მერი, ნახევარი საათის წინ რომ დაგირეკეთ.

კარი გაიღო თუ არა, ორდენიძემ საბუთი მოიმარჯვა.

— მობრძანდით, — საშუალო ასაკის ტანსრული სანდომიანი ქალი ორდენიძეს სასტუმრო ოთახში შეუძღვა: — გაიცანით, ეს ჩემი მეუღლეა — ჰარი.

— ???

— ამერიკელია.

— სასიამოვნოა, — ხელი ჩამოართვა მამაკაცს ორდენიძემ.

— დაბრძანდით, — ქალმა სტუმარს დაჯდომა შესთავაზა.

ჰარიმ კი ბოდში მოიხადა და გამომძიებელი მეუღლესთან მარტო დატოვა.

— მამაჩემის შესახებ რამე ხომ არ შეიტყვეთ? — მაშინვე საქმეზე გადავიდა მერი.

— ვწუხვარ, მაგრამ ჯერჯერობით სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით.

— ასეც ვიცოდი, — ხმაში გაღიზიანება დაეტყო მერის.

— სავარაუდოდ, მამათქვენმა მასხოვრობა დაკარგა და საკუთარ სახლს ამიტომაც ვეღარ მიაგნო.

— რა სისულელეა! — თვალები დააკვესა ქალმა. — ყველაზე ადვილი, რა თქმა უნდა, ამის მოგონებაა. მერე რა, რომ ასაკოვანი იყო. იცით, რა

მასხოვრობა ჰქონდა? ათასობით ნამუშევრის დასახლება და თითქმის ამდენივე ავტორის გვარი იცოდა ზეპირად და ახლა ჩემი დარწმუნება გინდათ, რომ მამაჩემს გონება ისე დაებინდა, საკუთარი გვარ-სახელი ვეღარ გაიხსენა?!

ამ სიტყვების შემდეგ მერი წამით შებრუნდა, რომ გამომძიებლისთვის თვალზე მომდგარი ცრემლი არ დაენახებინა.

„არა მგონია, თვალთმაქცობდეს, — გაიფიქრა ორდენიძემ, — ეტყობა, მამის გაუჩინარებასთან ამ ქალს მართლაც არაფერი აკავშირებს.“

— თქვენი მეუღლე — ჰარი რას საქმიანობს? — გამომძიებელმა სიტუაციის განმუხტვა სცადა.

— ბიზნესმენია.

— გასაგებია.

— იცით, უკვე მერამდენედ ჩამოვიდა იმისთვის, რომ ამერიკაში დაბრუნებაზე დამითანხმოს?

— მერე რატომ არ მიჰყვებით?

— ხუმრობთ? — გაუკვირდა მერის. — სანამ მამაჩემს ან ცოცხალს, ან მკვდარს არ ვიპოვი, აქედან ფეხის მომცვლელი არ ვარ.

— მაგრამ ამას შეიძლება, წლებიც კი დასჭირდეს, — თანაგრძნობით შეხედა მას ორდენიძემ.

— დასჭირდება და დასჭირდეს! — გაჯიუტდა ქალი.

ამის შემდეგ ოთახში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც ისევ მასპინძელმა დაარღვია:

— მითხარით, ბატონო ოთარ, ასე გაუჩინარებულ ადამიანებს საერთოდ თუ პოულობთ?

— რა თქმა უნდა, ოღონდ — ზოგს ცოცხალს, ზოგსაც — მკვდარს. ასე რომ, შანსი ნამდვილად არსებობს.

— პირადად თქვენ თუ გჯერათ, რომ მამაჩემი „გამოჩნდება“?

— სიმართლე გითხრათ, ამის ნაკლებად მჯერა.

— მაშინ საერთოდ ვეღარ ვხედავ, აქ რისთვის მოხვედით.

— გვარი ხიმშიაშვილი თუ გეუბნებათ რამეს?

— ხიმშიაშვილი? — წამით ჩაფიქრდა მერი. — თითქოს, სადღაც მსმენია.

— შემთხვევით ტელევიზორში ხომ არ მოგიკრავთ ყური?

— ტელევიზორში?

— მაგალითად, რომელიმე კრიმინალურ ქრონიკაში.

— არა მგონია, რომ მასზე რაიმე ინფორმაცია ტელევიზორში მომესმინა. მსგავს პროგრამებს იშვიათად ვუყურებ.

— მაშინ იქნებ ის და მამათქვენი

იცნობდნენ ერთმანეთს?
— ხიმშიაშვილს რა ჰქვია?
— არონი.
— დიახ, ახლა გამახსენდა. მამა-



ჩემის კარგი ნაცნობი იყო. მაგრამ კრიმინალური ქრონიკა რატომ ახსენეთ? მასაც ხომ არაფერი დაემართა?

— დიახ, სამწუხაროდ, ისიც დანიკარგა და ისეთ გაუტრკვეველ ვითარებაში, როგორშიც მამათქვენი.

— არ მითხრათ ახლა, იმანაც საკუთარ სახლს ვეღარ მიაგნო.

— ბევრი სწორედ ასე მიიჩნევს.

— თქვენ?

— მე სხვა აზრი მაქვს.

— მადლობა ღმერთს! — კინალამ ტაში შემოკრა ქალმა. — კიდევ კარგი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში ვილაცხას მაინც აქვს განსხვავებული აზრი.

— დიახ, ასე.

— ალბათ, გამომძიებასაც დაინყებთ, ხომ?

— პრინციპში უკვე დაწყებული მაქვს. ოღონდ... არაოფიციალურად.

— ეგ როგორ? — გულწრფელად გაუკვირდა მერი. — განა, ოფიციალური გამოძიების ჩატარება არ შეიძლება?

— სამწუხაროდ, არა. იმიტომ, რომ ფორმალურად ამისთვის საფუძველი არ არსებობს. ამიტომ ძალიან დამავალბებთ, თუ ეს საუბარი ჩვენ შორის დარჩება.

— მესმის თქვენი, — შეფიქრიანდა ქალი, — ყავას ხომ არ მიირთმევთ?

— უარს ნამდვილად არ ვიტყოდი.



— მაშინ სასადილო ოთახში გავ-
აგრძელოთ საუბარი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორდენ-
იქე სასადილო ოთახში, რბილ სავარ-
ძელში იყო მოკალათებული და არო-



მატულ ყავას უკვე ჰპარისთან ერთად
შეეცვლოდა.

— ქალბატონო მერი, — ყავის
მორიგი ყლუპი სიამოვნებით მოსვა
გამომძიებელმა, — თქვენთან ცოტა
უჩვეულო თხოვნა მექნება...

— ბრძანეთ.

— მამათქვენის კოლექციაში ყვე-
ლაზე ღირებულ ნივთს ხომ ვერ
მაჩვენებდით?

ამ სიტყვების გამგონე მერიმ ჰპარის
ისეთი თვალებით გადახედა, თითქოს
მისგან შველას ითხოვსო.

— მესმის, — დანებების ნიშნად
ხელები ასწია გამომძიებელმა, —
უჩვეულო თხოვნაა და თქვენც უარის
თქმის სრული უფლება გაქვთ.

— ეს გამოძიებას სჭირდება?

— კი.

— არც კი ვიცი, როგორ აგიხს-
ნათ... — ხელების მტვრევა დაიწყო
მერიმ. — მამაჩემის კოლექციაში ნებ-
ისმიერი ნივთი თავისებურად ღირე-
ბულია.

— მაშინ, მოდი, საქმე ცოტა გავი-
ადვილოთ და მხოლოდ ნივთების
კონკრეტული ფასიდან ამოვიდეთ.

— კარგი, — მცირეოდენი ყოყმან-
ის შემდეგ დათანხმდა გამომძიებელს
მერი, — ოღონდ სწორად გამიგეთ,
კოლექციაში ზოგიერთ ნივთთან დაკავ-
შირებული ინფორმაცია საიდუმლოა
და მათი არსებობის შესახებ მხოლოდ
ადამიანების ვინაობა წრემ თუ იცის.
ასე რომ...

— გასაგებია. შეგიძლიათ, ამის
თაობაზე არ ინერვიულოთ.

— მაშინ გამომყევით.

ორდენიქე ხელოვნებაში ცუდად

ერკვეოდა და თავიდან მერი ამ
ხარვეზის სულ ოდნავ შეესებას მაინც
შეეცადა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ
აქედან არაფერი გამოვიდოდა და
პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

— აი, მამაჩემის კოლექციის
ყველაზე ძვირად ღირებული
ნივთი, — მან გამომძიებელი
ნიგნისხელა მოოქრულჩარჩოიან
სურათთან მიიყვანა, — ავტორი
დაგისახელოთ?

— აუცილებელი არ არის.
მხოლოდ ის მითხარით, სავარ-
აულოდ რა ღირს.

— გააჩნია, რა ვითარებაში
გაყიდი.

— ეგ როგორ?

— კერძო პირს თუ მიჰყიდი,
უფრო ნაკლებს აიღებ, ხოლო
თუ რომელიმე ცნობილ აუქ-
ციონზე გაიტან... თუმცა ფასი
ორივე შემთხვევაში, მაინც ას-
ტრონომიული იქნება. მით
უფრო, ჩვენი საზომებით.

— უფრო კონკრეტულად?

მასპინძელმა თანხა დაუსახელა,
რამაც გამომძიებელმა ჯერ გაოცე-
ბით წაუსტვინა და მერე ჰკითხა:

— შეიძლება, რომ ხიმშიაშვილს
მამათქვენის კოლექციაში დაცული
უძვირფასესი ნივთების შესახებ სცოდ-
ნოდა?

— არ გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ
კოლექციონერები ერთმანეთს ასეთ
რამეს არ უშალავენ.

— რატომ?

— თუნდაც იმიტომ, რომ პატრო-
ნის გარდა, ასეთ შედეგებს ხანდახან
სხვადასხვა შეავლოს თვალი.

— გასაგებია. თუმცა თქვენი მაინც
მიკვირს.

— რას გულისხმობთ?

— რას და, სახლში ასეთ განძს
ინახავთ და დაცვა კი არ გყავთ.

— მამა მიიჩნევდა, რომ დაცვა
მხოლოდ მძარცველების ყურადღებას
თუ იპყრობს. თანაც, თავად დაცვასაც
ნაკლები თვალყურის დევნება როდი
სჭირდება. ამიტომ ამას ყველაზე სრუ-
ლყოფილი და თანამედროვე საკვებ-
ისა და სიგნალიზაციის დაყენება ამ-
ჯობინა.

— კარგი, — წასასვლელად მო-
ემზადა ორდენიქე, მაგრამ უცბად
რალაც გაახსენდა და ისევ მასპინ-
ძელს მიუბრუნდა: — დარწმუნებული
ხართ, რომ თქვენი ყველაზე ძვირფა-
სი ნახატი ორიგინალია?

— რა ბრძანეთ? — მერიმ გამომძ-
იებელს ისე გაოგნებულმა შეხედა,
თითქოს მის წინ ზრდასრული ად-
ამიანი კი არა, უგუნური ბავშვი მდ-
გარიყო. — მამაჩემი ასლებზე არას-
დროს ხურდავდებოდა.

— ანუ მტკიცედ ხართ დარწმუნებ-
ული, რომ სახლში ორიგინალი გაქვთ?

— რა თქმა უნდა. ეს კომპეტენ-
ტურმა საექსპერტო კომისიამ დაადგ-
ინა. ვერ გამიგია, ამას რატომ მე-
კითხებით?

— სურათს ექსპერტიზა როდის
ჩაუტარდა? — კითხვების დასმას აგრ-
ძელებდა ორდენიქე.

— ზუსტად არ მახსოვს. ალბათ
ასე, 10-12 წლის წინ. შეიძლება, ცოტა
უფრო ადრეც. თუ გინდათ, მამაჩემის
არქივში დოკუმენტებს ვნახავ და
ზუსტად გეტყვით.

— არა, არ არის საჭირო, — შუბ-
ლი შეიკრა გამომძიებელმა, — ექსპერ-
ტიზის ჩატარების გარეშე შესაძლე-
ბელია ორიგინალის ნაყალბევისგან
გარჩევა?

— თუ ასლი ძალიან მაღალპრო-
ფესიულ დონეზე არ არის შესრულე-
ბული, სპეციალისტი ამას მაშინვე,
შეუიარაღებელი თვალითაც კი შე-
ძლებს.

— იცნობთ ასეთ სპეციალისტს?

— რა თქმა უნდა, და, თანაც,
არაერთს. მაგრამ ამიხსენით, რას ნი-
შნავს ეს ყველაფერი? მოიცა-მოიცა...

— გაფითრდა უცერად მერი, — მგო-
ნი, მივხვდი. იმის თქმა ხომ არ გინ-
დათ, რომ ნახატი შეცვლილია?

— მე მხოლოდ ვვარაუდობ. ვნახ-
ოთ, ექსპერტი რას იტყვის...

ირაკლი კორძაძის მიერ მიცემულ
მისამართზე მისული გოგლა კინალამ
შუბლით შეასკდა სადარბაზოდან გამ-
ოვარდნილ ტყავის ქურთუკში გამოწ-
ყობილ ყმანვილს, რომელსაც მოტო-
ციკლისტის ჩაფხუტი სახის დიდ ნან-
ილს უფარავდა. გოგლამ განზე გად-
გომა ძლივს მოასწრო, ყმანვილმა კი
მას ერთი დაცინვით შეავლო თვალი
და წამში შორიანლოს მდგარ ლამაზ
სპორტულ მოტოციკლთან გაჩნდა,
სწრაფად მოახტა და ადგილს ღმუ-
ილით მოსწყვიტა. გოგლას ამ ყმანვი-
ლის უნებურად შეშურდა, რადგან თა-
ვად მის ასაკში ასეთ მოტოციკლზე
ოცნებაც კი არ შეეძლო.

ლალიძეს კარი სპორტულ სამოსში
გამოწყობილმა ახალგაზრდამ გაუღო
და შინ გულლიად შეიპატიჟა.

— დაბრძანდით, — მან სავარ-
ძელზე ანიშნა გოგლას, — მე ვაჟა
მქვია. თქვენ?

— გოგლა.

— ყურადღებით გისმენთ, — თა-
ვდაც სავარძელში მოკალათდა მასპინ-
ძელი.

— როგორც ტელეფონში გითხ-
არით, თქვენთან მორიგება ერეკლე
იაშვილის ნამუშევრებთან დაკავშირე-
ბით მინდოდა.



— მისი რამდენი სურათი გაქვთ?
 — ერთი.
 — რამდენად ყიდილი?
 — ეტყობა, სწორად ვერ გამიგეთ. პირიქით, კიდევ ერთი ნახატის საყიდლად ვარ თქვენთან მოსული.
 — ესე იგი, თქვენც ნაიკითხეთ, ხომ ის სტატია?
 — რა სტატია?
 — რაც იაშვილის წერილები გამოქვეყნდა, ყველამ მის ნამუშევრებზე დაიწყო ნადირობა. არადა, მანამდე მასზე მგონი, წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა.
 — სად გამოქვეყნდა? მართლა არაფერი ვიცი, — მხრები გაოცებით აჩეჩა გოგლამ.
 — ვაჟა სავარძლიდან წამოდგა, წიგნების თაროდან ილუსტრირებული ჟურნალი აიღო, გადაშალა და გოგლას მიაწოდა: — არ მითხრათ ახლა, რომ ამ ყველაფერს პირველად ხედავთ.
 — ლალიძემ სტრიქონებს სწრაფად გადაურბინა.
 — რა არის ეს?
 — მხატვარ იაშვილის მიერ საკუთარი ცოლისადმი მიწერილი წერილები.
 — მართლა არ წაგიკითხავთ?
 — არა.
 — მათში მხატვარი წერს, რომ მისი ნამუშევრები დიდი ფული ღირს.
 — აი, თურმე, რაზეა ლაპარაკი, — გაელიმა გოგლას, — და წამოეგეთ ამ ანკესს?
 — თქვენ კი არა? — გაელიმა ვაჟას. — მაშ, რატომ დასდევთ მის სურათებს?
 — ვინ გითხრათ, რომ დავდეგ?
 — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს...
 — კარგი, გეტყვით. უბრალოდ, გამოჩნდა სოლიდური კლიენტი, რომელიც იაშვილის სურათში კარგი ფულის გადახდას მპირდება. ოღონდ იმ პირობით, თუ ამ მხატვრის კიდევ ერთ ან სულაც რამდენიმე ნამუშევარს მოვუძებნი.
 — რაც იმას ადასტურებს, რომ იაშვილის ნამუშევრებზე მოთხოვნა იზრდება, — საკუთარ ნათქვამს საბოლოო ბეჭედი დაუსვა გახალისებულმა ვაჟამ, — სხვათა შორის, უკვე მეც დამირეკეს, მაგრამ ვერ შევთანხმდი.
 — რატომ?
 — იმიტომ, რომ სურათის რეალური ფასი არ შემოუთავაზებიათ.
 — და რამდენია, ეს რეალური ფასი?
 — სულ მცირე — 5.000.
 — დოლარი?
 — აბა, რა!
 — ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ

ამ ნამუშევარში ვინმე ამხელა თანხას გადაიხდის?
 — დარწმუნებული ვარ.
 — ღმერთმა ხელი მოგიმართო.
 — დიდი მაღლობა. ისე, თქვენც გირჩევთ, რომ არ შეცდეთ და ის იაფად არავის დაუთმოთ. ჰო, მართლა, იმ კლიენტსაც გადაეცით, რომ 5.000 დოლარზე ნაკლებად ჩემგან ვერაფერს მიიღებს...
 გოგლას გაცილების შემდეგ ვაჟა ისევ ნამუშევარს მიუბრუნდა და კმაყოფილმა შეათვალიერა: „გამიმართლა. იაშვილებზე მოთხოვნა დღითი დღე იზრდება. თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, ფასს ცოტა კიდევ მოვუმატო და აღებული ფულით მართლა მაგარი მანქანა ვიყიდო“. ამ დროს კარზე ისევ ზარი დარეკეს. „ასეც ვიცოდი, — გაელიმა ახალგაზრდას, — კიდევ

ერთი კლიენტი მომადგა“.
 — ვინ არის?
 — სურათის თაობაზე განუხებთ. თქვენი განცხადება გაზეთში წავეციხეთ.
 ვაჟამ საჭვრეტელში გაიხედა და მაღალი, გამბდარი მამაკაცი დაინახა, რომელსაც ხელში ახალი ვერცხლისფერი კეისი ეჭირა. „ესეც ასე! მგონი, ნამდვილი აუქციონიც დაიწყო“, — გაიფიქრა მან და კარი სწრაფად გააღო.
 — ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ნამუშევარი ძალიან ძვირი ღირს, — წინასწარვე გააფრთხილა ვაჟამ უცნობი.
 — ვიცი, — ცივად მოუჭრა მან და, თან, ისე შეხედა, რომ ვაჟას ტანში გასცრა...
გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ბომონდის“ იანვრის ნომერი
 რუსუდან ლებსკუინაძის დისკოთან ერთად

შეაბროვე კოლექსია

CD №6
 „საჩუქხაღი“

პრეზენტი

პროექტის სპონსორია

წერიელი

პროექტის სპონსორია

შეგიძლიათ შეიძინოთ „ბიზლუსის“ ნომრის მაღაზრითა ანლაინ.

CD №1 ჯაფარი „პინ“
 CD №2 ჯაფარი „ქართული ხეაბი“
 CD №3 ჯაფარი „მისწარი ბრი“
 CD №4 მამუკა ჩაჩუკიანი
 CD №5 პაპუაზ ბონაშვილი

დასაწყისი

— ადე, მივდივართ! — სახედა-ჭორფლილი ეკა თავს წამოადგა ქვიშიან ნაპირზე განოლილ ნუკის, რომელიც მზეს ნეტარებით, თვალდახუჭული ეფიცებოდა.

გოგონამ თვალები გაახილა და ბიძაშვილს უკმაყოფილოდ ახედა.

— სად მივდივართ?

— სად და შესტაფონში! სად წავალთ... მცხეთაში ვბრუნდებით! — გაღიზიანებული ჩანდა ეკა.

— მაგრამ ჯერ 3 დღე დაგვრჩა კიდევ, რატომ არ ვრჩებით? ძლივს გამოვიდა ამინდი...

— იმიტომ, რომ მაქსი ჩამოდის, ამაღამ აეროპორტში უნდა დაგვხედეთ, გასაგებია?

— ოოო! ავი თვის ბოლოს ჩამოვდივარო? — ნუკი წამოჯდა, ბარძაყებზე შემშრალი სილა ჩამოიფერთხა და სევდიანად გახედა ზღვის მონანავე ტალღებს.

— აუ, ნუ შემჭამე, რა! ადე, რომ გეუბნები! დროზე ჩაალაგე შენი ბარგი და წავედი! მამა გველოდება! — დოინჯშემოყრილმა გოგონამ თვალეები დააკვესა და ჩქარი ნაბიჯებით გაერიდა.

როგორ ესიკვდილება ახლა ნუკის მცხეთაში დაბრუნება. აი, რატომაა ცუდი, სხვასთან რომ ცხოვრობ, სხვაზე რომ ხარ დამოკიდებული, სხვის კმაყოფაზე რომ ხარ. ნუთუ არასდროს ეღირსება თავისი? არა, არასდროს! რითი? ვისით? არ მუშაობს, არც პერსპექტივაში „ექვანება“ რამე სასიკეთო. მოუწევს ალბათ მთელი ცხოვრება თამარასა და ეკას მოახლეობა. ბოლო სიტყვის გაფიქრებაზე გაეღიმა. საიდან მოაგონდა „მოახლე?“ ვინღა იყენებს ახლა ამ სიტყვას? ეჰ, რა დროს ეგ არის! წავიდე, დროზე ჩაალაგოს ბარგი, სანამ კიდევ დასცხო პატარა ქალბატონმა. ნეტავ, რა უნდა, რას ერჩის ეს გოგო? რა დაუშავებია მისთვის? კარგის მეტი, არაფერი გაუკეთებია ბიძაშვილისთვის. ის კი... როგორი უმაღურიც იყო, ისეთივე დარჩა. ხანდახან ეჭვი გაკენწლავს ხოლმე, ჩემი ხომ არ შურსო, თუმცა წამსვე უკუაგდებს ამ ეჭვს. განა რა სჭირს ეკას მისი შესაშური? ნუკიზე ახალგაზრდაა, შეყვარებული ჰყავს (თანაც უცხოელი), სახლი აქვს, კარი, მანქანა და უზრუნველი ცხოვრება. რა უნდა შემურდეს? ის, რომ გარეგნულად ნუკი სჯობია? მერე რა? რა თავში იხლის გარეგნობას, თუკი არაფერში ადგება? ერთი კაცი ვერ გამოინახა მისთვის, ოდნავ მაინც რომ მოსწონებოდა და ცოლად გაჰყოლოდა. მშობლებში ხომ არ გაუმართლა

ნაადრევი ენქელაზი

სკეზა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com



და არ გაუმართლა! ახლა რომ მამა ცოცხალი ჰყავდეს... მერედა, დედა? დედა ხომ არის ცოცხალი, ჯანმრთელი და უვნებელი? ჰო, არის, მაგრამ რა ხეირი? არც კი იცნობს, თვალთ არ უნახავს. ზუსტად ისიც არ იცის, ბათუმში ცხოვრობს თუ ქუთაისში. ან როგორია შესახედავად — ლამაზი, მახინჯი... როგორ იმოქმედა მასზე წლებმა, ტკბილ-მწარე ცხოვრებამ?... მეზობლები ამბობენ, ძალიან ლამაზი ქალი იყო. შექსპირის ჯულიეტასავით ლამაზი იყო ჩვენი ჯულიო, წამოსცდა ერთხელ სიმთვრალეში ხუტა ბიძიას. არადა, სხვა დროს ჯულიეტაზე სახლში არასდროს ლაპარაკობდნენ. გურული ქალის სიფიცით განსაკუთრებულად ყოფილა „დაჯილდოებული“ და სიცოცხლე გაუმწარებია ნუკის მამისთვის, გამუდმებით ეჭვიანობდა და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა თურმე ქმარს. ერთხელაც, დაკრა ფეხი და გამორდა... რა არ იღონა დათიკომ, მაგრამ ვერაფრით შეირიგა ცოლი. ბოლოს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჯული ხელმეორედ გათხოვდა, თანაც სულ რამდენიმე თვეში... აი, აქ დაიკარგა მისი კვალი. არავინ იცის, სინამდვილეში რა მოხდა. იქამდე ჰყავდა ჯულის შეგულებული ახალი საქმრო და ხელოვნურად დაბავდა ოჯახში სიტუაციას, თუ დათიკოს ჯიბრზე სასწრაფოდ იპოვა სხვა და მისთხოვდა. აღარ სურს ნუკის ახლა ამის გახსენება. ისედაც დიდი ტკივილი დაუტოვა წარსულმა... მაგრამ თუ ოდესმე შეხვდება დედას, არასდროს აპატიებს მის მიტოვებას. არა მხოლოდ მიტოვებას... მერე რა, ბევრ დედას დაუტოვებია შვილი, მაგრამ არ დაუკარგავს. ხომ შეიძლებოდა,

ერთხელ მაინც დაინტერესებულიყო ქალიშვილის ბედით? ერთხელ მაინც მოეკითხა? მთლად პატარა რომ მიაგდო, მთლად ჩვილი და გაუჩინარდა? ორი წლის ყოფილა ნუკი მამინ... არც კი... ეს კიდევ არაფერი... ერთი წელიც არ იყო გასული დედ-მამის დაშორებიდან, რომ მამა გარდაიცვალა. ცხელ გულზე სმა დაიწყო და ერთხელაც თავისი მანქანით უგონოდ მთვრალი ბოძს შეასკდა... „ფორდი“ ისე იყო დაჭეჭყილი, ნაწილ-ნაწილ დაჭრეს და გარდაცვლილი ისე გადმოასვენეს მანქანიდან. ეს ყველაფერი გვიან გაიგო ნუკიმ, ნუშისთვალემა ლამაზმა გოგონამ, მაშინ, როცა წამოიზარდა და „გონში ჩავარდა“. დაობლებულის მოვლა-პატრონობა კი მამის ძმამ, ხუტამ იკისრა. მაშინ ბიძამისს ოჯახი ახალი შექმნილი ჰქონდა და ჯერ კიდევ პატარძალმა თამარმა სიხარულით მიიღო „ახალგამომცხვარი“ სხვისი შვილი, რადგან იმხანად საკუთარი არ ჰყავდა. 3 წლის შემდეგ ეკა გაჩნდა და ბავშვები ერთად დაიზარდნენ. წესით, გოგონებს დებივით უნდა ჰყვარებოდა ერთმანეთი, მაგრამ ეკა ისეთი ჭირვეული და თანება იზრდებოდა, სისხლს უშრობდა ბიძაშვილს, პირველობას არა და არ უთმობდა, ყველაფერში ჯიბრში უდგებოდა. სამაგიეროდ, ხუტა არ არჩევდა ნუკის ღვიძლი ქალიშვილისგან, არაფერს იმურებდა იმისთვის, რომ ძმისშვილს ობლობა არ ეგრძნო, განსაკუთრებით მას შემდეგ, სინდისის ქენჯნამ რომ შეეწუხა. იკითხავთ ალბათ, რა სინდისის ქენჯნამ, რა ჩაიდინა ამისთანაო... რა და... თხუთმეტიოდე წლის წინ ვალეები დაედო, რის გამოც ძმის სახლი გაყიდა და 13 წლის



ნუკი უსახლკაროდ დატოვა. დღემდე ჰპირდება ბიძა, მალე ისევ დავდგები ფეხზე და მცხეთაში კი არა, თბილისში გიყიდი ბინასო, მაგრამ... ატყობს გოგონა, რომ ბიძის დანაპირებს ასრულება არ უწერია. ესუმრები შენ დღეს თბილისში ბინის ყიდვას? რომელი მილიონერი ხუტაა? მართალია, არ უჭირს, მშვენივრად მიჰყავს თავისი ბიზნესი, მაგრამ ეკას გადამკიდე რა ფულის დაგროვებას მოახერხებს? არაფერს იკლებს, თუკი რამე მოესურვება — წელიწადში ორჯერ საზღვარგარეთ დადის დასასვენებლად. ზაფხულში თურქეთში, ზამთარში ეგვიპტეში — დედასთან ერთად. ნუკი კი ამ დროს არავის ასხენდება. ის შინ უნდა დარჩეს და ოჯახს მიხედოს.

ამ უკანასკნელის ერთადერთი შვება და სიხარული ზაფხულობით ქობულეთში დასვენებაა, აგვისტოში, როცა თურქეთში „სტარტაღებული“ დედა-შვილი „ანტალიურ არდადეგებს“ ქობულეთში „აფინალებს“.

აი, წელსაც ჩამოვიდნენ ოთხივე. როგორ უხაროდა ნუკის, სანამ ზღვის ჰაერს შეისუნთქავდა, სანამ სანაპიროზე გავიდოდა. ზღვის ხმაურმა ერთიანად ალაგზნო, ისეთივე სასიამოვნო უჩვეულობით, როგორც პირველ პაემანზე მიმავალი ქალი. როგორც ყოველთვის, კიდევ ერთხელ მარტო აღმოჩნდა ამ უკიდურეს საოცრებასთან — ნაკვალევდატოვებულ ქვიშის „ველზე“ ამაყად იღერებდა ტალღებს ლურჯი, მოლივლივე ზღვა. სიყვითლემპარულ ჰორიზონტზე ნახევრად ჩასვენებულიყო მთვლემარე წითელი მზე, სხივების ლაპლაპა ზოლი ტალღებზე დაესვენებინა და ზანტად ათვალიერებდა დამსვენებლებს.

ეს „იმპერია“ იყო, ლურჯი „იმპერია“... დაუღალავად შეეძლო, ეყურებინა ზღვისთვის. ის უსასრულო იყო, სულშობებური არსება, ბრძენი, მჭევრმეტყველი, გოლიათი და გამოუცნობი. ხან მძინარე ჩვილივით მშვიდი და უშფოთველი, ხანაც დაჭრილი მხეცივით საშიში, მრისხანე და ბობოქარი. განსაკუთრებით საღამოს იყო საამო საცქერი — დღის განმავლობაში ნაგორაკები დაღლილი ტალღები, თვლემას რომ იწყებდნენ, ტყლაშუნით, მარილის სურნელით გაჟღერებულნი, ქაფმორეულნი უსუსურად ეხეთქებოდნენ ქვიშის ნაპირს.

ზღვა მუდამ იპყრობდა ნუკის აზრებსა და

გრძნობებს, ბავშვობიდან ზღვის თანამოაზრე გახდა. ყველაფერს აქვს მეცნიერული ახსნა. ზოგი თავშესაფარს პოეზიაში პოუვს, ზოგიც ზღვასთან „მეგობრობს“, ესმის მისი ენა, ზოგი კი სხვა ქვეყანაში გარბის მყუდრო სავანის საძებნელად... ნუკი კი... ნუკიმ თავისი ცხოვრება წყლის სტიქიას დაუკავშირა. ეს ადგილი თითქოს სამყაროს დასასრულია, რომლის იქით აღარაფერი არსებობს. აქ კარგად გრძნობს თავს. ზღვა ერთადერთია, რომელსაც შეუძლია, მესაიდუმლოს მაგივრობა გაუწიოს. ამასაც თავისებური ახსნა აქვს — განა იგი მარადიული ცხოვრების განსახიერება არ არის? მოკვდავნი მიდიან და მოდიან, ზღვა კი რჩება. ვინ იცის, რამდენის ბედნიერება დამარხულა მის ფსკერზე, ან რამდენი უბედური ადამიანის სული მიუზარებია აზვირთებულ ტალღებს ნებით თუ ძალით.

ეჰ... რა ეშველება, როგორი მეოცნებეა... ეს, ალბათ ყველა მარტოსული ადამიანის გამოჩენილი თვისებაა... 29 წლის ასაკში ხომ არც ისე ცოტა იცი ცხოვრების შესახებ, თუმცა არც ისე ბევრიც, მაგრამ გამოცდილება გიგროვდება. ნუკის ყველაფერის იმედი აქვს დაკარგული. მისი აზრით, ეს ის ასაკია, როცა უკვე ახალს აღარაფერს მოელი არც მალა-ლი მიზნებისგან, არც მომავლისგან და სიმშვიდეს მხოლოდ ლამაზ პეიზაჟებში პოუვს. პეიზაჟი არასდროს გიმტყუნებს, არასდროს გაგიცრუებს იმედს... ერთადერთი, დიდ სიყვარულს შეუძლია, ეს ყველაფერი შეცვალოს, სხვას არაფერს... მაგრამ სად არის? არც არსად. როცა შინ არის, ყოველთვის მარტო რჩება სიჩუმესთან და სევდა იპყრობს, ავბედიით მარტოობა, რომელიც თითქოს ყელში უჭერს და ახრჩობს, იმის ნაცვლად, რომ თავისუფლად სუნთქვის საშუალება მისცეს. აი, ზღვასთან კი არასდროს

არის მოწყენილი, ზღვასთან ერთობა, უკიდურესად თავისუფლად გრძნობს თავს. ამ დროს მისი ფიქრიც ზღვასავით არის. ტალღებივით იწყებს აზვირთებას და ხმაურით აწყდება გონების კალაპოტს. ამ დროს ის მარტოა, საკუთარ მთელს გამოყოფილი. ან პირიქით — მარტო, მაგრამ სხვებში გაფანტული, შერეული, გახსნილი.

როცა ზღვაზე ჩამოდის, ერთი სურვილი აქვს მხოლოდ — შემოიტმასნოს ზღვის მზე სხეულზე, შეისხუროს მისი სხივები მარილიანი ტალღებივით და გაირუჯოს. უხდება ნამზეური, სულ სხვა ქალი დგება, როცა მისი კანი ფერს იმუქებს. თვალები უფრო ცვეცხოვანი უხდება, ავაზასავით გამჭვირვალე და მოელვარე. ასეთ ფორმაში მამაკაცების ყურადღებასაც მეტად იქცევს, უფრო „ინტერესნად“ გამოიყურება, როგორც ხუტა ბიძია ეტყვის ხოლმე. ისედაც არ გამოიყურება „ცუდად“. მართალია, ანგელოზი არ არის, მაგრამ არც უმეგობრაა. აი, ცოტა მეტი სიმაღლე რომ მიეცა მისთვის განგებას, მთლად დახატავდა.

„რა სულელი ვარ. რა დროს სიმაღლეზე ფიქრია. ხომ ვიცი, რომ არც ყველაზე ლამაზი ვარ და არც ყველაზე ჭკვიანი. ერთი სიბერისკენ მიმავალი ქალი ვარ, მარტოსედა და მარტოსული, რომელსაც ჯერ კიდევ შემომრჩა იმედის მცირე ნაპერწკალი, თუმცა „მაგრენის ტყავივით“ ისიც ყოველდღე უფრო და უფრო იღევა“.

ნუკიმ კიდევ ერთხელ გახედა ჰორიზონტზე ნახევრად ჩაგორებულ წითელ მზეს, თვალი ჩაუკრა და ფეხშიშველმა, თითის წვერებზე გაიარა მზისფერ სილაზე. ისე ჰაეროვნად დგამდა თითოეულ ნაბიჯს, გეგონებოდათ, ფეხის გულებით მიწას კოცინისო, ვნებინადა, მაცდურად...

ნეტავ, ის კაცი სად დაიკარგა? დღეს არ გამოჩენილა. არადა, ორი დღეა, გაბურღა მზერით. მაინცდამაინც დღეს არ მოვიდა. საკმაოდ სიმპათიური ტიპი იყო. მასზე გაცილებით უფროსი, მაგრამ მაინც... რა მოხდა მერე? ასაკოვანი მამაკაცები ბევრად საიმედონი არიან, ვიდრე — ახალგაზრდები. საიდან იცის ამდენი? ვინმემ უთხრა, სადმე ამოიკითხა თუ თავად მიხვდა? აბა, საიდან, როცა ცხოვრებაში შეყვარებულიც არ ყოფილა? მაგრამ ქმარი ხომ ჰყავდა? ქმარი? ის რა ქმარი იყო, ორი კვირაც არ უცხოვრია მის გვერდით!





სრულიად უცხო ლანჩირაკმა მოიტაცა ათი წლის წინ და რადგან არცთუ ცუდ ბიჭად მოეჩვენა, გადანყვიტა, ბედს შერიგებოდა, თუმცა — სულ რამდენიმე დღით. მეთორმეტე დღეს, როცა ზვიადმა მის თვალწინ ვენაში რალაც საზიზღრობა შეუშვა და ფერდაკარგული საწოლზე მიესვენა, თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა მისი სახლიდან. გამოიქცა და უკან აღარ მიუხედავს. ნარკომანს ცხოვრებას ვერ დაუკავშირებდა. ერჩინა, ისევე ბიძასთან ეცხოვრა მოსამსახურესავით, ვიდრე კაიფში გატრუნული მუღლლის მოხარშული მზერისთვის ეყურებინა. ეგ იყო და ეგ... არა, იყო კიდევ ერთი... ოღონდ გათხოვებამდე 3 წლით ადრე... ზურა! 26 წლის ზურიკო, მათ მეზობლად რომ ცხოვრობდა, როგორ მოსწონდა... შეფარვით ეტრფოდა კიდევ, მაგრამ ვის გაუშხელდა! სხვა თუ არაფერი, ოჯახის მეგობარი იყო, მერე კიდევ მეზობელი, თანაც — მასზე ბევრად უფროსი. ნუკის პატარა ბავშვივით ექცეოდა, თვალს ჩაუკრავდა და კიკინაზე მსუბუქად დაქაჩავდა შეხვედრისას. ეს „პატარა ბავშვი“ კი მასზე ოცნების კოშკებს აგებდა. მერე ზურიკოს დედ-მამამ თბილისში შეიძინა ბინა და იქ გადავიდნენ საცხოვრებლად, მცხეთის კარ-მიდამო კი დროებით სარგებლობაში სოხუმიდან დევნილ მამიდას დაუთმეს. მას შემდეგ ზურიკო თვალით არ უნახავს, თუმცა ყოველთვის იგებდა მასზე ახალ-ახალ ამბებს. კარიერა ნელ-ნელა აიწყო, საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, თან სწავლაც გააგრძელა იქ, ბიზნესიც წამოიწყო, ფული დააგროვა და ამას წინათ დაბრუნებულა თბილისში. ცოლი არ მოუყვანია, ბიცოლა ჰყვებოდა, სამაგიეროდ, ბინა უყიდა და ცალკე გადასულა საცხოვრებლადო.

ეჰ... ზურა, ზურა... მას ალბათ აღარც ახსოვს ნუკი, კიკინებიანი შავ-

ტუსა გოგონა, შეფარვით რომ ეპრანჭებოდა. ახლა ვეღარ გაეპრანჭება, იმიტომ, რომ უკვე მკვეთრად არის შესამჩნევი ასაკობრივი სხვაობა. ის ალბათ ორმოცის იქნება. ნუკი კი... თანაც, ნაქმარევი ჰქვია, ობოლია... რატომ უნდა მოიხიბლოს მისით? გარდა ამისა, ზურა ნუკისაც ისეთი თვალთ უყურებს, როგორითაც ევას, დებივით უყვარს ორივე... „ვითომ?“ — ჩამავალ მზეს თვალმოჭუტულმა მოხედა. „ალბათ“, — სავარაუდო პასუხი გასცა თავის ფიქრს და თბილი ქვიშიდან ასფალტზე ააბიჯა.

ის უცნობიც ასაკოვანი იყო, გუშინწინ რომ შეამჩნია პლაჭზე. ჯერ შორიდან ზვერავედა ნუკის, მერე ახლოს მიუჩოჩდა. გოგონა თავდაპირველად ვითომ ვერც ამჩნევდა, შეუმჩნევლად ილიმოდა თავისთვის, მერე თვითონაც შეხედა, რადგან ვერ გაუძლო მის დაჟინებით მოშტერებულ თვალებს. მისი მზერა მკერდს უწვავდა (როგორც მზის აბეზარი სხივი), ლამაზ, ნახევრად გარუჯულ და ნახევრად გაურუჯავ მკერდს (ეს ნაწილი საცურაო კოსტიუმის აგურისფერ ბიუსტჰალტერს „დაეჩაგრა“, რადგან ისე მჭიდროდ შემოსალტოდა ნუკის სახსე მკერდს, არასდროს არ უშვებდა მზეს მაცდურად გადახსნილი უბის სიღრმეში). მეორე დღეს გამოელაპარაკა კიდევ და შეჰპირდა, ხვალაც მოვალ და გნახავო. მოვიდა, რო? არა, არ მოვიდა. მოატყუა. მოატყუა და კარგად იყოს, მეტი დარდი არ ჰქონოდა ნუკის. მაინც ბებერი იყო მისთვის, თანაც გაუბედავი. სახელიც კი არ ჰკითხა, არც მისამართი გამოართვა, არც ტელეფონის ნომერი... — ამ ფიქრებით ბინის კარი შეაღო.

— დროზე, ნუკი, გვაგვიანდება, ღამით მოგვიწვია მგზავრობა, — ფაციფუცოვდა ბიცოლა, ტანსაცმელს ალაგებდა უზარმაზარ ჩანთებში.

— ათ წუთში მზად ვიქნები, ბევრი არაფერი მაქვს, — ჩაიბუზღუნა და მეორე ოთახში გავიდა.

— რა კარგად მოჰკიდებია მზე?! „შაკალაკა!“ — ხუტამ თვალი გააყოლა ძმისშვილს.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! — ტუჩ-წარბის ამრეხით იწუპავა ევამ მამის ნათქვამზე.

— რა „ოჰ, ოჰ, ოჰ“, შენაირად კი არ წითლდება, შებრანულ კიბორჩხალას რომ დაემსგავსე! შეხედე, „მულატკასავითაა“. შეგმურდეს, ხო! — არ დანდო მამამ დაბოლმილი ქალიშვილი. — ერთი მაქსი თუ გიშველის შენ, თორემ სხვა ვერავინ.

— მაქსს რალას ერჩი?

— არაფერს, ვენაცავლე სულში,

შენ რომ აგირჩია, თორემ რა გაგათხოვებდა! როგორც ჩანს, ჰოლანდიელებს მოსწონთ წითური და პუტკუნა გოგოები.

— უფ! თორემ ნუკი რომ გამხდარია და შავგვრემანი, იმიტომაც არ გიზის სახლში! — პასუხის მოტეხნა არ გასჭირვებია ევას.

— მორჩით ჩხუბს! — აყვირდა თამარა. — მაგას სჯობია, მომეხმაროთ, დაგვაგვიანდა! შენ კიდევ ნუ შეჭამე ეგ ბავშვი ცოცხლად! შეეშვი, რა, — გაცხარებით გასძახა ქმარს.

...ოციოდ წუთში ხუტას ვერცხლისფერი „მერსედესი“ (არც ისე ახალი და არც ისე ძველი მოდელის) უკვე გზატკეცილზე მიქროდა.

გვიან ჩავიდნენ მცხეთაში და ზეზეულად ივანშემს, რომ აეროპორტში არ დაჰგვიანებოდათ.

— შენ რალას უცდი? — წარბები კუმტად შეყარა ევამ და ნუკის მიაჩერდა.

— რას უნდა ვუცდიდე?

— არ მოდიხარ?

— მე რა საჭირო ვარ? — მხრები აიჩჩია გოგონამ.

— უნდა წამოხვიდე! სირცხვილია, რას იფიქრებს მაქსი.

— რა უნდა იფიქროს? მიცნობს თუ რა? მე სახლს დავალაგებ, რალაცას მოვამზადებ, სუფრას გავეშლი.

— მართალია, შეილო, დარჩეს ნუკი, გამოკვეტილ სახლში ხომ არ მოვიყვანთ სტუმარს, — თამარამ მაზლისშვილის მხარე დაიჭირა.

— რა გამზადება უნდა, ასე გვიან ის არაფერს შეჭამს.

— ჭამაზე არ არის, დედი, ტკბილი სუფრა მაინც ხომ უნდა დაახვედრო ადამიანს. პირველად ჩამოდის საქართველოში. ხომ არ უნდა ვაფიქრებინოთ, ესენი ვინ ყოფილანო? — არწმუნებდა დედა თავნება შვილს.

— ჰო, კარგი, კარგი, როგორც გინდათ! — ტუჩი აიბუზა ევამ და ოთახიდან შურდულივით გავარდა.

ნუკის გაუხარდა, შინ რომ დატოვეს. დაღლილობა სულ გადავიწყდა, ისეთი ხალისით დატრიალდა. ერთ საათში დაანკრილა სახლი, სუფრა გაანყო, სანთლებიც შემოალაგა მაგიდაზე და ბოლოს მისავათებული სავარძელზე მიწვა. მალევე ჩაეძინა, თან ღრმად. ის კი არა, სიზმარიც კი ნახა. ზურა ესიზმრა... ისეთივე ახალგაზრდა და მომხიბვლელი, როგორიც ბოლოს ნახა, დანისლული თვალებით თითქოს სიღრმიდან რომ გამოჰყურებდა თვალებრივალა კიკინებიანი ნუკის. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს აი,

უყუჩაბი!
www.palitra.ge
PALITRA
TV-RADIO
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



ახლა, ამწუთას პირი უნდა გააღოს და სიყვარული აუხსნასო. „მეტაფიზიკური გოგონა“, — უჩვეულოდ ბოხი ხმით დაილაპარაკა ზურამ. ნუკი ამ ხმამ და ამ სიტყვებმა სიზმარშიც კი ისე შეაკრთო, რომ იმნამსვე გამოვლვიდა და შეშინებულმა მიმოიხედა. თავდაპირველად აზრზე ვერ მოვიდა, სად იმყოფებოდა, მერე ნელ-ნელა მოეგო გონს.

„რას ნიშნავდა ეს სიზმარი? ვითომ ზურა ვნახე, ბოლოს კი ზურა იმ უცნობ კაცად გადაიქცა, პლაჟზე რომ გავიცანი. ზუსტად მისი ხმით ალაპარაკდა. რა უცნაური იყო ეს ყველაფერი“, — გაიფიქრა და სწრაფად წამოხტა საეარძლიდან, რადგან სწორედ ამ დროს ბიძამისის „მერსედესი“ სიგნალით მოადგა ჭიშკარს.

ზურამ სიგარეტი ქვიშაში მოისროლა და სანაპიროს ზოლს გახედა. მოულოდნელად, საღამოს ბინდებუნდში, სილუეტი დალანდა. კარგად დააკვირდა, ქალი იყო, ფეხშიშველი, თეთრი კაბა ეცვა, თოლიას ჰგავდა. მამაკაცის ყურადღება მისი სხეულის ნატიფმა მოძრაობამ მიიქცია. გოგონამ ცალი ხელით კაბის კალთა აინია და მარჯვენა ფეხით წყალი მოსინჯა, თითქოს მის ტემპერატურას ამოწმებო. ნამიცი და, კაბა ტანზე გადავლვარა, ნარნარით დაფინა გაგრძელებულ ქვიშაზე. ასხლეტილი ტანი ჰქონდა, ლამაზად მზემოკიდებული. ზურამ ირგვლივ მიმოიხედა. ნაპირზე ბევრნი იყვნენ, მაგრამ მას ყველასგან გამოარჩევდა. ის არავის ჰგავდა, ამავე დროულად, თითქოს აგონებდა კიდევ ვიღაცას, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, ვის. სწორედ ამისთანაზე იტყვიან, ბუნების საოცარი ქმნილებათაო. კმაყოფილი ღიმილი გადაეფინა სახეზე. განა ყველა ქალს სჩვევია ასე გარინდვა ზღვის სიახლოვეს... ჯონ უოტერჰაუსის ნახატი გაახსენდა, „მირანდა“... ძალიან ჩამოჰგავდა ეს ცოცხალი სურათი მის ტილოს...

უფრო ახლოს მივიდა, რომ უკეთ დაენახა. გოგონამ ზურასკენ გამოიხედა. ლამაზი იყო, ახალგაზრდა, ნაზი. მამაკაცს მოეჩვენა, რომ „მირანდამ“ გაუღიმა. თავადაც გამოეხატა ღიმილი სახეზე. ვერ გაბედა გამოლაპარაკება, ალბათ საკუთარ ასაკს თუ „გაუფრთხილდა“, არ შეშვენოდა 39 წლის მამაკაცს ასე ამჩატება.

გოგონა დიდხანს არ გაჩერებულა. არც წყალში შესულა. რამდენიმე წუთის განმავლობაში გარინდული გასცქეროდა ჩამავალი მზის სხივებს, მერე კაბა გადაიქცა, კიდევ ერთხელ მოიხედა მისკენ, კიდევ ერთხელ გაუღიმა და მსუბუქი ნაბიჯებით გაუყვა სან-

აპიროს. ნავიდა და ზურას ფიქრიც (და ალბათ გულიც) თან გაიყოლა.

მეორე დღეს ზღვა ოდნავ ლელავდა, თითქოს თავისთვის ბუბუნებდა. თეთრად დაბუშტული ტალღები ენერგიულად გადაგორდ-გადმოგორდებოდნენ უკვე გაცხელებულ ქვიშაზე. ნიავი სრულებით არ იძვროდა, ჰორიზონტი კრიალა იყო. ზურა ხარბად ისრუტავდა ჰაერს, ზღვის სურნელი სცემდა და სიამოვნებდა. მზეს უკვე მოესწრო ჰორიზონტზე გაშლართვა და შეუბრალებლად მწველი სხივები მოეფინა არემარისთვის. ზურამ უეცრად ის შენიშნა, უოტერჰაუსის გოგონა... ისევ ისე იდგა, თეთრი კაბით, ფეხშიშველი, გარინდული და ზღვას გასცქეროდა... ხელში ზურმუხტისფერი შარფი ეჭირა, თავი უკან გადაენია, გაშლილი თმა ოდნავ უფარავდა შიშველ მხრებს... მერე გაიხადა. თეთრმა საცურაო კოსტიუმმა კიდევ უფრო მუქი გამოაჩინა მისი გარუჯული სხეული... ცოტა ხნით ჩავიდა წყალში, სირინოზივით გასრიალდა ტალღებზე და ამოვიდა. მერე იქვე, ქვიშაში ჩაჯდა და თავი მუხლებზე ჩამოდო. მამაკაცს გული გამალებით უცემდა. რალაც ემართებოდა და ვერაფრით აეხსნა, რა იყო ეს. სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება. გაბედული ნაბიჯებით გასწია თეთრკაბიანი საოცარი ქმნილებისკენ და მის სიახლოვეს „დაბანავდა“. თან თვალს არ აცილებდა „მირანდას“.

იმანაც მოიხედა, შეამჩნია, ღიმილით დაუქინა თავი, ქვიშაიანი ხელები გაიფერთხა, ადგა და ღიმილით შეაჩერდა. ზურა დაიძაბა.

— გამარჯობა, — თქვა მან.

— დილა მშვიდობისა, — გამბედაობის მოსაკრებლად ზურამ ჩაახველა.

გოგონა მის გვერდით მოკალათდა ქვიშაზე და კვლავ გაირინდა.

— ჰო, მართლა, — დაინყო ზურამ,

— მე შენ უკვე მყავხარ ნანახი აქ, დიდი ხნის წინ, წლების წინ. გჯერა?

— მართლა? ასე დიდი ხნის წინ?

— აშკარად არ დაუჯერა.

— ჰო, რა.

„მირანდამ“ ეშმაკური ღიმილით თმა უკან გადაიყარა.

— იქნებ ასეც იყო, რას გაიგებ,

ყველაფერი შესაძლებელია, — იგი პლაჟზე განვა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

მაღალი არ იყო, მაგრამ პროპორციულად გრძელი ფეხები ჰქონდა, ჩამოსხმული.



— საერთოდ არ იცვლები, — უკან არ დაინია ზურამ, „ამერიკული“ მეთოდი შეუშვა.

— ჰო-ო? გამოდის, რომ მე მეტაფიზიკური გოგონა ვყოფილვარ, — გადაიკისკისა.

— მაშინაც მხოლოდ ზღვას უყურებდი, ოღონდ ლურჯი კაბა გეცვა და მირანდა გერქვა...

— ყველაფერი შესაძლებელია. მეც მახსოვს რალაც მსგავსი, — უფრო კვლუცად გაიცინა და ლამაზი კბილები გამოაჩინა.

— შენ რა, მას მერე სულ სანაპიროზე დადიხარ? — ზურა როლში შევიდა.

— გამოდის, რომ ასეა.

— მერე? ფეხშიშველს ტერფები არ გენვის?

— სულაც არა. ტერფებიც მეტაფიზიკური მაქვს. გინდა, შეხედო? — მხიარულ გუნებაზე დადგა.

— მინდა.

ის იდაყვებს დაეყრდნო, მამაკაცისკენ მოტრიალდა და ფეხისგულელები მიუშვირა.

— დიდებული მეტაფიზიკური ტერფებია, — თქვა ზურამ და მსუბუქად შეეხო მის თითებს.

არც ცხელი ეჩვენა, არც — ცივი. ოდნავ გაუსვა თითები ფეხის ფრჩხილებზე, შეფარვით მიეფერა. ამ დროს ტალღა ნაპირს ხმაურით მოასკდა, ზურას ეს ხმაც კი მეტაფიზიკური ეჩვენა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

როგორ უახვადი 2011 წელს

მარი ჯაფარიძე

მოგესალმებით, ძვირფასებო. როგორ ხართ? გადააგორეთ ახალი წელი თუ ჯერ ისევ ძალაშია და არც კი გამოფხიზლებულხართ? ახლა თვალები მოიფშვინტეთ, ცივი მინერალური წყალი დალიეთ და „გზანიღლებს“ ჩაუჯექით.

უღიბკას საახალწლო თავბადასავალი

ჩაფიქრებული ვმართავდი მანქანას 2010 წლის ბოლო დღეს. ახალი წელი და 1-ელი იანვარი იმდენად არ მაინტრიგებს, რამდენადაც 31 დეკემბერი (სხვათა შორის, ჩემი ამქვეყნად მოვლინების დღე). ბავშვობიდან სულ რაღაც საოცარისა და არაჩვეულებრივის მოლოდინში ვიყავი. საბავშვო ბაღისა და სკოლის პერიოდში ეს არაჩვეულებრიობა სპეციალურად ბავშვებისთვის გამოსილ, საახალწლო სუფრებში გამოიხატებოდა, რომელსაც რატომღაც წინ უძღოდა ბატონ თამაზ კვაჭანტირაძის ლექციების ციკლის მოსმენა, საბავშვო ბაღის გამგის კაბინეტში (ტელევიზიით, რა თქმა უნდა). „რატომღაც“ კი არა, უფრო სწორი იქნება — მისი ქალიშვილის, ანის პატივისცემად, რომელსაც ასევე 31-ში ჰქონდა დაბადების დღე. ახალა ვხვდები და მახსენდება ამ კაფანდარა, ხუჭუჭა გოგონას საოცრად ჭკვიანი თვალების უტყვი საყვედურები ჩემს ცელქობებზე. ანი რამ გამახსენა? რამ გამახსენა და ხუჭუჭთმიან, ლამაზ გოგოს დიდი ტორტით, რომელიც ქუჩას ფრთხილად მიუყვებოდა, თან „გზის“ ახალი ნომერი ჩაებლუჯა, წიგნთან ერთად... მანქანა გაფუჩერე. ამრეზით გადმოხსენდა და გზა განაგრძო... დავენიე და ნაყვანა შევთავაზე... ცივი უარზე დადგა. უსიტყვოდ შევჩერდი და აშკარად გავიგონე მისი მტკიცედ მოკუმული ტუჩებიდან გამოცრილი სიტყვები:

— ნენა, მიტარეთ ვინცხაა! ცირკთან ხო არ ვდგანვარ? რას გადაამეკიდა აი ყაძახი? — რაღაცის სათქმელად პირი რომ გავალე, დამასწრო და შემომიტირა, — გაჩერდი, სუ... ყურობს

ხალხი... ფუუ, უზღვეელი!.. თავი დამანებე, რას ამეკიდა, ვინაა აი...

— ვინაა მაი და უღიბკაა, — მივაძახე ოდნავ ნაწყენმა და მანქანა დავექოე...

უცებ გაჩნდა მანქანასთან:

— უღიბკა თვარა, შენც მყავდე რუსისპირი ან მისტერი, — მერე ჯერ ტორტი შემომანოდა, თავადაც კოხტად მოკალათდა და თავისი ნუგბარი ჩამომართვა. ჟურნალის გადაშლა უნდოდა, მაგრამ ტორტი უშლიდა ხელს... არ დავეხმარე...

— რა გქვიათ? — ვკითხე.

— ციცო, — მიპასუხა და ფრანგული სუნამოს სურნელი შემომაფრქვია.

— ეს რომელი ციცო? — ყასიდად დავინტერესდი. — „წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევიანებსო/ მწყურვალს დაგტოვებსო, ჩაპყვები ვინცო/ ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევიანებსო/ შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!“ — ცოლ-შვილის ხსენებზე თვალეზი დააკვესა და უმძრახად გადმოხსენდა, მაგრამ უმაღ „დავამშვიდე“:

— „მე იმ ასაკში არა ვარ ახლა და/ არც იმ ჭკუაზე — ცოლ-შვილს გავეყარო! მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და/ პატარა ციცოვ, უნდა დამეხმარო!“

ტუჩები აიბზუა და ხმის ამოუღებლად გზას გასცქეროდა. ცისფერ(!) ცას თეთრ ზოლად გასდევდა ღრუბელთა მწკრივი და მეც არ დავაყოვნე:

— „შეხედე, რა ცაა, ეს არის, რაცაა“, — მერე ველარ გავისხენე და ტატო მოვიხმე სასწრაფოდ — „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არ ამქვეყნიურს, სიყრმითგან ვეტრფოდი“...

— ვიცი მე მაი, რაია... — არც გამოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა. ვიფიქრე, ახლა დამიბრეხვებს, რომ „მაი“ შებმას ნიშნავს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ცას გახედა და მშვიდად ამოიღულუნა:

— მაქანე რაკეტიაა გადანამობი, — მანქანამაც საბედისწეროდ დაიღრჭილა და ჩვენი გადავრჩით შესაძლო გამონათქვამს: „აი მანქანა ამ ხრამშია გადანამობი“.

— „ისე ჩამოგივლის მიწაგასახეთქი/ ვითომც ქვეყანაზე მართო ის ერთია/ როგორც ხეჭუჭური ქვაზე დასათხლემი, ციცო ისეთია!“ — გავაგრძელე.

— კი ვარ მიწაგასახეთქი, ამ მანქანაში უცხო ყაძახს რომ ჩოუხტი, ქვაზე დასათხლემიც ვარ და მოსასპობიც, მე სასიკვდილე... მაღე მიმიყვანე, თუ კაცი ხარ და ნუ მყურობ მაგ დასაფსობი თვალებით.

ერთი ანეკდოტის მეოხებით სიტუაციის განმუხტვა მოვიწოდო და შევეკითხე:

— გურიამი სირბილში შეჯიბრებები თუ ტარდება? — უნდოდ ამომხედა და მხრები აიჩჩინა. — და არც ის იცი, როგორ ტარდება? — არ ვეშვები მე.

— ბახმაროში ტარდება დოლი, მაი ვიცი და მაი მკითხე, თვარა ტიტლიკანა ყაზილრები რაფრა ირტყამენ გავაზე ტლინკებს, მაი სიდან უნდა ვიცოდე?

— ჰოდა, მე გეტყვი, რაფერ ტარდება, — დავინწყე თხრობა, — ჯერ გამოუსუდია, მერე ვინცხა ყაზახი „რუპორით“ და ჩასძახებს შიგნით: მოპოჭიჭყდიით! ნეიკუნცხევეე! ჰარჩია!

გაიღიმა, როგორც იქნა, თუმცა ისევ უმაღ შეიკრა შუბლი.



— აქ რომ ზისარ, ვგრძნობ, ეიფორიაში ხარ, — დაეინყე მისის დაგება.

— ჩამოსული კი ვარ, ბიძია, მარა წიგნებს ჩვენც კი ვკითხულობთ და რო ვკითხულობთ, იმიზა ვვდან-ვარ ახლა აქანა, — ჩამ-ირტყა კოხტად, — სუფსაში სახლი გვაქ, მარა სუფსელი არ ვარ. ჩვენ ჭკუასელები ჩოხატაურიდან ვართ... ჰოდა, სულაც არ ვარ მაგ ფორი-აქმი...



— აჰა, გასაგებია, — განგებ ინ-ტერვალებით განვავრძე მე, — სუფსე-ლი არ ხარ, მარა ჭკუას — ელი...

— მაია თქვენი საქმე, ასობებით თამა-ში, — მერე შემფოთებულმა ხელისგუ-ლი პირთან მიიდო და სასწრაფოდ „ჩაასწორა“ — ასობგერებით თამაში.

— ოჰ, ოჰ, რა ეიფორიაში ხარ?! — თავშეუკავებლად ვხარხარებდი.

— რას გადაეკიდეთ ამ ეიფორიას, საერთოდ აფერს არ განვიცდი ახლა, — განინმატდა უცებ.

— ციცო, გოგო, მაგ სუნამოს სურ-ნელს ათასში გამოვარჩევ, კვლევინ

კლაინის „ეიფორია“ გაქვს ნაკურები, — გაფულიძე და შევეკითხე, სად ინ-ებებდა მანქანის გაჩერებას. სასწრაფოდ ხელჩანთა გახსნა, რალაც ფურცლის ნაგლეჯი მოიძია, დაკვირვებით ჩაი-კითხა და გალიმებულმა ამომხედა:

— მართალია, მასე ჩოუნერია ჩემს ბიცოლას... იგივე გეცოდინება, სა ვიყიდო.

— ჩემი მეგობარი მუშაობს სუნა-მოების მაღაზიაში და გვაქვსო, მითხრა.

— ჰკითხეთ კიდო და შემატყობინ-ეთ, თუ არ შენუხდებით... ან მე და-გირეკავთ...

— აჰ, აჰ... — თავი შორს დაეჭირე, — ვერც ჩემს ნომერს მოგცემთ და

ვერც თქვენსას გამოგართმევთ...

— რეიზა, ნეტა?

— იმიზა, რომ შეიძლება ნამცდეს ხელი და დაგირეკო, მერე შეგაყვარო თავი, მერე უძილო ლამეები და გულის ხეთქვა... მერე ფიქრები მტკვრის პირას და მთანწინდზე, მთვარიან ლამეში ხე-ტიალი, მძინარე „მოხუცის ლანდის“ მახლობლად... მერე შენი ამბორი, ვი-ნაიდან „არსად მთელ ქვეყანაზე არ კოცინან ისე ვნებით, ისე ცეცხლით და იმგვარი გატაცებით“...

— პანთონთან დაკავშირებით გა-მოგჩა ერთი გარემოება, თუმცა ეგ დასასრული იქნება — ეშმაკური ლი-მილით გამანყვეტინა ჩემმა თანამგზა-ვრმა. — ვერც შენ გადაიტან ჩემს სიყვარულს და ბოლოს მომიწევს ეპი-ტაფიის ამოტვიფრა: „გონი და საქმენი შენნი უკვდავია მგზავნელთა სსოვნაში, მაგრამ რისთვის გადაგიყოლა შენ სიყ-ვარულმან ჩემმან?“

ურჩი კულულები უკან გადაიყარა და შემომცინა: გასაოცრად გავაცილეთ 2010 წელი და 2011 წლიდან, ანუ დღეს ლამიდან ვისურვებდი, სულ მქონდეს ლიმილი სახეზე და გზაში ხშირად შემომეფეთოს ულიბკა.

წამოფრენილი

„არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გამბედაობის ხარისხი რომ ერთითად იზრდება, ამაში ალ-ბათ თითოეული თქვენგანი დამეთ-ანხმება... სითამამე და გამბედაობა სრულიად ფხიზელ მდგომარეობაშიც არ მაკლია, მაგრამ ჩემი ცხოვრების მთავარი, „პრიკოლური“ მოვლენები სწორედ ამ ღვთაებრივი სითხის მიღე-ბასთან ასოცირდება და თქვენი და მარიაშულის ნებართვით, რამდენიმე ამბავს გავისხენებ. გასული წლის შე-მოდგომაზე, ჩემმა მეგობარმა ლამამ დამირეკა, ძმურად, ჩემთან გადმოდი, მეზობელი დამელუპა, ჩემები მის ოჯახს ეხმარებიან, მთელი დღეები მარტო ვარ და ცოტა გავერთოთო. მეგობრის გამხიარულებისა და „გზა-ვნილებისთვის“ საჭირო მასალის მოპო-ვების იმედით, 5 წუთში უკვე მას-თან გავეჩნდი... ძმაკაცი პრინციპით — „სახლში კაციც შენ ხარ და ქალ-იც“ მოქმედებდა და წამებში ისეთი სუფრა გაშალა, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ მოჰკლებია... ახალდაკლუ-ლი ღორის, წალამზე შემწვარმა მწვადმა და შაქრო პაპას ხელით დანურულმა, დედის რძესავით გემ-რიელმა ღვინომ თავისი ქნა, ნახევარ საათში უკვე გვარიანად შევხარხოშ-დი და ლაპარაკის საღერღელიც ამე-შალა... ის იყო, ჩემი მეზობელი ნო-რასა და ნოდარის ქორწილის კური-

ოზების მოყოლას მოვრჩი, რომ გარ-დაცვლილის სახლიდან მამაკაცის ხმა მოისმა: მაღალი ბიჭი გვჭირდება, ოთახში „კარნიზი“ ჩამოვარდა და დაგვიყენოსო. თვალის დახამამება-ში იქ გავეჩნდი და ჩაქურჩის ბრახ-უნით დავარღვიე მიცვალებულის ოთახში გამეფებული სიჩუმე... თუმ-ცა, ეგ არაფერი, ხელსაწყოს ბრახა-ბრუნთან შედარებით, ატომური ბომ-ბის აფეთქებასავით გაისმა ჩემი იატაკზე „დატყლარწვის“ ხმა... მაგი-დას, რომელზეც ფარდის მისამარე-ბლად შევდექი, ფეხი მოსტყდა და ქვეშ მომიყოლა. ასკინილათი და საკ-უთარი თავის ლანძღვა-გინებით დავბ-რუნდი „სამშვიდობოს“. როგორც ჩანს, ჩემი მეგობარი მოუთმენლად მულო-და... ერთ ჭიქას მეორე მოაყოლა და ასე გავრძედა დილის თორმეტიდან შუადღის ორამდე... მეზობლად მდე-ბარე, გარდაცვლილის სახლიდან ახლა უკვე ქალის სასონარკვეთილი ყვირ-ილი მოისმა, ჰაიდა, განყდით სოფ-ლის ახალგაზრდობავე? ჩამოსვენებაში მოგვეხმარეთო... აი, აქ მივხვდი ალკო-ჰოლის დიად ძალას: ისეთი სიამაყე-ით, სიამაყითა და გამბედაობით გავემართე სასახლის ასანევად, მეტი რომ არ შეიძლება... ფხიზელ მდგო-მარეობაში მყოფს კი კუბოს დანახ-ვაზეც მაკანკალებს... მოკლედ, ამოვ-იყენე გვერდით ჩემი ფეხ და მხედ-ველობაარეული მეგობარი და წელ-ში გამართული (თუმცა — კოჭლო-

ბით) უკვე მეორედ მივედი ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანისთვის, უკა-ნასკნელ გზაზე პატივის მისაგებად... — ბიჭო, ეს ბაფთა რა ჯანდაბად უნდა სასახლეს, დაბლიდან? — გაკვირვება ვერ დავმალე, ნანახით გაცეცხულმა...

— გრძელი ამბავია, — მოკლედ მოჭრა ლამამ...

— მოჰყევი!

— მოკლედ, — ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო, — გარდაცვლილი უკა-ნასკნელი 5 წლის განმავლობაში წელ-ში ძალიან მოიხარა. როცა გარდა-იცვალა, წელში ვერ გაასწორეს, სასახ-ლეში ჩასვენებისას „ტროსი“ გადაუ-ჭირეს და რომ არ განძრეულიყო, ქვეშიდან გამოკვანძესო, — სრული სერიოზულობით მითხრა, ამღვრულ-მა...

— ა-ა-ა-ა, — აღმომხდა განცვი-ფრებულს...

— რა საყვარელი იყავ, ჯენი, ჩემო ლამაზო, ე როგორ დაგემარ-თა, გოგო, არიქა, კომბოსტო, ქალე-ბო, გააჩერე, რამდენი კილოა ლარ-ში? — თავი ვერ შეიკავა „კაპუსტით“ დატვირთული მანქანის დანახვისას ნათელამ და ტირილს მიაბა.

ჩემს შემდეგ საქციელს კი, ყოველ მიზეზგარეშე ალკოჰოლს მივანერ. ამას „სრულ ჭკვაზე“ მყოფი, ვერც გავბედავდი და არც ვიკადრებდი... მოულოდნელად, ჩემი ხელი საგანგე-ბოდ „გამოკვანძულ“ ბაფთას გამოედო



და ჯენიაც, კომმარდასიზმრებულვი-
ით „ნამოფრინდა“ კუბოდან. იქ ამ-
ბავი ატყდაა! შემირცხვენია „იმერ-
ული ესკიზები“ და მისი „ტიტუუუუ!“
:) ვინ ვის აფრინდებოდა და ვინ
საით მირბოდა, ველარ გაიგებდი“.

სიურპრიზი

„ერთი, ორი და სამი!“ — ხმამალ-
ლა ვთქვი და მთელი ძალით გად-
მოვნიე მუყაოს ყუთი, საუქუნაოში
მდგარი კარადიდა და იატაკზე მთე-
ლი სიმძიმით დაეცა. გავახსენე და
მისაღებ ოთახში ისე გავიტანე. თავი
ავხადე; ჯერ თავახდელ ყუთს დავაჩ-
ერდი — რაღაც არ მომწონს, ძველ-
ოდურია ეს ნაძვის ხე... მოდი, მაინც
ავაწყობ... რამდენიმე წუთში უკვე აწ-
ყობილი მქონდა საშუალო სიმაღლის
ნაძვი. ჯერ ახლოდან დავაკვირდი,
შემდეგ განზე გავდექი და დღონჯ-
შემორტყმულმა შემოვარე ნაძვს. არ
მომწონს და მომკალი. უეცრად, კარი
გაიღო და გიო გამოჩნდა, რომელსაც
ხელში მოგრძო მუყაოს ყუთი ეჭირა.
გახარებული მივეგებე: რა მომიტანე,
თოვლის ბაბუა? მივხვდი, ჩემი იყო.
სიტყვის თქმა არ ვაცადე, ისე გავხ-
სენი ყუთი და რას ვხედავ? უზარმაზ-
არი, დიდიდი, მართლაც რომ გრან-
დიოზული ნაძვის ხე მოიტანა, რომელ-
იც ჭერს სწვდებოდა და პატარა ბავშ-
ვივით მიხაროდა. ის უფრო მიხარო-
და, რომ გიო უსიტყვოდ, ყველანაი-
რი მინიშნების გარეშე ხვდებოდა ჩემს
ფიქრს. მაშინვე ტელეფონს დავწვდი
და მეგობრებს დავურეკე, რომელთაც
ვთხოვე, ნაძვის ხის მორთვაში დამხ-
მარებოდნენ. თუმცა, სანამ ისინი მოვ-
იდნენ, მე უკვე მოვრთე. მორთვის
პროცესში კი რაც კი გამახსენდა ახალ
წელზე სიმღერა, ყველაფერი წავილ-
ილენე. ეს სიხარული არ მაკმარა გიომ
— ქურთუკის ჯიბიდან უამრავი სა-
ჭაერო ბუშტი ამოიღო, მეორე ჯი-
ბიდან კი — უამრავი „ხლაპუშკა“,
რაც ძალიან მიყვარს, ოღონდ მათი
გამაყრუებელი ხმის ძალიან მეშინია
და გასროლის დროს გავრბივარ.
უფრო დიდი სიხარული მელოდა —
ჩემთან ხომ ჩემთვის ერთ-ერთი
საუკეთესო, უსაყვარლესი, მეტად პა-
ტივისაცემი მეგობარი, ბესარიონი
(ჯაყისმანელი) ჩამოდიოდა. დღე არ
გავიდოდა, რომ ასეთი შინაარსის ეს-
ემ-ესი არ გამეგზავნა მისთვის:
„იცოდე, 31 დეკემბერს არ გადააცი-
ლო, მანამდე ჩამოდი“. 31 დეკემბერს
კი მე და გიო ეიფორიაში ვიყავით,
ყველაფრის გამზადება მოვასწარით,
სანამ ბესო მოვიდოდა. ჩვენი კარგად
ნაცნობი მგზავნილი, ლუნა როგორც
იტყოდა, საახალწლო მზადების „აშხ-

უილება“ გვექონდა. ცოტა გოზინაყმა
შეგვარცხვინა, დაგვეწვა, მაგრამ ეგ
არაფერი. 12 საათი დაიწყო, სუფრის
გამლას შევუდექით და ამ დროს ბესოც
მოვიდა, მანაც უამრავი ფეიერვერკი
და „ხლაპუშკა“ მომიტანა. აი, გახდა
12 საათი, უნდა გვედღეგრძელებინა
ახალი წლის მობრძანება და კარზე
ზარი გაისმა. ჩემი და ბესოს ნაცნო-
ბი გოგონა დამხვდა კარს მიღმა,
რომელსაც მეგობარი ახლდა თან. ბესო
თავისი ნიჭიერებით, სულიერი სი-
ძლიერითა და ფიზიკური მონაცემე-
ბით ხიბლავს გოგონებს და ვინც
გაიგო, ბესო რუსთავში იყო, ყველა
მისი მოტრფიალე გოგონა იმ ღამით
მესტუმრა, მეგობრებთან ერთად. ბესო
შაჰ-აბასივით გრძობდა თავს, ახა-
ლი წლის ღამეს. :) ძალიან სასიამ-
ოვნო ღამე იყო. დილის 7 საათზე კი
ისე დავიშალეთ, როგორც ქართველ,
მთვრალ ხალხს შეეფერება. მე კი
ვჯიუტობდი, მოსვლა თქვენი ნება
იყო, წასვლა კი ჩემი ნებაა-მეთქი. 3
იანვრამდე ვიყავით მეგობრები ერ-
თად და ვერანაირი სიტყვების შერ-
წყობით ვერ გადმოვცემ იმ სიამეს,
რაც იმ დღეებში განვიცადე. წასვ-
ლის დღეს ბესომ მითხრა: მეგობარი
რა კარგი რამ არის, სულიერი პირდა-
პირი კავშირი და სიყვარული გაკავ-
შირებს მასთანო. 3 იანვარს ყველა
სტუმარი გავაცილეთ და დავრჩით
მე და გიო ჩვენს გრანდიოზულ ნაძ-
ვის ხესთან და ბუშტებით მორთულ
სახლში, მონყენილები. პატივისცემით,
ლაკვასტი“.

გადარჩენილი

„ბევრი მშობელი მინახავს, შვი-
ლის დაბადების მოლოდინში მყოფი;
ლელავენ, განიცდიან, ელიან, მაგრამ
ასეთი აკანკალებული მამაკაცი ჩემს
ნ-წლიან პრაქტიკას არ ახსოვს. ახალ-
გაზრდა, ქერათმიანმა ექთანმა შავად
შეღებილი თვალებით შეხედა საა-
ვადმყოფოს ჩამონგრეულ კედლებშუა,
წინ და უკან მოსიარულე, ახალგაზრ-
და ყმანვილს და დანანებით თავი
გააქნია.
— ალბათ დიდი ხანი „მუშაობ-
და“ ბიჭი და ახლა სამუშაოს დას-
რულებული სახე აინტერესებს, —
თეთრი და ფუმფულა ღაბაბის მსუბ-
უქი თახთახით ჩაიკისკისა შუახნის,
საკმაოდ დიდი „გაბარბიტის“ მქონე
ქალმა...
— ღმერთო, გადაარჩინე, ღმერ-
თო, გვიშველე, არ მიგვატოვო, წმინდა-
ო მარიამ, — ლოცულობდა აფორი-
აქებული ყმანვილი და ღონემიხდლი,
ენერჯის მოსაყრებად ყავისფერ, ტყავ-
გადაქერცლილ სავარძელში ჩაჯდა...

— ბატონო ალიკა, — მხარზე ხე-
ლის შეხებამ გამოაღვიძა...
— რომელი საათია? რა დრო გასუ-
ლა, ჩამძინებია... როგორ არის საქმე?
— სავარძელთან ტანმალალი მამაკა-
ცი იდგა, ორმოცს იქნებოდა გადაც-
ილებული, ფართო მხარ-ბეჭი და ელ-
ეგანტური იერი ჰქონდა... ლამაზი
იყო და თვითონაც შესანიშნავად
გრძნობდა ამას...
— ნამობრძანდით ჩემს კაბინეტ-
ში, — თქვა და ხელი ისე გადაისვა
თავზე, თითქოს მემკვიდრეობით მიღე-
ბულ განძს აპრიალესო...
ინფორმაციის მოლოდინში მყოფი
კაცი ტუსადივით გაჰყვა უკან. ირგვ-
ლივ ჩამოფხეკილი კედლებისა და
ამოცვნილი იატაკის მეტი არაფერი
იყო...
— არ ვიცი, როგორ გითხრათ,
თქვენი შვილი... საქმე ისაა, რომ
ძალიან პატარა დაიბადა... — თან-
აგრძობა გამოხატა ექიმმა.
— ცოცხალია? — მოუთმენლობა
დაეტყო აკანკალებულ მამაკაცს და
თვალები დახუჭა.
— ცოცხალია, მაგრამ არა მგო-
ნია, დიდი ხანი...
— რა არის საჭირო იმისთვის,
რომ... — ოთახში სამარისებური სი-
ჩუმე ჩამოვარდა...
— რას მიქვია, შესვლა არ შეი-
ძლება? ექიმს უნდა დაველაპარაკო,
ასე გაურკვეველ მდგომარეობაში ხომ
ვერ დამტოვებთ? ბავშვის ბედი არ
მაინტერესებს... ბოლო ხმაზე გაჰკიოდა
აღელვებული ქალბატონი დერეფან-
ში და სიბრაზისგან თვალებიდან ნა-
პერნკლებს ყრიდა.
— შეეცადეთ, სიმშვიდე შეინარ-
ჩუნოთ, ქალბატონო, დღეს მაინც ვე-
რაფერს გახდებით, ჩვილს ვერ ნახ-
ავთ, მას... ამის თქმის უფლება მე არ
მაქვს, ექიმი კი თქვენს ვაჟს ესაუბრება
ახლა...
ექიმის კაბინეტში ისევ სამარისე-
ბურ სიჩუმეს დავსადგურებინა... ქირუ-
რგი წამოდგა, აფორიაქებული გაუძღ-
ვა გასასვლელისკენ მიმავალ, ლოყებ-
ახურებულ, თვალებში შუქჩამქრალ
მამაკაცს, რომელსაც ისეთი სახე ჰქონ-
და, თითქოს სასიკვდილო განაჩენი
აღსასრულებლად მიჰყავთ და სიც-
ოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვ-
ლისო... დერეფანში გასულს, ყავის-
ფერ სავარძელში მოკალათებული
დედა დახვდა. აზრზე მოსვლაც ვერ
მოასწრო, ისე გაჩნდა გაცხარებული
ქალი მის გვერდით და კითხვები მი-
აყარა...
— სახლში მოგიყვები, დე...
— არ ინერვიულო, დედა გენ-
აცვალოს, ყველაფერი კარგად იქნე-
ბა...



გარეთ უჩვეულოდ დიდი ფიფქები ცვიოდა...

ყოველდღე მიდიოდნენ ბებია და მამა ახალშობილის სანახავად, მაგრამ ექიმები მისი ნახვის საშუალებას არ აძლევდნენ... დედა თავს კარგად გრძნობდა, არაფერი უჭირდა...

სხუთდღიანი უშედეგო ლოდინის შემდეგ:

— გაუძელი, საყვარელო, ღმერთი არ მიგვატოვებს, მთავარია, სულიერად არ დავეცეთ... — სიტყვა ველარ წარმოთქვა, ნერვიულობისგან გაყვითლებულ, დაპატარავებულ ცოლს ჩაეხუტა და პატარა ბავშვივით აქვითინდა... თავში ათასი აზრი უტრიალებდა... ფიქრობდნენ, ჩამსხდარიყვნენ მანქანაში, მატარებელში და ნასულიყვნენ შორს, ძალიან შორს... იქ, სადაც არავინ არაფერი იცოდა, იქ, სადაც არავის შეეცოდებოდა, იქ, სადაც ბოროტება, სიკვდილი, ცრემლი არ არსებობდა... და წავიდნენ...

ამბავმა, რომ მეორე შვილი ეყოლებოდათ, ის დარდი, ცრემლი და ტკივილი გაუწელა.

ქმარი ცივ ნიავს არ აკარებდა ფეხმძიმე ცოლს, დღეებს ითვლიდა, სანამ შვილის პირველ ტირილს, ჩხავილს გაიგონებდა... და აი, ალიკა ისევ აწრიალდა სამშობიაროს კედლებში... თითქოს დრო გაჩერდა... ბებიაქალი მეტეორივით გამოვარდა ჰოლში, აელეღებულ მამას, სასონარკვევით ბებიას შეხედა და გაიღიმა... — ბიჭო, ბიჭო! — გახარებული მამის ღრიალმა, 2 წუთში, მიძინებული საავადმყოფოს კედლები სიცოცხლით, ხმაურით აავსო... რა მოხდა შემდეგ, ეს მხოლოდ უფალმა იცის... სრულიად ჯანმრთელი ბავშვი დაბადებიდან მე-7 დღეს გარდაიცვალა... როგორც ექიმებმა განმარტეს, ფილტვების უქმარისობა სჭირდა და სუნთქვა უჭირდა... არც ის არის ძნელი მისახვედრი, რას გრძნობდა ოჯახი, მათი ახლობლები და ექიმებიც კი... ცხოვრება უაზრო, შავ-თეთრი, ცივი გახდა. ქალი მესამე ბავშვზე დარჩა ფეხმძიმედ... ამ ამბავმა, რა თქმა უნდა, გაახარა უკანასკნელ იმედს ჩაჭიდებული მშობლები... მესამე შვილი 7-თვიანი დაიბადა. ექიმები იმედს არ იძლეოდნენ... რომ ხედავენ, ბავშვი არ შერჩებათ, რაღას აჩენენ? ასეთი იყო მასის დამოკიდებულება... დედას 3 დღის განმავლობაში უმაღავდნენ შვილის

მდგომარეობას. ბებია მხეცის კლანჭებს დაღწეულ, სირბილისგან დაქანცულ პატარა ცხოველს დაემსგავსა, რომელიც უაზროდ აცეცებდა თავს აქეთ-იქით... ამ ქალის საქციელმა ყველას პირი დააღებინა. ბებია, უსუსური ჩვილი გულში ჩაიხუტა, თავისი „მინიატიურული“ ზომის გამო ფეხსაცმლის ყუთში მოათავსა და „ფეჩის“ ქვეშ შედო (დედას გეფიცებით, მართლა). პატარამ, უფლის წყალობით, ზრდა დაიწყო... ჭამდა, ჩხაოდა, ისაქმებდა... მშობლებს იმედი მიეცათ — რაც პირველი ერთი თვე ხმა არ ამოუღია, ახლა ინაზღაურებსო, ხუმრობდნენ და დღესაც ხუმრობენ მისი ოჯახის წევრები. ტკივილი უდიდესმა, ენით აუნერვლმა სიხარულმა შეცვალა... P.S. ცოტა თემას გადავუხვიე, მაგრამ ეს იყო ჩემი ოჯახისთვის ყველაზე ბედნიერი ახალი წელი. სწორედ ამ წელს გაიღიმეს, მრავალწლიანი ტირილის შემდეგ ჩემმა მშობლებმა, რადგან ქვეყანას მოვევლინე მე — რუისპირი. მაშინაც ხუთშაბათი იყო, 13 იანვარი“...

თემაზე და თემის გარეშე მოსილი, მოკლე მესიჯები

„ახალ წელს უზნის მეგობრებთან ერთად, ქალაქის ცენტრში, ფეიერვერკების, შუშუნებისა და „ასაფეთქებლების“ წვიმის „ქვეშ“ შევხვდი. ვილატას ალბათ გულის ნასვლამდე მოუწნდა ჩემი შეშინება და „ასაფეთქებელი“ პირდაპირ ჩემი მარჯვენა ფეხის ქუსლს „ჩაახუტა“. უჰ, როგორ მეტყინა?! მაგრამ არ შევიმჩნიე. :) მერე 2 საათამდე ვმსჯელობდით, სადარბაზოში ვისი ოჯახი „აგველო“. როგორც იქნა, მოვიფიქრეთ. მანამდე ჩემს ოჯახს „ვენვიე“ და ბებიაჩემს შეშინებულ ხმას, ვინ არისო, მეკვლე-მეთქი, შევაგებე. მერე 5 საათამდე გავრძელდა ჩვენი ახალწლობა და მივებარე სანოლს. :) P.S. ისე, „მაგარი“ ფეხი მაქვს და ვნახოთ აბა, რა სარგებლობას მოვუტან ჩემს ოჯახს. :) კლეო-პატრა“.

„მოლოდინი, მერე იმედგაცრუება და ტკივილი... ყოველი ახალი წელი ასე მოდიოდა და წელსაც განმეორდა იგივე. ერთფეროვნებას დასასრული აღარ აქვს, საახალწლო სასწაულიც იგვიანებს.“

ბავშვობაში თუ საჩუქარს ველოდი ბალიშის ქვეშ, ახლა სიახლეზე

ვოცნებობ, მინდა ცხოვრების წესი შევცვალო და წელს მაინც ვიყო ცოტა ბედნიერი. ეს ჩემი საახალწლო სურვილი იყო, რომელიც მარტომ ჩავუთქვი საახალწლო სუფრასთან. გოგონა“.

„რაც გავიგე, ანდრია ბოჩელი გვესტუმრებოდა, იმის მერე გეგმებს ვაწყობდი, აუცილებლად გარეთ შევხვდები-მეთქი, მაგრამ ჩემმა ოცნებამ 31 დეკემბრის დილასვე დალია ჩილიურის წყალი, რადგან მაინცდამაინც ახალი წლის ღამეს წვიმა საშინლად. ბევრი ვეხვეწე მეუღლეს, მაგრამ არ წამიყვანა, კიდევ გამიცვლიდა. რომ არ მოვასვენე ბუზღუნით, მერე მითხრა, რასან ეგრე გინდა ანდრიას ნახვა, დღეიდან შენი ანდრია მე ვიქნებიო. :) თუმცა, ჯერ იტალიურად არ ამღერებულა. :) ასე რომ, ახალ წელს მყუდროდ, ოჯახში შევხვდი და მულიკოსთან ერთად 2-3 ჭიქა ცქრილა ღვინოც გვახელით. ასეთი ახალი წელი მქონდა, მარი. შეიძლება შენთვის უინტერესო, მაგრამ ჩემთვის საუკეთესოა. გეფერებით ბათუმიდან, ჭრიჭინა. ეს წელი ჩემთვის განსხვავებული იყო. წელს ახალ ოჯახში შევხვდი ახალ წელს. ულამაზესი და უმაგრესია ბათუმი, თუმცა ბოჩელის სტუმრობამ უფრო გამოაცოცხლა ქალაქი“.

„2011 წელი ჩემს ცხოვრებაში დაუვინყარი იქნება, რადგან ამიხდა ისეთი ოცნება, რომლის ჩაფიქრება აზრადაც არ მომვლია, რადგან მე-გონა, რომ რეალობაში ეს არ მოხდებოდა.“

მოკლედ გეტყვი: ძალიან დიდი სურვილი მქონდა, გამეცნო „მგზავრების“ სოლისტი, გიგი დედალამაზიშვილი. 2 იანვარს ჩემს ქალაქში გაიმართა კონცერტი, „მგზავრების“ მონაწილეობით. მე მასთან მისვლა შეეძლო და გავიცანი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ვერც კი წარმოიდგენს, როგორ მიყვარს. ეს სიტყვები მასაც ვუთხარი. არ ვიცი, ამ მესიჯს თუ დამიბეჭდავთ, მაგრამ იმედი მაქვს, დამიბეჭდავთ და ამ მესიჯს გიგი წაიკითხავს. გიგი, გთხოვ, ეს მესიჯი თუ დაიბეჭდა და წაიკითხე, გთხოვ, შენც პასუხის ნიშნად რამე მომწერო... გთხოვ“.

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომწერო ნომრის თემა იქნება — „ყველაზე უცნაური ქორწილი“
ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე 877.456861
ან მომწეროთ ელფოსტაზე marorita77@yahoo.com



„თურქეთს კი არა, მონასტერს მიაშურე“

„შენ გუნების შესდომა ხარ...“

„გზის“ №52-ში დაიბეჭდა 14 წლის გაგას მესიჯი, რომელიც გენერდა, რომ მშობლებთან, განსაკუთრებით — მამასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა. „მას შემდეგ, რაც შემატყვო, რომ ქალური მანერები მაქვს, მხოლოდ გოგონებთან ვმეგობრობ და ბიჭები მომწონს, ცუდად მეპყრობა, მცემს... ჩემი ორი მეგობარი ბიჭი სამუშაოდ თურქეთში დადის; შემომთავაზეს, — შენც წამოდი, იქ ბარში იმუშავებ, ცოტა პროსტიტუციასაც „მიანვები“ და თავს გაიტან, თან — ახალ „ბოიფრენდსაც“ გაიჩენო. არ ვიცი, რა ვქნა. მეშინია, რომ წავიდე და ამ ნაბიჯის გამო ყველა საყვარელი ადამიანი დავკარგო, მერე?.. თუ წავედი, იქ ენ. ტრანსსექსუალი ვიქნები, რადგან ბიჭად ყოფნის სურვილი აღარ მაქვს. გთხოვთ, მიჩინეთ რამე“.

ლიკა ქავია

LOCUST:

„მგონი, ცოტა ვერა ხარ, რა... 14 წლის ასაკში ოჯახის მიტოვებას და უცხო ქვეყანაში გადასვენებას აპირებ, თან — ისიც არ იცი, იქ რა დაგხვდება. ეგ სისულელე არ ჩაიდინო, თორემ ყველა საყვარელ ადამიანს დაკარგავ და ამას მთელი ცხოვრება ინანებ. შენნაირების არ მესმის. როგორ შეიძლება, უარს ამბობდეს ისეთად ყოფნაზე, როგორიც უფალმა შეგქმნა? რას ჰქვია, ბიჭად ყოფნის სურვილი აღარ გაქვს? მაპატიე, მაგრამ მამაშენის ადგილას, შენნაირი შეიქმნის ყოლის გამო, მეც შემრცხვებოდა. მოკლედ, ჩემი რჩევაა, დაეტყო იქ, სადაც ხარ და დარჩე ისეთად, როგორიც ხარ“.

თბა:

„ღმერთმა ვაჟად გვება — უფლის ნება ასეთი იყო. თურქეთს კი არა, მონასტერს მიაშურე, საბრალოვ“.

საბალონი გოგო:

„ამ ცხოვრებაში ყველას თავისი ჯვარი აქვს სატარებელი და შენი განსჯის უფლება არავის აქვს. მამაშენმა კი არ უნდა გცემოს, არამედ ადამიანურად დაგელაპარაკოს. შენ ჯერ პატარა ხარ საიმისოდ, რომ გაიგო, ტრანსსექსუალობა გინდა თუ არა, თან — თურქეთში წასვლით არა მგონია, რაიმე მოიგო. ასე რომ, კარგად დაფიქრდი“.

აბარაშია:

„სიმართლე გითხრა, იმის ღირსიც არა ხარ, რაიმე გიჩინოთ, მაგრამ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ისე დავიბოლმე, რომ თავი ვეღარ შევიკავე და... პირველ რიგში, თუ ახალ „ბოიფრენდს“ ექვბ, ე.ი. მანამდეც გყავდა პარტნიორი (ან პარტნიორები), რომელთანაც სექსი გქონდა და იცოდეს, სამართალდამცავებმა ეს რომ გაიგონ, მას, როგორც სექსუალურ მოძალადეს, დააკავებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ურთიერთობების საინალმდეგო არაფერი გქონდა — შენ ხომ არასრულ-



წლოვანი ხარ და ვერ ანალიზებ, რას აკუთბ... შენ მიმართ აგრესიულად განწყობილი ნამდვილად არ ვარ, პირიქით — მეცოდები და მიმანია, რომ ავადმყოფი ბრძანდები, მაგრამ ვერც იმას დავმალავ, რომ მეზიზღები, ვინაიდან ავხორცი ხარ და საკუთარ საქციელს ოდნავაც არ ნანობ. P.S. მეცოდება შენი მშობლებიც, ასეთი არაკაცი რომ გაგზარდეს“.

მისტარ:

„შენ ხომ არ გცივა? რა „ბოიფრენდობაზე“ და ტრანსსექსუალობაზე ფიქრით ინვალებ თავს? კარგი იქნებოდა, „დანორმალურებულები“ და ის სექსი გაგემართლებინა, რაც ბუნებამ გიბოძა, მაგრამ ამ ასაკში ასეთი გეგმები თუ გაქვს მიზნად დასახული და თანაც ამბობ, რომ ბიჭობა აღარ გინდა, მეექვსება, რომელიმე ჩვენგანის რჩევა გაითვალისწინო. P.S. ბუნების შეცდომების საინალმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვინმე შენნაირმა „შებმა“ რომ დამინცოს, ალბათ, აგურს ჩავარტყამ...“

რეაქციონი:

„გირჩევ, ამ ნაბიჯის გადადგმადე კარგად დაფიქრდე და მერე იმოქმედო. შენი აზრით, დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებ? რა შანსი გაქვს, რომ სამუშაოს იშოვი? შენ ჯერ სრულწლოვანი არა ხარ და იქნებ შეძლო, საკუთარ სურვილებს წინააღმდეგობა გაუწიო?!

იცოდეს, ასეთი ქცევით შესაძლოა, გარყვნილობის ტაობში ჩაეშვა, იქიდან ამოსვლა კი ძალიან ძნელი იქნება. დაფიქრდი“.

უცხოზი:

„გირჩევ, თურქეთის ნაცვლად, ეკლესიაში წახვიდე. არა მგონია, ვინმემ ამაზე უკეთესი რჩევა მოგცეს“.

ანალია, 20 წლის:

„ჩემო საყვარელო, მესმის შენი; ვიცი, ოჯახის დატოვება ძალიან გაგიჭირდება და იცოდეს, ეს არცაა აუცილებელი. დამიკავშირდი და დაგეხმარები“.

ლუნა:

„ვერც მამაშენს გაგამტყუნებ და ვერც იმას გეტყვი, თუ როგორ უნდა მოგვარდეს შენი პრობლემები, ქალბის მიმართ ინტერესი როგორ უნდა გაგიჩნდეს, მაგრამ გირჩევ, მეგობარ ბიჭებს თურქეთში არ წაჰყვ, იქ უარესად „გაფუჭდები“. ეწუხვარ და მესმის შენი, მაგრამ... გაკოცე P.S. დაფიქრდი, ჩემი კოცნა არ სჯობია კაცის კოცნას?..“

სიზო:

„შენმა წერილმა კი არ გამოგნა, არამედ დამაშტერა. ვერ მხოლოდ 14 წლის ხარ და თურქეთში რა გესაქმება? როგორ ფიქრობ, საქართველოდან გაქცევით ეშველება საქმეს? დამიჯერე, იქ მეტ სირთულეს წააწყდები. ჩემო კარგო, თუნდაც საყვარელი ადამიანების გამო, არსად წახვიდე, მშობლების საქციელი აიტანე. შენ ჯერ ძალიან პატარა ხარ საიმისოდ, რომ ცხოვრება დამოუკიდებლად შეძლო, მით უმეტეს — საზღვარგარეთ. P.S. როცა გაიზრდები, მერე სადაც გინდა, იქ წახვიდე და ოჯახის წევრებსაც არ დაკარგავ“.

აუბანალი:

„მაპატიე, მაგრამ ბუნების შეცდომა ხარ. 14 წლის ბიჭი რაებს ლაპარაკობ, სრულ ჭკუაზე ხარ? იმედია, ეს ყველაფერი გარდატეხის ასაკის ბრალია“.

CRAZY GIRL:

„მგონი აჯობებს, მამას დაელაპარაკო და ყველაფერი აუხსნა. ბიჭის მშობლებისთვის, მით უმეტეს — მამისთვის ძნელია ამის გაგება. გაქცევა გამოსავალი არაა. კარგად დაფიქრდი“.

C.B:

„გამარჯობა. გაგა, ამ საზიზღრობის გამო ოჯახი არ დაკარგო! გირჩევ, ეკლესიაში იარო“.

ტილო-ტილო:

„ამ მოგონილი ამბით ვის „დაბოლებას“ აპირებ? მეცოდები, რადგანაც ნორმალური ტყუილის თქმაც კი არ შეგიძლია! შენ გვგონია, ვინმე დაგიჯერებს?..“

6892:

„მსგავს სიტუაციაში შენი ძმა რომ იყოს, რას იზამდი? მართალია, უნაკლო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ ამას ნაკლსაც ვერ უწოდებ... თუ თურქეთში წახვიდე, არც დაქალები დაივიწყო და არც — და-ძმა. მოკლედ, კარგად დაფიქრდი და გადაწყვეტილება მერე მიიღე. მეც მყავს შენნაირი მეგობარი, რომელ-



საც ყველანაირად ვუგებ, მხარში ვუდგავარ. წარმატებებს გისურვებ!

ნათალი:

„ამ წერილის წაკითხვის შემდეგ შენი გაცნობა მომიწინა. მესმის, რომ ეს ყველაფერი შენი ბრალი არ არის... ჩემი რჩევაა, თურქეთში არ წახვიდე, ჯერჯერობით მაინც; რამდენიმე წელი მოითმინე და მერე ცხოვრება თავად გიჩვენებს სწორ გზას. ყოველთვის ვიცნებობდი, შენნაირი მეგობარი მყოლოდა... კარგად დაფიქრდი და საკუთარ თავში იპოვე ძალა პრობლემებთან გასამკლავებლად. თუ სურვილი გექნება, შემეხმინე. ღმერთი შენცენ“.

თაი:

„აბა, რა გირჩიო? მამაშენის მესმის. არ გეწყინოს, მაგრამ შენნაირი შვილის ყოლას ვგობია, საერთოდ არ გყავდეს. თურქეთში წასვლაზე ოცნებას სჯობია, სწავლაზე იფიქრო. შენ ფსიქოლოგი კი არა, ფსიქიატრი გჭირდება. P.S. შენი და შენნაირების ხელში რომელ ერთიან საქართველოზეა ლაპარაკი? აი, ასეთი ხალხის წყალობით უმართებათ ადამიანებს ინფარქტი“.

უზუნური:

„ჯერ ბავშვი ხარ და რა ორიენტაციაზე ლაპარაკობ? 17 წლამდე ბიჭურად მეცვა, ახლა კი 20 წლის ვარ და მალაქაქუსლიანი ფეხსაცმელი ვერ გამხადეს... თურქეთში წასვლას და საზიზღარი ცხოვრების დაწყებას გირჩევნია, სწავლაზე იფიქრო. P.S. მამაშენის ადგილას ცემით მოკლავდი, რადგანაც ასეთ სისულელეებზე ფიქრობ“.

ბრუნინა:

„საქართველოდან წასვლა არ გაბედო, ეს აზრი თავიდან ამოიგდე. ჯერ ერთი, არასრულწლოვანს მარტო ვინ გაგიშვებს? რომც გაიპარო, იცი, თურქეთში ვისთან ან სად უნდა მიხვიდე? ჯობია, მამას დაელაპარაკო და აუხსნა, რომ შენც არ გინდა ასეთი ცხოვრება, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებ, რომ ბუნებამ შეგქმნა ასეთად. კარგი იქნება, თუ ფსიქოლოგთან წახვალ და მამასაც ნაიყვან“.

„როგორ მოვარჯულო უყურადღებო და უზრდალი ბიჭაღიანი?“

ნინი:

„18 წლის ვარ და შეყვარებული ჯერ არ მყოლია... ყოველთვის გონების კარნახს ვენდობოდი, გულისთქმას კი არაფრად ვაგდებდი. ახლა არ ვიცი, გულისთქმა თუ გონების კარნახი, რომელიც ერთი ადამიანისკენ მექაჩება, მაგრამ დავიბენი. ის ჩემი იდეალისგან სრულიად განსხვავებულია — ამჟამად, ჯიუტი, მექაღიანი, უყურადღებო და უზრდალი. სულ ვჩხუბობთ, მაგრამ მაინც, მასზე ვფიქრობ. მინდა მოვარჯულო, მაგრამ ვიცი, ამას ვერ შევძლებ. თავს ვერ ვერვი, ნეტავ, რა შემართება? მირჩიეთ რამე“.

„ნათლია ნათლულის სულის მხევალია“

„მის მონათლავა უარის თქმით სოღვას დაიღებ“

„გზის“ №52-ში დაიბეჭდა Crazy girl-ის მესოვი შეგახსენებთ, იგი გწერდა, რომ ჰყავს „მსუბუქი“ თანამშრომელი, რომელიც სთხოვს, — ქრისტიანულად მომნათლო ვინაიდან გოგონას გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდა, „გზის“ მკითხველებს მოგმართათ თხოვნით, — მირჩიეთ, მოვნათლო თუ არაო?

ბარბარე:

„ჩემი აზრით, უნდა მონათლო; ეს ძალიან დიდი მადლია, ამით დიდ სიკეთეს გააკეთებ“.

SCOUSER KATE:

„უნდა მონათლო, აბა, რა უნდა ქნა? რად უნდა მაგას ამდენი ფიქრი? თუ ადამიანს სურვილი აქვს, ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოექცეს, ამაში უნდა დაეხმარო“.

რუსიანი (YELLOW):

„თუ შენს „მსუბუქ“ თანამშრომელს მონათლავ, მის „დამძიმებუც“ სერიოზულად უნდა იზრუნო. ბოლოს და ბოლოს, ნათლია ხომ ნათლულის სულის მხევალია... ისე, შენს ადგილას დაფიქრდებოდი“.

ტილო-ტილო:

„ჩემი აზრით, უნდა მონათლო. თუ მას გაქრისტიანება გადაწყვეტილი აქვს, ხელს ნუ შეუშლი. დამიჯერე, ეს შენთვისაც კარგი იქნება. P.S. ისე, ეგ რა საკითხავი იყო?“

სალო:

„აუცილებლად უნდა მონათლო! იქნებ, იმ ადამიანში დიდი რწმენა იმალება?! ეტყობა, მადლს გრძნობს და ამ მადლის მიღება უნდა, შენ კი მის მონათლავაზე უარის თქმით ცოდვას დაიდებ; იცოდე, თუ ხელს კრავ ადამიანს, რომელსაც ქრისტიანულად ცხოვრება უნდა, ღმერთი ამისთვის აუცილებლად დაგსჯის“.

გუბია-თათული:

„უნდა მონათლო! შეიძლება, მან სწორედ ამის შემდეგ შეიცვალოს ცხოვრების სტილი. წარმატებები! ღმერთი გფარავდეს“.

უზუნური:

„მეტი სადარდებელი არ გაქვს? ადამიანი მონათლავს გთხოვს, უნდა

ქრისტიანი გახდეს და შენ ამაზე დაფიქრდი? ჩემო კარგო, უნდა მონათლო, აბა, რა უნდა ქნა?! P.S. დარწმუნებული ვარ, ყველა ამას გირჩევს. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი „მსუბუქია“ თუ მახინჯი?!“

ძვირი:

„აუცილებლად უნდა მონათლო! ეს უფლის ნებაა და ამაზე უარს ნუ იტყვი. იცოდე, ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება“.

მორიელი 85:

„ადამიანის მონათლავა დიდი მადლი არ არსებობს. რაც შეეხება მის „სიმსუბუქეს“, „დაიკიდე“.

ბარინა 6. ათინა:

„ნათელმირონობაზე უარის თქმა არ შეიძლება! პირადად მე, ჩემი ვაჟი ცოტა გონებასუსტ და ხელპარალიზებულ გოგოს მოვანათლვინე, რადგან მთხოვა და ვიცოდი, ბავშვი საკუთარი შვილივით უყვარდა. მონათლე და უფალი ორივეს შეგენევით“.

ფლანგო:

„შეიძლება შენი თანამშრომელი მსუბუქი ყოფაქცევისაა, მაგრამ შენ შეგიძლია, დაეხმარო. იცოდე, ნათლობას დიდი ძალა აქვს. ხალხის ლაპარაკს ყურადღება არ მიაქციო და შეეცადე, ისე მოარჯულო, რომ მომავალში არავინ მოიხსენიოს როგორც „მსუბუქი“ ქალი. და კიდევ, ასეთ ადამიანთან მეგობრობა იმას არ ნიშნავს, რომ შენც მისნაირი ხარ. სიამოვნებით გაგიცნობდი. წარმატებები!“

უცნოვი:

„ქრისტიანულად მონათლავა მოვალეობის მოხდა არ არის, ეს ჩვენი ცხოვრების აზრია. ასე რომ, არ უნდა იყოყმანო“.

„ორგა სუკეთესო მხევალი სიყვარული ამისა“

სოფო 17:

„აუ, ძალიან ცუდად ვარ და თქვენი რჩევა მჭირდება: ჩემმა ორმა საუკეთესო მხევალი სიყვარული ამისა, მე კი ისინი ისე მიყვარს, როგორც — ძმები. ჩემ გამო გამუდმებით ჩხუბობენ და მეშინია, მათ შორის რაიმე არ მოხდეს. გთხოვთ, მირჩიეთ რამე“.

P.S. მამ ასე, თუ ნინისა და სოფო 17-ის წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისოჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილი-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრობოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრობოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გაუძლებს, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოს.



ქაღაბი

1. ვარ 20 წლის გოგო, ქერა, ცისფერთვალა, მაღალი, შეძლებული. ვცხოვრობ მარტო. გავიცნობ ბიჭს.

2. ვარ ექიმი, მხიარული, ბინით, მანქანით, აგარაკით. დამირევოს თბილისელმა, უზრუნველყოფილმა, ინტელიგენტმა მამაკაცმა, 37 წლის ზემოთ.



ქასაბი

3. გავიცნობ 36 წლამდე ასაკის, სუსტი აგებულების ქალბატონს. ვარ 41 წლის, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი.

4. 1-ელი ნომრის ავტორის ნომერი მინდა, თუ იცით.

5. ოჯახის შექმნის მიზნით გამომხმარებო მანდილოსანი, რაიონიდან. სერგო

6. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №41, მე-3 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

7. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ლამაზ მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისათვის. მსუქნები არ გამომეხმარონ და გაუნათლებლები. აგრეთვე — არაინტელიქტუალები.

8. ვეხმინებ „გზა“ №51, მე-3 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.

9. ვარ 23 წლის მამაკაცი, ექიმი.

გავიცნობ ლამაზ გოგონას. დამიკავშირდით.

10. ვარ 23 წლის ბიჭი, 193/85, შავი თმა, მწვანე თვალები, თეთრი კანი. გავიცნობ სიმპათიურ ქალბატონს. ვარ ფინანსურად უზრუნველყოფილი, საქმიანი.



სსვლასსვა

• დათ, ჩემო სიხარული, გილოცავთ შობას! ამ ბრწყინვალე დღის მაღლი და სიხარული შეგვეწიოს! ფარავდეს უფალი! ძალიან გვიყვარხარ. წერილი გამოგიგზავნეთ. ფოსტით გამოუშვით. წესით 3-5 დღეში უნდა მიიღო. თუმცა, ახალი წლის დასვენებებია და შეიძლება დაგვიანდეს კიდევ. დღეს ანომ ტელევიზორში ვილაცას მიგამსგავსა და აი, მამიკო. მერე თვითონ დაამატა, არა, ეს არ არის, უბრალოდ ჰგავსო. :) შენ აზრზე ხარ, როგორ ენატრები?! ყველას ძალიან გვენატრები. ბედნიერები ვართ, რომ შენ გყავხარ. გთხოვ, გამაგრდი. რატომღაც მგონია, რომ ცოტაღა დარჩა. მოგვარდება ყველაფერი. შენი ბიჭები, ნათესავები და ახლობლები სულ გვირეკავენ და გკითხულობენ. გვიყვარხარ.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრობოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნილებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრობილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

• 5-7, გია, ლამაზი კაცის ლამაზმა სიტყვამ არ მოგატყუოს ლამაზო ქალო, იგი, ვინც უფრო თავს გველებოდეს, იგი არასდროს არ შეიყვარო. შეხედულება შენ ნუ მოგხიბლავს, გიბილავდეს სატრფოს გული კეთილი, ის კი არ ვმარა, ილაპარაკო, მე მყავს კეთილი შეყვარებული. ლამაზ ტანსაცმელს, მდიდრულ ცხოვრებას, შენში არასდროს ჰქონდეს დიდება, სული ეძიე ადამიანში, ხორცი ბაზარშიც კი იყიდება. ნუ გაგიტაცებს შენ სილამაზე და ნუ მოგხიბლავს ენა წყლიანი, მუდამ გახსოვდეს ილიას სიტყვა: ყველა კაცია, ადამიანი? მიყვარხარ, შენს ლამაზ სულში ანგელოზს ვხედავ, მე შენი მსგავსი ვერ ვხედავ ვერსად. არ შეგეშინდეს არაფრის ქვეყნად, მე შენზე ჩუმად ვლოცულობ ღმერთთან. მე შენ გარდა ვინც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა ნარმოადგენდეს, არავინ მაინტერესებს ამ ქვეყანაზე და ეს მთელი ცხოვრება ასე იქნება. შენ ხარ ჩემი სიცოცხლე. უკანასკნელი მათხოვარიც კი მიყვარხარ. რამ დალიოს ზღვაში ქვიშა და სცენაზე ვარსკვლავები? :) იცი, ადრე სულ ვეჭვიანობდი ხოლმე შენზე და არ გეუბნებოდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ სულ ტყუილად. ახლა მივხვდი, რომ მართლა გიყვარვარ. როგორც იმ ბოლო მესიჯში მითხარი, შენ ერთადერთი ქალი ხარ, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მეყვარებაო. ჩემს შემთხვევაშიც ზუსტად ასეა. სიგიჟემდე მენატრები და ერთი სული მაქვს, სიმართლის თვალებით როდის შეგხედავთ ერთმანეთს. :) ბევრს გკოცნი, არ მოიწყინო, ყველაფერი კარგად იქნება.



• გიო-ნნ, როგორ ხარ? ბავშვებისა და ალიკას ნახვის შემდეგ ცოტა დამშვიდდებოდი. დაიმშვიდე ნერვები, მხოლოდ კარგზე იფიქრე. უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეს. მოგცეს სიძლიერე, მოთმინება, ჯანმრთელობა და თავისუფლება. უფალი არს შენთან. ამინ!

• როგორ გავატარე ახალი წელი? ცუდად, ძალიან ცუდად, საყვარელი ადამიანის საფლავზე. რა გრძნობაა? სიტყვები არ მყოფნის, რა დავწერო? როგორ შეიძლება, ამხელა ტკივილის გადმოცემა? არა, ამას სიტყვები ვერ აღწერს. უფალმა მარტო ცხრა თვე მოგცა ბედნიერების. თუმცა, არ ვწუნუნებ, უდიდესი სიყვარულის ნაყოფი დამრჩა, რომელიც უკვე ერთი თვისაა. ქვრივი.

• მამუ, მიყვარხარ. თამუნია-ამუნია.
• მახო, ქუცუნა, მოგვეწერე. შობას გილოცავ. ამ წელს ჩვენ გვერდით ყოფილიყავი. ძალიან გვაკლიხარ. გკოცნით და გესუტებით ბევრს. აბა, შენ იცი, ჭკვიანად იყავი. :) გუროია.

• ღორმუცელა, მენატრები, მჭირდები, მიყვარხარ, მიკვირს, როგორ ვსუნთქავ უშენოდ... დავიღალე... მეტი აღარ შემიძლია... გვარავდეს უფალი. მიყვარხარ...

• ნიკე, მიყვარხარ და მენატრები. როდის განახავ?

• რამდენი ხანია, რუისპირისა და მისტერის გაცნობა მინდა და თავი ვერ მოვაბი, რა... :(P.S. რუისპირი (YELLOW) და რუისპირი სხვადასხვაა? P.P.S. ზოგი რა უცნაური ხართ. :) აუტანელი.

• ბაი, ალბათ მიიღე წერილი. თორნიკეს გამოვატანეთ. შენც თუ შეგიძლია, გამოატანე წერილი და დაგვირევე. ცოტა ხანში კიდევ დავწერთ წერილს. გვენატრები ძალიან. ნათია ნ.

• უზომოდ მიყვარხარ, ლაკვასტ, მეამყება, რომ გიცნობ. შენ ჩემი გული და სული ხარ. ბედნიერი ვარ, შენნაირ თბილ, ნიჭიერ და ყურადღებიან ადამიანს რომ ვუყვარვარ. :) ფლამინგო.

• ქალბატონო ნანი დუმბაძე, ძალიან გამიხარდა თქვენი დაბრუნება „გზაში“. ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უფლის წყალობას გისურვებთ. გაიხარეთ, მიყვარხართ. ფლამინგო.

• დათ, ამ გადარბენაში ერთი დღით გვიან მოგწერე და წინა ნომერში აღარ დაბეჭდეს. ძან ვინანე მერე. ვიცი, 1 კვირა ზოგჯერ 1 საათით გარბის თქვენთან. შენს ჯვარზე გავიჟღერებ... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მსგავსი რამის კეთება თუ იცოდი.

გუკა არ იმოთხროს. მართალია, თავიდან ყივჩაღი აყვირდა, ჩემოლა, :) მაგრამ მერე დავაიმედეთ, — მამიკო შენც გამოგიგზავნის-თქო და შეეშვა. დღეს შობაა! საოცარი მადლიანი დღეა!

ჰოდა, ამ დღის მადლი და სიკეთე შეგენით ყველას. დათ, გილოცავთ ყველა შობას და ახალ წელს. ყველაფერი ცუდი წინა წელში დარჩენილიყოს. ჩემო სიხარულო, მიყვარხარ! განახავ მალე!

• მე რომ მქონდეს ძალა... არასოდეს დავაშორებდი შეყვარებულებს და ერთმანეთზე შეყვარებულ ცოლქმარს. როგორც უფალმა ჩემთვის ინება და მარტოსულად მაქცია. ქვრივი.

• ჩემო საყვარელო მგზავნელებო, სად დაიკარგეთ? ვეძებ და ვერ ვპოულობ თქვენს მესიჯებს „გზის“ ფურცლებზე. ნეტავ, რატომ? რაღაც, მოვინწყინე. :(მიყვარხართ. ფლამინგო.

• 25, კიდევ ერთხელ გილოცავ ახალ წელს. დე, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ანა კინოს იღებს, ვაჟა-ფშაველაზე. კამერა მისცეს უნივერსიტეტში და მეგობარი უნდა წაჰყოლოდა გადასაღებად, მაგრამ ვერ მოუცლია. ანას თათოსთვის დაურეკავს და შაბათს მიდიან გადაღებაზე. ჯერ ვაჟას კაბინეტს გადაიღებენ. კვირას თათოს თუ ეცლება, თამრიკო ჩარგალში წაიყვანს. ანა არ დაიკარგება, ალბათ მონტაჟსაც გააკეთებინებს. 1-საათიანი ფილმი უნდა გადაიღოს. ჩვენთან ახალი ჯერ არაფერია. 1 კვირაში ბი... ჩამოვა. ბიჭები ხშირად მირეკავენ და მოდიან. დე, თავს გაუფრთხილდი და ჭკვიანად იყავი.

• ყველა მიყვარხართ. ლაკვასტზე, ფლამინგოსა და კლეოპატრაზე მახობდებს. გესუტეთ, ჩემო დაიკოებო. გაკოცეთ ბევრი. ედელვასი.

• მამუ, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გიგიტო.

• მამუსიკა, ჩემო სიხარულო და სიყვარულო, გილოცავ შობა-ახალ წელს. იხარე და იბედნიერე. ზინიკო.

• გოჭი როგორ მყავს? მე არა მიშავს. ახალი და მნიშვნელოვანი ჩემვენ არაფერია. შენს ამბავს ძალიან განვიცდი, ვნერვიულობ შენზე. ბარტყი, ხომ იცი, ჩემთვის რა ძვირფასი ხარ. ძალიან მიჭირს უშენობა. მენატრები ძალიან, ბარტყი. მთელი ცხოვრება იმედით ვარსებობ, შენთან მიმართებაში, ჰოდა, ახლაც იმედი მაქვს, მალე განახავ. :(გკოცნი ბევრს.

• მისტერს მივმართავ: მაგარი ხარ! მე მომწონს თქვენი სტილი. ასეთი ადამიანები სამყაროს საინტერესოს ხდები. 18-12.

• როგორ ხარ, მარი? გასულ ხუთშაბათს „გზა“ ვერ ვიშოვე, ახლა ვკითხულობ ორივეს. რა კარგია ნანი დუმბაძის ლექსი, მეც ყოველ დილას ვკითხულობ მაგას. 1916.

• რუისპირი ძალიან მაგარია, მაგარ რჩევებს აძლევს გოგონებს. იქნებ გამეცნოს? რას იტყვი? კარგი მეგობრობა ხომ შეგიძლია? 1916.

• „გზა“ ყველაზე მაგარი ჟურნალია. კაკუ, გილოცავ შობა-ახალ წელს!

გულში არ გაივლო, რომ თითქოს მარტო ხარ, მე მუდამ შენთან ვარ, მე მუდამ მახსოვხარ! და-ლექსა.

• მამუ, ძან, ძან გვიყვარხარ და გვენატრები, მოვინწყინეთ უშენოდ, ყოველდღე შენ გახსენებ. თუ გავიცინებთ, ისევ შენით. არ მეგულება ადამიანი, შენ რომ არ უყვარდე. ახლა ერთიათასად შეუყვარდი ყველას. ყოველდღე ვლოცულობთ შენთვის. უფალი შეგენვა და გაგაძლიერებს. ის მოწყალეა, კეთილ ადამიანს არ მიატოვებს განსაცდელში, მალე იქნები ჩვენთან და ისევ ძველებურად გაგრძელდება ყველაფერი. გვიყვარხარ და გვენატრები. ნინო.

• ახალ წელს გილოცავთ, „გზა“! მინდა, ჯანმრთელობა (აქტუალური, საინტერესო სტატიები) და წარმატება (მზარდი ტირაჟი) გისურვო. მარი, შენც გილოცავ გულითადად კიდევ ახალ, 2011 წელს და თქვენც, მგზავნელებო! ხომ ისევ განაგრძობს არსებობას „გზავნილები“? :) მოკლედ, „პატარა სიკვდილის“ შემდეგ ისევ მომესურვა, აქ მომენერა. სარვიტა.

• 25, დე, ჩემი ტელეფონი აფრენს. დაძველდა და მესიჯებს ერთად გზავნის. მე და გიგი ერთად გწერთ. დღეს ირაკლი ჩარ... შემხვდა. დე, თავს გაუფრთხილდი. გკოცნი ძალიან ბევრს. ხვალ კიდევ მოგწერ.

• ჩემო მსუქანავ, გუშინ სიზმარში განახე, ვითომ ცუდად იყავი და ინექტი. ხომ კარგად ხარ? მოდი, გთხოვ, ვნერვიულობ. დამთავრდება ნეტავ ეს კომმარი ოდესმე? მომენატრე. ხომ არ ცივა მანდ? თბილად ჩაიცვი. შენ კარგად უნდა იყო. არ ინერვიულო, გთხოვ, ჩემო სპილო. გულში მიყვარხარ. შენ ჩემზე გრძელი წამწამები გაქვს, ვალიარებ.

• 5-7, იცი, წელან რას ვფიქრობდი? მთაში, თოვლში, განმარტოებით მდგარი, ერთსართულიანი სახლი, ცხელი ბუხარი, რბილი, ჭრელი ხალიჩა, წითელი ლვინო, ცხელი ჯაკუზი და შენ :)).

• 5-7, ჩემი სამყარო ოაზისებით მოქარგული კუნძულია ანუ უკაცრიელი, სანამ არ გამოჩნდები. :) უკან ვეღარ ვბრუნდები. ცურვა არ ვიცი. კუნძულის გარშემოა ზღვა სიყვარული. გაიღიმე მაშინ, როცა არ გექნება ღიმილის მიზეზი და ყველა მიიჩნევს, რომ გიხარია რაღაც. გაიღიმე მაშინ, როცა თვალზე ცრემლი მოგადგება, მონატრების ტკივილისგან და ყველა მიიჩნევს, რომ ეს სიხარულის ცრემლებია. გაიღიმე ყოველთვის, მაგრამ სულელივით არ იცინო, გიყვარდეს მუდამ, მაგრამ არ გაიხადო კერპად არავინ, იტირე, როცა გულს ეტირება, მაგრამ არ მიეცე სასონარკვეთილებას, გჯეროდეს სხვების, მაგრამ არ გახდე მარიონეტი, ეცადე, იცხოვრო საკუთარი აზრებით და მიჰყევ



გულისტემას. ასე დამარიგეს, :) მაგრამ არ გამომდის.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლე, ძალიან მენატრები, სიგითქმდე მიყვარხარ და დამელია გული შენი ლოდინით. დიდი იმედი მქონდა, 10-ში თვალს მაინც მოგკრავდი, მაგრამ რას ვიზამთ? ლიკა.

• კასკუ, შენ არაფერზე ინერვიულო, ყველაფერი კარგად არის, ძალიან მალე ჩაგეხუტებით და მოგენებებით. ბავშვები და დედა კარგად არიან. არაფერი დაკარგა აქვთ და უსაქმურობენ. თავისი მამიკო ძალიან ენატრებათ. დიდი მონდომებით გიმესიჯებთ და გიძღვნიან რაღაცებს. იმედია, ისმენ. ისე, რა გახდა ერთი შენი პასუხი? გავიგე, ელასტიკი მოგეწონა. 7-ში ნახალოვკაში ვიყავით. ბავშვებმა გიტარაზე დაკვრა მაგრად დაამხეცეს და სიძემ ამღერა და ამღერა. წარმოუდგენლად მიჭირს უშენობა. მე უფრო-მეთქი... ლისკუნა.

• რა დავაშავე, რუსმა თუ მშობა? იკა, მენატრები. გული მატკინე ამით. გრუზ, ნო, ფლამი, კლეოპატრა, კამი, შენი რუსი, მიყვარხარ. დე (მემე), ძალიან უყვარხარ შენს ბაჭიას. მიღე.

• დედათა მონასტრის ეზო... სამოთხისეული სიჩუმე და სიმშვიდე... სილამაზე, რომელიც მხოლოდ აქ არის... მონასტერში შესვლისას შემოგეგებება საკმევლის სურნელება, გულს შეგიკუმშავს და ტანში გაგაჟრიანებს... ვზივარ სამლოცველოს კუთხეში და ვფიქრობ ჩემთვის. აქ სრული ნეტარებაა, უსაზღვრო ბედნიერებაა. რატომ არ ძალუძს ადამიანს, დაიტიოს ეს ბედნიერება? შეენიანაღმდეგოს თავის ვნებებს და სურვილებს და იყოს სრულ ნეტარებაში უფალთან... მეუფის დალოცვა და ჩუმიად ნათქვამი — „დაგლოცოს ღმერთმა“ და დასალოცად გამოწვდილი მისი თბილი ხელი... დედაოს ჩუმიად და მშვიდად ნათქვამი დარიგებები... გონებიდან არ ამომდის მონასტერში გატარებული ერთი კვირა, სადაც არ განუხებს არავითარი საზრუნავი. საოცარ სიყვარულს გრძნობ ირგვლივ მყოფებისგან და ეკითხები საკუთარ თავს, ხარ კი ამ სიყვარულის ღირსი? უბრალო ბრძოლაც კი არ შეგიძლია... საოცარი გრძნობაა, როდესაც დგები დილის 6-ის ნახევარზე და 5 საათი დედებთან ერთად ლოცულობ. საოცარი გრძნობაა, როდესაც ხედავ ყოველდღე, დილის 6 სთ-ზე როგორ დგებიან დედები და ლოცულობენ ჩვენთვის. ირგვლივ სიბნელეა, ყველა ოჯახში ბნელა, მონასტერში კი სანთლის შუქზე მლოცველი დედების ლოცვა ღმერთამდე ადის და იქიდან გვიფარავს ყოველ ჩვენგანს... გონებაში დრმად ჩამებუჭდა ეს დღეები და გულში საოცარი სიყვარული ვიგრძენი, უფლის უსაზღვრო სიყვარული. სამწუხაროდ, იქით ვერ გავცემ იმ

სიყვარულს, რასაც უფლისგან ვიღებ... მონასტერი... ადგილი, სადაც არ გტკივა, არ განუხებს და უბრალოდ, არ ნუნუნებ... იქ მხოლოდ საკუთარი და სხვისი სულისთვის ზრუნავ, ლოცვით, გალობით... ერი კი მხოლოდ ცოდვის მორევია... მე პირადად სხვა ადამიანი ვარ მონასტერში და სხვა — ერში. მონასტერში გატარებული, თუნდაც ერთი საათი ჩემთვის სრული ბედნიერებაა... ყველას შეგეგრძნოთ ეს სულიერი ბედნიერება და ყველას გისურვებთ უფლისმიერ სიხარულს!.. სალო.

• ახალ წელს იმ ადამიანმა დამირეკა, ვის შესახებაც უკვე გიაშბუთ. მანამდე უკვე ნალაპარაკები გვექონდა, ყველაფერი ახსნილი, მობოდიშებული და დამთავრებულიც იყო. დღესასწაულზე კი ნერვებმა უმტყუნა და მოლოცვის მაგივრად, პირდაპირ, მიყვარხარო, მითხრა. მე საკმაოდ უკმაყოფილო ვიყავი. მას მერე ყოველდღე მესვებოდა, რომ ერთი შანსი მიეცე შეცდომების გამოსასწორებლად და ყველაფერი თავიდან დაიწყო. ვიცი, რომ გამოსწორებას ცდილობს, ეკლესიაში დადის და ერთხელ იქიდანაც მთხოვა პატიება. ყველანაირად ცდილობს ჩემი ნდობის დაბრუნებას. მისი გულწრფელობის მჯერა, მაგრამ თან გაცეცხლებული, შეშინებულიც ვარ, კიდევ ერთ იმედგაცრუებას ველარ გადავიტან. ვერ ვიჯერებ, რომ ღმერთმა ჩემი ლოცვა შეისმინა, სასონარკვეთილებისგან მიხსნა და ნამდვილი სასწაული მოხდა. ყველას გილოცავთ შობა-ახალ წელს, ველი გამომხაურებებს, როგორც ადრე, ისე. გამადლობთ წინასწარ. „გათამაშებული ტრაგედიის“ ავტორი.

• მარ, ახლა მესივს გწერდი და გამახსენდა, მეგობრისთვის რომ უნდა მიმენერა და გამწარებულმა დავუნყე ტელეფონს ძებნა. ბოლოს სად მივაგენი? ჩემს მარჯვენაში. :) ვაი, ვაი. კლეოპატრა.

• რა თქმა უნდა, სიმთვრალით ბევრს ნაუმტვრევია თავ-პირი. ასე რომ, ფრთხილად, სმის მოყვარულეო! უცნობი.

• ფიქრი მიყვარს... ერთ დღესაც, იცი, რას მივხვდი? ამ ცხოვრებაში დამკვირვებლის როლი მერგო მხოლოდ, თამაშის უფლება კი არ მაქვს... მაგრამ მინდა, კი? კესანი.

• სიოს ნუ დაეშლი მოფერებას, თავხედია და ის არ მოგეშვება, იქნებ, ჩემი კოცნა მოგეწონოს და ჩემს დაჭრილ გულსაც მოეშვება, ცრემლებს ჩამოყრის და დაგასველებს, ოღონდ მინატრე და ჩოქვით შემოვივლი ამ ჩვენს გადაუქნებელ მინდორველებს და მწერი ცრემლებად აგატირებს, ამდენი სიმარტოვე, იცოდე, მაგ შავ თმას მალე გაუჩენს ჭაღარებს. სევდა მაგ სახეზე ტკივილს რომ დაგამჩნევს, მერე მონატრება იქნება

გვიანი, ოღონდ მინატრე და შენი სიხალისით, ლამეც კი იქნება ყოველი მზიანი, ქარებს მარტოობა ვერ აუტონიათ, შენ კი ამ ლამესაც ისევ მარტო რჩები, მე რომ მიყვარხარ და მე რომ მენატრები, ყველა მიმხვდარა და შენ კი ვერა ხვდები. ლუნა.

• საწუნუნო ნამდვილად არაფერი მაქვს, ღვთის წყალობით, ბედნიერი და ხალისით სასვე, ტრადიციულად, ჟივილ-ხივილითა და ქიფით შევხვდი 2011 წელს, მაგრამ სამწუხაროდ, ისეთი განსაკუთრებულიც არაფერი მომხდარა, მისი გადმოტანა „გზის“ ფურცლებზეც რომ შევძლო. სწორედ ამიტომ, ჩემი მეგობარი ბაიასა და მისი მეუღლის, ნიკას შესახებ გიამბობთ, რომლებიც ახალ წელს სრულიად მარტო, მაგრამ მხიარულად და „საყვარლად“ შეხვდნენ. თხრობას ცოტა შორიდან დავინწყებ: ნიკა ძალიან მხიარული ბიჭია. სანამ დათოს (ბაიას ძმა) წყალობით ბაიას რეალურად გაიცნობდა, მანამდე მიმოწერა ჰქონდათ. ნიკა ხშირად სწერდა ხოლმე, გამეცანი, ქუჩაში რომ შეგხვდე და გვერდი აგვიარო, მერე თვალეებში როგორ შემოგხედო? ერთმანეთი როგორ გაიცნეს, ეს გრძელი ამბავია, მაგრამ რაც მთავარია, ყველაფერი ქორწინებით დაგვირგვინდა. მოკლედ, ბაია და ნიკა 2011 წლის ღამეს მარტონი შეხვდნენ, თავიანთ პატარასთან ერთად. ნიკა დათვრა და ის და ბაია საგანგებოდ ნაყიდ „ხლაპუშკებს“ სიცლი-ხარხარში აფეთქებდნენ, მთელი ნახევარი საათი. პატარას ტირილი კი არც ერთს არ ესმოდა (რა გასაკვირია). მათთვის ყური რომ დაგვედოთ, დილაზედ გაიგონებდით მათ მხიარულ დიალოგს: „ნიკა, „მადონას“ თეფში რატომ იხმარე?“, „მადონასი თუ არის, აქ რა უნდა, ვერ ნაიღებს?“, „საყვარელო, რამდენი კოვზი შაქარი ჩაგიყარო ჩაიში?“, „9 კოვზი, სიხარულო, ოღონდ არ მოუერიო, ხომ იცი, ტკბილი არ მიყვარს“. „ნიკა, აღარ დავიძნითო?“, „რა დროს ძილია, ქალო, ახლა უნდა იღვიძებდე უკვე!“ დილაზე ასე ჟღერტულში გაატარეს ნიკამ და ბაიამ და 2011 წელსაც ტკბილად და გემრიელად შეხვდნენ. ლუნა.

• მარი, გილოცავ შობა-ახალ წელს — შენ, „გზავნილიორკს“, საქართველოს და მსოფლიოს. ეს პირველი გზავნილია და არდაბეჭდვის შემთხვევაში პანაშვიდი შედგება ჩემი. მისის-ნ.

• რუისპირი და მისტერ, ჩემი ფავორიტები ხართ. უძალიანმარესი სიტყვათა მარაგი გაქვთ. მისის ნ.

• აუუ, მეც მინდა, ჩემი გზავნილი განსხვავებული ფორმატით დაიბეჭდოს, მაგრამ ულიბკასანიური წერის სტილი არ მაქვს. უჰ.

• ჩემო საყვარელო მარი, ჩემო საყვარელო მგზავნელებო, ყოველივე კარგის მომტანი ყოფილიყოს ეს წელი



თქვენთვის. P.S. სად დამეკარგე, SWEET?

• ულიბკას შემოევლოს ჩემი განვლილი და დარჩენილი სიცოცხლე. ნიჭიერი კი არაა, უნიჭიერესია, მაგრამ მისი გზავნილები მინიმუმანად უფრო გამოდგება. მას შეუძლია და კარგადაც გამოსდის პატარა ამბის გავრცობა და სრულყოფილი სახის მიცემა. არავის ეგონოს, ულიბკას წინააღმდეგი ვარ, პირიქით, მომწონს და ვაფასებ (იმედი მაქვს, ჩემს შეფასებას სწორად გაიგებს), მაგრამ ზოგჯერ სხვა მგზავნელის მიერ დანერგილი გზავნილი უფრო მომწონებია.

• რუიზე რა მოთხოვნაა?! „გზის“ სიმპო ბიჭია. „გზის“ სიმპო გოგო ჯერ არ ჩანს. გადარეული.

• ლაკვასტ, მე ფლამინგოს გავგუდავ. :) მიყვარს ნათია და ნინო. გადარეული.

• ასე მგონია, სივრცის ერთ ბნელ ბურთში ვზივარ, ჩემ გარშემო კი ბედნიერების ყველა ბურთი ჩამქრალია. ირგვლივ უკუნი სიბნელეა. ხანდახან ბედნიერების ბურთი აინთება და სხივებს გზავნის, მაგრამ ეს იმდენად მკვეთრია, რომ თვალებს მჭრის და იმდენად ხანმოკლეა, რომ მის შეგრძნებას ვერც ვასწრებ. მერე კი ეს უბრალოდ სიზმარი მგონია, რომელიც წამებში იქცა წარსულის აჩრდილად... არადა, ახლოა ბედნიერების ბურთები, ერთი ხელის განვადანაზე... მაგრამ — ჩამქრალი... კლეოპატრა.

• ნაომი, ჯიგარი ხაარ. მართლაც საქონელია ეგ ლევანი. მუნუკი კაი იყო.

• მარი ჯაფარიძე, მართალია, ზოგჯერ ძალიან, ძალიან, და უფრო ძალიან მიშლი ნერვებს, მაგრამ მაინც ჯიგარი ხარ... მთელი გულით გილოცავ შობას, მრავალს დაესწარი. ნაომი.

• ე.ი. რაც მგზავნელი გავხდი, ბევრმა მატკინა ხერხემალი. მარ, მომიტყევე, ამ შუალამეს იუმორი მომეძალა და... თან აჭარულ იუმორს არ იკითხავ?! ნაომი.

• ნანი ბებოო, როგორ გამიხარდა შენი მესიჯის ხილვა, არ იცი. იქნებ დაბრუნდეს და ძველებურად ჩაგვხუტოთ? უფალს ებარებოდეთ. ნაომი.

• ლევანი კი არა, შენ პირუტყვი უნდა გერქვას, 39 წლის კაცმა (შეიძლება არც ხარ 39 წლის, მაგრამ) ვის, სად, რას და რატომ სწერ, ეს ხომ უნდა იცოდდე? უბრალოდ, მხოლოდ ერთს და გარკვევით გეტყვი: ვერ ვიტან შენაირ საქონელს, უვარგის და უმაქნის ტიპებს. ტყუილად ნულარლი მაგ შმორიან თითებს, დურდლიანო. :-)

• ანთი, შენ ერთადერთი, რაც შეიძლება გაგლიჯო, პირში — ლუკმაა. მერე კი სუნს გაჰყევი, რააა. :-)

• მარი, მესიჯი რა უშიგთავსოდ და

უზროდ დამიბეჭდე? მე მეწერა: მე რომ არ ვყოფილიყავი თამუნა მიქელაძე, ვისურვებდი, რომ ვყოფილიყავი ნაომი კემპბელი. ჰმ... თავადის ქალი.

• 2011 წელს ჩემს ოთახში, მარტო, ბოლო ხმაზე აღრიალებული ცენტრთან და ემინემის NOT AFRAID-თან ერთად შევხვდი. ჩემები იქით ქეიფობდნენ, მე — ჩემთვის.

• უხილავს: მოგესალმებით, კეთილი ადამიანო, უღრმესი მადლობა ყველაფრისთვის. მეც ძალიან მომწონს და პატივს ვცემ თქვენს შემოქმედებას. 2 საუკუნეც რომ ვიცოცხლო, ალბათ ვერ ავმალდებდი თქვენს დონემდე. ჩემთვის ისიც დიდი პატივია, თქვენმა პიროვნებამ მალაიაროს. მოგილოცავთ შობას, სულიერ სიძლიერეს გისურვებთ. ლაკვასტი.

• მარიამ ტაბიძე: გენაცვალოს მაგ კეთილ გულში ნათლია. მიყვარხააარ, ბუტია. ლაკვასტი.

• XXI საუკუნე ვისთვის მოვლენაა, ვისთვის — ტექნიკური განვითარება, ფული და ვისთვის — უფლის დედამიწაზე დაბრუნების მოლოდინი... XXI საუკუნე ზოგს ახარებს, ზოგი კი არც შიშს და არც სიხარულის არ განიცდის. ეს ყველა შემთხვევა კი იქიდან გამომდინარეობს, თუ ვინ რას ელის მისგან და ვინ როგორ ხედავს XXI საუკუნეს, თავისი მსოფლმხედველობით, ყველასა და ყველან შეღწევადი... ინფორმაციული ომი, ამ ომის ერთ-ერთი მთავარი იარაღი არის ის ყუთი, რომლის დაგეგმვას ყველას ოთახში წმინდა მამები ჯერ კიდევ შორეულ საუკუნეებში წინასწარმეტყველებდნენ. XXI საუკუნემ ადამიანი ბოროტად აქცია, ჩაკეტა საკუთარ თავში და არ აძლევს საშუალებას, იფიქროს სხვებზე და... სხვის პრობლემებზე, რადგან თუ ადამიანები ერთმანეთის პრობლემებით მცხოვრებ ადამიანებზე არ იფიქრებენ, ფაქტობრივად ვერ განხორციელდება ამ საუკუნის მთავარი, არცთუ ისე დამანგრეველი მისია. ზოგს უსჯულოება არ ადარდებს, მისთვის XXI საუკუნეს უკვე გაუკეთებია გულის გამანვრილებელი ნემსი და იმის მოლოდინშია, როდის აამუშავებს ტანჯულ დედამიწას. აი, ასეთ ადამიანს ახარებს XXI საუკუნე... ეს საუკუნე ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებსაც გვახარებს, გვახარებს და არა გავაშინებს. ის გარდაუვალი მოვლენაა, რომელსაც მეორედ მოსვლა ჰქვია და რომელიც XXI საუკუნის მთავარი მონაპოვარი იქნება, თავისი ზეცას მიმწვდარი, ამაზრზენი ცხოვრების მიზეზად. მეორედ მოსვლა, ანუ უფლის დედამიწაზე დაბრუნება არ უნდა გვესმოდეს საშინ და დამანგრეველ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, როგორც ეს ზოგიერთმა კომერციულმა კომპანიამ სათავისოდ გამ-

ოიყენა და წარმოაჩინა ფილმები: „არმაგედონი“ და „2012-ით“. მეორედ მოსვლა, როგორც კატასტროფა, ისე აღიქმება. ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტეს ამქვეყნად მოსვლა არ არის საშიში. საშიში ჩვენი ცოდვებია და გვეშინოდეს მათ გამო. ის მაშინ მოვა, როცა არ ელიო, გვეუბნება წმინდა წერილი. ჩვენ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვაშობთ, რომ თუ ოდესმე დედამიწის არსებობის ისტორიაში ბედნიერი წუთი და წამი არსებულა, მეორედ მოსვლა ანუ უფლის დაბრუნება დედამიწაზე, ყველაზე უბედნიერესი იქნება... დღეს კი ყველანაირად ფიქრობენ დაანგრეონ ადამიანის შინაგანი სამყარო და არ დაუტოვონ სალი აზრი, აქციონ რა ადვილად კონტროლირებად არსებად და იბატონონ მასზე. ჩვენი მიზანი და უპირველესი მოვალეობაა შევინარჩუნოთ ერთობა, ერთმანეთის სიყვარული, თანადგომა და სახარებისეული სიტყვა ვაცოცხლოთ ჩვენში, რომ არ ჩავთვლიდნენ და არ ვიქცეთ უყვარულ, უზრუნველ, დედამიწის არაპატივისცემელ, გულგრილ და სამშობლოს უყვარულ არსებებად. არ ჩაგვეძინოს და არ ჩავთვლიდნენ. სულ ამას ვქადაგებ, ჩემო ლამაზო, მშვენიერო, სათაყვანებელო, ქართველო ჯიშო... ჯაყისმანელი.

• წელს მაგარი დრო ვატარე ახალ წელს. ძაან კარგი იყო. ასე ჯერ არ მიქეიფია. ღმერთმა ყველას შეგვარგოს. თერთო.

• ტიკარაძე მაია, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ლამაზი ოცნების ახდენას. გვარავდეს ღმერთი ამ უცხო მინაზე. ნესტანი.

• ისე, სად რუისპირი და სად — ნაომი? ძალიან განსხვავდებიან კი არა და, საერთოც არაფერი აქვთ, მაგრამ მე ამ ორივე მხიარულ და გონიერ მგზავნელზე მეზოდებააა. გურულო.

• დიდი და უშნო მუნუკი კაი იყო... ისეთი პასუხია ნაომი, რომ ვერაფერს დაამატებს ადამიანი. ყოჩაღ, ქალო, ჩაგეთვალა. მე უკვე გოლაარე. რუის და ნაომის შემოვევლე. გურულო.

• მოგესალმებით, მეგობრებო, ახალი ვარ ამ რუბრიკაში. მიმიღებთ? ახალი წელი მაგრად გავატარე, ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ამ წელს ყველას ბედნიერებას გისურვებთ. აურა.

• მარ, რამე დაგიშავე და ვერ ვხვდები? რად არ დამიბეჭდე სმს-ები? მე არ მინახავს ჟურნალი, მითხრეს. ნულარ დამბლოკავ, რაა! ქაჯების დედოფალი.

• ნამდვილ ამბავს გიყვებით, რომელიც ქუთაისში მოხდა: ბიჭს და გოგოს ერთმანეთი უყვარდათ. ბიჭმა ბეჭედიც კი აჩუქა. მალე დაქორწინებას აპირებდნენ. ერთხელ ბიჭმა მეგობრებთან ერთად იქეიფა. მათ-



თან შეყვარებულის დაქალი იყო, რომელმაც ბიჭის სიმთვრალით ისარგებლა, სახლში წაიყვანა და ლოგინში ჩაუწვა. დილით ბიჭმა რომ გაიღვიძა, გაგიჟდა და თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ სასიდედრომ აიძულა, დაქორწინებულიყო. ბიჭი ძალიან პატიოსანი იყო და დათანხმდა. გოგომ დაქალის ღალატი რომ გაიგო, რამდენიმე ხნით საწოლიდან ვერ ადგა. მოლაღატემ 2 შვილი გააჩინა და უკვე დავაჟკაცებულები, ორივე ტრაგიკულად დაედღუა. ქმარიც ნაადრევად მოუკვდა. ალბათ ახლა ძალიან ჯავრობს, რომ სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერება ააგო, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა. ღალატს არასდროს აქვს კეთილი დასასრული. გერასიმე. მარი, ჩემო კარგო, ძალიან მომწონს თქვენი „აზრდილთა დედოფალი“. გაიხარეთ, გოცნო.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი. ჩემს მუულებს ერთი სკოლის მეგობარი ჰყავს, რომელსაც „კოკროჩინა“ მანქანა ჰყავს, ამ მანქანით სოფელ-სოფელ დადის და კვების პროდუქტებით ვაჭრობს.

• ერთხელ, საახალწლოდ, სადაც კი მივიდა, ყველგან თითო ჭიქა დააღვივინეს; ნასვამმა ავარია მოახდინა და ქვედა ნაწილები დაეჟეჟა. ეს ამბავი რაიონში მოხდა, სადაც ახლოს სამშობლო იყო. წაიყვანეს ეს ჩვენი გმირი და ქალების „კრესლოზე“ მოათავსეს. ბევრი იყვირა, არ ვარ, ბატონო, ქალიო, მაგრამ არაფერმა გაჭრა. „ის“ დაუთვალეერეს და ექიმმა მიიჩინა, რომ მცირე დაჟეჟილობა ჰქონდა და გაუშვეს სახლში. რომ მივიდა, გოგონები მამიკოს წაიყვანეს შეეგებნენ. მან კი, — არ გყავთ მამა, უკვე 2 დედა გყავთო, ამოიხსრა. გერასიმე.

• ჩემო კარგო მარი, ეს განცხადება მინდა გამომიქვეყნო, თუ შეგიძლია. იქნებ, რომელიმე ბიზნესმენმა წაიკითხოს და ჩემს შვილს დაეხმაროს. მყავს 25 წლის შვილი. როგორც ფიზიკურად, ისე გონებით გამორჩეული, ნამდვილი ერუდიტი. აქვს დამთავრებული საერთაშორისო ურთიერთობისა და ბიზნესის ფაკულტეტი, საუკეთესო დიპლომით. ფლობს ინგლისურ ენას და კომპიუტერს. აქვს მუსიკალური განათლება, უკრავს ძალიან კარგად, ფორტეპიანოზე. ასევე ჭადრაკში აქვს პირველი თანრიგი. მუშაობდა 2 წლის განმავლობაში მენეჯერის თანამდებობაზე, ძალიან დაბალი ანაზღაურებით. ამჟამად არის უმუშევარი, ეძებს სამსახურს, მაგრამ უშედეგოდ. არ მინდა, ჩემი შვილი საქართველოდან წავიდეს. გული მტკივა. ჩემი ჭკვიანი შვილი რატომ უნდა ფიქრობდეს სამშობლოდან გაქცევაზე? იქნებ ვინმე დაეხმაროს და ნორმალური სამსახური შესთავაზოს.

• წელს რაღაც, მაგარი ახალი წელი იყო. ძან განსხვავებული. ბევრი რამ ვინსავლე, რასაც აქამდე ყურადღებას არ ვაქცევდი. :-). ერთი, თოვლი არ მოდის და იმედია, ისიც მოვა.

• შენ ალბათ გძინავს ტკბილი სიზმრებით, მე არ მასვენებს შენზე ფიქრები, თუ გაგაღვიძებ, ჩემო სიცოცხლე, გთხოვ, ამისათვის ნუ გამიბრაზდები. ნინიმზ.

• მარი, შეიძლება გახსოვდეს, მე ხშირად გწერდი, მაგრამ გარკვეული პრობლემების გამო დავიკარგე. არადა, მინდოდა, თქვენი დიდი ოჯახის წევრი გავმხდარიყავი... თუ შეგიძლია, ეს დამიბუქდე, მამაჩემის ხსოვნას ვუძღვნი. დიდი მადლობა წინასწარ. შიში. ფიქრებმა გამომადღვიძა... რამდენი დრო გასულა, თურმე... ხეებს თეთრი საბანი მოუხურავს, რა უკვე ძალადაკარგულ მზეს ეფიცებიან... ფანჯრის რაფაზე ლოლუების წვეთებს წკაპანკუპი გააქვთ, თითქოს თახანიდან გამოსულ მუსიკის ჰანგებს ტაშს უკრავენო... სახლის შიგნიდან გამოსული შოპენის ხმა წარსულში გადაგისვრის, იქ, სადაც ოდესღაც ბედნიერი იყავი... სიცხისგან მიღეული სხეულის პულსაცია სუნთქვას ერთვის, რომელიც ბოლო ამოხენეშას ელოდება... ნოსტალგია? ასე უწოდებენ ალბათ მონატრებას, მონატრებას, რომლებშიც დედის ცრემლმორეული თვალები გელოდება... რთული ყოფილა სიკვდილი... როდესაც აცნობიერებ, რომ იქ, სადაც შორს, დედის მკერდს მოგლეჯილი კვდები, კვდები უცხო ქვეყანაში, სადაც მიწაც კი ცივია... და მინც... სიკვდილის წინ ვნატრობ, ქვეყანაზე, სადაც ჩიტებიც კი სხვაგვარად გალობენ! ოთახის შიგნიდან ბოლო ამოხენეშა, თამბაქოს კვამლით გაჟღერებული ჰაერი და ფრინველთა საამო ხმაური... მარიაშოს.

• ბავშვობაში თუ საჩუქარს ველოდი ბალიშის ქვეშ, ახლა სიხალეზე ვოცნებობ, მინდა ცხოვრების წესი შევცვალო და წელს მინც ვიყო ცოტა ბედნიერი. ეს ჩემი საახალწლო სურვილი იყო, რომელიც მარტომ ჩავუთქვი, საახალწლო სუფრასთან. გოგონა.

• მარ, მამატიე, რომ ასე გვიან რომ გწერ, მაგრამ ძალიან მომინდა მომწერა. გადავწყვიტე, ხშირად მოგწერო დღეიდან, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა. კესანე.

• ვაიმე :) ლევანჩოს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მომწონს. :) იმდენად, რომ ნაომის კბენის ნაცვლად, ვთავაზობ, ჩემს ფინიას უკბინოს. თანახმა ხარ, ლევანჩო? ჩუპა-ჩუპსი.

